

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ძღვისპირნი და ღმრთისმშობლისანი

ორი ძველი რედაქცია
X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით

გამოსცა და გამოკლევა დაურთო
ელენე მეტრეველია

A
091 (47.922) -- 301 (38)
d 653

წიგნში ქვეყნდება ქართული „ძლისპირნი“ და ღმრთისმშობლისანის“ ორი უძველესი რედაქციის ტექსტები ბერძნული პარალელებით. „ძლისპირნის“ პირველი რედაქცია K_2O ტიპისაა და შეიცავს კოზმა იერუსალიმელისა და იოანე დამასკელის ძლისპირთა 8 აკოლუთიას (64 ძლისპირს). გამოცემულია ეს რედაქცია X საუკუნის შუა წლების უნიკალური ხელნაწერით (Sin. 34). მეორე რედაქცია OdO ტიპისაა, შეიცავს 403 ძლისპირს და გამოცემულია X — XI სს. ხელნაწერების მიხედვით.

ტექსტებს უძღვის გამოკვლევა, რომელშიაც განხილულია ქართული „ძლისპირნისა“ და ბერძნული ირმოლოგიონის შესწავლის ძირითადი საკითხები, ქართული „ძლისპირნის“ რედაქციები, თარგმანის თავისებურებანი, ბერძნულ-სლავურ-ქართული ირმოლოგიონების ურთიერთმიმართება და სხვ.

ერთეის გამოცემისათვის გამოყენებულ ხელნაწერთა აღწერილობა და ქართულ-ბერძნული და ბერძნულ-ქართული ძლისპირების საძიებლები. წიგნს ახლავს აგრეთვე ვრცელი რუსული რეზიუმე.

რედაქტორი

ალ. გამყრელიძე

წინასიტყვა

ქართულმა ჰიმნოგრაფიულმა ლიტერატურამ განვითარების რთული და გრძელი გზა განვლო და დაგვიტოვა როგორც ორიგინალური შემოქმედების, ასევე ნათარგმნი ძეგლების შესანიშნავი და მრავალრიცხოვანი ნიმუშები.

უძველესი თარგმნილი ჰიმნოგრაფიული ტექსტები შემოგვინახა უნიკალურმა ქართულმა ლიტურგიკულმა კრებულებმა — იერუსალიმის ლექციონარმა და ე. წ. კილ-ეტრატის იადგარმა. ორივე კრებული მოღწეულია ჩვენამდე IX—X საუკუნეების ხელნაწერებით და ასახავს იერუსალიმის უძველეს (VII ს.) ლიტურგიკულ პრაქტიკას.

იერუსალიმის საბაწმიდური ჰიმნოგრაფიის სკოლასთან არის დაკავშირებული აგრეთვე მომდევნო (VIII—X საუკუნეების) ეტაპი ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში, როდესაც ლიტურგიაში ფართოდ იკიდებს ფეხს ბიზანტიური რიტმული პოეზია. საბაწმიდის სახელმძღვანელო პოეტი-მელოდოსების გვერდით და მათთან შემოქმედებით კონტაქტში საბაწმიდის ქართველ ჰიმნოგრაფთა კოლექტივში იქმნებოდა პირველი ქართული იადგარები, სადაც თავი მოეყარა ადრეული ბიზანტიური რიტმული პოეზიის ნიმუშებს. აქვე და სინის მთაზე შეიქმნა ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები. IX—XI საუკუნეების ადგილობრივმა და ათონის ჰიმნოგრაფიულმა სკოლებმა დააგვირგვინეს ქართველთა მდიდარი შემოქმედება სასულიერო პოეზიის დარგში.

უძველესი ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლები თავისა მრავალფეროვანი მასალით დიდი ხანია იზიდავენ მკვლევართა ყურადღებას, მაგრამ მათი შესწავლა ამ ძეგლთა გამოცემის გარეშე შეტად გართულებულია. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ქართული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ პუბლიკაციასა და შესწავლას. ამ ძეგლის პირველ რიგში გამოცემა იმიტომ მივიჩნიეთ აუცილებლად, რომ კრებულში წაროდგენილია რიტმულ-მელოდიური საზომები, რომელთა მიხედვითაც იწერებოდა გალობანი და სტიქარონები. ძლისპირნის გამოქვეყნება აუცილებელი პირობაა ისეთი უძველესი ლიტურგიკული ძეგლების შესწავლისათვის, როგორცაა იადგარები, პარაკლიტონ-ოქტოიხოსი, სხვადასხვა რედაქციის თვენი და სადღესასწაულოები, სადაც თავმოყრილია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის უძველესი (IX—XI საუკუნეების) თარგმანები და ორიგინალური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები.

ბუნებრივია, „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ პირველ პუბლიკაციაში არ შეიძლება შესწავლილი ყოფილიყო მთელი წრე იმ რთული საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საკუთრივ ძეგლთან, ასევე ბიზანტიური რიტმული პოეზიის წარმოშობა-განვითარებასთან. ჩვენი მიზანი ამჟერად იფარგლებოდა

ძეგლას პირველი პუბლიკაციისთვის აუცილებელი ფილოლოგიური კვლევით: ხელნაწერების შესწავლათ, ძლასპირნის სახეობათა და რედაქციების გამოყოფით. შევეცადეთ აგრეთვე, შესაძლებლობის ფარგლებში, გაგვერკვია ქართული ძლისპირნის მიმართება ბერძნულ-სლავურ ირმოლოგიონებთან. ვეხებით ძლისპირთა რიტმიკისა და კილოს საკითხებსაც, ამასთან ერთად იმ სირთულეებს, რომლებიც რიტმული პოეზიის ნიმუშების სხვა ენაზე თარგმნით არის გამოწვეული.

ნაშრომში ჩვენ საესებით შეგნებულად გვერდი ავუარეთ ძლისპირნის ხელნაწერთა სემიოგრაფიას, ვინაიდან ეს დიდი და რთული საკითხი სპეციალური შესწავლას საგანი უნდა გახდეს იმის შემდეგ, რაც გამოქვეყნდება ნეემირებული ძლისპირნის ხელნაწერებისა და იადგარების ფოტოტაპიური გამოცემება და შესაძლებელი იქნება ამ მასალას ყოველმხრივი განხილვა-შეფასება.

ქართულ ჰიმნოგრაფიას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვისაც, ვინაიდან მან შემოგვინახა შესანიშნავ ბერძენ პოეტ-მელოდოსთა მრავალრიცხოვანი გალობების უძველესი თარგმანები, მათ შორის ისეთებიც, რომელთა დედნები დღეისათვის დაკარგულია, ან ჭერჭერობით მიკვლეული არ არის.

ქართული ჰიმნოგრაფიის მეცნიერული შესწავლის გარეშე შეუძლებელია აგრეთვე დაფასდეს ის დიდი წვლილი, რომელიც მან შეიტანა ქართული პოეტური აზროვნებისა და მხატვრული მეტყველების საგანძურში.

მდიდარმა ჰიმნოგრაფიულმა ლიტერატურამ საუქუნეების მანძილზე მხატვრული სახეების საკუთარი სამყარო შექმნა. პომილტიკური ძეგლების მაღალმხატვრულ ნიმუშებთან ერთად მან მოამზადა ნიადაგი საერო მწერლობის განვითარებისათვის. სასულიერო პოეზიის მხატვრულ სახეთა მარაგიდან ბევრი რამ მიიღო და აითვისა ქართულმა საერო პოეზიამაც.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ძლასპირნის უძველესი რედაქციების გამოქვეყნება კიდევ უფრო გააძლიერებს მკვლევართა ინტერესს ძველი ქართული სასულიერო პოეზიის უნიკალური ძეგლებისადმი და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ შესწავლას.

შესავალი

ქართულ წიგნთსაცავებში დაცულმა ლიტურგიკული ხასიათის ხელნაწერებმა სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისშივე მიიპყრო აკად. კ. კეკელიძის ყურადღება. თავისი კაპიტალური ნაშრომებით მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ლიტურგიკულ ძეგლთა მეცნიერულ შესწავლას. ამ შრომებმა ცხადყო, ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერთა რა მდიდარი კოლექციებია დაცული ადგილობრივ და საზღვარგარეთის წიგნთსაცავებში. კ. კეკელიძის ნაშრომებით ისიც აშკარა გახდა, რომ ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახეს მრავალ შემთხვევაში სრულიად უნიკალური მასალა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული და აღრებიზანტიური ლიტურგიკის საკითხების შესასწავლად.

კ. კეკელიძეს უყურადღებოდ არ დარჩენია ლიტურგიკული ლიტერატურის ერთი უმდიდრესი დარგი—ჰიმნოგრაფიაც. ის არაერთხელ შეეხო სპეციალურად ლიტურგიკული ძეგლების ჰიმნოგრაფიულ მასალას, მრავალი ქართული ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ტერმინი ახსნა და ამ მიმართულებითაც მკვლევრებისათვის გზა გაკაფა.

ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლების სპეციალურ შესწავლას დიდი ადგილი დაუთმო თავის სამეცნიერო მუშაობაში მკვლევარმა პ. ინგოროყვამ. 1913 წელს გამოქვეყნებულ წიგნში—„ძველი ქართული სასულიერო პოეზია“—მან ფართოდ წარმოადგინა ქართველ ჰიმნოგრაფთა შექოქმედება მიქაელ მოდრეკელის „იადგარის“ (S—425) მიხედვით. ხანგრძლივი კვლევის შედეგებს პ. ინგოროყვამ თავი მოუყარა მონოგრაფიაში—„გიორგი მერჩულე“², სადაც დიდძალი ხელნაწერი მასალის შესწავლის საფუძველზე მრავალი საინტერესო საკითხი წამოაყენა, რამაც, თავის მხრით, განაპირობა ქართველ მკვლევართა საგანგებო ინტერესი ჰიმნოგრაფიული ლიტერატურისადმი, კერძოდ, მიქაელ მოდრეკელის იადგარისადმი.

ამ კრებულის შესწავლამ აშკარა გახადა, რომ მისი კვლევა იზოლირებულად, უფრო აღრეულა ხანის სინური იადგარებისა და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული ძეგლების გარეშე, შეუძლებელი იყო. 1956 წელს საქართველოს სსრ მეცნაერებათა აკადემიის ფუნდამენტალურმა ბიბლიოთეკამ კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიიღო სინის მთის ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები.¹ ამ დროიდან სინის კოლექციის ლიტურგიკული ხელნაწერები ხელმისაწვდომი გახდა ქართველ მკვლევართათვის. ამან დიდად გაზარდა ქართულ ლიტურგიკულ ძეგლთა

¹ Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908; Иерусалимский Канонарь VII века, Тифлис, 1912; Древне-грузинский Архидиакон, Тифлис, 1912; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I.

² პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954; მისივე, თხზულებათა კრებული, III, 1966.

და, კერძოდ, ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევის ფარგლებში; სინური ხელნაწერების ფონზე მიქაელ მოდრეკილის იადგარიც გამოიკვეთა, როგორც ძველი ქართული ლიტურგიკული ლიტერატურის განვითარების დამაგვირგვინებელი ძეგლი, რომელმაც თავი მოუყარა IX—X საუკუნეების ქართული ლიტურგიკული მეცნიერებისა და ქართული ჰიმნოგრაფიის ორსაუკუნოვან მონაპოვარს. აშკარა გახდა, აგრეთვე, IX—X საუკუნეების სინურ და ადგილობრივ ლიტურგიკულ ხელნაწერთა განუზომელი მნიშვნელობა აღრებიზანტიური ლიტურგიკის ისტორიის შესწავლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სინის მთის ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერები არაერთხელ აღიწერა, ხელნაწერთა ეს კოლექცია ბოლო დრომდე ინტენსიური შესწავლის საგანი არ ყოფილა. ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ერთობლივ ექსპედიციას სინსა და იერუსალიმში დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა. მეცნიერები დროით მეტად შეზღუდულნი იყვნენ, ამისდა მიუხედავად, მათ შესძლეს ხელნაწერთა ამ კოლექციების შეფასება როგორც ქართველოლოგიის, ასევე ზოგადი ორიენტალისტიკის თვალსაზრისით. ამ ხელნაწერების მიხედვით, მათ გამოკვეყნეს რამდენიმე პირველხარისხოვანი ძველი ტექსტი. მათი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი¹ დღესაც დიდ სამსახურს უწევს მეცნიერებას.

1956 წელს გამოქვეყნდა ბელგიელი მეცნიერის ე. გარტიის სინის მთის 37 ქართული ხელნაწერის აღწერილობა². ავტორმა აღსაწერად შეარჩია ბიბლიური, აგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ხასიათის ხელნაწერები. დიდი გულმოდგინებითა და ერუდიციით შედგენილი აღწერილობა, ბევრ შემთხვევაში, ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებულ უაღრესად საინტერესო დაკვირვებებს შეიცავს. აღწერილობათა გამოქვეყნების შემდეგ, ე. გარტი შეუდგა ცალკეული უნიკალური ხელნაწერისა თუ მასალის შესწავლას და პუბლიკაციას. მისი ყოველი ახალი პუბლიკაცია და გამოკვლევა სპეციალისტებში განამტკიცებს ქართული ხელნაწერების ამ შესანიშნავი კოლექციის, განსაკუთრებით კი ლიტურგიკული ხასიათის ხელნაწერების³ მთლიანად შესწავლის აუცილებლობის რწმენას, ვინაიდან მათი დიდი უმრავლესობა უნიკალურია და ამასთანავე მათ აღრეული ბიზანტიური და ქართული ლიტურგიკის სათავეებთან მიეყავართ⁴.

სინის მთის ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია შეიცავს ძირითადად IX—XI საუკუნეების ხელნაწერებს, რომელთაგან ერთი ნაწილი (IX—X საუკ. I ნახევარი) საბაწმიდური წარმომავლობისაა, ხოლო დანარჩენი—სინის მონასტერშია შექმნილი და გადაწერილი.

¹ Н. Я. Марр. Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940. ივ. ჯავახიშვილი. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947.

² Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï par Gérard Garitte, Louvain, 1956.

³ სამწეხაროდ, ე. გარტიის მეცნიერული ინტერესები ჯერჯერობით ლიტურგიკულ ძეგლებზე არ გავრცელებულა. გამოჩალისთა მის მიერ გამოცემული იოანე-ზოსიმეს X საუკ. ცნობილი კალენდარი, რომელიც სანიმუშო მეცნიერულ პუბლიკაციად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ახლო მომავალში ხელნაწერთა ინსტიტუტს განზრახული აქვს გამოაქვეყნოს სინური კოლექციის ლიტურგიკულ ძეგლთა აღწერილობა.

⁴ ლიტურგიკული ხელნაწერების ერთი ჯგუფის—იადგარების შესწავლასა და აღწერას დიდი ძალისხმევით ვ. ინგოროვამ „გეორგი მკრჩულეს“ მეორე შეესებულ გამოცემაში (პ. ინგოროვანი, თბილისი, 1965).

პალესტინის საბაწმიდის მონასტერი, სახელმწიფოეკილი კერა ბიზანტიური მწერლობისა, უძველესი ქართული სამწერლობო ცენტრიც იყო, სადაც ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობა გაიშალა VIII (შეიძლება უფრო ადრე) საუკუნიდან¹. როგორც ჩანს, უძველესი ლიტურგიკული ძეგლებიც აქ ითარგმნა და შედგა. ამას მოწმობს საბაწმიდურ-სინური წარმომავლობა ისეთი უნიკალური ძეგლებისა, როგორცაა იოანე-ზოსიმეს კალენდარი (Sin. 34), იერუსალიმური ლექციონარი (Sin. 37), ე. წ. ჭილ-ეტრატის იადგარი (ხელნაწერთა ინსტ. H — 2123) და საბაწმიდურ-სინური იადგარები.

„იერუსალიმური ლექციონარი“, რომელსაც პირველად კ. კეკელიძემ მიაკვლია, გამოსცა (სევანური ნუსხებით) და შეისწავლა, დღიდან გამოქვეყნებისა მკვლევართა უზრუნველების ცენტრშია თავისი არქაული (VII ს.) კალენდრით და ბიბლიური საკითხავებით. ეს უნიკალური ძეგლი ხელმეორედ გამოსცა განსვენებულმა მ. თარხნი-შვილმა². ამ გამოცემისათვის მკვლევარმა, გარდა სევანური ნუსხებისა, გამოიყენა პარიზისა და სინური (Sin. 37) ლექციონარები. გამოცემა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით, ჰიმნოგრაფებსა და მუსიკისმცოდნეთა შორის, ვინაიდან, პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, მას ერთის (Appendix I) დასდებლების სრული ტექსტები, რომლებიც დაუცავს საბაწმიდელ-სინელი მოღვაწის იოანე-ზოსიმეს გადაწერილ სინურ ლექციონარს (Sin. 37, ლექციონარის სხვა ნუსხებში დასდებლების მხოლოდ დასაწყისებია მოტანილი). მუსიკისა და ჰიმნოგრაფიის ცნობილი მცოდნის ე. ველეშის აზრით, ქართული ლექციონარის თარგმნა დღედად შეუწყობდა ხელს ადრებიზანტიური ხანის ჰიმნოგრაფიის დეტალურ შესწავლას³.

ადრებიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის იერუსალიმურ ლექციონარებზე ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს დღემდე ნაკლებად ცნობილსა და ამ თვალსაზრისით სრულიად შეუსწავლელ ე. წ. ჭილ-ეტრატის იადგარს, რომელიც სინის მთის ეკატერინეს მონასტრიდან ერთ-ერთი თავისი მოგზაურობის დროს წამოიღო პ. უსპენსკიმ, დღეს კი ეს ხელნაწერი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-2123). ხელნაწერი აღწერა და კალენდრისა და შედგენილობის თვალსაზრისით შეისწავლა კ. კეკელიძემ⁴. ხელნაწერს მკვლევარი ათარიღებს IX საუკუნის II ნახევრით. ჭილ-ეტრატის იადგარის ან მოკლე სადღესასწაულს (როგორც მას უწოდებს კ. კეკელიძე) სიძველეზე მიუთითებს მისი არქაული კალენდარი, განგება და ჰიმნოგრაფიული მასალა. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ფსალმუნთა მუხლებით, დასდებლებით (ტროპარებით), სტიქარონებით და არქაული სახის გალობებით. ეს საინტერესო იადგარი, რომელიც ელოდება თავის მკვლევარს, ადრებიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და ქართულ-ბიზანტიური ლიტურგიკული ურთიერთობის ისტორიის კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს გადაშლის.

VIII საუკუნიდან ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიაში იწყება ახალი, ე. წ. საბაწმიდური პერიოდი. საბაწმიდის შესანიშნავ პოეტ-მელოდოსების—იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის სახელთანაა დაკავშირებული ამ დროს ბიზანტიის ჰიმნოგრაფიასა და მუსიკის დარგში ჩატარებული დიდი რეფორმა; ჰიმნოგრაფიის

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 89—91; P. Peeters, *Le Iréonnds oriental de l'agiographie byzantine*, Bruxelles, 1950, გვ. 202-3.

² *Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem (V^e-VIII^e siècle)*, t. I, édité par M. Tarchnischvili, Louvain, 1959, CSCO, vol. 108.

³ E. Wellesz, *A History of Byzantine Music and Hymnographie*, Oxford, 1962 (II გამოცემა), გვ. 130.

⁴ К. С. Кекелидзе, *Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение*, Тифлис, 1908, გვ. 350—372.

ადგილს ღვთისმსახურებაში განუზომლად გაიზარდა, კანონმა მიიღო დადგენილი სახე, პროზაული ჰიმნები შეცვალა რიტმულმა გალობამ, რომელიც ძლისპირ-ტროპარის თანაფარლობას ემყარება. ამ რეფორმამ, თავის მხრივ, მოითხოვა სამღვდელმსახურო წიგნების ახალი თვალსაზრისით გადასინჯვა და გადახალისება. ეს საქმიანობაც მიმდინარეობდა VIII—IX საუკუნეების საბაწმიდის ჰიმნოგრაფების წრეში, იქ, სადაც ქართველები უკვე VIII საუკუნიდან დიდ შემოქმედებითსა და მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდნენ ბერძენ პოეტებთან, მელიოდოსებთან და ლატურგისტებთან კონტაქტში. ამ ინტენსიური მუშაობის შედეგია ჩვენამდე მოღწეული X საუკუნის სინური იადგარები, რომლებიც საბაწმიდური სკოლის ახალი მოთხოვნალებების გათვალისწინებით არიან შედგენილნი და ამ დროისათვის ჰიმნოგრაფიისა და ლიტურგიკის მიღწევათა უკანასკნელ სატყუას წარმოადგენენ. ამრიგად, საბაწმიდურ-სინურ ლიტურგიკულ ხელნაწერთა ერთობ ზერელე მიმოხილვიდანაც აშკარაა, რომ ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში წარმოდგენილია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების უწყვეტი ხაზი ადრე-ბიზანტიური ხანიდან (VI—VII სს.) საბაწმიდური ჰიმნოგრაფიული სკოლის (VIII—IX სს.) ჩათვლათ. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ დროის ანალოგიურმა ბერძნულმა ხელნაწერებმა ჩვენამდე მეტად მცირე რაოდენობით მოაღწიეს, მაგრამ საბაწმიდურ-სინურ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებსა და მათ შორის იადგარებსაც, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქართული ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის ისტორიის შესწავლისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მხოლოდ მათი საშუალებით შეიძლება გათვალისწინება იმ დიდი მთარგმნელობითი და ორიგინალური შემოქმედებითი მუშაობისა, რომელსაც სახელოვანი ქართველი მწიგნობრები ამ მიმართულებით რამდენიმე საუკუნის მანძილზე ეწეოდნენ საბაწმიდისა და სინის შესანიშნავ სამწიგნობრო კერებში.

საბაწმიდის ქართველ მთარგმნელებსა და ჰიმნოგრაფებს არ ჩამორჩებოდა არც ადგილობრივი ჰიმნოგრაფიული სკოლა, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია X საუკუნის II ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერებში. მიქაელ მოდრეკელის ცნობილმა იადგარმა, რომელიც შეიქმნა შატბერდის ლავრაში X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, დაავიარკვინა ქართული ჰიმნოგრაფიის რთული და საინტერესო გზა.

X საუკუნის ქართული იადგარების გამოქვეყნება და ყოველმხრივი შესწავლა ქართული მეცნიერების გადაუდებლო ამოცანაა, მაგრამ იადგარის სრული ტექსტის გამოქვეყნებამდე მიზანშეწონილად მივიჩნეოთ მისი ცალკეული ნაწილების შესწავლა და გამოქვეყნება, პირველ რიგში „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“, სადაც თავმოყრილია რვა ხმის გალობათა ძლისპირები—რიტმულ-მელიოდური მოდელები, რომელზედაც გაწყობილია იადგართა გალობანა. ძლისპირებთან უშუალოდ არის დაკავშირებული საგალობლის რიტმისა და მელიოდის შესწავლის საკითხები, რომლებიც დღეს ფილოლოგთა და მუსიკისმცოდნეთა ყურადღების ცენტრშია.

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ორი სხვადასხვა წყობის (K₂O და OdO) „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ უძველესი (I) რედაქციები, თავისი ბერძნული დენებითა თუ შესატყვისებით. პირველი (ძველი) რედაქციის ძლისპირები ხელნაწერებში ზოგი სულ არ არის ნევემირებული (Sin. 65, Sin. 59), ზოგი მხოლოდ ალაგ-ალაგ (იელის იადგარი), ზოგი მთლიანად ნევემირებულია (Sin. 14, Sin. 1). ნევემირება უფრო სისტემატური ხასიათისაა ძლისპირთა კრებულების II და III რედაქციებში (მიქაელის იადგარში და იორდანეს ძლისპირთა კრებულში). ძლისპირთა ნევემირება (განუჩრჩველად რედაქციისა) ხელნაწერებში მეტ-ნაკლებ ვარიანტულ სხვაობებს აჩვენებს. ასევე არ არის ხელნაწერებში სრული დამთხვევა ძლის-

პირთა ტექსტების რიტმულ დაყოფაში, რაც, როგორც ჩანს, თავის მხრივ, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრავს ნევმების (მელოდიური ფორმულების) ძლისპირებზე განაწილების ვარიანტულ სხვაობებსაც.

დაახლოებით ასეთივე ვითარებაა ბერძნულ ირმოლოგიონებში, ამიტომ ბერძნულიდან თარგმნილი ქართული ძლისპირების ნევმებისა და რიტმული დაყოფის შედარება ორიგინალის ნევმებთან და რიტმულ დაყოფასთან დღეისათვის მეტად რთული, დაუძლეველი ამოცანაა. ეს შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც ფოტოტიპურად გამოიცემა და ამ თვალსაზრისით შეისწავლება „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ნევმარებული ქართული ხელნაწერი ნუსხები, ამიტომ წინამდებარე გამოცემაში ჩვენ თავი შევიკავებთ ნევმირებისა და რიტმული ვარიანტების ჩვენებისაგან. ეს ტექნიკურადაც ძნელი განსახორციელებელია, მით უმეტეს, რომ გამოყენებულ ხელნაწერთა უმრავლესობა ჩვენ ფოტოპირების სახით გვაქვს, სადაც ყოველთვის მკაფიოდ არ ჩანს არც რიტმული პუნქტუაცია და არც ნევმები.

გამოცემაში ქართულ ძლისპირთა რიტმული დაყოფის გადმოსაცემად ვსარგებლობთ ერთი ხელნაწერთ, რომელიც ამა თუ იმ ძლისპირის გამოცემის საფუძველად არის აღებული. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცემის დედანში რიტმული პუნქტუაცია ცუდად ჩანს, ვიყენებთ მეორე ხელნაწერს (სათანადო აღნიშვნით). ბერძნული ძლისპირის რიტმული დაყოფა წინამდებარე გამოცემაში ისეა წარმოდგენილი, როგორც ეს არის ირმოლოგიონის ევსტრატიადისის გამოცემაში.

ბერძნული ირმოლოგიონის ისტორია ჯერ არ დაწერილა. ამას ხელს უშლის, პირველ რიგში, ირმოლოგიონთა ძველი ხელნაწერი ნუსხების სავალალო სამცირე. ასეთ ვითარებაში ბერძნული ირმოლოგიონების ძველ თარგმანებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქართული თარგმანი კი ერთი უძველესთაგანია და შემორჩენილია X საუკ. პირველი და მეორე ნახევრის ხელნაწერებით. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით, წინამდებარე გამოცემა არ იქნება ინტერესს მოკლებული ბერძნული პიმნოგრაფიისა და კერძოდ ირმოლოგიონის მკვლევართათვის. მეორე მხრით, ქართულ-ბერძნული ძლისპირების პარალელური პუბლიკაცია და შესწავლა, ამასთანავე ქართულის შედარება ძლისპირთა უძველეს სლავურ თარგმანებთან, მრავალ ახალსა და საინტერესო საკითხებს აღძრავს მკვლევრის წინაშე.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრსაგან, რომ ყველა ამ საკითხის გადაჭრა შესაძლებელი იყოს პირველ პუბლიკაციანი, რომელიც ძირითადად ფილოლოგიურ მიზნებს ემსახურება.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“

სელნაწერები

ძლისპირი არის გალობანის ანუ კანონის ყოველი გალობის (ოდის) და სტიქარონის პირველი ტროპარი, რომელიც რიტმულ-მელოდიურ მოდულს წარმოადგენს გალობის ან სტიქარონის დანარჩენი ტროპარებისათვის. ღმრთისმშობლისა კი ეწოდება გალობის ან სტიქარონის უკანასკნელ ტროპარს, რომელიც ღმრთისმშობელს მიეძღვნება და დაწერილია იმავე გალობის ან სტიქარონის ძლისპირის რიტმსა და კილოზე.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ეწოდება კრებულს, სადაც თავმოყრილია გალობანის და სტიქარონთა ძლისპირები და მათი შესატყვისი ღმრთისმშობ-

ლისას ტროპარები¹. ამ კრებულის კომბინირებული შედგენილობა (ყოველ ძლისპირს ახლავს ღმრთისმშობლისა) და შედგენილობის შესაბამისი სახელწოდება, ჩანს, მხოლოდ ქართულისათვის არის დამახასიათებელი, ვინაიდან ბერძნულ კრებულებში, ისევე როგორც სლავურსა და რუსულში, თავმოყრილია მხოლოდ ძლისპირები და კრებულაც ორჯე ენაზე ირმოლოგაონის სახელწოდებას ატარებს, რაც მხოლოდ ძლისპირთა კრებულს ნიშნავს.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ (ქვემოთ შემოკლებით — ძლისპირნი) X—XIX სს. მრავალმა ქართულმა ხელნაწერმა შემოგვინახა, ზოგჯერ დამოუკიდებელი კრებულის სახით, უფრო ხშირად კი როგორც იადგართა ან სადღესასწაულის ნაწილი.

X—XI საუკუნეების ხელნაწერებში ძლისპირნი, თითქმის გამონაკლისის გარეშე, იადგარებშია შეტანილი. მისი ცალკე კრებულად გავრცელება უფრო გვიანდელი მოვლენაა და გამოწვეული უნდა იყოს ამ კრებულის მოცულობის ზრდით და მისი გამოყენების საზღვრების გაფართოებით.

ქართულ ძლისპირნიში, ისევე როგორც ბერძნულ ირმოლოგაონში, ძლისპირები გაწყობილია ხმებზე და გალობებზე. ხმების აღნიშვნა ბერძნულ-ქართულ ძლისპირთა კრებულებში ერთნაირია:

ბერძნული	ქართული
Ἦχος α'	ჟმაჲ ა
„ β'	„ ბ
„ γ'	„ გ
„ δ'	„ დ
Ἦχος ἡλ. α'	„ ა გ ^{ნი} (გუერდი)
„ ἡλ. β'	„ ბ გ ^{ნი}
„ ἡλ. γ'	„ გ გ ^{ნი}
„ ἡλ. δ'	„ დ გ ^{ნი}

გალობანის ანუ კანონის გალობათა აღნიშვნა ბერძნულ-ქართულ ძლისპირთა კრებულებში განსხვავებულია:

ბერძნული	ქართული
Ὁ ἄθ' α'	უგალობდითსა
„ β'	მოიხილესა
„ γ'	განძლიერდასა
„ δ'	უფალო მესმასა
„ ε'	ღამითგანსა
„ ς'	ღალადყავსა
„ ζ'	კურთხეულარსა
„ η'	აკურთხევდითსა
„ θ'	ადიდებდითსა

გალობების ქართულ სახელწოდებებისათვის აღებულია იმ ბიბლიურ გალობათა დასაწყისი სიტყვები, რომლებიც საფუძვლად დაედო კანონის გალობებს².

¹ ძლისპირნი ზოგჯერ მოიცავს გალობანისა და სტიქარონების ძლისპირებს ერთად, ზოგჯერ კი სტიქარონთა ძლისპირები გამოყოფილია გალობანის ძლისპირებისაგან.

² К. Кекелидзе, Иерусалимский Капиляр VII века. Литургический Тренинаго лужсикონი, გვ. 324, გალობანი.

საფიქრებელია, რომ ქართულმა შემოგვინახა გალობათა უძველესი სახელწოდებები, რომლებიც დროთა ვითარებაში დაკარგა ბერძნულმა. ქართული ძლისპირნისა და საღღესასწაულოს გვიანდელ ნუსხებში ეს სახელწოდებები შეცვლილია რიცხვითი აღნიშვნებით.

ძლასპირთა კრებულებმა, ისევე როგორც ბერძნულმა ირმოლოგიონმა, დროთა მანძილზე განიცადეს ცვლილებები, ზოგი არსებითი, ზოგი კი არაარსებითი ხასიათისა. ამის მიხედვით ძლასპირთა კრებულებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე რედაქციული ჯგუფი.

ძლისპირნის X—XV სს. ხელნაწერების შესწავლის შედეგად მკვლევარმა პ. ინგოროყვამ გამოყო ამ კრებულის სამი რედაქცია. რედაქციული დაჯგუფების საფუძველად ძლისპირნში შემავალ ძლისპირთა რაოდენობა, თანმიმდევრობა და შედგენილობა¹.

ძლისპირნის I რედაქცია, რომელაც ყველაზე მოკლეა (შეიცავს 400-მდე ძლისპირს)², თითქმის უცვლელად შეორდება, როგორც თავდაპირველი და ძირითადი პლასტი, ძლისპირნის II და III რედაქციებში, მაგრამ გამოცემის საფუძველად ჩვენ შევარჩიეთ მხოლოდ I რედაქციის ძლისპირნის უძველესი, X საუკუნისა და XI საუკუნის დამდეგის ხელნაწერები.

I რედაქციის ძლისპირნი შემოგვინახა ძირითადად საბაწმიდურ-სინურმა ხელნაწერებმა. ესენია: Sin. 1 (X საუკ. I ნახევარი), Sin. 14 (X საუკ.), Sin. 65 (X საუკ. II ნახევარი), Sin. 59 (X საუკ. II ნახევარი). ამავე რედაქციას გუთვნის X—XI სს. მიჯნის ე. წ. „იელის იადგარის“ ძლისპირნი, რომელაც დაუვლია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ქართული ძლისპირნის აქ წარმოდგენილია რედაქციული კლასიფიკაცია ეხება ქართულ ლატურგიულ ხელნაწერებში თითქმის საყოველთაოდ გავრცელებულ OdO ძლისპირთა კრებულებს.

ბერძნულმა ხელნაწერებმა შემოგვინახა ორი ტიპის ირმოლოგიონები. პირველია ისეთი წყობის ძლისპირთა კრებულები, სადაც ძლისპირები ყოველი ხმის ფარგლებში ოდებად (გალობებად) არის დაჯგუფებული. ამ ტიპის ირმოლოგიონებისათვის სამეცნიერო ლატერატურაში მიღებულია OdO ლიტერი (Odes Order). მეორეში ძლისპირები ხმის ფარგლებში ცალკეულ ძლისპირთა კანონების (აკოლუთიების) სახით არის შესული, ოდებად დაშლის გარეშე. ამ ტიპის ირმოლოგიონებისათვის სამეცნიერო ლატერატურაში მიღებულია KaO ლიტერი (Kanon's Order)³.

ორივე ტიპის ბერძნულ ირმოლოგიონს თავისი შექმნისა და განვითარების გზა ჰქონდა, რაც სათანადოდაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში. აქ ჩვენ აღვნიშნავეთ მხოლოდ, რომ KaO ითვლება ირმოლოგიონის უფრო ადრეულ სახედ. აქედან განვითარებულად არის მიჩნეული OdO ირმოლოგიონი, ვინაიდან OdO წარმოადგენს ოდებად გადაწყობილ KaO ირმოლოგიონს⁴.

¹ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, გვ. 79—82.

² ძლისპირნის რედაქციებში ძლისპირთა რაოდენობრივი შეფარდების შესახებ ვრცლად იხ. პ. ინგოროყვა, დასახ. წიგნი, გვ. 81.

³ Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente, Herausgegeben von Erwin Koschmieder, Zweite Lieferung, München, 1955, გვ. 69; M. Velimirovic, Byzantine Elements in Early Slavic Chant: The Hirmologion. M. M. B. Subsidia, v. IV, Copenhagen, 1960, გვ. 38.

⁴ ამ საკითხს ჩვენ უფრო ვრცლად ვიხილავთ ქვემოთ, იხ. „კერძო დანიშნულების „ძლისპირნი და ლმრთისმშობლისანი“.

ქართულ ძლისპირთა უძველესი (X ს.) კრებულების შესწავლამ გაარკვია, რომ ამ ხელნაწერებს ჩვენთვის შემოუნახავთ არა მარტო OdO ძლისპირნი, არა-ზედ $KaO-C$. მაგრამ უკვე X საუკუნის II ნახევრის იადგარებში მონოპოლია მოუპოვებია OdO ძლისპირთა კრებულს, რომელსაც ხმარებიდან განუდევნია KaO ძლისპირნი. KaO ძლისპირნის უნიკალურა ნუსხა შემოგვინახა X საუკუნის შუა წლების საბაწმადურმა ხელნაწერმა Sin. 34-მა. წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება როგორც KaO ძლისპირნი, ასევე OdO ძლისპირნის I რედაქცია. II და III რედაქციების ნეემირებული ძლისპირნის გამოქვეყნება განზრახულია ფოტოტიპურა წესით.

OdO ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ I რედაქციის ხელნაწერები

როგორც ზემოთ ითქვა, OdO ძლისპირნის უძველესი რედაქცია შემოგვინახა 5-მა ხელნაწერმა, ესენია: Sin. 1 (ქვევით აღნიშნავთ H ლიტერით), Sin. 14 (L), Sin. 65 (O), Sin. 59 (h) და იელის იადგარის ძლისპირნი (A). ეს ხელნაწერები ერთი რედაქციის ფარგლებში მცირედენ ცვლილებებს აჩვენებენ. H და L ხელნაწერები ერთნაირია მოცულობით და ძლისპირთა რიგით. ამიტომ, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთ ხელნაწერს დაზიანების გამო აკლია, ნაკლები ტექსტის აღდგენა სავსებით შესაძლებელია მეორე ხელნაწერით მასთან სრულ რედაქციულ იდენტურობის ვაშ. ამას კი ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან HL ხელნაწერების ძლისპირთა კრებულებმა, რომლებიც ძლისპირთა რაოდენობით ყველაზე მოკლენი არიან, შემოგვინახეს ძლისპირნის უძველესი რედაქციის თავდაპირველი სახე.

A და Oh ხელნაწერთა ძლისპირნი HL-ის ძლისპირნზე ოდნავ უფრო ვრცელია. HL და A ხელნაწერებში ძლისპირების რაოდენობრივი შეფარდება დაახლოებით ასეთია: LH-ის I ხმის ყველა გალობაში ერთად 46 ძლისპირია, ხოლო A-ში—57; II ხმაში—47 და 58. A ხელნაწერის ზედმეტი ძლისპირები უმთავრესად იონე დამასკელის იამბიკური კანონების ძლისპირებია, რომლებითაც იწყება A ხელნაწერის I და II ხმების ძლისპირები, HL ხელნაწერებში კი იამბიკური საზომით დაწერილი არც ერთი ძლისპირი არ არის შეტანილი. ძლისპირთა რაოდენობრივი შეფარდების დაახლოებით ასეთივე სურათია IV ხმაშიც, III ხმაში კი ძლისპირთა რაოდენობა HLA ხელნაწერების ყველა გალობაში ერთნაირია.

ძლისპირთა რაოდენობრივი სხვაობა უფრო საგრძნობია HL-სა და O-ს შორის¹. O ხელნაწერის ძლისპირნი ნაკლებია. ტექსტი იწყება დ ხმით. ზოგიერთ ხმაში (ბ გ-ი) ძლისპირთა რაოდენობა ყველა ხელნაწერში (HLAO) ერთნაირია. ა გ-ის ხმის ძლისპირებში სხვაობა მეტად მცირეა. სხვაობა დიდია დ გ-ის ხმაში H-ში—55 ძლისპირი, A-ში—62, O-ში—69.

AO-ს ყველა დამატებითი ძლისპირი იძებნება II რედაქციის ძლისპირნში. ისინი ჩვეულებრივ ერთიან (მისდევნ) HL-ის ძლისპირთა პლასტს ბოლოში და II რედაქციული პლასტის პირველ ძლისპირებს წარმოადგენენ, მაგრამ ეს ძლისპირები ძლისპირნის II რედაქციული პლასტის მეტად მცირე ნაწილია, ამიტომ ამით AO-ს რედაქციული რაობა არ იცვლება.

ამრიგად, ძლისპირნის I რედაქციის ხელნაწერები, ძლისპირთა რიგისა და რაოდენობის მიხედვით, შემდეგი თანმიმდევრობით ლაგდება: HL—ძირითადი და თავდაპირველი შედგენილობის ნუსხები; A და Oh—გავრცობილი ნუსხები.

¹ H-ს ცალკე არ ვეძებთ, ვინაიდან ის მცირე მოცულობის ფრაგმენტია და მისდევს O-ს.

I რედაქციის დასახელებულა ხუთი ხელნაწერის გარდა გამოცემისათვის გამოვიყენეთ კიდევ ორი ხელნაწერი—მიქაელ მოღრეცილის იადგარის ძლისპირნი (S—425, გამოცემაში B ლიტერით აღნიშნული) და Jer. 48 ხელნაწერი (გამოცემაში J ლიტერით აღნიშნული). B ხელნაწერის ძლისპირნი მეორე რედაქციისაა. J ხელნაწერის ძლისპირნიც ძლისპირთა რაოდენობით აღემატება I რედაქციის ხუთივე ხელნაწერს, მაგრამ ნაკლებია B-ზე. ორივე BJ ხელნაწერს გამოცემაში ვიყენებთ I რედაქციის ფარგლებში მათი ღირსებების გამო: B-ში ძლისპირთა ტექსტები ქარაგმაგახსნილია, რითიც ის გვეხმარებოდა I რედაქციის სინურ ხელნაწერთა ფოტოპირებში ძნელად არსაკითხავი სიტყვების წაკითხვაში და მოულოდნელი დაქარავემების გახსნაში. J ხელნაწერი შედარებით სრულია. მას ვიყენებთ AOh ხელნაწერების იმ ძლისპირთა კოთხე-სხვაობების შესამოწმებლად, რომლებიც ამ ხელნაწერებში ზედმეტია HL ხელნაწერებთან შედარებით.

I რედაქციის ხუთი ხელნაწერიდან ოთხს (HLOh) ახსიათებს ერთი თავისებურება: ამ ხელნაწერებში ყოველ ძლისპირს ახლავს მისი ბერძნული დედნისათუ შესატყვისის დასაწყისი, ქართული ტრანსკრიფციით გადმოცემული. ეს საინტერესო ფაქტი თავის დროს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სინური ხელნაწერების აღმწერლებს—ივ. ჭავჭავაძისა და ნ. მარს. Sin. 1 ხელნაწერის აღწერილობაში ძლისპირნის ტექსტთან დაკავშირებით ივ. ჭავჭავაძელი წერდა: „В тексте часто встречаются начальные слова греческих песнопений в грузинской транскрипции: все они писаны киноварью“¹.

ბერძნულ დასაწყისებზე მითითებები სინურ ხელნაწერებში აღმოაჩნდათ არა მარტო ძლისპირებს, არაჩედ გალობებსაც და სტიქარონებსაც. Sin. 59 იადგარის აღწერილობასთან დაკავშირებით² ნ. მარს წერდა: „Настоящий тип преимущественно, если не исключительно, приспособлен к греческой службе, к греческим материалам. Обыкновенно в тексте красными строками приводятся начала греческих песнопений в грузинской транскрипции, передачу которых и представляет последующий непосредственный грузинский текст...“ ნ. მარს მოჰყავს ამის რამდენიმე ნიშნუში და დასძენს: „Возможно, что не только текст, но и мелодия данного песнопения удерживалась греческая“³.

თუ რა დანიშნულება ჰქონდა ძლისპირებსა და გალობებთან ქართული ტრანსკრიფციით ბერძნული დედნების დასაწყისების მოტანას, ამ საკითხს ჩვენ ცალკე ვეხებით⁴, აქ კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ ძლისპირებსა და გალობებთან ამ რიგის მინაწერები გეხვდება ძირითადად ძველი იერუსალიმური რედაქციის საწელიწდო იადგარებში, რომლებიც შემოგვიწინაა ზემოთ დასახელებულმა ოთხმა სინურმა ხელნაწერმა; სპორადული ხასიათი აქვთ ამ ზედწარწერებს ე. წ. „წვირმის იადგარში“ (ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში); X საუკუნის დასასრულისთვის ზედწარწერები იადგარებში, როგორც ჩანს, კარგავენ თავის მნიშვნელობას და ქრებიან, ამას ყველაზე მკაფიოდ მოწმობს მიქაელ მოღრეცილის იადგარი, სადაც ზედწარწერებს მხოლოდ ძლისპირნის პირველი ხმის 7 ძლისპირთან ვხვდებით. ბერძნული

¹ ივ. ჭავჭავაძელი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 1.

² Sin. 59-ის ნაწილია h ლიტერით აღნიშნული ძლისპირნი, რომელიც შემთხვევით ჩაქონებულია Sin. 1 ხელნაწერში (იხ. აქვე, ხელნაწერთა აღწერილობა გვ. 0106)

³ Н. Я. Марс, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 101—102.

⁴ იხ. აქვე, „რიტმული პენტატუცია და ნევმები“, გვ. 056.

დენების დასაწყისებზე მითითების გარეშეა უკვე „ილას იადგარის“ ძლისპირნი (X—XI საუკუნის მიჯნის ხელნაწერი) და ამავე დროის ცნობილი იორდანეს ძლისპირთა კრებული (A—603). ამ მოვლენას თავისი მიზნით და ახსნა აქვს¹. წინამდებარე გამოცემისათვის კი ამ ზედწარწერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი დაგვეხმარა ბერძნული დენებისა და შესატყვისების გამოვლენასა და ქართული ძლისპირნისა და ბერძნული ირმოლოგიონის ურთიერთმიმართების გარკვევაში.

I რედაქციის OdO ძლისპირთა კრებულებში რიტმული პუნქტუაცია გადმოიცემა ერთი ან ორი წერტილით. ძლისპირების რიტმული დანაწილება ხელნაწერებში ყოველთვის ერთნაირი არ არის, სხვაობა შემიჩნევა I რედაქციის ქვეჯგუფების ფარგლებშიც კი. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ეს სხვაობები და გადახრები რიტმული სქემიდან გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება.

კერძო დანიშნულების (KaO) „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“

OdO „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ანუ „საწელიწდო იადგარის“ შემადგენლობაში შედის. იადგარი, ჩვეულებრივ, ძლისპირნით იწყება, ვინაიდან იგი შეიცავს რიტმულ-მელოდიურ ნიმუშებს იადგარის გალობათათვის. ძლისპირნის უძველესი I რედაქცია მოიცავს 400-მდე ძლისპირს. II—III რედაქციებია—800-900 ძლისპირს². ძლისპირთა ეს რაოდენობა სავსებით ამოწურავდა დიდი და მცირე იადგარების გალობათა რეპერტუარს. ერთი ნაწილი ძლისპირებისა გამოუყენებელიც კი რჩებოდა.

ძლისპირთა სრული კრებულას გვერდით არსებობდა „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ მცირე კრებულებიც, რომლებიც განკუთვნილი იყო უფრო ვიწრო დანიშნულების ლიტურგიული წიგნებისათვის (მცირე იადგარის, შარხვან-ზატყესა თუ დღესასწაულთა სხვა ცკლებსათვის).

მცირე მოცულობისა და კერძო დანიშნულების ძლისპირნი დაცულია რამდენიმე უძველეს სინურ ხელნაწერში, ესენია: Sin. 34, Sin. 26, და Sin. 20 (იხ. აქვე, ხელნაწერთა აღწერილობა).

Sin. 26 ხელნაწერი წარმოადგენს საუფლო და დიდ დღესასწაულთა საგალობლების კრებულს—მცირე იადგარს. ხელნაწერი გადაწერილია რამდენიმე გადამწერის მიერ. ერთ ნაწილს უზის თარიღი—954 წელი. ეს თარიღი შეიძლება გავრცელდეს მთელ ხელნაწერზე, ვინაიდან კრებული შედგენილობითაც ძველი ჩანს. ამ კრებულს გაუვლან იოანე-ზოსიმეს ხელში. ნაწილი მის მიერაა გადაწერილი, ნაწილს კი მისი ხელთ აქვს გაკეთებული შენიშვნები. ხელნაწერი უნდა შექმნილიყო საბაწმინდის ქართველთა კოლექტივში. ამ მცირე სადღესასწაულო კრებულის გალობებში უმრავლეს შემთხვევაში ძლისპირების სრული ტექსტებია მოყვანილი, ნაცვლად ძლისპირთა მხოლოდ დასაწყისებისა, როგორც ეს ჩვეულებრივ არის საწელიწდო იადგარსა და სხვა უფრო გვიანდელ ლიტურგიულ კრებულებში. ამისდა მიუხედავად, კრებულში მაინც ჩართულია მცირე მოცულობის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ შემდეგი წარწერით: „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი ყოველთა ჭმათა ზედა ესრცთ, ჰპოვენე, თუ გინდენ“ (222v).

¹ იხ. აქვე. „რიტმული პუნქტუაცია და ნუშები“, გვ. 056.

² კ. ინგოროვიჩი, თხზულებანი, III, გვ. 81.

Sin. 26-ის ძლისპირნი შეიცავს 8 ხმის ძლისპირებს. თითოეული ხმის კანონი (აკოლუთიის¹) ვალობისათვის მოტანილია 1 ან 2 ძლისპირი, მაგრამ არა სრული ტექსტების სახით, როგორც ეს ძლისპირთა ჩვეულებრივ კრებულებშია, არამედ მხოლოდ დასაწყისებით და ისიც არა ყველა ვალობის ძლისპირისათვის, არამედ ვალობანის მხოლოდ პირველი ვალობისათვის („უვალობდითსა“, იხ. დამატება I)².

რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს ასეთ მოკლესა და სქემატურ ძლისპირს, სადაც ძლისპირთა სრული ტექსტებიც კი არ არის მოყვანილი, არამედ მხოლოდ დასაწყისები? ამ საკითხზე პასუხს ხელნაწერშივე ვპოულობთ. მოკლე ძლისპირის შემდგენელი თვითონვე გვაწვდის მისი ხმარების წესს. II ხმის ძლისპირთან შემდგენელი შენიშნავს: „ესენი ჰპოვნე განცხადებისა წინა კვრიაყესა“. მართლაც, მითითებული „განცხადების ვალობანი“ (53V-ზე) დაწერილია II ხმის იმ აკოლუთიის ძლისპირებზე, რომლებიც მხოლოდ უვალობდითსას ძლისპირის დასაწყისითაა წარმოდგენილი ძლისპირის II ხმაში (იხ. დამატება I). მაშასადამე, განცხადების წინა კვირიაკის ვალობანის ყველა ვალობის ძლისპირები ერთად ქმნიან II ხმის ძლისპირთა კანონს, ძლისპირთა ეს კანონი კი ძლისპირში მხოლოდ უვალობდითსას ძლისპირის დასაწყისით არის შეტანილი.

ძლისპირის IV ხმასთან მითითებულია: „ესენი ჰპოვნე ბზობასა“. აქაც ბზობის კანონის ძლისპირები ერთად ქმნიან ძლისპირის IV ხმის ძლისპირთა აკოლუთიას. ამ შემთხვევაშიც ეს აკოლუთია ძლისპირში მხოლოდ უვალობდითსას ძლისპირის დასაწყისით არის შეტანილი. ანალოგიური ვითარებაა ძლისპირის სხვა ხმებთან დაკავშირებით.

კრებულის (Sin. 26) რედაქტორის ამ მითითებით შესაძლებელია მცირე ზომის სქემატური ძლისპირის პრაქტიკული გამოყენება: კრებულისე (მცირე იადგარის) ვალობათა საფუძველზე 8 ხმის ძლისპირთა აკოლუთიების შედგენა და საჭირო შემთხვევაში ახალი ვალობისათვის მათი გამოყენება, ანდა ამ ძლისპირებზე შედგენილ ვალობათა შესრულების დროს მვალობისათვის საჭირო ძლისპირთა სრული ტექსტების მიწოდება, რომლებიც, როგორც ჩანს, მან ყოველთვის ზეპირად არ იცოდა.

Sin. 26-ის ძლისპირნი მოიცავს ძლისპირთა მცირე რაოდენობას. შედგენილია იგი ვიწრო პრაქტიკული დანიშნულებით, საკუთრივ Sin. 26-სათვის. Sin. 26-ის ძლისპირები, რა თქმა უნდა, არ ამოწურავდა იმ დროისათვის (X საუკუნის შუა წლებისათვის) ძლისპირთა არსებულ რეპერტუარს, რომელიც, უკვე ჩამოყალიბებული OdO ძლისპირის I რედაქციის სახით, დიდი იადგარის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდა. Sin. 26-ის რედაქტორისათვის ეს ფაქტი კარგად იყო ცნობილი. ძლისპირის ბოლოში იგი შენიშნავს: „...და სხუანი (ძლისპირები—ე. მ.) ჰპოვნე დიდსა იადგარსა შინა“ (224V). ხოლო თუ რა კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა Sin. 26-ის ამ მოკლესა და სქემატურ ძლისპირს ვრცელის არსებობის პირობებში, ამასაც შემდგენელი გვამცნობს ძლისპირის ბოლო მინაწერში: „ესე ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი ამისთჳს ვაჩინენით,—რავდენ სხუანი აღარა სწერია ამას შინა, რაჟთა, რომელიცა დღესასწაული იყოს რომელსაცა ვმასა ზედა, ესენი მის ვმისანივე ჰირისა

¹ KAO ირმოლოგიონში აკოლუთია ეწოდება ძლისპირთა თანმიმდევრობას კანონის ფარგლებში.

² ძლისპირში პირველი ხმის ძლისპირს მოსდევს „სამებისანი და ღმრთისმშობლისანი პასეჟა ზედა“ სრული აკოლუთიის სახით. ამ ტექსტის ბოლოს დართულ შენიშვნიდან ვკვებულობთ. თუ რა გახდა მიზეზი ამ მასალის აქ შეტანისა (იხ. დამატება I, გვ. 207).

მაგიერ ითქუნან, თუ გინდენ, და რომელი რაჲ დაგვკლია, შეგ(ვ)ნდეთ ჩუენ ღმრთისათჳს...“ (224v). ე. ი. Sin 26 მცირე იადგარის შემდგენელს „ძლისპირნსა და ღმრთისმშობლისანი“ თავი მოუყრია ამ მცირე იადგარში შემავალ გალობათა ყველა ძლისპირნსათვის და ისინი რვა ხმის ძლისპირთა აკოლუთიებად გაუწყვია, რათა საჭიროების შემთხვევაში მგალობელს ეს ძლისპირები სხვა დღესასწაულების გალობათა შედგენისათვის გამოეყენებინა.

ამრიგად, მცირე ძლისპირნის შექმნის საჭიროება განაპირობა, ერთი მხრივ, სპეციალური დანიშნულების დიდი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ იშვიათობამ და უქონლობამ, რომელც დიდი იადგარის შემადგენლობაში შედიოდა მხოლოდ, მეორე მხრივ კი რიტმული ზოგის გავრცელებასთან დაკავშირებით საეკლესიო პრაქტიკაში ძლისპირების კრებულზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: 1. მცირე ზომის ლიტურჯიკულ კრებულებში—მცირე იადგარებში—თავდაპირველად გალობებთან ძლისპირებისა და ღმრთისმშობლისას სრული ტექსტები იყო მოტანილი, ვინაიდან ამ კრებულებს არ ახლდათ, მგავსად დიდი იადგარისა, „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, რომლითაც შეიძლებოდა ესარგებლა მგალობელს ყველა საჭირო შემთხვევაში.

2. სრული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ მხოლოდ დიდი იადგარების შემადგენლობაში შედიოდა. დიდი იადგარების შექმნა პროფესიონალურ დახელოვნებას მოითხოვდა, რაშიც განსაზღვრა მათი რაოდენობრივი სიმცირე¹.

3. Sin. 26 ხელნაწერის(მცირე იადგარის) „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ვიწრო და სპეციალური დანიშნულებისაა. ის არის ფაქტიურად იმ ძლისპირთა აკოლუთიების საძიებელი, რომელთა სრული ტექსტები მცირე იადგარის გალობებთან არის მოტანილი. ამ საძიებლის მიზანია, დაეხმაროს მგალობელსა და ლეთისმსახურს საჭირო შემთხვევაში, ახლა დასდებლების შედგენისას, ადვილად მიაგნოს ძლისპირთა აკოლუთიებს, რომლებიც მცირე იადგარის დასდებლებთან სრული სახით არის მოტანილი. ამრიგად, Sin. 26-ის ძლისპირთა საძიებელი დიდი იადგარის, ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ მაგიერობას სწევდა მცირე მასშტაბით. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ერთგვარი წინასახე იყო ძლისპირთა სრული კრებულისა და ქართული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ განვითარების პირველ საფეხურს წარმოადგენდა. ამ კრებულებს თავისი პრაქტიკული და კერძო მნიშვნელობა ძლისპირნის სრული კრებულების შექმნისა და გავრცელების შემდეგაც არ დაუკარგავთ, და ერთხანს არსებობდნენ დიდი იადგარის პარალელურად, როგორც მცირე იადგარის შემადგენელი ნაწილი, კერძო დანიშნულების ძლისპირთა საძიებლები.

4. ძლისპირნის საძიებელი თავისი აგებულებით KaO წყობისაა, სადაც გალობათა ძლისპირები გაერთიანებულია აკოლუთიებად; საძიებლის ერთეულია არა ერთი რომელიმე ძლისპირი, არამედ გალობანის ძლისპირთა აკოლუთია, რომელიც ამავე სახით (თანმიმდევრობით) არის წარმოდგენილი მცირე იადგარის დასდებლებში.

* * *

ასევე კერძო დანიშნულებისაა № 20 სანური ხელნაწერის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. Sin. 20 მცირე იადგარია. გადაწერილი იოვანეს მიერ 987 წელს კვარიკე ხუცის ბრძანებით. იგი შეიცავს საუფლო დღესასწაულების დას-

¹ ეს საკითხი ღერო ვრცლად იხ. ელ. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გავებისათვის, კრებულში: „შოთა რუსთაველი“, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1966, გვ. 176.

დებლებს. ძლისპირნს ხელნაწერში უყავა 1r—9r. ხელნაწერი ნაკლებია. ტექსტი იწყება და ხმის უფალო მესმასას ძლისპირათ, მაგრამ, როგორც ხელნაწერის შესწავლამ დაგვარწმუნა, მას დასაწყისში აკლია მხოლოდ ამ ხმის პირველ გალობათა— უგალობდითას და განძლიერდასას ძლისპირები. ა—გ ხმის ძლისპირები კი ამ ძლისპირნში არც ყოფილა საერთოდ ისევე, როგორც ბ გ^ი-სა და გ^ე-ის ხმის ძლისპირები. ამდენად Sin. 20-ის ძლისპირნი შეიცავს და ხმის ძლისპირებს (უფალო მესმასადან ბოლომდე—ადადებდითამდე) და ა გ^ი-სა და ბ გ^ე-ის ყველა გალობათა ძლისპირებს.

ძლისპირნის გამოკრებილია ხასიათი თვით მცირე იადგარის (Sin. 20-ის) შედგენილობამ განსაზღვრა. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: ძლისპირნის სამივე ხმაში სულ 37 ძლისპირია (იხ. ძლისპირთა ცხრილი). ყოველი ხმის თითო გალობისათვის მოტანილია თითო ან ორ-ორი ძლისპირი (იხ. დამატება II). ძლისპირთა ჯამი თითოეული ხმის ფარგლებში ქნის ძლისპირთა სრულ კანონს. ასე მაგ. ა გ^ი-ის ხმის გალობათა პირველი ძლისპირები შეესაბამებთან ბერძნული ირმოლოგიონის (ეესტრატი. გამოცემით) № 182 აკოლუთიას (იხ. ძლისპირთა ცხრილი), ხოლო ამავე ხმის გალობათა რიგით მეორე ძლისპირები კი— № 183 აკოლუთიას.

Sin. 20 ხელნაწერში ძლისპირნს უშუალოდ მისდევს „სამარადისო დასდებლები“ წმიდათა მოციქულთა, ღვთისმშობლის, ჭუარის და სხვათა. დასდებლებს გალობებთან ძლისპირთა ნხოლოდ დასაწყისებია მოტანილი. ყველა ეს დასდებელი, სტრაქარონთა გამოკლებით, დაწერილია სან ხმზე: დ, ა გ^ი-სა და ბ გ^ე-ის ხმებზე, ე. ი. იმ ხმებზე, რომლის ძლისპირებსაც შეიცავს Sin. 20-ის ძლისპირნი. დასდებლებში ძლისპირები იმავე შემადგენლობისაა, როგორაც ეს ძლისპირნშია წარმოდგენილი. ეს პრინციპი დაცულია მაშინაც, როდესაც ძლისპირთა აკოლუთიაში გაერთიანებულია არა ერთი, არამედ ბერძნული ირმოლოგიონის რამდენიმე სხვადასხვა აკოლუთიის ძლისპირები, როგორც ამას ადგილი აქვს დ და ბ გ^ე-ის ხმათა ძლისპირების შემთხვევაში (იხ. ძლისპირთა ცხრილი).

ძლისპირნსა და მცირე იადგარის დასდებულთა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: ძლისპირნის თითოეული ხმის თითოეული გალობის ფარგლებში უპრაუღეს შემთხვევაში მოტანილია ორ-ორი ძლისპირი ძლისპირთა სხვადასხვა აკოლუთიებიდან (იხ. ცხრილი). „სამარადისო დასდებლებში“ ეს წყვილი ძლისპირები ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლებიან, ე. ი. ძლისპირნში თითოეული ხმის ფარგლებში ძლისპირები იმ ვარაუდით არის შერჩეული, რომ ისინი საჭირო შემთხვევაში ერთმანეთს შეენაცვლონ. ძლისპირთა აკოლუთიებში ძლისპირთა მონაცვლეობა X საუკუნის ქერძო დანიშნულების ქართულ ძლისპირნში უკვე გავრცელებული მოვლენა ყოფილა.

ამრიგად, Sin. 20-ის ძლისპირნისა და „სამარადისო დასდებლების“ შედარებამ აშკარა გახადა, რომ მცირე იადგარის ძლისპირნი შედგენილი ყოფილა საკუთრივ „სამარადისო დასდებლებისათვის“ და მას თავიდანვე კონკრეტული დანიშნულება ჰქონია. ამ დებულებას ამტკიცებს კიდევ ერთი ფაქტიც: მცირე იადგარში, გარდა „სამარადისო დასდებლებისა“, შესულაა აგრეთვე 8 ხმის „აღდგომის დასდებლები“. „აღდგომის დასდებლების“ იმ ხმებისათვის, რომლის ძლისპირებიც შეტანილია ძლისპირნში (დ, ა გ^ი და ბ გ^ე), გამოყენებულა ძლისპირნის ძლისპირები და დასდებლებთან ძლისპირთა მხოლოდ დასაწყისებია ნაჩვენები, დანარჩენი ხმების დასდებლების ძლისპირები კი მოტანილია სრული ტექსტებით, ვინაიდან ისინი ძლისპირნში არ არიან შეტანილი. ამდენად, აშკარაა, რომ მცირე იადგარის ძლისპირნის შემდგენელი არ ითვალისწინებდა „აღდგომის დასდებლების“ ძლისპირ-

რებს. ის შედგენილია მხოლოდ „სამარადისო დასდებლების“ სამი ხმის ძლისპირებისაგან. შესაძლოა, „მცირე იადგარში“ თავიდანვე არც იყო შეტანილი „აღდგომის დასდებლები“. ის შემდეგ იქნა ჩართული, რის გამოც ამ დასდებლების ძლისპირთა გათვალისწინება ვერ მოხერხდა ძლისპირში, რომელიც „იადგარის“ დასაწყისშია მოთავსებული, როგორც საერთოდ ყველა ძლისპირნი.

ვინაიდან Sin. 20-ის ძლისპირნი შეიცავს თითოეული გალობის ფარგლებში ერთმანეთის მონაცვლე წყვილ ძლისპირებს, რომლებიც „სამარადისო დასდებლებში“ ძლისპირთა სრულ კანონებს (აკოლუთიებს) ქმნიან, ამიტომ თავისი დანიშნულებით ეს ძლისპირნი KaO წყობისაა, მიუხედავად იმისა, რომ განლაგება მათ OdO წყობისა აქვთ, ე. ი. ძლისპირში სხვადასხვა აკოლუთიის მონაცვლე ძლისპირები გალობის ფარგლებში მოტანილია არა ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ აკოლუთიებად, არამედ ერთმანეთის პომდევნოდ.

Sin. 20-ის ძლისპირნის ძლისპირთა ცხრილი*

1.	ჯ ა ღ	
ო რ მ ს	1. სიყუარული წყალობისა...	138 ბ'
	2. ცანი შეენიერებაძან...	146 ბ'
ღ მ გ ნ ს	1. შენ, უფალო, ნათელი ხარ...	133 ე'
ღ ლ დ ყ ვ ს	1. გალობით, ვნითა სიხარულისადათა...	133 ც'
	2. ღაღადებდა წინაწარმეტყუელი იონა	172 ც'
კ ხ ლ რ ს	1. საჭუმილსა შონა აბრამეანნი...	133 ჯ'
	2. მაძადა ჩუენთა ღ თო...	145 ჯ'
ა ე ხ ღ თ ს	1. ველთა განპყრობითა...	133 უ'
	2. რომელი ზეცას მამისა თანა...	134 უ'
ა ღ ღ ზ ღ თ ს	1. ლოდი საკიდური უკელოდ...	133 მ'
	2. გიხაროდენ შენ, ყოველთა...	146 მ'
2.	ჯ ა ბ გ	
უ ვ ლ ზ ღ თ ს	1. ეტლთა სიმრავლე...	182 ა'
	2. მესნელსა ჩუნსა ღმერთსა...	183 ა'
გ ნ ძ ღ ღ ს	1. რომელჲან დაფუძნე ქყნადა...	182 უ'
	2. ძალითა ჯისადათა...	183 უ'
ო რ მ ს	1. ესა მოსულა შენი...	182 ბ'
	2. სმენა მესა მე...	183 ბ'
ღ მ გ ნ ს	1. რომელჲან შედმოსე...	182 ე'
	2. ამსთობილნი შენ გიგალობთ...	183 ე'
ღ ლ დ ყ ვ ს	1. ზღუდა აღძრული ღეღვითა...	182 ც'
	2. გარე-მომცევს მე...	183 ც'
კ ხ ლ რ ს	1. უფროხად ამალღებულჲან...	182 ჯ'
	2. რომელჲან ივსენ...	183 ჯ'
ა ე ხ ღ თ ს	1. შენ, მხოლოსა, დამზადებელსა...	182 უ'
	2. მაძისაგან შიბილსა...	183 უ'
ა ღ ღ ზ ღ თ ს	1. ესადა მზარულ იყავ...	182 მ'
	2. მჲვე ქალწული მიუწოდომელი...	183 მ'

* ეს ძლისპირთა აკოლუთიები ან.წ. მითითებულა ბერძნული იმპოლოგიონის ევსტრატოლის განმარტებას მიხედვით.

უგლბდოსა	1. იწლა მონა-ქმნული... 2. უგლობდეთ უფალსა...	324 ა' 321 ა'
გნძლდსა	1. შენ ხარ დამაქტიცებელი... 2. არაჲ ვინ არს წა... 321 უ' 323 უ'	
ოო მსწსა	1. მესმა, ოო, განგებაჲ... 2. მესმა მე, ქე, სძენაჲ...	322 ზ' 321 ზ'
ლოგნსა	1. ანსთობილნი...	324 ჰ'
ლდდყესა	1. ზონეც მე სამოსელია...	321 ტ'
ქხლარსა	1. ქყნით იუდაისით...	321 თ'
აკრთხდოსა	1. მეუფესა ცათსა... 2. სასუქილსა რაჲ...	321 ი' 319 ი'
აღდბდოსა	1. შენ, რომელი უქორწინებელ... 2. ღმრთისმშობელად აღვიარებთ...	315 ი' 321 ი'

* * *

საგანგებო ყურადღებასა და შესწავლას იმსახურებს „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ხელნაწერ Sin. 34-დან. ეს ლიტურგიკული კრებული შედგენილი, კომენტირებული და ნაწილობრივ გადაწერილია X საუკუნის შუა წლებს ცნობილი ქართველი მეცნიერისა და ლიტურგისტის იოანე-ზოსიმეს მიერ, რომელიც ჯერ საბაწმინდის, ხოლო შემდგომ სინაწმინდის ქართველთა შემოქმედებითი კოლეგტიუების სულის ჩამდგმელი და მესვეურა იყო. ქართულ ხელნაწერთა სანაწარმო კოლექციაში დაცულია მისი შედგენილი თუ გადაწერილი მრავალი ხელნაწერი. ყველა ამ ხელნაწერს ემჩნევა მეცნიერ-ლიტურგისტისა და გამოცდილი რედაქტორის ხელი და თვალი, მაგრამ Sin. 34-ს ამ ხელნაწერთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უკავია¹.

ხელნაწერი შეიცავს 210 ფ.; აქედან 24—146 ფ. გადაწერილია იოანე-ზოსიმეს მიერ, დანარჩენ ნაწილებს კი გაცემებული აქვთ მრავალრიცხოვანი შენიშვნა-შინაწერები იოანე-ზოსიმეს ხელით. ხელნაწერის ამ პირველი ნაწილის ბოლოს მოთავსებულ ანდერძში იოანე-ზოსიმე მიუთითებს კრებულის ხასიათზე და თავის ღვაწლზე მის შექმნაში: „ესე საგალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ახალნი და ძუელნი სრულიად, და ეამნი იბნი სრულიად ქართულად და საბაწმინდურად, და ქრონიკონი სრულიად ყოვლითავე, და სხუაჲ მრაველი განგებაჲ მომბადლნი უფალპან დაწერად ლავრასა და უდაბნოსა წმიდისა მამისა ჩუენისა სალოცველად და მოსაწყენებელად სულისა ჩემისა ცოდვილსა... აჲ გევედრება მე გლახაკი და ფრიად ცოდვილი მომგებელი და მჩხრეკალი ამისი იოვანე...“ (143 v). ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო „საგალობელნი იადგარნი“ საბაწმინდაშია შექმნილი იოანეს მომგებლობითა და მჩხრეკალობით. ამ ნაწილშია შეტანილი იოანე-ზოსიმეს ხელით დაწერილი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“.

¹ ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ: იხ. G. Garitte, Le calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (X^e siècle). Bruxelles, 1958, გვ. 19. იხ. ჭავჭავაძის შვილი, სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, 83—101; კ. ქეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი: ეტიუდები, V. 3. ინგოროყვა, თბილეთა კრებული, II, გვ. 359—361, 533—539.

მრავალფეროვანი შინაარსის ვაშო კ. კეკელიძე ხელნაწერ Sin. 34-ს „თავისებურ ენციკლოპედიას“ უწოდებს¹. მაგრამ ამ ენციკლოპედიის შემდგენელს მარტო მასალის თავმოყრა არ ჰქონია მიზნად. სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა რედაქციული რაობის („ახალი“ და „ძველი“) ლიტურგიკული მასალა იოანე-ზოსიმემ კრებულში გააერთიანა, შენიშვნა-ვანმარტებების საშუალებით შეაფასა და შეუფარდა მისი დროის ახალ საღვთისსახურა პრაქტიკას. მან მეცნიერი-ლიტურგისტის თვალთ „გაჩხრიკა“ კრებულის მასალა და ამ სახით მიაწოდა იგი სახმარად „ბრძენსა და ღმრთისმოყუარე მღვდელს“ (33v, კალენდარზე დართული ანდერძიდან). „ბრძენი და ღმრთისმოყუარე მღვდელი“ აქ სიტყვის სამკაულად არ უნდა გაეგოთ, ვინაიდან მეორე ანდერძშიც იოანე-ზოსიმე ამ შრომის მომხმარებლად აგრეთვე „მეცნიერ კაცს“ ვარაუდობს: „ფრად ხაშმსა და თულმოორიდებითსა დამჩხრიკიან საუდაბნოდ მეცნიერი სა კაცი სათვს“ (123r). ე. ი. თავისი „იადგარის“ მომხმარებლად იოანე აქაც სწავლულ კაცს ვარაუდობს. იოანე-ზოსიმეს ამ კრებულის ერთ-ერთი ნაწილას, უნიკალური „კალენდარის“ წყაროების შესწავლას საფუძველზე ე. გარიტაც მიღის იმ დასკვნამდე, რომ ასეთი კომპილაციური კალენდარის შედგენას უფრო ენციკლოპედიური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე წმინდა პრაქტიკული².

იოანე-ზოსიმეს კალენდარის ამ თავისებურებებზე იმიტომ ვამახვილებო ყურადღებას, რომ, ჩვენის ფიქრით, მსგავსი ვითარებაა ამ კრებულის „ძლასპირნი და ღმრთისმშობლისანის“ მიმართაც. Sin. 34 ხელნაწერის 57r—61r უკავია მცირე მოცულობის ძლასპირთა კრებულს შემდეგი ზედწარწერით: „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი ყოველთა ჳმათა ზედა მიწყებით თითოჲ თავად-თავადი“. ძლისპირნი შეიცავს 8 ხმის ძლასპირებს, თათო ხმაზე ძლასპირთა მხოლოდ თითო კანონია შეტანილი (8 ძლისპირი), სულ 64 ძლასპირი. ძლისპირნის ეს მცირე მოცულობის კრებული თავისი წყობით KaO ტაპისაა.

ძლასპირნის შედარებაჲ იადგარის ჰომოგრაფიულ მასალასთან აშკარა გახადა, რომ ძლასპირნის 8 ხმის 64 ძლისპირი არ ფარავს იადგარში გამოყენებულ ძლასპირთა საერთო რიცხვს. იადგარის მრავალი ძლასპირი არ შესულა ძლასპირთა კრებულში. ამ ფაქტს იოანე-ზოსიმე თვითონაც აღნიშნავს ძლასპირნის ბოლოს დართულ მინ.წერში: „სხუანი ძლისპირნი დიად მრავალნი... სრულად წინაჲთ ჰპოვე“ (61r). „წინაჲთ“ აქ ნიშნავს—ქვემოთ, შენდგომ³. ე. ი. იოანე-ზოსიმე სხვა ძლასპირებისათვის მიუთითებს იმავე იადგარის სხვა ლიტურგიკულ გალობებზე.

რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა Sin. 34-ის ძლასპირნს, თუ ის იადგარის გლობათთვის არ იყო განკუთვნილი? ძლისპირნისა და იადგარის გალობათა შედარებითმა შესწავლამ გამოარკვია, რომ ძლასპირნის 8 ხმის 64 ძლასპირი მთლიანად და უცვლელად გამოყენებულია მხოლოდ 8 ხმაზე დაწერილ „ადგომის დასდებლებში“ (თითო ხმაზე ძლისპირთა თითო აკოლუთია), რომელაც იადგარში უშუალოდ მისდევს ძლისპირნს. მაშასადამე Sin. 34-ის ძლასპირნი, ისევე როგორც Sin. 26-ისა და Sin. 20-ისა, კერძო დანიშნულებისაა და განკუთვნილია ყოფილა იადგარის მხოლოდ ერთი ნაწილისათვის—„ადგომის დასდებლებასათვის“, იადგარის სხვა გალობათა ძლისპირები კი საწელაწლო ანუ დღი რა იადგარის „ძლასპირნი და ღმრთისმშობლისანის“ რეპერტუარიდან არის აღებული.

¹ კ. კეკელიძე, იტალია, V, გვ. 242.

² G. Garitte Le calendrier, გვ. 37. ამ კრებულს პ. ივანოვიჩი „სინკიერის“ უწოდებს: თხზულებათა კრებული, III, გვ. 533.

³ ც. კანკიევი, პალეტინელ გადაქმნილი იოანე-ზოსიმეს (ივექი) კრებულში „წიგა-ლთაჲ“, III.

განხილული კერძო ხსიათის სამეცე ძლისპირნი KaO ტიპისა. Sin. 20-ის ძლისპირნი არის KaO ძლისპირნის სქემატური საძიებელი; Sin. 26-ის ძლისპირნიც დანიშნულებით KaO ტიპისა, ოღონდ მხოლოდ სამი ხზისა. Sin. 34-ის ძლისპირნი კი, რომელიც შეიცავს ყველა რვა ხმის ძლისპირთა აკოლუთიებს ანუ კანონებს, მიუხედავად თავისი სიმცირისა (თითო ხმაზე მხოლოდ ძლისპირთა თითო აკოლუთიანა შეტანილი), ყველაზე სრულყოფილი და დასრულებული სახეა KaO ძლისპირნისა. X საუკუნის შუა წლებსათვის KaO კერძო ძლისპირნი უკვე იღვენება ლიტურგიული პრაქტიკიდან. მის ადგილს იკავებს დიდი ანუ საწელაწლო იადგარის OcO ძლისპირნი, რომელსაც, კერძო ძლისპირნის საპირისპიროდ, პირობითად შეიძლება ზოგადი ვუწოდოთ, ვინაიდან ის ერთნაირად გამოსდგება როგორც დიდი იადგარის ლიტურგიულ გალობათათვის, ასევე მცირე ზომის ლიტურგიულ კრებულების (მცირე იადგარების) პიწნოგრაფიული მასალისათვის. სათქმრებელია, რომ Sin. 34-ის შედგენის დროისათვის ამ იადგარის ძლისპირთა KaO კრებულს უფრო რსტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული; ამ ძლისპირნის შეტანასაც იადგარში იოანე-ზოსიმესათვის უფრო შეეყენებია მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული, ამიტომ ძლისპირნი, ისევე როგორც კალენდარი, ნეარაუდები იყო უფრო „მეცნიერ კაცთათვის“, ვინემ რიგითი ღვთისმსახურისათვის.

ამ ტიპის ძლისპირნის არაპოპულარობით უნდა ახსნას ის გარემოებაც, რომ ძლისპირნის შედგარწერაში იოანე-ზოსიმე ძლისპირნის სტრუქტურულ მხარეზე ამახვრლებს მონხმარებლის ყურადღებას: „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი ყოველთა ჳმათა ზედა მიწყებით—თითოთა თავად-თავადი“, რაც ნიშნავს: „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ყოველ ხმაზე გამბით (მიწყობით) წარმოდგენილი ძლისპირები (8 ძლისპირი) თავად-თავადი, ცალ-ცალკე ერთეულებია, ძლისპირთა კანონებია. ამრიგად, „ძლისპირთა კრებული“ შეიცავს 8 ცალკე ერთეულს, რვა აკოლუთიას ანუ კანონს. ამ განმარტებაში შესანიშნავად არის ჩამოყალიბებული KaO ძლისპირნის სტრუქტურული თავისებურება OcO ძლისპირნთან შედარებით, სადაც ერთეულთა არა აკოლუთიანა, არამედ თითოეული ძლისპირი ცალ-ცალკე, ვინაიდან OcO ძლისპირნში ძლისპირთა აკოლუთიები დამოკიდებულია და ძლისპირები გალობებდ არის დანაწილებული. „საგალობლნი-იადგარნი“ შედგენის დროისათვის KaO ძლისპირნს, ჩანს, დაკარგული ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა. ის მთლიანად გამოდგენა OdO ძლისპირთა კრებულში, რომელიც „დიდი იადგარის“ აუტოლებელ ნაწილად იქცა. ამ გარემოებამ უკარნახა იოანე-ზოსიმეს საგანგებოდ დაემხვრლებინა მონხმარებლის („მეცნიერ კაცთა“) ყურადღება KaO ძლისპირნის სტრუქტურულ თავისებურებაზე.

ამრიგად, Sin. 34-მა შემოგვიჩინა KaO ტიპის უნიკალური ნუსხა, რომელიც, გეგმავლებს თვალსაზრისით, უსწრებდა OcO ძლისპირთა კრებულს და, როგორც ჩანს, თავდაპირველად მცირე ლიტურგიული კრებულებისათვის იყო განკუთვნილი.

კერძო „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ შედგენილობა

KaO ბერძნულ ირმოლოგიონებში თავმოყრილია ცნობილ ბერძენ პოეტ-ჰიმნოდათა კანონების ძლისპირები, კანონისავე თანმიმდევრობით გაწყობილი. ძლისპირთა აკოლუთიის ავტორია იმ კანონის ავტორი, რომლის ძლისპირებსაც ის შეიცავს. ამიტომ ბერძნულ KaO ირმოლოგიონებში თითქმის ყოველთვის ძლისპირთა აკოლუთიებთან მითითებულია მათი ავტორები. ვინაიდან უძველესი ქართული

KaO ძლასპირნი ბერძნულიდან მომდინარეობს, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ აქ პირველ რიგში შევიდოდა იმ ბერძენ პოეტ-ჰიმნოდათა ძლასპირები, რომლებიც საბაწმიდურ ჰიმნოგრაფიულ სკოლასთან იყენენ დაკავშირებული, სადაც ქართველებმა პირველად ეზიარნენ ბერძნული ჰიმნოგრაფიის შედეგებს. ქართულ KaO ძლასპირთა კრებულს არ ახლავს მითითებები ავტორებზე, მაგრამ ბერძნულ-ქართულ ძლასპირების პარალელური შესწავლათ შესაძლებელი გახდა მათი ავტორების დადგენა.

KaO ქართული ძლასპირნის ბერძნული დედნებისა და მათი ავტორების ძენისას დიდად დაგვეხმარა OძO ქართულ ძლასპირთა ხელნაწერი კრებულები, სადაც KaO ძლასპირები (იგივე თარგმანი) მთლიანად არის ჩართული, ოღონდ განაწილებულია გალობებზე, როგორც ამას მოითხოვს OძO „ძლასპირნი და ღმრთისმშობლისანი“ სტრუქტურა. OძO ძლასპირნის ძლასპირებს კი რამდენიმე უძველეს ხელნაწერში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ახლავთ მითითება ბერძნულ დედნებზე. ამ მითითებებისა და ბერძნულ-სლავური ირმოლოგიონების საშუალებით დაიძებნა OძO ქართული ძლასპირნის ბერძნული დედნები და, მაშასადამე, KaO ძლასპირნის დედნებზე და ძლასპირთა აკოლუთიების ავტორებიც. გაირკვა, რომ KaO ძლასპირნის 8 ხმის აკოლუთიის ავტორებია VII—VIII საუკუნეთა უდიდესი ბერძენი პოეტი-მელოდოსები, საბაწმიდის ჰიმნოგრაფიული სკოლის მესვეურები იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი¹.

I	ჰმის ძლასპირთა აკოლუთიის ავტორია კოზმა იერუსალიმელი (ეგსტრ. № 8)
II	„ „ „ კოზმა იერუსალიმელი (ეგსტრ. № 49)
III	„ „ „ კოზმა იერუსალიმელი (ეგსტრ. № 101)
IV	„ „ „ იოანე ბერი (დამასკელი) (ეგსტრ. № 133)
V	„ „ „ იოანე დამასკელი (ეგსტრ. № 182)
VI	„ „ „ იოანე დამასკელი (ეგსტრ. № 224)
VII	„ „ „ კოზმა იერუსალიმელი (ეგსტრ. № 286)
VIII	„ „ „ იოანე დამასკელი (ეგსტრ. № 314) ²

KaO ძლასპირნის შედგენილობა

KaO უძველეს ქართულ ძლასპირნი რომ მხოლოდ ორი საბაწმიდელი ჰიმნოდის იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის ძლასპირთა კანონებია შეტანილი, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის. ეს გამოწვეულია შუა საუკუნეებში ამ ორი ავტორის დიდი პოპულარობით საერთოდ და კერძოდ, პალესტინის ქართველ მოღვაწეთა წრეში. ვინაიდან VIII საუკუნიდან ქართველები ინტენსიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევიან საბაწმიდის სახელმძღვანელო ლავრაში. სადაც მათ საბაწმიდის ბერძენ ჰიმნოდებთან უწელო კონტაქტის შესაძლებლობაც ჰქონდათ. იოანე დამასკელის დიდი ღვაწლი და დამსახურება ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის დარგში ქართველებისათვის რომ კარგად ყოფილა ცნობილი, ამას, ვფიქრობთ, იოანე-ზოსიმეს ცნობილი „კალენდარიც“ მოწმობს. ამ „კალენდარიში“ შეტანილია მრავალი სახელოვანი მოღვაწის ხსენება, მაგრამ, პროფ. ე. გარტიანს სამართლიანი შენიშვნით, ეს ცნობები მოკლებულია რაიმე ისტორიულ მასალას. მხოლოდ ერთეულების მოსახსენებლებს ახლავთ ცნობები მათი მოღვაწეობის შესახებ. ამ ერთეულთა შორის არის იოანე დამასკელის ხსენებაც: „ქსენებაა ახლისა ოქროპირისა, წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისავე, რომელმან შეამკენა წმიდანი ეკლესიანი და ასწავა ერსა გალობაჲა“³. ამ ხსენებაში პირველ პლანზე წამოწეულია იოანე დამასკელის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, რომ მას საეკლესიო მწერლობის სხვა დარგებშიც არანაკლები დამსახურება მიუძღოდა.

¹ ძლასპირთა ბერძნულ აკოლუთიებზე აქაც და შემდგომაც მიუეთითებთ ბერძნული ირმოლოგიონის ზედათ მასტრატული ევსტრატოიდისის გამოცემით.
² ქართულ ძლასპირთა და მათ ბერძნულ შესატყვისთა ტექსტები იხ. აქვე, გვ. 2—32.
³ G. Garitte, Le calendrier, გვ. 20.
⁴ G. Garitte, იქვე, გვ. 109.

ბერძნულ აკოლუთიათა ყოველი ძლასპირი ერთნაირი სიზუსტით არ არის ქართულად თარგმნილია. ზოგჯერ თარგმანი აზრობრივად საკმაოდ სცილდება დედანს. მაგრამ მაინც ბერძნულის შესატყვისია. ძლასპირთა ქართულ თარგმანთა ხასიათზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით, აქ კი პირველ რიგში განსახილავია აკოლუთიის ფარგლებში ძლასპირთა შედგენილობა ბერძნულ და ქართულ ირმოლოგიონებში. I—VII ხმების ბერძნულ-ქართულ აკოლუთაებში ძლასპირთა შედგენილობა ძირითადად ერთნაირია. გამოწაკლასია IV ხმის (ეესტრაქტ. გამოცემის № 133 აკოლუთიის) თარგმანი, სადაც უფალო მესმასას ძლასპირად შეტანილია არა № 133 აკოლუთიის შ' ოდის ძლასპირი, არამედ № 138 აკოლუთიის შ' ოდის ძლასპირი. აღსანიშნავია, რომ ორივე აკოლუთიის (№№ 133 და 138) ავტორია იოანე დამასკელი. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ასეთივე დარღვევა № 133 აკოლუთიის ძლასპირთა შემადგენლობაში დადასტურდა Sin. 34-ის „ადგომის დასდებლების“ IV ხმაში¹, სადაც ძლასპირებად გამოყენებულა ამ KaO ძლასპირის 8 ხმის ძლასპირები.

VIII (დ გ'ი) ხმის ძლასპირთა აკოლუთიის ქართული თარგმანი კიდევ უფრო მეტად სცილდება შესატყვის ბერძნულ აკოლუთიას (იხ. ცხრილი). VIII ხმის „ადგომის დასდებლები“ კი, რომლებშიც VIII ხმის ქართულ ძლასპირთა აკოლუთია გამოყენებული, შესატყვის ბერძნულ ძლასპირთა აკოლუთიასთან უფრო მეტ სიახლოვეს იჩენენ.

	KaO ძლასპირის VIII ხმის ძლასპირთა აკოლუთია	ქართულ ძლასპირთა ბერძნული შესატყვისები	VIII ხმის „ადგომის დასდებლების“ ქართულ ძლასპირთა ბერძნული შესატყვისები
I	ეტლთა მფლობელი ფარაო	№ 314x' იოანე დამასკელი	№ 314z' იოანე დამასკელი
III	განმაძლიერებელ მექმენ	№ 314 γ' "	№ 314 γ' "
IV	შენ ხარ ქრისტე ღმერთი ჩემი	№ 314 δ' "	№ 314 δ' "
V	რახსათეს განმომორებ	№ 314 ε' "	№ 314 ε' "
VI	ვედრებასა ჩემსა განვჰვენ	№ 314 ς' "	№ 315 ς' "
VII	რომელთა ჭალდეველთაჲ	№ 316 ζ' "	№ 314 ζ' "
VIII	შუღ-წილ აღაზგნა საჯუმილი	№ 314 η' "	№ 314 η' "
IX	შეძრწუნდეს დაბადებულნი	№ 317 θ' "	№ 314 θ' "

KaO ქართულა: ძლასპირის VIII ხმის აკოლუთია ძირითადად იოანე დამასკელის № 314 აკოლუთიის ძლასპირთა თარგმანებს შეიცავს. ასახსნელია, თუ საიდან გაჩნდა ამ აკოლუთიაში № 316 და № 317 აკოლუთიათა ორი გალობის (γ' და θ') ძლასპირები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ № 314 აკოლუთიის ζ' და θ' გალობების ძლასპირები არც მარცვალთა რაოდენობით და არც რიტმული დაყოფით არ ეფარდებიან № 316 აკოლუთიის ζ' გალობისა და № 317 აკოლუთიის θ' გალობის ძლასპირებს. შინაარსობრივ ეს ერთმანეთის მონაცვლე ბერძნული ძლასპირები მსგავსია, მაგრამ არა ერთნაირი. მეორე მხრით, „ადგომის დასდებლების“ VIII ხმაში ნაწილობრივ აღდგენილია იოანე დამასკელის № 314 აკოლუთიის ძლასპირთა შედგენილობა. ნაცვლად ძლასპირის VIII ხმის VII და IX გალობათა ძლასპირებისა, რომლებიც შესულია ძლასპირში და იოანე დამასკელის ძლასპირის ტექსტს.

¹ „ადგომის დასდებლები“ ხელნაწერ Sin. 34-ში უშუალოდ მოხდევს KaO წყობის ძლასპირის ტექსტს.

პირთა სხვა აკოლუთიის (№ 316 და 317) კუთვნილებას წარმოადგენენ, „ადგომის დასდებლებში“ წარმოდგენილია ძირითადი, ე. ი. № 314 აკოლუთიის ძლისპირები, მაგრამ მოულოდნელად VI გალობის ძლისპირად აქ № 315 აკოლუთიის ძლისპირია გამოყენებულა, რომელიც აგრეთვე იოანე დამასკელს ეკუთვნის.

თუ რა იწვევდა ქართულ ძლისპირთა აკოლუთიებში, ბერძნულთან შედარებით, ძლისპირთა შემადგენლობაში ცვლილებებს, ამის შესახებ დღესდღეობით გადაწყვეტილ რაიმეს თქმა ძნელაა. X საუკუნეზე ადრეულ ბერძნულ ირმოლოგიონს ჩვენამდე არ მოუღწევია, ამიტომ ძნელია მსჯელობა იმის შესახებაც, თუ რამდენად ზუსტად ასახავენ ბერძნულ ირმოლოგიონის ჩვენამდე მოღწეული XI—XIII სს. ნუსხეები ძლისპირთა აკოლუთიების თავდაპირველ შედგენილობას. ამავე დროს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ უკვე X საუკუნედან ირმოლოგიონების აკოლუთიები ცვლილებას განიცდიან, რის გამოც კანონის ძლისპირები და შესაბამისი ძლისპირთა აკოლუთიები შედგენილობით ყოველთვის არ ფარავენ ერთმანეთს. მსგავს მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებშიც, რაც გამოიხატა X საუკუნის ქართულ იადგარებსა და ძლისპირში მონაცვლე ძლისპირების ხმარებაში¹. შესაძლოა მონაცვლე ძლისპირთა ხმარების პრაქტიკამ გამოიწვია ის სხვაობა, რომელიც გამოვლინდა ზემოთ მოყვანილ KaO ძლისპირის VIII ხმის ძლისპირთა აკოლუთიასა, შესაბამის „ადგომის დასდებლას“ და ბერძნულ ძლისპირთა აკოლუთიის შორის.

თუ რა მიმართებაა პირველ ბერძენ პოეტ-მელოდოსების კანონთა ძლისპირებსა და ირმოლოგიონებს ძლისპირთა აკოლუთიებს შორის, ერთი მხრით, ხოლო ძლისპირთა აკოლუთიებსა და ლიტურგიკულ ძეგლებში შესულ დასდებლების ძლისპირთა შორის, მეორე მხრით, ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი ჯერჯერობით არ ყოფილა. ამ საკითხის შესწავლა ბერძნულ-ქართულ-სლავურ პარალელურ მასალაზე მეტად საინტერესო იქნებოდა. ქართული ლიტურგიკული ხელნაწერების ძლისპირთა და დასდებლების უძველესი თარგმანები უთუოდ მრავალმხრივ საგულისხმო მასალას მიაწოდის ამ საკითხის მკვლევართ. ამ თვალსაზრისით ჩვენ შევამოწმეთ უძველესი იადგარის (Sin. 34-ის) რამდენიმე გალობანი. გამოირკვა, რომ ქართული გალობანის ძლისპირთა შედგენილობაში დარღვევები, ბერძნულ ძლისპირთა აკოლუთიებთან შედარებით, უფრო ხშირად დასტურდება ისეთ ციკლებში, რომელსაც იადგარის რედაქტორ-შემდგენელი „ახალს“ უწოდებს, მაგ. „დასდებელნი სამარადისოთა დღეთანი ახალნი კპრუნი“ (34 r). შედარებით უფრო მყარი სურათია მარხვის ციკლისა და საუფლო დღესასწაულების გალობანში. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ისიც არის, რომ დღესასწაულთა ეს ციკლები სადღესასწაულო კრებულების უძველესი ფენაა.

ამრიგად, KaO წყობის IV და VIII ხმების ძლისპირთა აკოლუთიებში ბერძნულ დედნებთან შედარებით უმნიშვნელო გადახვევა არ არის უჩვეულო ამბავი. ასეთი სხვაობები აკოლუთიათა შემადგენლობაში ბერძნულ ირმოლოგიონებშიც ხშირია.

* * *

რა მიმართებაა ქართულ KzO ძლისპირსა და I რედაქციის OdO ძლისპირს შორის? ამ ორი განსხვავებული წყობის ძლისპირის შედარებამ გეარკვია, რომ KzO ძლისპირის 8 ხმის 64 ძლისპირა მთლიანად შესულია OdO ძლისპირში. საინტერესოა აღინაშნოს კიდევ ერთი საგულისხმო გარემოებაც, რომ OdO წყობის I რედაქციის უძველეს ორ ხელნაწერში (HL), რომლებიც ამ რედაქციის ყველაზე

¹ ი. ბ. ანკე, გვ. 017.

მოკლე და არქაულ ქვეჯგუფს ქმნიან, ყოველი ხმის ყოველა გალობის პირველი ძლიერი KaO ძლისპირნის პირველ ძლისპირს ემთხვევა—ე. ი. HL ხელნაწერთა ძლისპირნის პირველ ძლისპირთა ჯამი თითოეული ხმის ფარგლებში ერთად ქმნის KaO ძლისპირნის 8 ხმის ძლისპირთა 8 აკოლუთიას. ეს გეფაქრებინებს, რომ OdO ძლისპირნის უძველეს (თავდაპირველ) ფენას საფუძვლად დაედო KaO ძლისპირნი, ე. ი. OdO ძლისპირნის უძველესა ფენა მიღებულია KaO ძლისპირნის ძლისპირთა აკოლუთიების გალობებად დანაწილების გზით.

OdO ძლისპირნს რომ კერძო დანიშნულების მცირე მოცულობის KaO ძლისპირნი უდევს საფუძვლად, ეს მარტო ზემოთ მოტანილა მასალათ როდი მტკიცდება. OdO ძლისპირნის გ^გ-ის ხმის გალობათა რიგით მეორე ძლისპირები რომ გავერთიანოთ, მივიღებთ ბერძნულ ძლისპირთა № 280 აკოლუთიას (ეგსტრატ. გამოცემის მიხედვით), ხოლო ამავე ხმის გალობათა რიგით მესამე ძლისპირები კი ქმნიან ძლისპირთა № 303 აკოლუთიას (ეგსტრატ. გამოცემით). მაშასადამე, OaO წყობის ძლისპირნს საფუძვლად დასდებია რამდენიმე მცირე ზოვის KaO ძლისპირნი, ე. ი. KaO ძლისპირნის ძლისპირთა აკოლუთიების გალობებად დაშლის გზით უნდა შემდგარიყო პირველი ქართული OdO ძლისპირნი, რომელაც შემდეგ ახალი ძლისპირებით მდიდრდებოდა და იზრდებოდა.

მოყვანილი მასალის საფუძველზე შეიძლება გვევარაუდა საპირისპირო პროცესი—დაგვევა, რომ KaO ძლისპირნი შექმნა OaO ძლისპირნიდან ძლისპირთა ამოკლებისა და გალობებად მათი დაწყობის გზით¹, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მკვლევართა მიერ აღიარებული ფაქტი, რომ KaO ძლისპირნი ისტორიულად წინ უსწრებდა OdO ძლისპირთა კრებულებს, და ქართულ სინამდვილეშიც მცირე მოცულობის ლიტურგიკული კრებულებისათვის კერძო დანიშნულების KaO ძლისპირნის შედგენის პრაქტიკა².

„ძლისპირნისა და ღმრთისმშობლისანი“ X საუკუნის ქართულ ხელნაწერებზე დაკვირვების შედეგი რომ შევაჯამოთ, ძლისპირნის ჩამოყალიბებისა და განვითარების შედეგად სურათი წარმოგვიდგება: თავდაპირველად, სანამ „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ დამოუკიდებელი ნნიშნელობის კრებულად ჩამოყალიბდებოდა, გალობანი ძლისპირისა და ღმრთისმშობლისას სრული ტექსტებით თორავნებოდა ბერძნულიდან. ამავე სახით შედარდა გალობანი უძველეს ლიტურგიკულ ძეგლებში. ამ წესის გადმონაშთი გვხვდება უძველეს სინურ მცირე იადგარებში (Sin. 26, Sin. 20)³.

ლიტურგიკულ კრებულებში ჰიმნოგრაფიული მასალის ზრდასთან ერთად და თვით ამ კრებულების დამსხვილების გამოც საკირო გახდა ძლისპირებით სარგებლობის წესის შეღუშავება, რათა ყოველ გალობასთან არ ყოფილიყო აუტოლბელი ძლისპირის სრული ტექსტის მოტანა და საკირო შემთხვევაში (ახალი გალობანის შედგენის დროს) ადვილი მოსაპოვებელი ყოფილიყო ძლისპირთა სრული აკოლუთიები. ამ მიზნით უნდა შემდგარიყო საძიებლის ტიპის უძველესი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, რომელიც უკვე ერთ-ერთ უძველეს ქართულ ლიტურგიკულ კრებულში, მცირე იადგარში (Sin. 26) გვხვდება (იხ. დამატება I).

სქემატური საძიებლის განვითარების შემდეგ საფებურს უნდა წარმოადგენდეს მცირე მოცულობის რამდენიმე ხმის ძლისპირნი, რომელიც მეორე ძველ მცირე

¹ შტრ. პ. ი ნ გ ო რ ყ ვ ა. თხზულებანი, III, გვ. 361.

² იხ. აქვე, გვ. 014—021.

³ გალობებთან ძლისპირისა და ღმრთისმშობლისას სრული ტექსტები ზოგჯერ დიდ იადგარებშიც გვხვდება, მაგრამ ეს, უმთავრესად, ისეთი ძლისპირებია, რომლებიც ძლისპირნი არ არის შესული. უფრო ხშირად ეს არის სტიქარონებს ძლისპირები.

იადგარს (Sin. 20) შემოუნახეს (იხ. დამატება II). ორივე ეს ძლისპირნი KaO წყობისაა.

მცირე მოცულობისაა, მაგრამ უკვე ყველა რვა ხმაზეა გაწყობილი KaO ძლისპირნი „საგალობელი იადგარიდან“ (Sin. 34), რომელიც კერძო დანიშნულებისაა, ესევე როგორც წინა ორი ძლისპირნი.

KaO კერძო დანიშნულების ძლისპირნი, როგორც ჩანს, ბერძნულის კვალობაზე დგებოდა მცირე ლიტურგიკული კრებულებისათვის იმავე კრებულის მასალის (ძლისპირების) საფუძვლებზე. საფიქრებელია, რომ განვითარების იგივე გზა უნდა გაეწეოთ ბერძნულ ირმოლოგიონსაც, სანამ ის ზიილებდა იმ სახეს, როგორსაც ის ატარებს ჩვენამდე მოღწეულ XI—XIII საუკუნეების ხელნაწერებში. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ძლისპირთა კრებულების ახალი ბერძნულ-ქართული ხელნაწერების გამოვლენამ და ქართულ-ბერძნული ლიტურგიკული ძეგლების შემდგომმა გაღრმავებულმა შესწავლამ ზოგი რამ შესცვალოს ან დააზუსტოს ჩვენს ვარაუდებში. დღეისათვის კი ძლისპირნის ქართული ხელნაწერები (არსებულთა შორის ძლისპირთა ყველაზე ძველი თარგმანების შემცველი) ასე წარმოგვიდგენენ KaO ძლისპირნისა და შესაბამისად ბერძნული ირმოლოგიონის ჩამოყალიბებისა და განვითარების ადრეულ საფეხურს.

* * *

კერძო KaO ძლისპირნის გვერდით და პარალელურად უკვე X საუკუნის შუა წლებშივე „დიდი იადგარებში“ შეტანილია OdO ძლისპირნი, რომელიც განკუთვნილი იყო არა რომელიმე სადღესასწაულო ციკლის გალობათათვის, არამედ საწელიწდო იადგარის მთელი ჰიმნოგრაფიული მასალისათვის.

OdO ძლისპირნს საფუძვლად დაედო KaO კერძო დანიშნულების ძლისპირნი, რაც შესაბამისად აღსახა OzO ძლისპირნის უძველეს ფენაში. ეს თავდაპირველი ფენა შემდეგ შეიკრა ბერძნული OdO ირმოლოგიონიდან თარგმნილი ძლისპირებით, რასაც მოწმობს I რედაქციის OdO ქართული ძლისპირის შედგენილობა და რამდენიმე ხელნაწერში შემორჩენილი მითითებები ქართულ ძლისპირთა ბერძნულ დედნებსა თუ შესატყვისებზე. ამ გზით უნდა ჩამოყალიბებულიყო OdO ქართული ძლისპირნის უძველესი I რედაქცია.

OdO ძლისპირნის შემდგომი თანდათან გაერკობა ხდება ახლად თარგმნილი და ორიგინალური ძლისპირებით ამ კრებულებიდან გადამწერებისა თუ რედაქტორების ინიციატივით. ამის მკაფიო მაგალითია მიქაელ მოდრეკილის იადგარის ძლისპირნი, რომლის ანდერძშიც მიქაელი წერს: „მე, გლახკან მიქაელ მოდრეკილმან... ფრიადთა ხარკებითა და გულსმოდგინედ ძიებითა შეეკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენი ენიითა ქართველთაჲთა მესხურნი ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განვებითა, და დეწერენ წმიდსა ამს შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ქეშნარტებითა...“¹ მიქაელ მოდრეკილის ძლისპირნის ახალი დამატებითი ძლისპირები, რომლითაც ის განსხვავდება ძლისპირნის I რედაქციისაგან, მიქაელს ამ გზით ზოუბოვებია.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ OzO „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისაანი“ ძლისპირთა დიდი უმრავლესობა ბერძნულიდან არის თარგმნილი, თვითონ ძლისპირთა კრებულის,

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. I, 1960, გვ. 644.

ისევე, როგორც KaO ძლისპირანი, შედგენილი უნდა იყოს კვალიფიციური მგალობლების მიერ ქართულ ნიადაგზე, ქართულად ადრე თარგმნილი მასალის საფუძველზე, ბერძნული ირმოლოგაონის მიხედვით და გამოყენებით.

ქართული ძლისპირნის შედგენის ამ ნახევრად ორიგინალური წესის შემოღება ქართულ პრაქტიკაში, ვფიქრობთ, განაპირობა იმან, რომ ბერძნული კანონების ქართულად თარგმნა დაიწყო საბაწმიდის ქართველ მწიგნობართა წრეში მაშინ (VIII—IX სს.), როდესაც ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული ბერძნული ირმოლოგიონი. ძლისპირთა სპეციალურ კრებულზე მოთხოვნა იღება საბაწმიდის ბერძენ და ქართველ ლიტურგისტთა წრეში, ვფიქრობთ, დაახლოებით ერთდროულად დაიბადა; პირველი მარტივი ბერძნული ირმოლოგიონის შექმნის დროც ბევრად არ უსწრებდა ქართული ძლისპირნის შექმნას. ბერძნული ირმოლოგიონის ჩამოყალიბების უმაღლეს, ბერძნულის მიხედვით და ბერძნულიდან ადრე თარგმნილი კანონების ძლისპირთა გამოყენებით უნდა შექმნილიყო პირველი ქართული ძლისპირთა საძიებელი, თუ KaO ძლისპირთა კრებული, რომელიც ვიწრო დანიშნულებისა იყო და ემსახურებოდა იმ ლიტურგიკულ კრებულს, რომლის მსალაზეც ის იყო აგებული. ამ სპეციფიურმა ვითარებამ გამოიწვია ეს სტრუქტურული სხვაობაც, რომელიც არსებობს ბერძნულ-სლავურ ირმოლოგიონებსა და ქართულ ძლისპირნს შორის: პირველში თავმოყრილია მხოლოდ ძლისპირები, ქართულში კი ძლისპირთან ერთად მისი შესატყვისი ღმრთისმშობლისა, ესე როგორც ეს იმ კანონებშია წარმოდგენილი, რომლითაც სარგებლობდა ქართული ძლისპირნის შემდგენელი.

ივრცე იოქის ქართული OdO ძლისპირნის შესახებ. დიდია სხვაობა ბერძნულ ქართულ OdO ძლისპირთა კრებულებს შორის მოცულობასა და ძლისპირთა თანმიმდევრობაში. ჩვენ არაფერი ვიცით, თუ რა სახეს ატარებდა პირველი ბერძნული ირმოლოგიონი. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული KaO და OdO ძლისპირნის უძველეს ნუსხებს შედგენალობისა და მოცულობის თვალსაზრისით უფრო მეტი სხვაობა ექნებოდა ამავე წყობის ბერძნული ირმოლოგიონების X საუკუნის წინა პერიოდის ნუსხებთან, რომელთაც, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე არ მოუღწევიათ.

O:O „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ შედგენილობა და მიმართება ბერძნულ-სლავურ ირმოლოგიონებთან

ზემოთ უკვე ითქვა, რომ KaO ძლისპირნი შეიცავს მხოლოდ ორი ავტორის— იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის ძლისპირთა აკოლუთიებს. O:O ძლისპირნში ავტორთა შემადგენლობა უფრო მრავალფეროვანია. აქ გვხვდება ძლისპირები შემდეგი ავტორების კანონებიდან: იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელის, ანდრია კრიტელის, გერმანე პატრიარქის, ილია პატრიარქის, ელსე მონაზონისა და თეოდორე სტუდიელისა¹. ამ პოეტ-მელოდოსთა მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლებია VII—IX საუკუნეები. ყველაზე გვიანდელია მათ შორის

¹ პიმნოგრაფიულმა კანონებმა და მათთან ერთად ძლისპირთა აკოლუთიებმაც დროთა ვითარებაში დიდი ცვლილებები განიცადეს. „შედგენილი კანონების“ გავრცელებამ გაართულა რაც შემთხვევაში კანონისა და ძლისპირთა აკოლუთიის მოკრთვნება ერთი ავტორისადმი. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ბიზანტიური ლიტურგიკისა და პიმნოგრაფიის დარგის სპეციალისტების მერ ბევრი ათაფერია გაკეთებული. აკოლუთიის ავტორებს ჩვენ მიუვითიებთ ბერძნული ირმოლოგიონის ფსტრატოლისის გამოცემით, რომლითაც ესარგებლობთ წინამჟღადარ გამოცემაში ბერძნული ტექსტებისათვის.

თეოდორე სტუდიელი, ამიტომ ეს გეაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ოქო ქართული ძლისპირნი იმ სახით, როგორითაც ის შემოგვინახა უძველესი (I) რედაქციის X საუკუნის პირველი და II ნახევრის ხელნაწერებმა, უნდა ჩამოყალიბებულიყო არა უადრეს IX საუკუნის დასასრულსა.

დასახელებული ბერძენი მელოდოსები ქართულ ოქო ძლისპირნი ერთნაირი სიხშირით არ არიან წარმოდგენილნი. I რედაქციის ძლისპირნი 403 ძლისპირიდან 210 ძლისპირი იოანე დამასკელის ძლისპირთა აკოლუთიების კუთვნილებაა (იხ. აკოლუთიათა საძიებელი, გვ. 271). კოზმა იერუსალიმელს ეკუთვნის 100-მდე ძლისპირი. 27 ძლისპირი უავტოროდ არის შესული ჩვენს გამოცემაში. აქედან 19 ქართულ ძლისპირს ვერ დაეძებნა ბერძნული შესატყვისი და მამასადაჟე ავტორიც; რვა კი — ბერძნულ ირმოლოგიონშიც უავტოროდ არის შეტანილი. თუ ქართულ ძლისპირებს აკოლუთიებად გავერთიანებთ, მაშინ ქართული ძლისპირნი აკოლუთიების რაოდენობა შეიღვენიაზად განაწილდება ბერძენ პოეტ-მელოდოსებზე:

იოანე დამასკელის 46	სანური — 4
კოზმა იერუსალიმელის 17	აღმოსავლურა — 1
ანდრია კრიტელის 15	უავტორო — 1
გერმანე პატრიარქის 14	
ილია პატრიარქის 1	
ელსე მონაზონის 1	
თეოდორე სტუდიელის 2	

თუ რა სისრულითაა ქართულ ძლისპირნი წარმოდგენილი თათოუელა აკოლუთია, ეს ჩანს „აკოლუთიათა საძიებელში“, რომელაც ერთვის ძლისპირთა ტექსტებს ბოლოში (გვ. 271).

იმ 19 ქართული ძლისპირიდან, რომელთაც ვერ დაეძებნა ბერძნული შესატყვისები, 14 ქართული ძლისპირს აქვს მითითებები ბერძნულ დედნებზე, ესენია:

- № 7. ზღვსა ლელვანა განვლნა ისრაელმან. — ულუსის
- № 39. ვითარცა-რაა სიონს შინა ჰდგომარეა. — ოსენაფლესტისთა
- № 47. სიბრძნით სიმჴნწ აჩუენეს ყრმათა. — ფრონობა
- № 58. შენ, რომელი დედა იქმენ ახლისა ადამისა. — ოტონანობოთო
- № 116. დადებულებაა შენი, უსძლოო. — აპორიპასალოსა
- № 120. ჭრისტე, რაჟს დაემსკულა. — ხრისტოსიაჴი
- № 149. ღმრთისმშობელსა უბიწოსა. — სიტინპართენ
- № 150. ღმრთისმშობელსა. — ტონაეოტოკოს
- № 171. მესმა საკვრელება. — აკიკოასოტ
- № 185. და ჩუენ, მავალნი ბნელსა. — ტუსენუტრიზო
- № 218. ღმრთისმშობელო, ჩუენ. — თეოტოკონკე
- № 265. გიხაროდენ, ღმრთისმშობელო. — შერუსპარიმონ
- № 283. ვითარცა ვეშაპისაგან იგსენ. — ეკტუიტიუსტონპროიტ
- № 347. ძლიერებითა შენითა დაამტკიცე. — ტონიუნასსუ

ქართულ ძლისპირთა დასაწყისების შედარებად ბერძნულ ძლისპირთა ტრანსკრიფციებთან აშკარა ვახადა, რომ ამ შემთხვევაშიც ქართული ძლისპირები ბერძნულს თარგმანებს ან შესატყვისებს უნდა წარმოადგენდნენ, და თუ ჩვენ ვერ მივპვლიეთ მათ დედნებს ჩვენთვის ხელმისაწვდომ გამოქვეყნებულ ბერძნულ ირმოლოგებში

ლოგოინებში, ეს მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ირმოლოგიონის ეს გამოცემები, დამყარებულია XI—XIII საუკუნეების ხელნაწერებზე, არ ამოწურავენ ბერძნულ ძლიანობას მთელ რეპერტუარს და, შესაძლებელია, საძიებელი 14 ქართული ძლიანობის ბერძნულ დედნები ირმოლოგიონისა ნაკლებად შესწავლულ ხელნაწერებში აღმოჩნდეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა და საგანგებოდ შესასწავლი ბერძნული OdO ირმოლოგიონის საბაწმიდურ-სინური ნუსხები.

ბერძნული OdO ირმოლოგიონის ხელნაწერებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით და გვიანდელი ნუსხებით მოაღწია. არ არსებობს მისი არც გამოცემა, ვინაიდან აქამდე მკვლევრების ყურადღება მიპყრობილი იყო KaO ირმოლოგიონებზე, რომელნიც ძველი (XI—XIII სს.) და საუკეთესო ხელნაწერი ნუსხებითაა წარმოდგენილი.

0. O ბერძნული ირმოლოგიონის უძველეს ხელნაწერებად მიჩნეულია:

1. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი PSg. 1284¹; ორფურცლიანი ფრაგმენტი (X—XI სს.).

2. სინის ეპატერინეს მონასტრის № 1258 ხელნაწერი 1257 წლისა, KII-3 ლიტერით აღნიშნულია მ. ველიმიროვიჩის წიგნში².

3. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 599, სამეცნიერო ლიტერატურაში Sa ლიტერით აღნიშნული; XIII—XIV სს.

4. იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის წმ. სებას კოლეჯის ხელნაწერი № 617. XIV საუკ., Sb ლიტერით ცნობილი³.

ბუნებრივია, ქართული OdO წყობის ძლიანობის შედარება ყველაზე უპრიანია ბერძნული ირმოლოგიონის ყველაზე ადრეულ ნუსხასთან—PSg 1284. ირმოლოგიონს ამ ფრაგმენტის შედგენილობა A. Gastoué-ის წარმოდგენილი აქვს თავის აღწერაში⁴. ფრაგმენტი შეიცავს მესამე ხმის ᾿ ოდის 17 ძლიანობის, ᾿ ოდის 7 ძლიანობის, ᾿ ოდის 2 ძლიანობის და ᾿ ოდის 8 ძლიანობის. ქართულ ირმოლოგიონში მესამე ხმის ᾿ გალობებში (ოდებში) ოთხ-ოთხი ძლიანობაა. ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებამ გამოარკვია, რომ მათ აქეთ საერთო მხოლოდ 3 ძლიანობა, თითო ძლიანობა თითო გალობაში.

ამოგად, მიუხედავად იმისა, რომ PSg. 1284 ყველაზე ძველი OdO ირმოლოგიონია, მოცულობით ის მაინც ბევრად უფრო ვრცელია ქართულზე.

Sa და Sb ბერძნულ ირმოლოგიონთა ხელნაწერებზე ჩვენ ზელო არ მიგვიწვდება, ამიტომ შედარებისათვის ვიყენებთ იმ ცხრილს, რომელიც მ. ველიმიროვიჩმა შეადგინა ბერძნულ-სლავურ OdO ირმოლოგიონთა შედარების საფუძველზე⁵.

ბერძნულ-სლავური OdO ირმოლოგიონების შედგენილობის შედარების მიზნით მან ცხრილში წარმოადგინა ა' ხმის V, VI, VII ოდების ძლიანობათა რიგი Sa და Sb ბერძნული ხელნაწერებისა და ორი სლავური (ნოვგოროდული და ხილანდარული) ირმოლოგიონის მიხედვით. ამ ცხრილს ჩვენ გვერდით მივუყენებთ ქართული OdO უძველესი (I რედაქციის) ძლიანობის A და L ხელნაწერების მასალა. ამ გზით ერთდროულად გამოჩნდა ქართული OdO წყობის ძლიანობის მიმართება როგორც ბერძნულ, ასევე სლავურ ირმოლოგიონთან (იხ. ცხრილი).

¹ ამ ხელნაწერის აღწერილობა გამოქვეყნებულია. იხ. A. Gastoué. Catalogue des manuscrits de musique byzantine de la Bibliothèque Nationale de Paris et des Bibliothèques Publiques de France, Paris, 1907, გვ. 93—94.

² იხ. M. Velimirovic', Byzantine Elements in Early Slavic Chant, Copenhagen, 1960, გვ. 46.

³ იხ. The Hymns of the Hirmologium, part I, M.M.B., Transcripts, vol. VI, გვ. XV, და M. Velimirovic', დასახ. წიგნი, გვ. 46—47.

კმა ა

ოლა 5 (ლაბოლანსა)

A	L	NO	Ch	Sa	Sb
9	—	1	1	1	1
8	8	15	15	15	8a
1	1	8a	8a	16	8b
14	14	9	9	2	9
4	4	4	4	4	*
5	5	16	16	5	6
21	21	6	6	6	7
		22	22	7	5
		5	17	8a	15
		17	5	8b	16
				9	4
				10	21
				14	*
				17	14
				18	17
				21	10
				22	(18)
				26	(13)
				13	11
				11	(2)

ოლა 6 (ლადაყვისა)

A	L	NO	Ch	Sa	Sb
9	—	1	1	1	1
8	8	15b	15b	15b	8a
1	1	8a	8a	2	8b
14	14	9	9	4	9
22	22	4	4	22	(*)
*	—	22	22	6	6
		6	6	7	7
		16	22	8a	4
		15a	15a	8b	22
				9	15b
				10	16
				14	21a
				15a	14
				16	15a
				21b	11
				[22]	10
				26	
				13	

ოლა 7 (კურბეულარსა)

A	L	NO	Ch	Sa	Sb
9	—	1	1	1	1
8	8	15a	15	15a	8a
*	*	9	8a	2	8b
11	11	4	9	4	9
4	4	6	4	5	(*)
22	22	8a	15b	6	6
		15b	6	7	7
		11	11	8a	5
		5	22	8b	4
		17	5	9	15a
		21	21	10	15b
				11	22
				14	16
				15b	17
				16	*
				17	10
				22	11
				26	23
				23	(2)
					(*)
					(*)
					(*)
					(23)

1. ცხრილებში მითითებულია ბერძნული ირმოლოგიონის (ეესტრატი. გამოლ-ცემის) ა ხმის იმ აკოლუთიათა ნომრები, რომლის კუთვნილებაცაა ძლასპირი.

2. ვარსკვლავით აღნიშნულია ის ძლასპირები, რომლის აკოლუთია გამოცე-მულ ირმოლოგიონში ვერ დაიძებნა.

3. როდესაც ერთი ოდიდან ერთზე მეტი ძლისპირია მოტანილი, მაშინ ციფრს მიწყოილა აქვს ასოები: a, b.

4. ციფრი ჩასმულია კვადრატულ კავებში იმ შემთხვევაში, თუ ძლისპირი ორჯერ არის მოტანილი ცხრილში.

5. ციფრა ჩასმულია ზრგვალ კავებში, თუ ბერძნულ-სლავური ძლისპირი არ არის ნევირებული.

ცხრილები ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას იძლევა ბერძნულ-სლავურ-ქართულ ირმოლოგიონთა ურთიერთმიმართების შესახებ:

1. ქართული ძლისპირის ნუსხები რიგის ავალსაზრისით თითქმის ედენტურნი არიან.

2. სლავური ირმოლოგიონის ორივე ნუსხა ძლისპირთა რიგით თითქმის ერთ-ნაირია.

3. დიდი სხვაობაა ძლისპირთა რიგის თვალსაზრისით O₆O ბერძნულ ირმოლოგიონის Sa და Sb ხელნაწერებში.

4. მოკლეობის მხრით ქართულ-ბერძნულ-სლავური ირმოლოგიონები დიდად სხვაობენ ერთმანეთისაგან. ყველაზე მოკლეა ქართული (თითქმის სამჯერ მეტივა ბერძნულზე და ორჯერ მეტივა სლავურზე)¹.

¹ ძლისპირთა ეს რაოდენობრივი თანაფარდობა არ შეიძლება გავრცელდეს ქართული ძლისპირის II და III რედაქციებზე (B და C ხელნაწერებზე), ვინაიდან ისინი ბევრად უფრო ვრცელია ძლისპირთა უმეტეს I რედაქციაზე.

5. მ. ველიმიროვიჩის სამართლიანი დაკვირვებით¹, ირმოლოგიონის სლავეურ და ბერძნულ ხელნაწერებს შორის არ არის ისეთი მკიდრო ურთიერთობა, რომ შეიძლებოდეს ორივესთვის ერთი საერთო მოდელი გვევარაუდა საფუძვლად. იგივე შეიძლება ითქვას ქართული ძლისპირნისა და ბერძნულ-სლავეურ ირმოლოგიონთა ურთიერთმიმართების შესახებ.

სლავეური OdO ირმოლოგიონი ნაკლებია², მაგრამ თარგმანი ძველია. სლავეური ირმოლოგიონების ხელნაწერებიც უფრო ძველია (XII—XIII სს.), ვიდრე Sa და Sb ბერძნული ირმოლოგიონებისა, ამიტომ, ბუნებრივია, სლავეურ ირმოლოგიონთან ქართული ძლისპირნის შედარება არ არის მოკლებული გარკვეულ ინტერესს, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ძლისპირნის თარგმანიცა და ძლისპირნის ხელნაწერებიც სლავეური ირმოლოგიონის თარგმანსა და ხელნაწერებზე ბევრად უფრო ადრეულია.

სლავეური ირმოლოგიონი მოცულობით (თითო ოღაში ძლისპირთა რაოდენობით) ქართულ ძლისპირზე ბევრად ვრცელია. ამისდა მიუხედავად, იმ 19 ქართულ ძლისპირს, რომელთაც ვერ დაქვანა ბერძნული დედნები, ვერც სლავეურში დაქვანათ შესატყვისები. ის ფაქტი, რომ 19 ქართულ ძლისპირს არ აღმოაჩნდა არც ბერძნული და არც სლავეური შესატყვისები (ამათგან 14 ძლისპირა ნამდვილად ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი, რაზედაც მათი ზედწარწერები მიუთითებს), გვაფიჭვებინებს, რომ ქართულ ძლისპირთა ეს მცირე ჯგუფი ადრეული ხანის (IX—X სს.) ბერძნული ირმოლოგიონების კუთვნილება იყო, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო XI—XIII საუკუნეების ბერძნულ ირმოლოგიონებში აღარ გადმოსულა; ბუნებრივია, ის ვერ ითარგმნებოდა XI საუკუნეში ვერც სლავეურად. ამ ვარაუდის შემოწმება შეიძლებოდა უძველესი ბერძნული ლიტურგიკული ძეგლების ხელნაწერების საშუალებით. ამ საკითხის შემდგომმა ძიებამ და შესწავლამ შეიძლება გაამდიდროს ჩვენი ძალზე შემოფარგლული ცოდნა VIII—X სს. ბერძნულ ირმოლოგიონზე და ანასთანავე გარკვეული დახმარება გაუწიოს მკვლევარებს ირმოლოგიონის ბერძნულიდან სლავეურად თარგმნის დროის დაზუსტებაში.

ძლისპირთა ზედწარწერები

OdO ძლისპირნის წინამდებარე გამოცემისათვის გამოყენებულა 7 ხელნაწერიდან ოთხ ხელნაწერში (LHOh) ძლისპირებს ახლავთ ზედწარწერები—მიითებდა მათი ბერძნული შესატყვისის დასაწყისზე, გადმოცემულია ქართული ტრანსკრიფციით. ამგვარი ფონეტიკური ტრანსკრიფციების გამოვლენასა და შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. მათ შეუძლიათ საინტერესო ინფორმაცია მოგვაროდონ ბერძნული ენის ფონეტიკის შესახებ³, კერძოდ ჩვენ მასალას კი—X საუკუნის ბერძნული ენის

¹ M. Velimirovic', დასახ. წიგნი, გვ. 49.

² OdO სლავეური ირმოლოგიონის უძველესი (XII—XIII სს.) ნუსხეა (ნოვგოროდისა და ხილანდარის) ფრავმენტების სახით არის ჩვენამდე მოღწეული. ორივე ნუსხის უკანასკნელი დროის პუნლიკები არსებობს, სადაც სლავეურ ძლისპირებთან მოტანილია მათი ბერძნული შესატყვისები. ნოვგოროდის ნუსხეში 8 ძლისპირის გარდა ბერძნული დედანი დაქვანა ყველას. სლავეური ირმოლოგიონის ეს ორი ფრავმენტი ერთი რედაქციისაა, რის გამოც ისინი ზოგჯერ ერთმანეთთან ნაკლებადილებს აესებენ, მაგრამ დანაქლისი მაინც ღიღია. ასე, მაგ. ნოვგოროდის ირმოლოგიონს მძლავრად აკლია IV—V ხემბის ძლისპირები, ხოლო ნაწილობრივ ნაკლებია დანარჩენი ხემბის უმაკრავსობა. ხილანდარული ირმოლოგიონის ფრავმენტები კი შეიცავენ მხოლოდ I—III ხემბის ძლისპირებს და ისიც არასრულად.

³ Eastern Elements in Western Chant. Studies in the Early History of Ecclesiastical Music by Egon Wellesz. M.M.B. Subsidia, v. II, 1947, გვ. 25, სქ. 3.

თულ ლიტურგიულ პრაქტიკაში, ახალი ტიპის საგალობელს ასრულებდნენ ბერძნულად. როგორც ჩანს, ასევე ზეპირად წერდნენ ისანი ზოგჯერ ქართული ძლისპირის ბერძნული შესატყვისის დასაწყისის ტრანსკრიფციას. მაგრამ რამდენიმე ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ არც ბერძნული ირმოლოგიონის ხელნაწერები იყო უგულებელყოფილი შემდგენელთა თუ გადამწერთა მიერ (უფრო საფიქრებელია შემდგენელთა) ქართულ ძლისპირთა ბერძნული შესატყვისების დასაწყისთა მიწერის დროს. ვფიქრობთ, ამას უნდა მოწმობდეს პირველ რიგში ის, რომ რამდენიმე ბერძნული სიტყვა ტრანსკრიფციებში დაქარაგმებულად არის მოტანილი, ესენია: იესუ, ისრაელა და იერუსალემი. მოვიტანთ მაგალითებს:

- | | |
|--------------------------------------|--|
| 1. 'Iv xapiva παιδες; 'Izapē. | ენ კამინო პედას მღლ (№ 45) |
| 2. Xepoi 'Izapē. | ხორუ იმლ H
ხორო იმლ L
ხორო ისრაელ O (№ 152). |
| 3. ივ H }
იესუ L } 'Izapē; (№ 81) | |

მეორე მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ O ხელნაწერში იმლ ქარაგმაგახსნილად არის წარმოდგენილი და გახსნილია ეს სიტყვა არა მ-თი, არამედ ე-თი, როგორადაც ხსნიდნენ ამ დაქარაგმებას X—XI საუკუნის ქართულ ხელნაწერებში¹. ასეთივე სურათია მესამე მაგალითში—დაქარაგმებული ივ (H) გახსნილად დაწერილი L ხელნაწერში.

- | | |
|---------------------------|--|
| 4. 'Iv 'Izapē ex βουλας; | ტონ იმლ ექ დუ O
ტონ მღლ აკგ ...რია L
ტონ იმლ ივ ...H (№ 336) |
| 5. Iεζεραβηλ; 'Izepezele. | ეფერანთიტი იმლ O (№ 217) |

ვფიქრობთ, ტრანსკრიფციებისათვის ბერძნულა ხელნაწერის გამოყენების ფაქტს უნდა უპყრდეს მხარს კიდევ ერთი შემთხვევა—h ხელნაწერში ბერძნული ძლისპირის დასაწყისი გადმოცემულია არა ტრანსკრიფციით, არამედ ტრანსლიტერაციით:

Nixaxi; zepvosi	ნიკიტე ტურარუ O ნიკიტე ტურანო L ნიკიტე ტურანუ L ნიკიტე ტ უ რ ა ნ უ h (№ 389)
-----------------	---

გარდა მექანიკური შეცდომებისა, ტრანსკრიფციებში არსებითი ხასიათის განსხვავებებიც შეინიშნება:

1. ძლისპირის ბერძნულ დედნად ხელნაწერებში სხვადასხვა ძლისპირია მითითებული:

- № 5. პ ა ჯ ი ო თ ი ს B
პ ე პ ი კ უ ი ლ დ ი ნ ი L
№ 134 ე ბ ო ი ს ე ნ ს უ . H²
ი ფ ო ნ ი ტ ა L

¹ ამ სიტყვის დაქარაგმების შესახებ იხ. ც. ჰანკიევის შრომა: Правила сокращения в памятниках древнегрузинской письменности. Автореферат. Тб., 1967, გვ. 14.
² იხ. ამ ძლისპირთა კომენტარები.
03. ე. მეტრეველი 033

II. რიგ შემთხვევაში ბერძნული ძლისპირის ტრანსკრიფციები სხვადასხვა ხელნაწერში საგრძობლად სხვაობენ ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს სხვაობა შეიძლება ბერძნული დედნის ვარიანტული ნუსხიდანაც მომდინარეობდეს. მაგ.

№ 74. ენ პეტრე მი H } 'Εν πέτρῃ καὶ τῆς πίστεως
ენ ითროენ პეტრე L }

არ არის გამორიცხული, რომ მოტანილი ბერძნული ძლისპირის ისეთი ვარიანტიც არსებობდეს რომელიმე ძველ ბერძნულ ირმოლოგიონში, როგორც დაუცავს L ხელნაწერის ტრანსკრიფციას.

გვხვდება იმ ზომამდე დამახინჯებული ტრანსკრიფციებიც, რომ მათი საშუალებათ ბერძნული დედნის აღდგენა ძნელია.

№ 167. სტოაღმოტილმატისტუსო L Στῆρυγα πίστεως καὶ χάριτος

ბერძნულ-ქართულ ბგერათა შესატყვისობები ოთხივე დასახელებული ხელნაწერის ტრანსკრიფციებში, ძირითადად, ერთნაირად არის წარმოდგენილი, მაგრამ არის სხვაობაც. მოგვეყავს შესატყვისობათა ზოგადი ცხრილები:

ხ მ ო ვ ნ ე ბ ი

η-ს შესატყვისია ი

ნენიკინთე LH	Νενίχηναι (№ 55)
ი დიმიურჯიკე L	'Ι δὲ μισοῦργιζή (№ 12)
რისის ფროფიტინ L	Ρήσις ἡρεφηνῶν (№ 19)
უ მე ტი ტროფი ხრანთეს L	Οἱ μὴ τῆ ῥοφῆ γρησὶμῆσις πᾶσιδες (№ 46)

ამ უკანასკნელ მაგალითში η-ს შეესატყვისება ი-ც და ე-ც.

γ-ს შესატყვისია ე

მოსტირიონ ქსენ L	Μοστίριον ξένον (№ 52)
ტუბოს ტის აგნეს L	Τῦπον τῆς ἀγνῆς (№ 53)
სტერეოსჟინ ე H	} Στερέωσαν ἡμάς (№ 71)
სტერეოსჟინ ემს L	

σ-ს შესატყვისია უ

სუნ ტო თაემაო L	Σὺν τῷ θασμασίῳ (№ 18)
ანტრაკა პუროს L	*Αντρακα πυρός (№ 25)
ისშოს ო დადოს H	} *Ισχύς ὁ δεινός (№ 69)
ესშუს ო დიდოს L	

σ-ს შესატყვისია ო

მოსტირიონ ქსენ L	Μοστίριον ξένον (№ 52)
მოსტირიონ პარ H	} Μοστίριον παρῶν (№ 100)
მუსტირიონ პარა L	

ο-ს შესატყვისია ი

ო ტონ ანო ბითონ ტისტია L	'Ο τὸν ἄνω βίθων τῆς θείας (№ 54)
ენ აბისო პტესმა HL	*Εν ἀβίσσῳ πασμάτων (№ 88)

σ-ს შესატყვისია ჯ და უი

ასომენ ტო კვრიე H	} *Ασμεν τῷ Κυρίῳ ἄμα ἡσύν (№ 64)
ასომენ ტო კუირი L	

1 იხ. ამ ძლისპირის კომენტარი.

ასომენ ტო კვრიე H Ἄσασμεν ἡμῶν Κύριω (№ 67)

სტერეოსან მე კვრიე H }
სტერეოსან მე კუირი L } Στερῆσάν με Κύριε (№ 73)

პროს კვირონ H }
პროს კუირიონ L } Πρίς Κύριον (№ 91)

დიდი ორთოგრაფიული სიჭრელეა დიფთონგების გადმოცემას:

ა: გადმოიცემა ი-თი და ე-თი

აპინოტე B Ἐπίπαιον (№ 4)
უ პედეს ეესებიეს L Οἱ παῖδες εὐσεβείῃς (№ 38)
ოფთისან ე პიჯი ტის O Ὁφθησαν αἱ ἠγῆται ἡς ἀβύσσου (№ 159)
აბრაამიელ პედეს L Ἀβραάμου παῖδες (№ 40)
ნენიკინთე LH Νενίκτηται (№ 55)
ენ აბისო პტესმა LH Ἐν ἀβύσσῳ πατισμάτων (№ 88)

ე: გადმოიცემა ი-თი

პაჯიოთის B Παγῶμιεῖσα (№ 5)
ო მონოს ილო L Ὁ μῆρας εἰδῶς (№ 10)
რისის ფროფიტინ L Πῆσαις προφητῶν (№ 19)
ტრის პელას HL Ἦσαις παῖδες (№ 140)

ე: გადმოიცემა ო-თი, ოი-თი, უ-თი და უი-თი

აბანტეს ლაუ HL Ἀπαντες λαοί (№ 63)
უმნონ სუი L Ἰμῶν σοι (№ 49)
უ პედეს L Οἱ παῖδες (№ 38)
დევტე ლაოი H }
დევტე ლაო L } Δεῦτε λαοί (№ 65)

ოა გადმოიცემა უ-თი და ო-თი

სუ BL Σὺ (№ 3)
...ო დილოს HL ...ὸ δειδῶς (№ 69)
მესიტის თეო H }
მესიტის თეუ L } Μεσίτης Θεῶν (№ 82)

აუ გადმოიცემა აე-ით

სუნ ტო თაემაო L Σὺν ἡμῶν μαμασίῃ (№ 18)
თაემატი L Θανάτατος (№ 44)

ეა გადმოიცემა ეე-ით

...ეესებიე L ...εὐσεβείῃς (№ 38)
დევტე LH Δεῦτε (№ 65)

ჩვენი ზიზნებელათვის ყველაზე საინტერესო მასალას გვაწვდის ზოგიერთი თან-
კმონის გადმოცემა, ესენია:

ხმოვნის წინ ო გადმოიცემა ჯ-თი

პაჯოთის B	Παζυ:αμεισα (№ 5)
ტონ ენ ფლოჯინ L	Ἦν ἐν φλογι (№ 48)
ანარხო ჯენტიტოროს L	Ἄναρχου ἑσσηῆτορος (№ 110)
ოფთისან ე პიჯი ტის O	*Ὁφθησαν αἱ πηγαὶ ἡῖς (№ 159)
ჯითომენი LO	Γηθόμενοι (№ 209)
...ეეჯის L	...εεαჯει; (№ 210)
...ფლოჯი O	...φλογι (№ 211)
ტონ ენ მორფი ანჯე OL	Ἦν ἐν μορφῇ ἀγγέλου (№ 215)
ეპი ტეს ჯი H, ჯის L	Ἐπὶ ἡῖς ἡῖς (№ 131)
ჯიენონ L	} Γγγων (№ 220)
ჯენონ O	
აპი ჯენე L	} *Ἄπας ἡγγων; (№ 221)
აპან ჯიენის O	

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბერძნულ საკუთარ და საზოგადო სახელებში ო ბგერა ქართულად რიგ შემთხვევაში ჯ-თი გადმოიცემა. ნ. მარისა და ილ. აბულაძის აზრით, ეს მოვლენა დამახასიათებელია ისეთი ბერძნული წარმომავლობის ტექსტებისათვის, რომლებიც ქართულად ქრისტიანულ არაბულიდან არაან თარგმნილი¹, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ახსნა ჩვენ ვერ გამოგვადგება, ვინაიდან მოტანილ მაგალითებში საქმე გვაქვს უშუალოდ ბერძნული სიტყვების ტრანსკრიფციასთან. ასე რომ, ტრანსკრიფციები გამოხატავენ ბერძნული ო ბგერის გავრცელებულ გამოთქმას იმ ბერძნულ წრეში, სადაც ეს ხელნაწერება იქმნებოდა, ე. ი. IX—X სს-ის პალესტინის საბაწმიდაში, სადაც არაბული გავლენა ბერძნულზე სავსებით მოსალოდნელი იყო². ეს კი დამატებითი დადასტურებაა იმისა, რომ ქართული ძლ-სპირნის უძველესი რედაქცია საბაწმიდის ჰიმნოგრაფიულ კერაშია შექმნილი.

წარმოდგენილი მასალა ბერძნული დიალექტოლოგიის სვეროს განეკუთვნება და სპეციალისტების მიერ ამ მხრივ, ალბათ, შეისწავლება კიდევ.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ო და ჯ-ს ქართულად გადმოცემის სხვა შემთხვევებიც.

ო გადმოიცემა ლ-თი

ო სკიონლრაფინ H	‘O σκισογράφος (№ 85)
ი ფონი ტუ ლოლუი H	‘II φωνή τῆς Ἀβγῶτα (№ 87)
ანტითეონ პროსტაგმა H	} ‘Αντίθεον πρόσταγμα (№ 95)
ანტიუთეონ პროსტალმა L	

¹ იოანე მოსხი, ლიმონარი. ტექსტი გამოკლეულია და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. 1960, გვ. 016. იხ. აგრეთვე: ა. შანაძე, ო ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 2, გვ. 224, სქ. 2, გვ. 226); უძველესი რედაქციები ბასილ კესარიელის იქმნება „ღვთაძა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანების „კაცისა აგებულებისათჳს“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკლეულია და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1964, გვ. 18; G. Garitte, La version géorgienne du „Pré spiruel“ (აზნაუბეკლი: Studi e Testi, № 22, 1954, გვ. 171—185); Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Сирийского монастыря. М.-П., 1940, გვ. 146, № 65 ხელნაწერის აღწერილობა.

² ს. ყაუხჩი შვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1963, გვ. 245

აპორი პასა ლლოსა L
 ემილალუნტე H
 ენულუ ფლოლა HL
 პანტა ტა ერლა HO

'Απορεῖ πῶτα γλῶσσα (№ 109)
 'Ἐπεγέλυσθη (№ 114)
 'Ἐνῆλοσ φλόγα πῦρος (№ 143)
 Πάντα τὰ ἔργα (№ 213)

ხმოენის წინ Ⴑ გადმოიცემა შ-თი

შერე ტო ტას HL	Χαίρεις τὸ τῆς (№ 56)
ისშოს H	'Ἰσχυῖ (№ 69)
ისშუს L	
იჲ ზ-ის არში H	'Ἰχθῖνὸς ὁ ζῷος ἀρχαῖός (№ 81)
იესუ ზოჲს არში L	
შერსონ HL	Χέρσον (№ 118)
ო ენ არში ან-არხო L	'Ο ἐν ἑργῇ ἀναρχος (№ 205)
შირას ეკებტასას O	Χείρας ἐκπετάσας (№ 208)
ლითოს ანიროთმა O	Λίθος ἀνεπίρρυτος (№ 219)

ჩვენ მოვიყენებთ ძლისპირთა ტრანსკრიფციებში ბერძნულ-ქართულ ბგერათა წესტყვეობების ანსახელი ზოგიერთი მაგალითი, რათა ამ გზით მკითხველმა ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას ტრანსკრიფციების მეცნიერულ ღირებულებაზე.

„გმეანი გალობა“ უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში

ტერმინი „გმეანი გალობა“ ჩვენ ავიღეთ ხელნაწერ Sin. 34-ის „საგალობელნი იადგარანი“ ანდერძიდან. ამ ტერმინს ეხმარობთ რეაქშიანი (რეა ხმაზე გაწყობილი) გალობის მნიშვნელობით¹. ამავე მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს იგი ანდერძშიც (იხ. აქვე, გვ. 049).

ქრისტიანულ ლეთესსახურებაში გალობა თავდაპირველად წარმოდგენილი იყო ფსალმუნით. მას დღესაც დიდი ადვილი უკავია ქრისტიანულ ლიტურგიკაში. V საუკუნიდან იქმნება პირველი ქრისტიანული ტროპარები, რომლებიც შემდეგ უფრო რთულ კომპოზიციებში—კონდაკიონებსა და კანონებში გაერთიანდა. ეს კომპოზიციები უკვე გულისხმობდა პირველი და მომდევნო ტროპარების ურთიერთკავშირს. თავდაპირველად ეს კავშირი შინაარსობრივი ხასიათისა იყო: მაკავშირებელი პირველი ტროპარი ბიბლიური გალობის ტექსტს წარმოადგენდა, რაც განსაზღვრავდა მთელი კომპოზიციის განწყობილებასა და შინაარსს. ბიბლიური ოდებრს დასაწყისები კანონის ოდების სახელწოდებათა სახით შემოგვიწინა კანონმა, ხოლო მაკავშირებელ ტროპარად ანუ ირძოსად იქცა ოდის ან გალობის პირველი ტროპარი, რომელიც შინაარსობრივ ეხმაურებოდა იმ ბიბლიურ ოდას, რომლის სახელწოდებასაც ატარებდა კანონის გალობა (ანუ ოდა). ქართულმა გალობანმა (ანუ კანონმა) ბოლომდე შეინარჩუნა გალობის (ანუ ოდის) სახელწოდებად ბიბლიურ ოდათა დასაწყისები². ბერძნულსა და სლავურ კანონებში უკვე X—XI საუკუნეებში ისინი შეცვალა ოდათა რიცხობრივმა აღნიშვნამ (I—IX ოდები).

¹ გმა (μαρ, ἵχος) არის დიატონური გამა, სადაც გარკვეული წესით მონაცელებენ ტონები და ნახევარტონები. მართლმადიდებელი ეკლესია გალობისათვის სარგებლობს რეაქშიანი ს-სტკმო.

² იხ. აქვე, გვ. 010.

ახლა ძლასპირები, კონდაკიონები და კანონები უკვე ვულასხოზდა პირველ და მომდევნო ტროპართა სილაბურ და მელოდიურ შეთანხმებას, რაც რიტმულა პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იყო. რიტმულა პოეზიის მამამთავრად ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ითვლება რომანიოზი, კონდაკიონების ავტორი¹. VII საუკუნის დასასრულიდან კონდაკიონები ჯერ შეცვალა, ხოლო შემდეგ გამოდგენა ღვთისმსახურებიდან ირმოლოგიური გალობის უფრო რთულმა სახეობამ—კანონმა, რომლის შექმნა და განვითარება დაკავშირებულია ორი დიდი პოეტი-მელოდოსის, კოზმა იერუსალიმელისა და იოანე დამასკელის, სახელთან.

მოკლე ისტორიულ ექსკურსში გვინდა შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ უბედულეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში ბიზანტიური „ჰმეანი გალობის“ ერთი სახეობის—კანონის განვითარების სურათი, ვინაიდან ძლასპირის უძველეს რედაქციათა წინამდებარე გამოცემა უშუალოდ ირმოლოგიურ გალობასთან, კერძოდ, ცისკრის კანონთან არის დაკავშირებული.

* * *

„ჰმეანი გალობა“ ანუ 8 ხმაზე გაწყობილი გალობა ქრისტიანული ეკლესიის პრაქტიკაში ადრევე (V საუკუნიდან) გავრცელდა. უძველესი ბერძნული ლიტურგიკული ძეგლების ქართულ თარგმნებში, კერძოდ VII საუკუნის „იერუსალიმის ლექციონარის“² ქართულ თარგმანში (თარგმნილია არაუგვიანეს VIII საუკუნისა)³, ჰმეან ტროპარებს გარკვეულად ადგილი აქვთ დათმობილია.

ჰმეანი ჰიმნოგრაფიული მასალა უფრო მდიდრად არის წარმოდგენილი IX საუკუნეში თარგმნილ ზილ-ეტრატის მოკლე იადგარში. ორივე ეს ძეგლი იერუსალიმის საეკლესიო პრაქტიკას ასახავს და საინტერესო მასალას გვაწვდის ადრე-ბიზანტიური (დამასკელადელი) პერიოდის ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის. ორივე ძეგლს ურთიერთშედარებამ და ამასთანავე შეპირისპირებამ X საუკუნის პალესტინური წარმომავლობის ქართულ იადგარებთან დაგვარწმუნა, რომ ამ ძეგლებში ჰმეანობის განვითარების სხვადასხვა საფეხურია ასახული.

„იერუსალიმის ლექციონარის“ მ. თარხნიშვილისეული გამოცემის ძირითად ნაწილში ხმებზე მიითითება ახლავთ: დასდებლებს, ოხითაჲს, იბაკოს, ალოლუჲას, ფსალმუნს⁴. მაგ.: „ყონ კუერქჳსი და ლოცვაჲ და თქუან იბაკოჲ ჰმაჲ დ გუერდი: მალათა ზედა დიდებაჲ, ქუეყანასა ზედა მშვლობაჲ“ (§ 3), „თქუან ფსალმუნ ზ გუერდი: უჯალჲან მწყსოს მე...“ (§ 4); „სიწმიდისაჲ ზ გუერდი: რაჲმე შეეწირო“ (§ 11); „ა დასდებელი ჰმაჲ ბ: შობასა უფლისასა ბეთლემს“ (§ 13); „დ დასდებელი ჰჲ ა გუერდი: აღესრულა თქუელი იგი წინაჲსწარმეტყუელთაჲ“ (§ 16); „მწუხრი ოხითაჲ ჰმაჲ ა: ეჲს“ (§ 33); „სამხრად ფსალმუნი ჰმაჲ ა: განადიდა ცხოვრებაჲ მე“ (§ 34); „წელბანისაჲ ა გუერდი: მღდელნი განწიდედილ“ (§ 40) და სხვა.

¹ რომანიოზის შესახებ ლიტერატურა მეტად დიდი, მისი შემოქმედების შესახებ იხ. ს. ყაუხჩი-შვილი. ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია. 1963, გვ. 138—149.

² K. C. Кекелидзе, Иерусалимский Канонар, Тифлис, 1912, გვ. 24, 26.

³ Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem (V^e—VIII^e siècle), édité par M. Tarchnischvili, t. I. Louvain, 1959. ტ. II, 1960. მ. თარხნიშვილს თავისი გამოცემისათვის გამოუწვევლი აქვს ლექციონარის 4 უძველესი ნუსხა: კალის, ლატალის, პარიზისა და სინური (Sin. 37). სინური ლექციონარის, დანარჩენი ნუსხებისაგან განსხვავებით, ახლავს დამატებითი (II) ნაწილს, რომელიც შეიცავს ტროპარებს (დასდებულთა) სრულ ტექსტებს, რომელთაც განსაკუთრებულ წინამდებარე აქვთ ადრე-ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის.

ტროპარებთან და ფსალმუნებთან მითითებულია მხოლოდ ხმები. ყოველი ტროპარი დასრულებული ერთეულია და ლექციონარში მოტანილია ტროპარის მხოლოდ დასაწყისი. კანონს, როგორც გარკვეულ პოეტურ კომპოზიციას, ლექციონარი არ იცნობს¹, ბუნებრივია, არ იცნობს არც ძლისპირს. ტროპარების სრული ტექსტები შემოგვინახა ლექციონარის მხოლოდ სინურმა ნუსხამ (Sin. 37)². ლექციონარის ეს სინური ნუსხა გადაწერილია X საუკუნის ცნობილ ლატურგისტისა და ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს მიერ.

ლექციონარის სინურ დამატებაში ტროპარებისა და ფსალმუნის ტექსტების ერთ ნაწილთან მითითებულია მხოლოდ ხმები (ძლისპირები არც აქ არის). დასდებლები წარმოდგენილია ერთი ტროპარით ან ტროპართა ჯგუფით. ლექციონარის ამავე ნაწილში ფსალმუნის ტექსტების მიმართ ხშირად იხმარება ტერმინი „წაქცევით“, რომელიც ფსალმუნის რეჩიტატიულ, ფსალმოდირ შერულებზე უნდა მიუთითებდეს. მაგ.: „ფსალმუნი დავითისა: თ: წაქცევით: აგიაო შენ, უფალო, ყოვლითა გულ., ვიდრე—ქუეყანასა ზედა“ (ტ. II, გვ. 139: 143)³. „ფსალმუნი დავითისა: ზ: წაქცევით სთქუა: უფალო ღმერთო ჩემო, შენ გესაე, მაცხ., ვიდრე—უფლისა მალღისასა“ (ტ. II, 138: 137)⁴.

„წაქცევით“ სათქმელ ფსალმუნთან, ჩვეულებრივ, ხმა მითითებული არ არის. როდესაც ფსალმუნთან ხმა არის მითითებული, მაშინ ფსალმუნის ტექსტი ერთი რომელიმე მუხლის დასაწყისით არის წარმოდგენილი. ხოლო როდესაც ფსალმუნი „წაქცევით“ უნდა შესრულდეს, მაშინ მოტანილია ფსალმუნის პირველი მუხლის დასაწყისი და უკანასკნელი მუხლის ბოლო წინადადება, რაც იმას ნიშნავს, რომ ფსალმუნი თავიდან ბოლომდე უნდა იქნეს „წაქცევით“ თქმული.

ამგვარად, ლექციონარში შეტანილია მასალის შესრულების სამნაირი წესი არსებობდა: 1. ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების, კვერქესებისა და ლოცვების კითხვა („იკითხონ საკითხავნი და კვერქესნი და ლოცვაე მუხლომდრეკით“, „...და იკითხონ სახარებაჲ“ ტ. II, გვ. 133: 4).

2. გალობით თქმა (ხმაზე): დასდებლების, ფსალმუნთა მუხლების, იბაკოსი, ოხითასი და სხვ.

3. „წაქცევით“ თქმა ფსალმუნისა.

ვინაიდან ლექციონარში ძირითადი მასალა საკითხავებია, მოსალოდნელი იყო ლექციონარის ხელნაწერებში ეფონეტიკურა ნიშნების ხმარება, მაგრამ არც ერთ უძველეს ლექციონარში ეს ნიშნები დადასტურებული არ არის. ფსალ-

¹ კ. კეკელიძე ლექციონარის ქართულ თარგმანში ანდრია იერუსალიმელის სტიქარონების არსებობას ვარაუდობს (იხ. დასახ. წიგნში, გვ. 26), რომელიც, მისი აზრით, ლექციონარის ბერძნულ დედანში უნდა შეტანილიყო უფრო გვიან (VIII საუკ. პირველ ნახევარში). ამ ვარაუდისათვის კ. კეკელიძის მიერ მოტანილი საბუთები არ გუჩვენებთ საქმარისად, მ. თარხნიშვილი კი წერს, რომ ლექციონარში შესული ლიტურგიული ჰიმნები იმ ზომამდე არქაულია, რომ ისინი არ შეიძლება VI საუკუნეზე გვიანდელი იყვნენ (მ. თარხნიშვილის დასახ. გამოც. ტ. I, გვ. XIV).

² ტროპარების სრული ტექსტები გამოქვეყნებულია ლექციონარის მ. თარხნიშვილისეული გამოცემის II ტომში, გვ. 133—144. Sin. 37-ის შესახებ იხ. დასახ. გამოცემის ტ. I, გვ. VII—VIII.

³ მოტანილია მეცხრე ფსალმუნის პირველი მუხლის დასაწყისი და უკანასკნელი (39-ე) მუხლის ბოლო სიტყვები (იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზეჯალა შანიძემ. 1960, გვ. 14—23). ე. ი. წაქცევით სათქმელია მთელი მეცხრე ფსალმუნი. ასეთივე ვითარებაა ფსალმუნიდან ქვემოთ მოყვანილ სხვა მაგალითშიც.

⁴ ტერმინი წაქცევით-ის შესახებ იხ. „ლექციონარის“ მ. თარხნიშვილისეული გამოცემა, ტ. II, გვ. 161.

მუნის „წაქცევით“ თქმაც, საფიქრებელია, ზეპირი ტრადიციით ვრცელდებოდა, ეფონეტიკური ნიშნების გამოყენების გარეშე.

შესაძლებელია ტერმინი „წაქცევით თქმაც“ არ იყოს თანადროული „იერუსალიმის ლექციონარის“ ქართულად თარგმნისა, ვინაიდან ეს ტერმინი გვხვდება მხოლოდ სინური ლექციონარის მეორე, დართულ ნაწილში, რომელიც სხვა ლექციონარებში (კალის, ლატალის, პარიზის) არ არის შესული.

ლექციონარის II ნაწილის ცალკეულ ტროპართა თუ მრავალტროპარიანი დასდებლების ტექსტები ფასდაუდებელი მასალაა აღრებიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის. ამ მასალას, ალბათ, თავისი მკვლევარი გამოუჩნდება, ჩვენი მიზნებისათვის კი ამ შემთხვევაში საინტერესოა შემდეგი: ცალკე ტროპარებს თუ მრავალტროპარიან ჯმეან დასდებლებს არა აქვთ ძლისპირები. მრავალტროპარიან დასდებლებში ტროპარები მარცვალთა რაოდენობით ერთმანეთისაგან დიდად სხვაობენ. მაშასადამე, სილაბური პრინციპი არ შეიძლება მივიჩნიოთ ტროპარების დასდებლებში გაერთიანების პრინციპად. ლექციონარი არ იცნობს კანონს, როგორც გალობათა გარკვეულ კომპოზიციას.

* * *

ძველი ბიზანტიური ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქილ-ეტრატის იადგარი¹, ანუ მოკლე სადღესასწაულო, რომელიც შეიცავს: მარხვის კვირათა და აღსების საგალობლებს, საუფლო დღესასწაულებისა და ზოგიერთი დიდი დღესასწაულისათვის განკუთვნილ ჰიმნოგრაფიულ მასალას

ჯმეანი ჰიმნოგრაფიული მასალადან იადგარში ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია: 1. სტიქარონები, ჰიმნოგრაფიულ ფორმათა უძველესი სახეობა. სტიქარონები, ჩვეულებრივ, მრავალტროპარიანია, რაც აგრეთვე მათ არქაულობაზე მიუთითებს. 2. ჯმეანი კანონი სრული (8—9 ვალობისაგან შემდგარი) და არასრული (2—3 ვალობისაგან შემდგარი). სრული კანონები იადგარში მცირე რაოდენობითაა შეტანილი. უფრო ხშირია არასრული სახის კანონი.

სრული კანონები მოტანილია მხოლოდ საუფლო დღესასწაულებზე და ლოკალური მნიშვნელობის დიდ დღესასწაულებზე. ზოგიერთ კანონში გალობებთან მოტანილია ბიბლიურ გალობათა დასაწყისები. გალობათა ტროპარებს არა აქვს რიტმული პუნქტუაცია. გალობის ტროპარებს შორის მარცვალთა თანაფარდობა დაკლები არ არის. გალობის ერთეულია ტროპარის სტროფი.

ქილ-ეტრატის იადგარის კანონი უძველესი სახისაა, მაგრამ ის მაინც არ არის კანონის პირველსახე. ცნობილი ლიტურგისტის ა. ბაუმშტარკის დაკვირვებით, ბიზანტიური ლიტურგიკის უძველეს ძეგლებში ბიბლიური საკითხავების გვერდით სრულდებოდა რეჩიტატივით შესასრულებელი 9 ბიბლიური ვალობა, რომელსაც ის ბიზანტიური კანონის პირველსახეს უწოდებს. შემდგომ ბიბლიური ვალობები თანდათან ადგის უთმობენ ახალ პოეტურ ელემენტს—სტიქოსს ან ტროპარს, რომლებიც თავდაპირველად ბიბლიურ ვალობათა სამკაულად იყო განკუთვნილი და წინაარსობრივადც მკიდროდ იყო მასთან დაკავშირებული. კავშირი ბიბლიურ

¹ ქილ-ეტრატის იადგარის (H 2123) შესწავლა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული თვალსაზრისით და მისი გამოყენება განიხილები აქვს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

გალობებსა და ტროპარებს შორის თანდათან სუსტდებოდა და ბოლოს კანონს ბიბლიური გალობებიდან შერჩა მხოლოდ გალობათა სახელწოდებები, შერქმეული ბიბლიურ გალობათა დასაწყისების მიხედვით, ტროპარებს კი დოქსოლოგიური ფრაზა-ფორმულები¹. შემდგომ კანონი, როგორც პოეტურ-მუსიკალური კომპოზიცია, ვითარდება თავისი საკუთარი გზით და სრულყოფილ, საბოლოო სახეს ღებულობს იოანე დამასკელის პიმნოგრაფიულ შემოქმედებაში.

ქილ-ეტრატის იადგარის კანონი დამასკელის წინა პერიოდის კანონია. ბიბლიურ გალობათა დასაწყისები, რომლებთანაც შინაარსობრივად დაკავშირებულია კანონის გალობა, გალობებთან ხან არის და ხან არ არის მოტანილი. გალობის პირველ ტროპარს არა აქვს ძლისპირის ფუნქცია, როგორც ეს არის დამასკელისა და მისი შემდგომი დროის პიმნოგრაფიაში. ამდენად, არ არის დაცული ტროპარებს შორის სილაბური თანაფარდობა. გალობა სტროფული შედგენალობისაა. სასულიერო გალობის ამ ფორმას პ. ინგოროყვა „წყობილ სიტყვა რიცხვებს“ უწოდებს და შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ძველ-ქართული თავისუფალი უმარცვლო ლექსი, შინაარსობრივ-ტაქტობრივი რიტმიკით. ამ თავისებური ლექსის რიტმიკას ქმნის არა „მარცვლელობა“ ტაქტებისა, არამედ „რიცხვლეობა“ შინაარსობრივად შეკრული ტაქტებისა (სახეთა პარალელოზმის ფართო გამოყენებით)“².

წყობილი სიტყვით დაწერილი საგალობლები ბიზანტიასა და შესაბამისად საქართველოშიც გავრცელებული იყო VIII საუკუნემდე. ამ დროიდან ისინი იოანე დამასკელის კანონებმა განდევნა ლიტურგიული პრაქტიკიდან, მაგრამ არა მთლანად, ვინაიდან X საუკუნის ქართულ იადგარებში ახლის გვერდით ძველი, წყობილი სიტყვით დაწერილი გალობანიც არის გადმოსული. ქილ-ეტრატის იადგარი კი არის აღრებიზანტიური პიმნოგრაფიის ნიმუშების ყველაზე ტიპური კრებული.

ამ იადგარის ზოგადი მნიშვნელობა ამომწურავად წარმოადგენს კ. კეკელიძე. იგი წერს: „В молитвословиях и песнопениях месяцесловной части явно сквозят VII—VIII вв., — период напряженной гимнографической деятельности в главных центрах тогдашнего византийского мира, давший массу стихир, канонов и тропарей, большей частью ныне, к сожалению, неизвестных, которые размещаясь в порядке месяцеслова, положили основание служебных Миней, сначала кратких, — праздничных, какой является и наша рукопись в месяцесловной своей части, а затем: подробных — всенедельных. Если иметь в виду, что самым древним памятником праздничной Минеи до сих пор считался указываемый Анжело Ман³ в Ватиканской библиотеке отрывок её на сирском языке, относимый им к IX веку, то научное значение нашего памятника, заключающего в себе Минею первичной, можно сказать, формации, само собой понятно. Что же касается другой, триодной, части данной рукописи, то и в ней есть данные, говорящие в нашу пользу. Триодь данной рукописи, будучи гораздо короче теперешней, древнее времен Феодора Студита; это видно из того, что в ней нет канонов и вообще песнопений Феодора Студита, а во вторых, она не знает не только теперешнего обозначения недель

¹ A. Baumstark, Liturgie comparée. Principes et méthodes pour l'étude historique des liturgies chrétiennes. III édition, 1953, გვ. 27—28.

² პ. ინგოროყვა, თხზულებანი, III, გვ. 20.

³ იხ. Сергий, Полный месяцеслов Востока, т. I, стр. 201.

великого поста, но и того, какое мы находим в древнейших Триодях студийских и иерусалимских: она не выделяет даже третьей недели в смысле теперешней и древнейшей средопостной — крестопоклонной¹.

ჰილ-ეტრატის იადგარი არის უძველესი ტიპის სადღესასწაულო, რომელიც ასახავს ბერძნული სადღესასწაულო წიგნის ჩამოყალიბების მეტად ადრეულ ეტაპს, თუ პირველს არა. ეს იადგარი შეიცავს ბერძნულ ჰიმნოგრაფიულ პროდუქციას, შექმნილს ბიზანტიის ჰიმნოგრაფიისა და მწიგნობრობის უძველეს და უძლიერეს ცენტრში, საბაწმიდის მონასტერში, სადაც ამ საუკუნეებში ბერძნები ინტენსიურ ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებას ეწეოდნენ და სადაც უნდა იყოს თარგმნილი, გადაწერილი და ჩამოყალიბებული ჰილ-ეტრატის იადგარის ქართული დედანიც.

კ. კეკელიძის დაკვირვებით, ჰილ-ეტრატის იადგარში არ არის ასახული თეოდორე სტუდიელის ჰიმნოგრაფიული შემოქმედება, ამდენად კრებული ბიზანტიური სადღესასწაულოს IX საუკუნეზე ადრეულ ტიპს წარმოადგენს. შეიძლება ქრონოლოგიური ფარგლების უფრო მეტად დავიწროება — ჰილ-ეტრატის იადგარში არ ჩანს არც საბაწმიდის დიდი რეფორმატორების იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის კანონები და სტეჰანონები, რის გამოც ამ იადგარის ბერძნული ჰიმნოგრაფიული მასალის შექმნის დრო VII საუკუნით შეიძლება შემოიფარგლოს.

* * *

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული კანონის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია VII—VIII საუკუნეების საბაწმიდურ ჰიმნოგრაფიულ სკოლასთან, კერძოდ, იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის მოღვაწეობასთან². თუ რა სიახლე შეიტანა იოანე დამასკელმა ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში თავის წინამორბედებთან შედარებით, ამის შესახებ ზოგიერთ ცნობას გვაწვდის იოანე დამასკელის ცხოვრება³: „...ამისთვის ოქრონექტარ სახელ-ედება მას, რამეთუ ჯორციელად შობაჲ სიტყუსა ღმრთისაჲ ყოვლად წმიდისა მარადის ქალწულისა მარიამისაგან ზედა-მიწეებით გამოსახა და განაცხადა, და თუთ ყოვლად უბიწოა იგი დედაჲ ღმრთისაჲ ყოვლითა კერძოთა და თითო-სახითა სატყუთა შესხმისათა და კეთილად შეწყობილებითა საგალობელთათაჲთა შეამკო, რომელთა მიერ იშუებს და იხარებს სამღვდელთა ესე კრებული ქრისტეს მოსახელე, და სადღესასწაულოთა და საუფლოთა დღეთა დიდთა კრებათასა ჭეროვნად შეზავებითა გალობათა მწყობრისაჲთა⁴ დატყუების და განბრწყინების“ (გვ. 144).

ამ დახასიათებაში კარგად არის დაქვრილი იოანე დამასკელის გალობანის დოგმატიკური ძალა და ხასიათი, აგრეთვე ისიც, რომ დამასკელმა ლეთისმშობელს მრავალი შესხმა და გალობა უძღვნა, რის გამოც ამ დროიდან ლეთისმშობლის

¹ К. С. Кекелидзе, Литургические памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908, стр. 351—352.

² A History of Byzantine Music and Hymnography by E. Wellesz, II გამოც., გვ. 266.

³ იოანე დამასკელის ცხოვრება დაწერა ძველი მოსახსენებლების საფუძველზე მიქაელის მიერ 1025 წელს არაბულ ენაზე. დაწერის უმაღლე იგი ითარგმნა ბერძნულად ადანის მიტროპოლიტის სპოვილის მიერ. ბერძნულად ქართულად „ცხოვრება“ ითარგმნა ფერმ მცირემ (იხ. К. С. Кекелидзе, Грузинская версия арабского Жития св. Иоанна Дамаскина: Христианский Восток, т. III, вып. II, 1914, გვ. 119—174).

⁴ „გალობათა მწყობრი“ უნდა იხმარებოდეს კანონის მნიშვნელობით, რომელსაც ქართველები „გალობას“ უწოდებენ.

კულტი დიდად გაიზარდა მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურებაში; ამასთანავე აღნიშნულია იოანე დამასკელის დამსახურება „გალობათა მწყობრის“ გაწყობასა და „ჯეროვნად შეზავებაში“.

თუ რა ხასიათის იყო იოანე დამასკელისა და მისი თანამოღვაწის კოზმა მაიუმელის მიერ „კეთილად შეწყობილი გალობა“, ცხოვრების ავტორი ამის შესახებაც გვაწვდის ცნობებს: „უფროსლა უბიწოებითა სიწმიდისაჲთა მათ თანა მკვლრად აქუნდა ღმერთი, რომელი-ესე ზედა-მიწვევით ისწავებინ და იცნობების აღწერილთაგანცა მათთა და მართლმადიდებელობისა შჯულთა და სწავლათაგან, რომელნი-იგი მათ საზომითა მარცულედოვნითა აღწერნეს და ღმრთივ-შუენიერებითა (!) კილოებითა შეამკუნეს“¹. ამრიგად, ცხოვრების ავტორი და მასთან ერთად ეფრემიც იოანე დამასკელის შეთხზულ საგალობლებს „მარცვლოვანი საზომით“ დაწერილად მიიჩნევენ. საფუძვლებლია, ეს იყო იოანე დამასკელის პოეზიის გაერცვლებული კვალიფიკაცია შუა საუკუნეებში. „საზომი მარცვლოვანი“ არ უნდა იყოს საკუთრივ იოანე დამასკელის დასდებულთა საღვქსო საზომის სახელწოდება, არამედ მეტრულად მოწესრიგებული მეტყველების—ლექსის საერთო სახელწოდება (განუჩრებლად იმისა, თუ რა ხასიათის მოწესრიგებასთან გვაქვს საქმე). ეფრემ მცირემ „ელინთა ზღაპრობანი“ თარგმანში ჰომეროსიდან მოტანილი სტროფის მიმართაც იხმარა „სიტყუაჲ მარცულედი“², რაც პ. ინგოროყვამ საკუთრივ სასულიერო საგალობლის საღვქსო ფორმის აღსანიშნავ ტერმინად („საგალობელთა მარცვლედი“) გამოიყენა³.

იოანე დამასკელის საგალობელთა ერთი მცირე ნაწილი დაწერილია იზომეტრულა იამბიკოთი, ხოლო გალობათა და სტიქარონთა უდიდესი ნაწილი კი დაწერილია ასიმეტრიული ტროპარების სახით, სადაც ტროპარის ტაქები მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობას შეიცავენ, ამავე დროს გალობის პირველი ტროპარი (ძლისპირად ანუ ირმოსად წოდებული) ტაქათა მარცვლოვანებით მეორდება იმავე გალობის მომდევნო ტროპარებში, ე. ი. მეორდება მარცვლოვანება მთელი ტროპარისა, რის გამოც ეს ტროპარი მეტრულ მნიშვნელობას იძენს შემდგომი ტროპარებისათვის და მყარდება მეტრული თანაფარდობა ძლისპირ-ტროპარებს შორის. შეიძლებაოდა გეფიქრა, რომ „მარცვლოვან საზომს“ „ცხოვრების“ ავტორი მხოლოდ იამბიკური საზომით დაწერილ საგალობელთა მიმართ ხმარობს. ამ დაშვებისათვის არ არის საკმარისი საფუძველი ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც ზემოთაც ითქვა, იამბიკური საზომით დაწერილი გალობები ისე მცირეა, რომ არ შეიძლება „ცხოვრების“ ავტორი მხოლოდ ამ ჯგუფს გამოყოფდეს იოანეს ჰიმნოგრაფიული შერეოქმედების შეფასებისას. გარდა ამისა, „ცხოვრებაში“ იოანეს შემოქმედების ნიმუშად მოყვანილია ერთი ვრცელი დასდებელი, მიცვალებულის დასაფლავების დროს სათქმელი⁴, ამ დასდებლის ქართული თარგმანი იამბიკური საზომით არ არის დაწერილი.

ამრიგად, იოანე დამასკელის ცხოვრების ავტორს „მარცვლოვანი საზომით“ დაწერილად მიაჩნია როგორც იამბიკური გალობანი, ასევე ასიმეტრიული დასდებლებისაგან შემდგარი გალობანი და მათ უპირისპირებს ჰიმნოგრაფიაში მანამდე გაერცვლებულ საგალობლებს⁵.

1 იქვე. გვ. 148—149.

2 ი. აბულაძე, „ელინთა ზღაპრობანი“: ენიქის მოამბე, X, 1941, გვ. 28.

3 პ. ინგოროყვა, თხუხულებანი, III, გვ. 16 და 51.

4 იოანე დამასკელის ცხოვრების დასახ. გამოცემა, გვ. 162.

5 რიტმული პოეზიის „მარცვლოვანი“ ხასიათი დღახან ექვს ქვეშ იყო დაყენებულ მკვლევარების მიერ. არც დღეს არის ეს ყველას მიერ გაზიარებული. შესასუენების მოღვაწეთათვის კი.

კონკრეტულად თუ რა მომენტებს შეიცავდა დასდებლის თხზვა, ესეც კარგად არის ნაჩვენები „ცხოვრებაში“: იოანემ „...მყის გამოთქეუა დასდებელი იესე: ჰეშმარიტად ამოუბაარსყოველიეე, ხოლო საწუთროე ესე სიზმარ დააჩრდილ, და რამეთუ ცუდად შურების ყოველი მიწით-შობილი...“, შემდგომად გამოთქმისა (დასდებლის—ე. მ.), კილოს დებდა რაჲ იოანე და გალობდა, დაემთხვია ზედმოსლვაჲ...“¹

მოტარცილი ადგილებიდან აშკარად ჩანს, რომ იოანე დამასკელი პირველ რიგში „მარცხელდოვანი საზომით“ გამოთქვამდა დასდებელს, ხოლო შემდეგ დებდა მას კილოზე. ცხადია, კილოს წყობა „ტმეანობის“ ჩარჩოებით იყო რეგლამენტირებული.

ბერძნულ ირმოლოგიონთა და ლიტურგიკულ ძეგლთა ძველი ხელნაწერების მოულწელობის გამო ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რა სახეს ატარებდა თავდაპირველად იოანე დამასკელის საგალობელი: გამოყოფილი იყო თუ არა ტროპარებში ტაეები მეტრული პუნქტუაციით, ახლდა თუ არა ტექსტს ნეემები კილოს გადმოსაცემად? უფრო სავარაუდებელია, რომ პირველი პოეტ-მელოდოსების გალობანი ვრცელდებოდა ზეპირად და ამიტომ არ იყო საჭიროება არც ტექსტის მეტრულა დაყოფისა და არც ნეემებისა. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა უძველესი ქართული KaO ირმოლოგიონი (იხ. აქვე ტექსტები, 1), სადაც ძლისპირის გაბნულ ტექსტებში მეტრული პუნქტუაციის ნაცვლად სასვენო ნიშნებია დასპული. ძლისპირთა მეტრული დაყოფა საჭირო გახდა მაშინ, როდესაც დაიწყო ნეემების საშუალებით ძლისპირის კილოს საგალობლის ტექსტზე ფიქსაცია, ვინაიდან ძლისპირის მეტრული მონაკვეთები მელოდიური ფრაზის ტექსტებზე განაწილების საფუძველი იყო.

პოეტ-მელოდოსებთან ტროპარის ტაეები და მელოდიური ფრაზა ერთმანეთთან შეწყობილი იყო, ამიტომ ტროპარის მეტრული ერთეული (ტაეები) ამავე დროს იყო რიტმული მონაკვეთი, რომელზედაც ნაწილდებოდა მელოდიური ფრაზა. მაგრამ შემდეგ, როდესაც ძველ ძლისპირებთან ხდებოდა ახალი ტროპარების შეწყობა, ახალ ტროპარებში ხშირად ირღვეოდა ძლისპირის მეტრული სახე კილოსთან შეწყობის პროცესში და მის ადგილს იკავებდა ტროპარის რიტმული დაყოფა, ტაეებთან კილოს შეწყობით გაპირობებული. მეტრული ერთეული ტაეები შეცვალა რიტმულმა ერთეულმა. ხოლო ვინაიდან ახალ ტროპარზე ძლისპირის კილოს მელოდიური ფრაზების განაწილების რაიზე მტკიცე კანონი არ არსებობდა, ამიტომ ტროპარის რიტმული დაყოფაც არ იყო ყოველთვის ერთნაირი, რასაც ადასტურებს რიტმული დაყოფის თვალსაზრისით ბერძნული ირმოლოგიონის ტექსტების ურთიერთშედარება (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ, გვ. 056).

ბიზანტიური გალობის რიტმს H. J. W. Tillyard-ი „თავისუფალ რიტმს“ უწოდებს², მაგრამ გადახრები ტროპარის თავდაპირველი მარცხელდოვანი სტრუქტურიდან ძირითადად ჰაინც ამავე სტრუქტურის ფარგლებში და ამავე სტრუქტურასთან შეფარდებით ხდებოდა (ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 083). საგალობლის ინდივიდუალური შესრულების მანერა, თუნდ მგალობელთა სკოლის ტრადიციაც არ არის უკანასკნელა მნიშვნელობის ფაქტორი ძლისპირ-ტროპართა მარცხელდოვანი წყო-

რომელთაც შესისწავროცხელი ჰქონდათ იოანე დამასკელის პოეზია. ეს უეჭო იყო. იხ. В а с и л - л ъ в А., О греческих песнопениях. В. Вр., т. II, вып. 3 и 4. გვ. 592—593.

¹ იოანე დამასკელის ცხოვრების დასაბ. გამოცემა, გვ. 161—162.

² Handbook of the Middle Byzantine Musical Notation by H. J. W. Tillyard. M. M. B., Subsidia, vol. I. 1935. გვ. 13.

ბიდან გადახრების ასახსნელად. ძლისპირ-ტროპართა მეტრული თანფარდობის ხშირი დარღვევის მიუხედავად ბიზანტიური პოეზია მაინც „მარცვლედოვანა“, სადაც „მარცვლედოვნება“ მახვილთა გარკვეულ თანმიმდევრობასაც გულისხმობს. ბიზანტიური პოეზიის ამგვარ კვალიფიკაციას არ უნდა შეუშალოს ხელი არც იმან, რომ ბიზანტიური პოეზიის „მარცვლედოვნება“ არსებითად სხვაობს კლასიკური ლექსის მარცვლედოვნებისაგან. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ის კილოსთან წეწობის პროცესში ადვილად იტანს ტროპარის მარცვლედოვან სტრუქტურაში ზოგიერთ დარღვევებსა და ცვლილებებს¹.

თუ რა წესების მიხედვით იქმნებოდა ბერძნული რიტმული პოეზიის ცალკეული ტროპარი თუ ტროპართა ჯგუფი (გალობა) და როგორ ხდებოდა ტროპარისათვის (ანუ დასდებლისათვის) კილოს შეწობა, ეს საკითხი ძირითადად გარკვეულია: მარცვლედოვანი საზომით დაწერილი პირველი ტროპარი დაყოფილია არასიმეტრიულ ტაეპებად (გარდა იამბიკოსი) მახვილთა გარკვეული თანმიმდევრობის დაცვით. ტაეპთა გამოყოფა წერტილი. ტროპარის (სტროფის) ტაეპებზე ნაწილდება კილოს გელოდიური ფრაზები ან საქცეები, რომელთა ჯამი ტროპარის ფარგლებში ქმნის ტროპარის კილოს, რომელაც თავის მხრივ განსაზღვრულია ხმის წყობითა და მელოდიაურ-ინტონაციური თავისებურებით.

კილოს ჩვენ ეხმარობთ ძლისპირის მელოდის მნიშვნელობით, რომელზედაც სრულდება გალობათა თუ სტიქარონთა ტროპარები. ამგვარი მნიშვნელობით ხმარობს მიქაელ პროტოკოლი კილოს თავის იდგარში: „საუთარენო, უკეთე ერთსა ძლისპირსა ზედა რომელმე კილოა ერთი ორგვარად იყოს აღნიშნულ, ნუ უცხო გინს. ნუცა ურთიერთსა წინააღმდეგობ, რამეთუ რომელმე შრავლისა ძლისპირისა ერთი კილოა ორგვარად არს მგებრად, ხოლო შენ რომელი გინე. ბრძანე, რამეთუ ორივე ქეშმარიტ არს“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1960, გვ. 545). აქ იგულისხმება ერთი კილოს (მელოდის) ვარიანტული სახეობანი. რაც სათანადოდ წარმოსახებოდა აღისპირის ნეუმურ აღნიშვნებშიც (ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მგებრისა“ გაგებისათვის, გვ. 174). კილოს მონაცვლე ტერმინი უნდა იყოს აე აჭ რ.

ამ მნიშვნელობით იხმარება ავაჯი გიორგისეული პარაკლიტონის XI საუკუნის ხელნაწერის საინტერესო მინაწერში, რომელიც ეკეთენის ხელნაწერის (A—93) გადამწესხველს. მინაწერი წინ უძღვის პარაკლიტონის ერთ ნაკვეთს—„მომიხსენესა ზედა დასდებელნი ადგომისანი“ — და ეხება ამ დასდებლების ძლისპირებს: „ნებთა ღმრთისაათა ნომიკსენენი რვათა ქმათანი: კვრაკეთა—ორ-ორი წყვილი, ხოლო სხუთა დღეთა — თითოა; ეინაფთგან კელა რომელთამე ქმათა დარღვანნი იყვნეს და რომელთამე წერტილნი, ეთარიკა ძლისპირი მოუკიდოდა, გინა ორ ღრტყვისაა, გინა გალობათაა, ყოვლად უმბიდასა მამასა ჩვენსა გიორგი მთაწმიდელსა მას ზედაცა უთარგმნიან თვთოეულისა ქმისანი. და ძლისპირსა ნუენი იტყეს, რამეთუ აე აჭ ის ათ ე ს ო დენ ზის თავი. თუ არა, სხუაა არაა აქეს კელი“ (178r).

ავაჯი აქ ძლისპირის კილოს ანუ მელოდის მნიშვნელობით იხმარება. ასევე განმარტავს მას კ. კეკელიძე „ეგრუსალამის კანონარის“ ლექსიკონში (Иерусалимский канонник, გვ. 323). ავაჯი კილოს მნიშვნელობით იხმარება X საუკუნის იადგარებში დამოწმებულ ტერმინში თ ე თ ა ე ა ჟ ი. თვითავაჯი ისეთი გალობაა, რომელიც დაწერილია არა ძლისპირის კილოზე, არამედ საკუთარ კილოზე.

¹ ბიზანტიური პოეზიის სიღრმის სტრუქტურის შესახებ ჭარბად საუცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისებია გამოთქმული. იხ.: ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1963, გვ. 131—138; პ. ინგროყეა, თხზულებანი, III, გვ. 52—60; გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტუკის საკითხები: ლიტერატ. ძეგლანი, XII, 1959, გვ. 177—195; ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, 1962, გვ. 216; ა. გაწერელია, ქართული ვერსიუკაციისა და ჰიმნოგრაფიის საკითხები: მნათობი, 1969, № 3; შ. ასლანიშვილი, ნარკვევები, 1954, I, გვ. 15—16.

3. გვახარია არ ეთანხმება ავაჯის კ. კეკელიძისეულ განმარტებას. მას ავაჯი ესმის არ- როგორც კილო, არამედ საერთოდ სიმღერით შესრულება, რის დასამტკიცებლადაც მოჰყავს მაგალითები ქართულ საგლობელთა XIX საუკუნის ჩანაწერებიდან, სადაც სა- გლობელთა შესრულების ორნაირი წესია მითითებული — „წართქმით“ და „ავაჯით“. ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „რეჩიტატივის ძველ ქართულში „წართქმა“ ეწოდება. „წართქმის“ საპირისპირო ტერმინია „ავაჯი“, რომელიც სიმღერით შესრულე- ბას აღნიშნავს და არა კილოს. როგორც ეს აღნიშნულია კ. კეკელიძის გამოცემა „იერუ- სალამის კანონზე“ დართულ ლექსაკონში“ (ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, გვ. 51). ვფიქრობთ, აქაც ა ვ ა ჯ ი კ ი ლ ო ს ნ ი შ ნ ა ე ს. საგლობლის სიმღერით შეს- რულება მის კილოზე შესრულებას ნიშნავს, საპირისპიროდ რეჩიტატიული შესრულე- ბისა; მაგრამ აქვე მიიღია შევნიშვნა, რომ ტერმინების მნიშვნელობა ერთმანეთისაგან 9—10 საუკუნით დაშორებულ წერილობით ძეგლებში კი არა, ზოგჯერ ერთი საუკუნის თუ ერთი ეპოქის ძეგლებშია განსხვავებული, ამიტომ X საუკუნის ტერმინების ასხნისა- თვის XIX საუკუნის ჩანაწერების მოხმობის დროს მკვლევარს დიდი სიფრთხილე მარ- თებს.

ივარაუდება, რომ ტროპარის ტაეპში გარკვეული თანმიმდევრობით განლაგე- ბული მახვილები შეწყობილი უნდა იყოს კილოს მელოდიური ფრაზების აქცენ- ტებთან, რათა არ დაირღვეს მელოდიის ინტონაციური სახე, ერთი მხრით, და ბერძნული სიტყვის ბუნებრივი მახვილი, მეორე მხრით.

ტაეპები თავისი სილაბიკით და მახვილთა განლაგებით გარკვეული რიტმული ჩარჩოა კილოს მელოდიური ფრაზისათვის; ეს ჩარჩო აუცილებელია მელოდიური ფრაზების (საქცივების) განაწილებისათვის ტროპარის რიტმულ მონაკვეთებზე, რათა გაადვილდეს რიტმულად მოწესრიგებული მელოდიური ფრაზის ამავე სახით განმეორება ვალობისა თუ სტიქარონთა დანარჩენ ტროპარებში, რომლებიც სილა- ბიკითა და მახვილთა თანმიმდევრობით პირველი ტროპარის განმეორებას უნდა წარმოადგენდნენ¹. ვალობისა თუ სტიქარონის პირველი ტროპარი არის რიტმულ- მელოდიური ნიშუში (საზომი) დანარჩენი ტროპარებისათვის, ამიტომ პირველი ტროპარი ძლისპირად ანუ მაკავშირებლად (εἰρημια) იწოდება, ვინაიდან ძლისპარის რიტმულ-მელოდიური სტრუქტურა, გამეორებული დანარჩენ ტროპარებში, აერ- თიანებს ამ ტროპარებს ვალობისა თუ სტიქარონის ფარგლებში.

რვა ან ცხრა ვალობის გაერთიანება ქმნის რთულ პოეტურსა და მუსიკალურ კომპოზიციას—კანონს, რომელსაც ქართულად ვალობანი ეწოდება.

კანონი, როგორც ვალობათა გარკვეული კომპოზიცია, როგორც ზეშოთაც ითქვა, ადრეც იყო გაერთელებული ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში, მაგრამ იოანე დამასკელის კანონი, ძველთან შედარებით, კანონის თვისობრივად ახალი სახე იყო. თავისი რთული რიტმულ-მელოდიური აღნაგობით ის გარკვეულ წესებს ეყრდნო- ბოდა, რომელიც უკვე პირველი პოეტ-მელოდოსების (იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის) მეცადინეობით გარკვეულ მეცნიერებად ჩამოყალიბდა, რასაც გიორგი მთაწმიდელმა „დასდებლის მეცნიერება“ უწოდან².

ბიზანტიური რიტმული პოეზიის ანუ „დასდებლის მეცნიერების“ ძირითადი კანონები F. J. Mone-მა და I. B. Pitra-მ აღმოაჩინეს³.

¹ ვალობაში ჩვეულებრივ არის 3—4 ტროპარი, ამდენივე და ზოგჯერ მეტი ტროპარია სტი- ქარონში.

² ელ. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის: ში.თა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგლები), თბილისი, 1966, გვ. 165.

³ A History of Byzantine Music and Hymnography by Egon Wellesz. 1962, II გამოცემა, გვ. 4.

ჩვენ აქ უფრო ვრცლად ვერ შევხებით ბიზანტიური რიტმული პოეზიის წარმოშობისა და რაობის საკითხს, რომლის ირგვლივ საკმაოდ დიდი ლიტერატურა არსებობს¹. გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ კარდინალ პიტრას მიერ აღმოჩენილი ბიზანტიური რიტმული პოეზიის კანონები, შემოწმებული მეცნიერთა მიერ ჰიმნოგრაფიულ მასალაზე, ძირითადად დადასტურდა, მაგრამ ამ კანონებიდან გადახრის შემთხვევები იმდენივეა, თუ უფრო მეტი არა, რამდენიც დაცვისა. ჯერ კიდევ არ არის გამოჩენილი ამ დარღვევების უნებლიე თუ კანონზომიერი შემთხვევები. რიტმული პოეზიის კანონებიდან გადახრის შესწავლისა და ახსნისათვის კი დღეისათვის არ არის საკმარისად მოწოდებული ნიადაგი, ვინაიდან არ არსებობს ამ საკითხების გარკვევისათვის აუცილებელი ფილოლოგიური გამოკვლევები ირმოლოგონის, პირველი პოეტ-მელოდოსების ჰიმნოგრაფიული პროდუქციისა და უძველესი ლიტურგიკული ძეგლებისა, რათა შესაძლებელი იყოს პოეტ-მელოდოსთა და მელოდოსთა ჰიმნოგრაფიული პროდუქციის ლიტურგიკულ ძეგლებში ბრუნვისა და ცხოვრების გათვალისწინება. არ არის შესწავლილი რიტმული პოეზიის უძველესი ნიმუშები არც კილოსთან ერთიანობაში, ვინაიდან არ არის ამოხსნილი მუსიკალური ნოტაციის პალეობიზანტიური სისტემა და, ამდენად, არც პირველ პოეტ-მელოდოსთა მიერ დამკვიდრებული კილოები.

ამ მიმართულებით დღეს გაერთიანებული ძალებით გეშაობენ ბიზანტიური მუსიკისა და ლიტურგიკის სპეციალისტები. უძველესი ლიტურგიკული ძეგლების ქართული თარგმანები ამ საკითხების შესწავლისას საგანგებო ყურადღების ღირსია.

* * *

იოანე დამასკელის ცხოვრების მიხედვით, იოანე დამასკელის „საზომითა მარცვლედოვანი“² გაერთიანებული და „ღმრთივემეცნიერის კილოებით“ შექმნილი გალობები საბაწმიდის მონასტრის ძმებმა ერთხანს არ მიიღეს. სამონასტრო კედლებში გალობას განსაკუთრებით წინ აღუდგა იოანეს სულიერი მამა. მხოლოდ „ღმრთის ნების“ ჩარევით დაერთო ნება იოანეს გალობათა შეთხზვისა და გალობისა (გვ. 165): „ესრეთ განიქსნა რაჲ დუმბილსაგან მისისა ყოვლად ბრძენი იოანე, ვითარცა განბრძნობილი საღმრთოთა შინა... იწყო გამოთქუჲდ გალობებესა აღდგომისასა და საუფლოთა დღესასწაულთასა და განაწყო დასდებლები სტიქარონთაჲ, ვინაჲცა ამთ ესევეთართა თანა-მოქმედ და თანა-გამვე მისსა იყო პირველ-მოქსნებული იგი კოზმა, რომელთა ფრიადი აქუნდა ურთიერთას თანაშესწორებაჲ სიტყუათა ზედა, განზავებული ნამდვლვე საღმრთოთა სიყუარულითა“ (გვ. 166).

ამ დროიდან დაიწყო ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ახალი ხანა (სამეცნიერო ლიტერატურაში „საბაწმიდურად“ წოდებული)², დაკავშირებული იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის მოღვაწეობასთან საბაწმიდაში. ამ ორი სახელოვანი პოეტ-მელოდოსის სახელთანაა დაკავშირებული „მარცვლედოვანი საზომით“ დაწერილი და ძლისპირ-ტროპართა რიტმულ-მელოდიურ თანაფარდობაზე დამყარებული ახალი „კმეანი“ კანონის დამკვიდრება ლიტურგიკულ პრაქტიკაში, აღდგომისა და საუფლო დღესასწაულებზე ახალი ტიპის საგალობლების შეთხზვა და, ამასთან დაკავშირებით, ლიტურგიკაში საგალობელთა ადგილისა და მნიშვნელობის გაზრდა. ამ სიახლემ მოითხოვა საღვთისმსახურო წიგნების არსებითი გადაშე-

¹ ბიზანტიური პოეზიის კვლევის ისტორია ვრცლად იხილეთ E. Wellesz-ის დასახ. წიგნი.

² E. Wellesz, A History of Byzantine Music and Hymnography, გვ. 206.

შევება. რასაც მიჰყო კიდევ ხელი საბაწმიდის ლიტურგისტთა და მწიგნობართა კოლექტივმა. ცხადია, ბერძნულ ლიტურგიულ წიგნებში შეტანილი ცვლილებები შეუქმნეველი არ დარჩებოდათ, VIII—IX—X საუკუნეებში საბაწმიდაში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებსა და მთარგმნელებს, რომლებიც ჩართული იყვნენ საბაწმიდის მრავალენოვანი კოლექტივის შემოქმედებით და მთარგმნელობით საქმიანობაში.

ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ახალი ტიპის საგალობელთა დამკვიდრებისათვის საჭირო იყო თარგმნილიყო ახალი გალობანი თუ სტიქარონები და მათთან ერთად, პირველ რიგში, მათი რიტმულ-მელოდიური საზომები—ძლისპირები. რომელთანაც უნდა შეწყობილყო გალობა-სტიქარონები.

ნაწილობრივ ძველი სტიქარონებისა და დასდებლების თარგმანებიც გადაამუშავდა ახალი მოთხოვნილებების მიხედვით და შეტანილ იქნა ლიტურგიკულ კრებულებში ახალ მასალასთან ერთად¹.

ბერძნულ ძლისპირთა პირველი კრებული, ირმოლოგიონი, რომლის ჩამოყალიბებასაც IX საუკუნეზე ადრე არ ვარაუდობენ², შეიცავდა, როგორც ჩანს, ძირითადად იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის ძლისპირებს.

პირველი პოეტიკ-მელოდოსები, როგორც ეს იოანე დამასკელის მაგალითზე დავინახეთ, თვითონ თხზავდნენ დასდებლებსაც და კილოსაც დასდებლებისათვის. მელოდოსების მიერ შეთხზულ საკუთარი კილოს მქონე გალობებსა და სტიქარონებს იდიომელები ეწოდება. იდიომელას პირველი ტროპარი ანუ ძლისპირი შემდეგი ღრთის ჰიმნოგრაფებმა გამოიყენეს ახალი გალობებისა და სტიქარონების შესადგენად (უკვე ცნობილია ძლისპირისათვის ახალი ტროპარების შეწყობის გზით). ასეთ, არასაკუთარი კილოს მქონე ტროპარს თუ ტროპართა ჯგუფს პროსომია ეწოდება, ხოლო მის აეტორს—მელურგი. ბუნებრივია, პროსომიაში უფრო რთული იყო ძლისპირ-ტროპართა რიტმულ-მელოდიური თანფარდობის მიღწევა, ვიდრე იდიომელაში, მაგრამ ყველაზე რთული იყო თანფარდობის მიღწევა თარგმნილ გალობებსა და სტიქარონებში. სხვა ენაზე გალობის თარგმნის პირველი აუცილებელი პირობა იყო ბერძნული ძლისპირის ისეთი თარგმანის მიღება, რომელიც რიტმულ-მელოდიური თვალსაზრისითაც ბერძნულის თანფარდი იქნებოდა. ამის შემდეგ შეიძლებოდა თარგმნა ტროპარებისა და მისი რიტმულ-მელოდიური შეწყობა ძლისპირთან იმ ენის ბუნების გათვალისწინებით, რომელზედაც ის ითარგმნებოდა: თარგმანში დაცული უნდა ყოფილიყო ტაქტთა სილაბური თანფარდობა ორიგინალთან და ორიგინალის შესატყვისად ტაქტებზე მელოდიური ფორმულების (ფრაზებოს) განაწილება³, რაც ნევემების სწორ დასმაში უნდა გამოხატულიყო, ე. ი. თარგმნა, გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, „დასდებლის მეცნიერების“ წესების დაცვით უნდა მომხდარიყო.

ახალი წმენი გალობების ქართული თარგმანების ყველაზე ადრეული ქართული ლიტურგიკული კრებულები საბაწმიდური წარმომავლობისაა. ასევე საბა-

¹ ე. მეტრეველი, „მეზელისა“ და „მეზურის“ ვაგებისათვის, გვ. 169.

² St. V. Lazarevic', *Σειρηδοποιον. An Early Byzantine Hymn Collection with Music: Byzantinostlavica*, 2/1968, გვ. 290—292.

³ ბერძნულიდან თარგმნილ ძლისპირებსა და დასდებლებში ქართველი მთარგმნელები იცავდნენ თუ არა ბერძნულ ორიგინალს მახელითა თანმიმდევრობას ტაქტებში, ეს საკითხი შესწავლის საგანი არ ყოფილა. ამ თვალსაზრისით მასალის ზედამირობა გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ბერძნული ძლისპირის ტონური მხარე ქართულ თარგმანში არ აისახებოდა. ამის შესაძლებლობას, ეტყობა, ქართული ენის ბუნება არ იძლეოდა. ეს გარემოება კი გარკვეულ ფარგლებში ამარტივებდა ბიზანტიური რიტმული პოეზიის ქართულ ენაზე თარგმნის მეტად რთულ საქმეს.

წმიდურია უძველესი იადგარი. ეს არის Sin. 34 ხელნაწერის იადგარული ნაწილი, რომელსაც ხელნაწერში უკავია 34—123 ფფ. და ხელნაწერის ანდერძის მიხედვით „საგალობელნი იადგარნის“ სახელწოდებას ატარებს. ამ იადგარში შესულია ქართულ ძლისპირთა კრებული, რომელიც თავისი წყობით, მოცულობით და შედგენილობით უძველესი ჩანს ქართულ ძლისპირთა კრებულებს შორის, და მხოლოდ ორი საბა-წმიდელი პოეტ-მელოდოსის—იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის ძლის-პირთა კანონებს შეიცავს. ამასთანავე იადგარში შეტანილია აღდგომის, საუფლო დღესასწაულებისა და ზოგი დიდი დღესასწაულის გალობანი, დაწერილი ახალი საზომით ძლისპირებზე (იხ. აქვე, გვ. 019—020).

„საგალობელ იადგარს“ ერთვის მეტად საგულისხმო ანდერძი, შესხმის ფორ-მით დაწერილი, სადაც ანდერძის ავტორი, საფიქრებელია გიორგი¹, რომლის სახელი ანდერძის აკროსტიქის ორმხრივ კიდურწერილობაში იკითხება, საინტერესო ცნო-ბებს გვაწვდის „საგალობელნი იადგარნის“ შესახებ².

ის ფაქტი, რომ Sin. 34 ხელნაწერის იადგარული ნაწილი იოანე-ზოსიმეს ხელითაა დაწერილი, ისევე, როგორც ანდერძი, არ არის საქმარისი საბუთი იმისათვის, რომ ანდერძის ავტორად გამოვახადოთ იოანე-ზოსიმე. ხოლო ანდერძის კიდურწერილო-ბაში ჩაწერილი გიორგი — შესხმის ობიექტად, გრიგოლ ხანძთელთან ერთად, რო-გორც ამას ვეთავაზობს პ. ინგოროყვამ. უფრო საფიქრებელია, რომ „საგალობელნი იად-გარნი“ შედგენილი და ნაწილობრივ თარგმნილიაა გიორგი საბაწმიდელ-სინელის მიერ. მასვე უნდა ეკუთვნოდეს ამ იადგარზე დართული ანდერძიც. თუ ანდერძის მიხედვით ემსჯელებთ, გიორგი ჩინებული პოეტი ყოფილა და ამდენად მას საგალობელთა თარგმ-ნაც ხელწიფებოდა. საფიქრებელია, რომ იოანე-ზოსიმემ „საგალობელნი იადგარნი“ ან-დერძითურთ ჩართო მის მიერ შედგენილ „სამეცნიერო წიგნში“ ისევე, როგორც ამავე ლიტურგიული კრებულის სხვა ნაწილები (ხელნაწერი წარმოადგენს კონეოლტს. იხ. აქვე, გვ. 020).

„საგალობელნი იადგარნი“, რომელსაც ანდერძში „შესხმა სულიერი“ ეწოდება, გამოთქმული ყოფილა „ორი ბრწყინვალე კაცის“ მიერ ფრიადი სიბრძნით:

„ესე შესხმაჲ სულიერი, შენ მიერვე მოცემული,
კაცთა მიერ მოლუაწეთა ფრიად სიბრძნით გამოთქმული
შეიწირე ჩემ-მიერცა,
კაცთ-მოყუარე“.

¹ აკროსტიქის კიდურწერილობაში გამოყვანილია სახელი, ჩვეულებრივ, ეკუთვნის შესხმის ობიექტს ან შესხმის ავტორს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ. შესხმის ავტორთან უნდა გვეკონდეს საქმე. „საგალობელნი იადგარნი“ დაწერილია იოანე-ზოსიმეს ხელით. მისივე ხელითაა დაწერილი ანდერ-ძიც. ანდერძის ბოლოს იოანესვე ხელით მიწერილია: „სახელად გიორგი, ძმამ ჩემი“. ამ მინაწერილამ ვეგებულობთ, რომ აკროსტიქის გიორგი იოანეს თანამედროვე ყოფილა. პ. ინგოროყვას გიორგი სამართლიანად საბაწმიდელ-სინელ მოღვაწედ მიაჩნია (თხზულებათა კრებული, III, გვ. 362—363).

² ანდერძი რამდენჯერმე გამოცემული. პირველად გამოცა 6. მარამ 1903 წ. (Сообщения Палест. Общества, т. XIV, II, გვ. 40); შემდეგ გამოცა ივ. ჭავჭავაძის სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (1947, გვ. 59). 1943 წელს გამოცა პ. ბერაძემ (საქ. სსრ მეცნ. აკა-დემიის მოამბე, 1943, ტ. IV, № 6, გვ. 591). პ. ბერაძემ ამ ანდერძში სამართლიანად დაინახა 16-მარცვლიანი შიარის ჩანასახი. პ. ბერაძის გამოცემა გაიმეორა ს. ყუბანეიშვილმა (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 329). უკანასკნელად ეს ანდერძი გ. მოსცა და განიხილა პ. ინგოროყვამ (თხზულებათა კრებული, III, გვ. 41—42). ჩვენ ესარგებლობთ პ. ინგოროყვას გამოცემით.

³ პ. ინგოროყვას აზრით, გიორგი საბაწმიდელ-სინელსა და გრიგოლ ხანძთელს ეკუთვნით ეს კრებული (იქვე, გვ. 363, 533—539). ცხადია, აქ ორიგინალურ შემოქმედებაზე არ შეიძლება ლამა-რაჲი, ვინაიდან იადგარში შესული მასალა ბერძნულიდანაა თარგმნილი, რასაც არც პ. ინგოროყვა უარყოფს (იხ. იქვე, გვ. 360).

„ორთა მიერ ბრწყინვალეთა ღმრთისა კაცთა, სასურველთა, სიღრმითა მით გულსადათა სათნოდ ღმრთისა შეკრებული, ვითარცა რაჲ მარგალიტი ურიცხვსა სასყიდლისაჲ ჩუენ მოგუეცა, მორწმუნენო“.

გამომოქმელებში გალობათა ბერძენი ავტორები უნდა იგულისხმებოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ესენი იყვნენ იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი, ახალი „ჰმეანი გალობისა“ და ძლისპირების ავტორები, მით უმეტეს, რომ „საგალობელნი იადგარის“¹ ჰიმნოგრაფიული მასალის დიდი ნაწილი (მთლიანად ძლისპირნი და სხვ.) მათ ეკუთვნით. თუ ეს ასეა, მაშინ „საგალობელნი იადგარის“ ანდერძი წარმოადგენს ახალი ტიპის გალობის შესხმას და მიძღვნილია მათი შემოქმედებ-დამამკვიდრებლებისადმი. ეს შესხმა მიმართულია „მწავლეულთა კრებული-სადმი“, რომელიც უნდა დაეუფლოს „ჰმეანი გალობის“ (8 ხმინი გალობის—ე. მ.) ამ ახალ სახეობას.

„იხარებდით მოძღვრებითა სულიერად შესხმისაჲთა,
ჰკრებულთ მსწავლეულთაო,
ვურთვიდეთ რაჲ სატყუათა მათ გალობითა ჰმეანითა,
რომელთაგან იდიდების კაცთ-მოყუარებ ღმერთი ჩუენი“.

ამრიგად, „საგალობელ იადგარში“ თავმოყრილია ჰმეან-რიტმულ ძლისპირთა და გალობათა უძველესი თარგმანები. ამ იადგარს სიძველის სხვა ნიშნებიც ახლავს: კრებულის ძლისპირნის ძლისპირებში არ არის არც რიტმული პუნქტუაცია და არც ნევები (იხ. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, I). ასევე რიტმული პუნქტუაციისა და ნევების გარეშეა მეორე უძველესი ლიტურგიკული კრებულის— Sin. 20-ის ძლისპირები და გალობები (იხ. აქვე, დამატება II). იმავე ძლისპირებსა და გალობებს საბაწმიდურ-სინური წარმომავლობის X საუკუნის ძველ იადგარებში (Sin. 1, Sin. 14) ახლავთ ნევებიც და რიტმული პუნქტუაციაც. ეს გვაფიქრებინებს, რომ პირველ ძლისპირთა და ტროპართა თარგმნის დროისთვის ბერძნულ საგალობელთა ხელნაწერებში ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული რიტმული პუნქტუაცია და ნევები, და საგალობლის კილო ზეპირად გადადიოდა მგალობლიდან მგალობელზე; ანდა შეიძლება პირველმა ქართველმა მთარგმნელებმა არ გადაიტანეს ნევები ქართულ საგალობლებში იმავე მიზეზის გამო. ხოლო ვინაიდან ძლისპირსა და ტროპარში რიტმული პუნქტუაცია ტექსტზე ნევების საშუალებით კილოს „მართალ“ განაწილებას ემსახურებოდა, ამიტომ ამ პირველ ვტაპზე აღარც პუნქტუაცია დარჩა აუცილებელი¹. სამწუხაროდ, X საუკუნის წინა დროის ჰიმნოგრაფიული მასალის შემცველ ბერძნულ ლიტურგიკულ ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. უძველესი ნევპირებული ხელნაწერიც X საუკუნით თარიღდება, ამიტომ ამ საკითხზე რაიმე უფრო გარკვეულის თქმა დღეს გაჭირდება.

X საუკუნის II ნახევრის იადგარები (Sin. 1, Sin. 14, მიქაელ მორდრეკილის იადგარი) ბევრად უფრო ვრცელია Sin. 34-ის „საგალობელ იადგარზე“ და პროფესიულად საესეებით გამართულია. პირველ პროფესიონალ მთარგმ-

¹ უძველეს საბაწმიდურ ხელნაწერებში (Sin. 34-სა და Sin. 20-ში) რიტმული პუნქტუაცია და ნევების უმონლობამ ადრე გვაფიქრებინა, რომ ნევების სმარება ქართველებმა შემოიღეს არა საბაწმიდის ქართულ მოღვაწეთა წრეში X საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ უფრო გვიან— X საუკუნის II ნახევარში, კონსტანტინოპოლისა და ათონის ჰიმნოგრაფთა წრეში (იხ. ე. მეტრეველი, „მუქელასა“ და „მუქურის“ გავებისათვის, გვ. 172). მაგრამ ეს ვარაუდი არ არის სწორი, ვინაიდან უძველესი რედაქციის X საუკუნის იადგარები (Sin. 1 და Sin. 14), სადაც უკვე დადასტურებულია რიტმული პუნქტუაცია და ნევებიც, საბაწმიდურ-სინური წარმომავლობისა.

ნ ე ლ ე ბ ს და ერთდროულად მგალობელ-მუსიკოსებს, რომელთაც გადმოიღეს ბერძნულიდან რეპრეზენტაციის რიტუალი („მარცხედროვანი საზომით“ დაწერილი) გალობის საწელიწადო რეპერტუარი და შეუწყვეს მას (რიტმული პუნქტუაციის დაცვისა და ნეემების გამოყენებით) კოლოები, გიორგი მთაწმიდელი (ჰიმნოგრაფ-მთარგმნელთა მომდევნო თაობისაგან განსხვავებულად) უწოდებს მ ე ხ ე ლ ე ბ ს, ხოლო მათ პროლუქციას—მ ე ხ უ რ ს.

ტერმინი „მეხური“ კ. კეკელიძემ სამართლიანად და გონებამახვილურად დაუკავშირა ბერძნულ $\mu\chi\alpha\iota$ -ს (ჭმას)¹. ახალი ტიპის გალობებისათვის ყველაზე ნიშანდობლივი მომენტი იყო მ ხის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კოლოებზე გალობათა გაწყობა, რისთვისაც ამ ტიპის გალობას მეხური ეწოდა. მეხური გალობა არის „ქმენი გალობის“ ახალი, ყველაზე სრულყოფილი სახე; მეხური საგალობლებს შეეცვლ იადგარებს „მეხური იადგარები“ ეწოდება. ნეემირებული „მეხური იადგარი“ პირველ რიგში სასწავლო წიგნი იყო, განკუთვნილი მგალობელთა განსწავლისათვის², მაგრამ პირველი მთარგმნელ-მგალობლები, მეხელები, მიზნად ისახავდნენ გალობის ტექსტისთვის კილოს შეწყობის რთული ამოცანის გადაწყვეტას, ამიტომ ბერძნულ დასდებულთან შინაარსობრივ და რიტმულ ზუსტ შესატყვისობას ყოველთვის ვერ იცავდნენ. ამას უსაყვედურებს გიორგი მთაწმიდელი, შესანიშნავი ჰიმნოგრაფი და მგალობელი, მრავალი ბერძნული გალობის ქართულად მთარგმნელი და ორიგინალურ საგალობელთა ავტორი, მეხელებს. ერთ-ერთი „თთჳს“ ანდერძში გიორგი აყალიბებს თავის თვალსაზრისს ბერძნულიდან ქართულად საგალობლის თარგმნაზე და ამ თვალსაზრისით აფასებს მეხელებს მიერ მასზე აღრე შესრულებულ მეხურ საგალობელთა თარგმანებს, რომელთა ერთი ნაწილი მან შეიტანა „თთჳსში“: „ესე რომელ მეხურნი გალობანი ზოგან ორგუარად დაჯჳჳიონ, გინა დასდებელსა შინა სიტყუაჲ გამოგჳცუალებია, ნუვის უკრს, ნუცა ეინ ამოდ ზრახავს: ესე ვთა დაჯჳჳირია ჩუენ, ბერძნულად ესრე არს, და მე ფრიადი ქირი მინახავს მათსა გამოძიებასა და შეწყობასა და შენდა ორივე დამიწერია, რომელ განჰნათლდე შენ, რად ზრახავ ამოდ? მ ე ხ ე ლ თ ა მ ა ს ყ ა მ ს ა ა ხ ლ ა დ თ ა რ გ მ ნ ე ს და ესთენი მეცნიერებაჲ დასდებლისაჲ არა იყო, და გინათჳ სიღრმისაგან სიტყუსა ვერ შეიგნეს, გინა თუ ბუნებასა ეგრე მოაშუნდა, და ვნ უწყის, ჩუენ კულა, რაჲოდენ ეგების, ბერძულსა დაჯჳნს-გავსებია. და თუ ვნ მეცნიერ იყოს ბერძულსა, ნახოს ძალი და ცნას, რომელ ჳემმარიტსა ვიტყუო. მ ე ხ ე ლ ნ ი ჩ ე ნ ს ა უ ფ რ ო არავის უყუარან და მოძღურად მყუანან და ღმერთშემოსილად“³.

მრავალმხრივ საინტერესო ანდერძში გიორგი გვაუწყებს, რომ მის მიერ შედგენილ „თთჳსში“ მან მეხური გალობანიც შეიტანა⁴, მაგრამ ამ გალობებს ის სიფრთხილით ეკიდებოდა: აღარებდა ბერძნულ დედნებს და ასწორებდა დედანთან დაახლოების თვალსაზრისით. მეხური გალობანის „გამოძიებასა და შეწყობაზე“ გიორგის ფრიადი ქირი უნახავს. აქ გიორგი გვიხსნის იმასაც, თუ რამ გამოიწვია მეხური გალობანის სწორების საჭიროება: მ ე ხ ე ლ თ ა მ ა ს ყ ა მ ს ა

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 606.

² ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, გვ. 176.

³ ვერცხლად ამ ანდერძის შესახებ იხ. ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, გვ. 165.

⁴ გიორგი მთაწმიდელის „თთჳსის“ შესწავლამ ეს ცნობა საეკლესიო დადასტურა. იხ.: ლ. ქალაშაია, იოანეს საგალობლის ახალი ვარიანტი: ხელნაწ. ინსტ. ნოამბე, 1961, № 3, გვ. 32—39. მისივე, იოანე დამასკელის შობის საგალობლის გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი: შოთა რუსთაველი, ისტორიკლ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966, გვ. 182.

ახლად თარგმნეს—ე. ი. მეხელა ახლად, პირველად თარგმნეს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დასდებლის საკმარისი მეცნაერება (კოლნა); ისინი ზოგჯერ ბერძნული სიტყვის სიღრმეს ვერ ჩაწვდნენ და არაზუსტად თარგმნეს, ზოგჯერ კი დედნისაგან ვადახრას მეხელებთან ის გამართლებაც კჭონდა, რომ „ბუნებასა ეგრე მოაშუნდა“. რის ბუნებას? ქართული დასდებლის თუ დასდებლის კილოსი? ჩვენ ვფიქრობთ, აქ სწორედ დასდებლის კილოსთან შეწყობა უნდა იგულისხმებოდეს, ვინაიდან მეხურ გლობათა პირველ მთარგმნელთათვის, ბუნებრივია, ყველაზე რთული დასდებლას კილოსთან შეწყობა იქნებოდა და, ჩანს, ისინი ზოგჯერ დასდებლის შინაარსობრივი საზუსტის საზიანოდ ცდალობდნენ კილოს სიზუსტის დაცვას, კილოს გაძრთვას. მეხელათა შემოქმედებაში ამ ნაკლის გამოსწორებას შეეცადა გიორგი მთაწმიდელი „თთუენზე“ მუშაობის პროცესში¹.

მეხელები რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გლობის კილოს სიზუსტეს და ამისათვის საჭირო ნიშანთა (ნეემთა) „უცთომელობას“, ეს კარგად ჩანს ცნობილი მეხელის მიქაელ მოდრეკილის „მეხური იადგარიდან“, სადაც მიქაელმა თავი მოუყარა მის დროს არსებულ მეხურ ძლასიკრებსა და მეხურ გლობებს. აღდგომის მეხური საგლობლების ანდერძში მიქაელ მოდრეკელი წერს: „...მიქაელ მოდრეკელმან ვილუაწუ და უზემთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩუენუ და შეკვირბენ საგლობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ვნითა ქართველთაჲთა მეხურნი ბერძულნი და ქართულნი, სრულნი

¹ წერილში „მეხურისა“ და „მეხურელის“ მიმართება პართულ საგლობლებისადმი“ (საპქოთა ხელაუნა, 1970. № 1, გვ. 41) მუსიკათმცოდნე ვ. გუაბარია შეეცადა აღედგინა მოქმედებულა დ. მ. ცნირთა მიერ უკუდებული შეხედულება ტერმინ „მეხურის“ ეთნოკური მნიშვნელობის შესახებ. შესაძლებელი ეთნიკური ვარიანტებიდან მან საუკეთესოდ და ყველაზე მისაღებად ჩათვალა „მეხურის“ ქვემო დიოფიზიტ სომხის ეველისხმა, მეხური გლობა კ—დიოფიზიტ სომხების მიერ შეთხზულ თუ ქართულად თარგმნლ (რა ვინიდან? ალბათ სომხურიდან—ე. მ.) გლობად გამოეცალებინა.

დღეს, როდესაც გამოვლილია უტყუარი წერილობითი ცნობება მეხურისა და მქნისის (და არა მეხურელების—ე. მ.) მნიშვნელობის დაზუსტებისათვის, ამაზე სიტყვის გავრცელება ზედმეტად მკაცრია. ამისდა მიუხედავად, კიდევ ერთხელ გვინდა შევნიშნოთ: გიორგი მთაწმიდელის ზემოთ მოყვანილ ანდერძში საკვებით გარკვევით წერია, რომ მეხელებმა მეხური გლობანი ბერძნულად თარგმნეს, ილონდ, ვინაიდან რიგ შემთხვევაში ისინი ბერძნულ სიტყვის სიბრძნეს ვერ ჩანწვდნენ და ზუსტად ვერ გადმოსცეს დედანი. გიორგი იძულებული იყო მეხური გლობები კვლავ დარეზინა ბერძნულსათვის და ბერძნულს მახედვით ესწორებინა. ამრიგად, გიორგის „თთუენზე“ შეტანილი მეხური გლობები ბერძნული წარმომავლობისაა, ხოლო ტერმინი მეხური ბერძნულიდან თარგმნილი საგლობლის რაობის, სახეობის განმსაზღვრელი. ამრიგად, მეხური აქ არ შეიძლება იყოს ეთნიკური მნიშვნელობის სიტყვა. ამავე დროს, მიქაელ მოდრეკელის იადგარის „აღდგომის დასდებლებზე“ დართული ანდერძიდანაც ვგებულობთ, რომ მიქაელმა იადგარში თავი მოუყარა მეხურ ბერძნულსა და ქართულ გლობებს. ზედსართავი მენერი ერთნაირად ეხება ამ შემთხვევაში როგორც ბერძნულს, ასევე ქართულს. შიტომ აქაც მეხური ეთნიკური ტერმინი კი არ არის, არამედ ზედსართავად გამოყენებულ სახელაა, რომელიც გლობათა რაობას განსაზღვრავს, ხოლო თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს ტერმინი, ამაზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.

რაც შეეხება სომხ დიოფიზიტთა საგლობლებს, რომელსაც ვ. გუაბარია ეძებს მეხურ საგლობლებში. ამის შესახებაც უნდა ითქვას, რომ X საუკუნეში სომხ დიოფიზიტებს თავისი საგლობლები არ ჰქონიათ. ცნობილმა სომხმა ფოლოლოგმა პ. აკინანმა უეკვოდ დაამტკიცა, რომ სომხის დიოფიზიტები XIII საუკუნემდე ღვთისმსახურებაში იყენებდნენ ბერძნულ და ქართულ საგლობლებს და მხოლოდ XIII საუკუნეში მათ თარგმნეს მართლმადიდებლური ლატინოგისათვის აუცილებელი საგლობლები ქართულიდან სომხურად და არა პირიქით, როგორც ეს ვ. გუაბარიას ჰგონა (იხ. P. N. A. K i n i a n. Simeon von Plinzahank' (1188—1255) und seine Übersetzungen aus dem Georgischen ins Armenische: V. Oktoechos und Troparia. Handes Amsorya. 1950, № 1—3. პ. აკინანის წერილის თარგმანი მოეცაქოდა ელ. ცაგარეიშვილმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასწენებთ).

ყოვლითა განგებთა წესსაებრ საეკლესიოასა, ორო ღღტყვიითა, ოხითითა, მოიხი-
ლითა და აქებდითითა, ძლიერად და სიწმიდით და სიმართლოთ, სისწოროთა
კილოასათა და უცთოშელობითა ნიშნისათა“ (262v).

ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები დასდებლობში
რიტმული პუნქტუაციის ანუ „განკუეთის წერტილთა“ ხმარებას. ამ მხრივ მეტად
საინტერესოა ცნობილი მეცნიერის ეფრემ მციარის ანდერძი, დართული მის მიერ
შესრულებულ იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანზე. ეს ანდერძი შეიცავს
ცნობებს სასვენი ნიშნების სისტემის შესახებ, რომლის შემოღებაც ბერძნულის
კვალობაზე განიზრახა ეფრემ მციარემ, ვინაიდან „პირველთა მათ თარგმანთა არა-
რახ ვლუჴა წერტილითა გაკუშთისათჳს საკითხავთაჲსა, ამისა-
თჳსცა ზებირით უწნდა გაკუშთაჲ ყოველთა სახელოვანთა მკითხველთა, ხოლო ბერ-
ძულად—დასძენს ეფრემი—არა ესრეთ არს, არამედ ესოდენ მისანდობელ არს წიგ-
ნები მათი მართლიად განკუშთილობისთჳს, ვითარ ჩუენი საგალობე-
ლი, რაოდენი დიდისა მის მნათობისა გიორგი მთაწმიდელისაგან თარგმნილ არს“¹.

ეფრემს სურს სასვენი ნიშნების ხმარებაში (მართლიად განკუეთილობაში)
ისეთსავე სიზუსტეს მიიღწიოს, როგორცა მიიღწია გიორგი მთაწმიდელმა მის მიერ
თარგმნილ საგალობლებში. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის თარგმნილი თუ გამარ-
თული გალობები რიტმული განკვეთილობის თვალსაზრისით სანიმუშო სიზუსტით
ყოფილა შესრულებული. საეკლესიო-სამონასტრო, რომ მართლიად განკუეთილობის ნიმუ-
შად ეფრემს, ჩანს, არ მიაჩნდა მეხელთა თარგმანები, რაკი საგანგებოდ გიორგის
თარგმანებზე მიუთითებდა.

ამრიგად, კმეან რიტმულ გალობას ქართველები ეცნობიან და ქართულ ენაზე
თარგმნას იწყებენ საბაწმინდის სავანეში, რომელიც რიტმული პოეზიის კერა იყო.
X საუკუნის შუა წლებსათვის უკვე რიტმულმა პოეზიამ ქართულ ლიტურგიკულ
პრაქტიკაში დაიკავა უპირატესი ადგილი და თანდათან გააძევა ძველი, სტროფულ
რიტმიკაზე დამყარებული გალობანი. ახალი, რიტმულ გალობათა შემოქმედი პირ-
ველი „საგალობელნი-იადგარნი“ (Sin. 34) საბაწმინდის ქართველ მოღვაწეთა წრეში
შეიქმნა X საუკუნის შუა წლებისათვის. კრებულში შეტანილია რიტმული გალობის
ძლისპირები— KaO მოკლე „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, რიტმული პუნქ-
ტუაციის და ნევმების გარეშე. უძველესი $O\dot{v}O$ სრული „ძლისპირნი და ღმრთის-
მშობლისანი“ რიტმული დაყოფითა და ნევმებით შემოგვიჩანს X საუკუნის ორმა
სინურმა ხელნაწერმა Sin. 1-მა და Sin. 14-მა. საფიქრებელაა, რომ ძლისპირთა ეს
რედაქცია აგრეთვე საბაწმინდის ქართულ კოლექტივში შეიქმნა.

კმეან რიტმულ ძლისპირთა და გალობათა ბერძნულიდან ქართულად პირ-
ველი მთარგმნელები მეხილებად იწოდებიან, ხოლო მათ მიერ თარგმნილ და
კილოზე გაწყობილ რიტმულ კმეან პოეზიას მეხური ეწოდება. X საუკუნის
მეხელებმა ბერძნულიდან ვადმოიღეს იმ დროის ლიტურგიკული პრაქტიკისათვის
აუცილებელი აითქმნს მთელი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი (ძლისპირები, გალო-
ბანი, სტიქარონები). საბაწმინდურ-სინური ქართული ჰიმნოგრაფიის ტრადიციები მი-
იღეს და განავითარეს ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფებმა. მიქაელ მოდრეკილის
მეხური იადგარი მეხელთა შემოქმედების შემაჯამებელი და
დამავგირგვინებელი ეტაპია.

XI საუკუნის დაშლედან ათონის ივერის მონასტერში იქმნება ძლიერი ჰიმნო-
გრაფიული კერა. ექვთიმე და გიორგი ათონელებმა ხელი მიჰყვეს უკვე კონსტანტი-
ნოპოლური რედაქციის ლიტურგიკული ძეგლების თარგმნას, სადაც ჰიმნოგრაფიას

¹ A—24, 4r; თ. ეორდანი, ქობილე, I, გვ. 218.

დიდი ადგილი ეთმობოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მუშაობა გაშალა გიორგი მთაწმიდელმა. მან თარგმნა ყოველდღიურ სადღესასწაულო გალობათა (კანონთა) კრებული „თაჟენი“ (12 წიგნად). ამ კრებულისათვის მან გამოიყენა მეხუთრი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ და ნაწილობრივ მეხელთა მიერ ადრე თარგმნილი გალობანი. მასვე ეკუთვნის „პარაკლიტონისა“ და „სადღესასწაულოს“ ახალი თარგმანები. მიუხედავად დიდი შრომისა, რომელიც გიორგიმ გასწია ამ დარგში, ის უნივერსალობით მაინც ვერ გაუტოლდება მეხელებს, ვინაიდან თავის საქმიანობაში გიორგი ფარგლებოდა პოეტური ჰიმნების ზუსტი თარგმანის შექმნით და მათი შეწყობით მეხელთა მიერ თარგმნილ ძლისპირებთან. ახალ ძლისპირებთან ერთად ახალ კილოთა შემოტანას ქართულ ჰიმნოგრაფიაში ის თავს არიდებდა. ამრიგად, უკვე ათონელების შემოქმედებაში გაიმიჯნა ქრთმანეთისაგან ჰიმნოგრაფი პოეტი და მელოდოსი.

XI საუკუნეში მთარგმნელ-ჰიმნოგრაფს უკვე აღარ ევალებოდა საგალობლის კილოზე გაწყობა (დადება), ე. ი. მის მელოდიურ მხარეზე ზრუნვა. მის მოვალეობაში შედარდა დასდებლის ზუსტი თარგმნა, მისი რიტმული სახის დაცვა, ბერძნულ ძლისპირთან სრული რიტმული შესატყვისობის მიღწევა. რაც შეეხება საგალობლის კილოზე გაწყობას, ეს უკვე პროფესიონალი მუსიკოსის საქმე იყო, მით უმეტეს, თუ საგალობელი ქართულისათვის უცხო ძლისპირზე იყო დაწერილი. ამ შრომის პროფესიული დიფერენციაცია კარგად არის ასახული ანდრია კრიტელის „სინანულის გალობათა“ არსენიანული თარგმანის ანდერძში.

არსენ იყალთოელმა დაიწვნა ანდრია კრიტელის „სინანულის გალობათა“ ექვთიმესა და გიორგი მთაწმიდელის შესრულებული თარგმანები, ვინაიდან პირველს ტექსტი შემოკლებულად უთარგმნია და „გმისაგანცა თვისისა და ძლისპირთაგან შეეცვალნეს“, ხოლო მეორეს — „დაათუ გმაჲ არა შეეცვალა, გარნა თვისთა ძლისპირთა ზედა თარგმნაჲ არცა მას გულს-უდგინა“. ამიტომ არსენიმ იგულისმოდგინა გალობათა მესამედ თარგმნა „უცვალეზად თვისისაგან გმისა, თუთ მათვე ძლისპირთა ზედა მათთა, რომელთა ზედა წმიდასა ანდრეას ბერძულად აღეწერნეს, ბრძანებითა და ჟერ-ჩინებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცეულისა დავით აფხაზთა და ქართველთა და რანთა და კახთა მეფისათა, როელმან მე (არსენის — ე. მ.) თარგმანებისა, ხოლო წმიდასა მწყემსთა-მწყემსისა იოანეს, ქართლისა კათალიკოსსა, ვითარცა კეთილად მოართულსა ორღანოსა ტელოანთ-მთავერისა სულისასა, გმისა დადებისა ტელ-ყოფაჲ. გვბრძანა, ვინაჲთგან უცხონი იყვნეს ჩუენისა ენიწაგან ძლისპირნი ამათნი“¹ (ე. ი. ანდრეას გალობანის ძლისპირნი მანამდე ქართულად არ ყოფილა თარგმნილი).

ამრიგად, ამ ანდერძის მიხედვით, ანდრიას საგალობლის ბერძნულიდან გადმოღება დაეკისრა ორ პირს: არსენის, როგორც მთარგმნელს, რომელიც დაუფლებული იყო „დასდებლის მეცნიერებას“, და იოანეს, რომელიც ზეკით მომადლებული ნიჭით სამუსიკო ხელოვნების ოსტატი ყოფილა. იოანეს დაევალა გალობის კილოზე დადება, ე. ი. ის, რასაც ადრე მეხელები აკეთებდნენ საგალობლის თარგმნისთან ერთად თუ თარგმნის გარეშე.

ასეთია ზოგადი მონახაზი ქართული „გმეანი გალობის“ განვითარებისა 3 საუკუნის მანძილზე.

დასასრულ, კიდევ ერთ საკითხზე: ქართული გმეანი გალობის განვითარების რომელ საფეხურთან არის დაკავშირებული შესანიშნავი ქართველი მოღვაწისა და

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორია, 1933, გვ. 210. ე. მეტრეველი, „ნეტარნი“ და მეტრის“ გადებისათვის, გვ. 177.

მგალობელის გრიგოლ ხანძთელის ჰიმნოგრაფიული საქმიანობა? გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება საინტერესო ცნობებს გვაწვდის გრაგოლზე, როგორც განსწავლულ მგალობელზე, მგალობელთა მოძღვარზე. გრიგოლმა ერთნაირად კარგად იცოდა როგორც „დაეთი“, ასევე „ჰმითა სასწავლელი სწავლა საეკლესიოა, სამოდღუროა“¹. ამასთანავე „ნეტარი მამაა ჩუენი გრიგოლ ორთა მათ მისთა შენებულთა მონასტერთა შინა, ხანცთას და შატბერდს, იქცოდა მარადის და მოძღუერებისა მისისა სწავლითა აღაესებდა გულსა მოწაფეთა თქსთასა, რამეთუ არა ხოლო თუ წიგნთა საღმრთოთა ოდენ სიბრძნის-მეტყუელებდა ყოვლით კერძო, არამედ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად, და ყოველთა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა, რამეთუ, რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებელად აქსოვდა. და აქუნდა ჰმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შეენიერებაჲ, ხოლო განსაკვრებელ იყო ქსოვნებაჲ მისა“². ამრიგად, გრიგოლს ზეპირად სცოდნია წმიდისა კათოლიკე ეკლესიის საქადაგებელი გალობა მთელი წლის განგებით და მისი მოძღუარიც ყოფილა განუკითხველი. მას ამ გალობათა სრული კრებულიც — „საწელიწდო იადგარიც“ — დაუწერია საკუთარი ხელით, რომელიც გიორგი მერჩულეს თავის თვალით უნახავს ხანძთის მონასტერში.

სამწუხაროდ, ამ ციტატიდან არ ჩანს, რომ გრიგოლი თვითონ იყო გალობათა გამომტქმელი და, ამდენად, მისი ხელით დაწერილი „საწელიწდო იადგარი“ მისივე ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი იყო³. მთელი საწელიწდო ციკლის გალობათა შეთხზვა (გამოტქმა) ერთი კაცისაგან, ვინც არ უნდა იყოს იგი, ძნელი დასაჭერებელია.

რა ტიპის გალობის მოძღვარი იყო გრიგოლ ხანძთელი? ცხადია, ხშიანი, რვა ხმაზე გაწყობილი გალობისა, ვინაიდან „ცხოვრებაში“ მოტანილი ხანძთის მონასტრის ტიპიკონიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ გარკვეულ დღესასწაულებზე სრულდებოდა ცისკრის კანონები ანუ გალობანი (იქვე, გვ. 265—266), რომლებიც, ჩვეულებრივ, რვა ხმაზე გაწყობილ გალობანს გულისხმობს. მაგრამ, იყო თუ არა ეს გალობანი „მარცვლედოვანი საზომით“ დაწერილი, ამის შესახებ გადაწყვეტილი რაიმეს თქმა მოტანილი ცნობის მიხედვით შეუძლებელია. ამიტომ ძნელია იმის გარკვევა, რა ტიპის იყო გრიგოლის ხელით დაწერილი „საწელიწდო იადგარი“ — ჰილეტრატის იადგარის ტიპისა, თუ ახალი, „მარცვლედოვანი საზომით“ დაწერილ ჰმეან გალობათა შემცველი იადგარის მსგავსი, რომლის უძველესი ნუსხები X საუკუნის საბაწმიდურმა ხელნაწერებმა შემოგვინახეს.

ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლის ლიტურგიკული და ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა მკვიდროდ იყო დაკავშირებული, პირველ რიგში, საბაწმიდასთან, საიდანაც მიიღო მან განგება, რომელიც, სხვებთან ერთად, საფუძვლად დაედო მის მიერ აშენებულ ეკლესია-მონასტრების განგებას; საფიქრებელია, ამავე განგებას ეყრდნობოდა მისი ხელით გადაწერილი „საწელიწდო იადგარიც“.

ის გარემოება, რომ IX საუკუნეზე აღრე არ ივარაუდება ბერძნული რიტმული გალობის ირპოლოგიონის არსებობა და, ბუნებრივია, არც მისი ქართული თარგმანი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ IX საუკუნეზე აღრე (VIII საუკუნეში) არ ითარგმნებოდა ცნობილი ბერძენი პოეტ-მელოდოსების გალობანი ქართულად, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის დამადასტურებელი წერილობითი ძეგლები ჯერჯერობით არ გამოვლენილა.

¹ ჰმითა სასწავლელი სწავლა „ჰმეანს“ ანუ რვა ხმაზე გაწყობილ გალობას უნდა ნიშნავდეს.

² ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 281.

³ აღ. ბარამიძე, გიორგი მერჩულეს გარემო: სტალინის საეკლესიო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ფილოლ. მეცნ. სერია, 71, გვ. 31—33.

რიტმული პუნქტუაცია და ნევმები

ძლისპირი არის გალობის მეტრულ-მელოდიური ნიმუში. ძლისპირის მეტრული სახე ხელნაწერებში პუნქტუაციით გადმოიცემა. ძლისპირის სტროფი პუნქტუაციით დანაწილებულია მონაკვეთებად (ტაეპებად), ხოლო ტაეპებზე ნევმების საშუალებით აღნიშნულია მუსიკალური ფორმულები (მელოდიური ფრაზები). ძლისპირის ტაეპობრივი ერთეულია მეტრული ტაეპი შესაბამისი მუსიკალური ფორმულათ. ამ ტაეპების ჯამი ქმნის ძლისპირის სტროფს მუსიკალური კილოთი, რომელზედაც სრულდება ამ ძლისპირზე დაწერილ გალობათა ტროპარები. მეტრულ-მელოდიური თანაფარდობის¹ დამყარება ძლისპირსა და გალობის ტროპარებს შორის ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში კანონის შედგენის ძირითადი და ამოსავალი პრინციპია.² ამავე პრინციპის დაცვა სავალდებულო იყო ამ კანონთა თარგმნისას³.

ორიგინალური გალობის შედგენისას ძლისპირ-ტროპართა მეტრული დაყოფა და თანაფარდობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია; კილოსთან შეწყობისას ტროპარის მეტრული დაყოფა (პუნქტუაცია) რიტმულ მნიშვნელობასაც იძენს, ამის გამო ამ პუნქტუაციას ზოგი მკვლევარი უწოდებს მეტრულს, ზოგი კი—რიტმულს. ჩვენ უკანასკნელს ვარჩევთ (ამ საკითხზე იხ. აგრეთვე აქვე—„კმეანი გალობა უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში“, გვ. 044—045).

სავალდებულო მეტრი თავისი ბუნებით და დანიშნულებით არსებითად განსხვავდება კლასიკური ლექსის მეტრისაგან. ის მკვიდროდ არის დაკავშირებული მელოსთან და მელოსის გადმოცემის აუცილებელ პირობას წარმოადგენს⁴, მაგრამ სანამ კონკრეტულად შევეხებოდეთ რიტმული პუნქტუაციის დანიშნულებასა და მნიშვნელობას ქართულ ძლისპირებსა და სავალდებულებში და ამ თვალსაზრისით მათ მიმართებას ბერძნულ ძლისპირებთან და გალობათა ტროპარებთან, გვინდა შევეხოთ საკითხს, რა საფეხურები გაიარეს ძლისპირთა კრებულებმა რიტმული პუნქტუაციის გრაფიკული გამოსახვისა და ნევმების ხმარების თვალსაზრისით.

VIII საუკუნიდან დიდად გაიზარდა ჰიმნოგრაფიის როლი ყოველდღიურ ბიზანტიურ და, მასთან ერთად, ქართულ ღვთისმსახურებაში. ლიტურგიკულ კრებულებში დიდი ადგილი დაეთმო ვალობებსა და სტიქარონებს, რომელთა შესრულებისთვისაც აუცილებელი იყო ძლისპირთა ცოდნა. ამან განაპირობა ძლისპირთა სპეციალური კრებულების შექმნა. გალობათა და სტიქარონთა ძლისპირები გაერთიანდა სპეციალურ კრებულში ირმოლოგიონში ანუ ძლისპირში, რომელიც თანდათან გალობის ძირითად სახელმძღვანელოდ იქცა.

თუ რა დროიდან ჩამოყალიბდა ცნობილ პოეტ-მელოდოსთა ვალობების საფუძველზე ბერძნული ირმოლოგიონი და რა სახე ჰქონდა მას თავდაპირველად, ამის შესახებ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია. არ არსებობს არც X საუკუნის

¹ თანაფარდობა არ გამორიცხავს ზოგიერთ გადახრას წესიდან, რომელზედაც ცალკე შევჩერდებით.

² ამ თვალსაზრისით სავსებით გამართლი და სანდოა ბერძნული სექტემბრის თვის კანონთა აზალი გამოცემა: *Analecta Hymnica Graeca e codicibus eruta Italiae Inferioris*, Joseph Schirò consilio et ductu edita. I. *Canones Septembris*. Roma. 1965.

³ *La musique byzantine chez les Bulgares et les Russes (du IX^e au XIV^e siècle)* par Palikarova-Verdeil. M. M. B. Subsidia, III. 1953. გვ. 40, 155.

⁴ მელოსის განსაკუთრებულ როლზე ბიზანტიურ პოეზიაში ვრცლად მსჯელობენ თავის გამოკვლევებში: გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური სავალდებულის პოტიკის საკითხები, ლიტურგიკული ძეგლები, XII, გვ. 177—195; ა. გაწერელია, ქართული ვერსიფიკაციისა და ჰიმნოგრაფიის საკითხები, მნათობი, 1969, № 3.

დამლევზე ადრეული ბერძნული ირმოლოგიონი¹. ერთი აშკარაა, IX საუკუნეში ირმოლოგიონი უკვე არსებობდა, ვინაიდან X საუკ. შუა წლებიდან ჩვენამდე მოაღწია პირველმა, მეტად მცირე მოცულობისა და ვაწრო დანიშნულების ქართულმა მოკლე KaO ძლისპირნმა. პირველი OdO გამართული ქართული ძლისპირნი კი, მისთვის სავალდებულო ყველა ატრიბუტით—რიტმული დაყოფით, ნევმებით და მითითებით ქართული ძლისპირის ბერძნულ დედანზე, აგრეთვე X საუკ. შუა წლებში უკვე არსებობდა და იგი ქართველ პროფესიონალ მგალობელთა ხელიდან უნდა გამოსულიყო (არაპროფესიონალთა წრეში არ შეიძლება შექმნილიყო ძლისპირნის ისეთი სრულყოფილი ნუსხები, როგორც დაცულია *Sin. 1-სა და Sin. 14 ხელნაწერებში*).

ვფიქრობთ, რომ მცირე ლიტურგიკული კრებულების თანდათან გაერთიანება-გაშესვილება დიდ იადგარებში იმითაც იყო განპირობებული, რომ სრულია პროფესიულად ზუსტა, ნევმირებული ძლისპირნი აუცილებელი ნაწილი იყო დიდი იადგარისა, ვინაიდან იგი მთელი იადგარის ჰიმნოგრაფიული მასალის ძლისპირთა რეპერტუარს მოიცავდა. იადგარებში მცირე ლიტურგიკულ წიგნთა თავმოყრით მოიხსნებოდა მცირე ლიტურგიკული ძეგლებისათვის განკუთვნილი კერძო დანიშნულების ძლისპირნის შედგენის აუცილებლობა, რომელაც თავისა პროფესიული დონით დიდად ჩამორჩებოდა დიდი იადგარების ძლისპირნს. მაგრამ დიდი იადგარის შექმნის განსაკუთრებული სირთულისა და ამით გამოწვეული მათი რაოდენობრივი სიმცირის გამო მცირე ლიტურგიკული კრებულები თავისა კერძო ძლისპირნით ერთხანს მაინც ვერ განდევნა პრაქტიკიდან. ისინი დიდი იადგარების პარალელურადაც არსებობდნენ და ყოველდღიურ საღვთისმსახურო პრაქტიკაში იხმარებოდნენ. ნევმირებული დიდი იადგარები კი, რომელთაც X—XI სს. ქართველი ჰიმნოგრაფები გამოსარჩევად „მეხურ იადგარსაც“ უწოდებდნენ², თავისა მაღალი „მეცნიერული“ ღირებულების გამო სასწავლო წიგნის მნიშვნელობას იძენენ³.

სანამ დიდი იადგარი და მასში შემავალი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ დაიხვეწებოდა რიტმული და ნევმების თვალსაზრისით, ძლისპირნისა და, შესაბამისად, დასდებლების ტექსტებმა, ამავე თვალსაზრისით, ვანეთარების გარკვეული გზა განვლეს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ზემოთ განხილული *Sin. 26, Sin. 20 და Sin. 34*. არც ერთ ამ მცირე ზომის ლიტურგიკულ კრებულში არც ძლისპირნი და არც დასდებლების ტროპარები არ არის ნევმირებული, რიტმული პუნქტუაციის თვალსაზრისით კი ეს ხელნაწერება განსხვავებულ სურათს გვაწვდიან.

Sin. 26, 954 წლას მცირე იადგარი, გადაწერილია რამდენიმე გადაწერის ხელით, ხოლო გაჩაღებულია იოანე-ზოსიმეს მიერ (იხ. აქვე, გვ. 0108). კრებული იწყება სტიქარონთა დასდებლებით, რომელთაც თავდაპირველად რიტმული პუნქტუაცია სულ არ ჰქონიათ. რიტმული წერტილები ტექსტის დაწერის შემდეგ არსდასმული, უადგილობის გამო სრულიად უწესრიგოდ: ზოგი სიტყვის ზემოთ, ზოგი ქვემოთ, ზოგი კი სიტყვებს შუა ჩაქვილილი. მაგრამ ამავე კრებულის II ნაწილში,

¹ ივლისხმება. რომ IX საუკუნეზე ადრე ბერძნული ირმოლოგიონი არც იყო ჩამოყალიბებული.

² ე. ლ. მეტრეველი, „მეხურის“ და „მეხურის“ გაგებისათვის: შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966, გვ. 165.

³ ე. ლ. მეტრეველი, იქვე, გვ. 175. „დიდი იადგარს“. როგორც საეკლესიო განგების თვალსაზრისითაც სანიშნო წიგნს, ასახელებს ქართული ლექციონარიც. იხ. *Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem*, édité par M. Tarnnischvili, 1960, ტ. II, გვ. 113.

რომელიც შეიცავს „საუფლო დღესასწაულების დასდებლებს“ და დაწერილია პირველი ნაწილისაგან განსხვავებული ხელით, სრული ტექსტებით მოტანილ ძლისპირებს, ღმრთისმშობლისას და მათთან ერთად ტროპარებსაც აქვთ რიტმული წერტილები (მცირე გამოწკნისის გარდა). რამდენიმე ძლისპირი ამ ნაწილიდან ნითილებულია ამავე ხელნაწერის „ძლისპირთა საძიებელში“ (იხ. აქვე, დამატება I). ხელნაწერის III ნაწილი მოიცავს ღმრთისმშობლის, მთავარანგელოზთა, წინასწარმეტყველთა, მოძღვართ-მოძღვართა, წმინდა მამთა, ჯვარის და სხვ. დასდებლებს (148 v-დან). დასდებლები იწყება ძლისპირთა სრული ტექსტით, მთავრდება ღმრთისმშობლისას სრული ტექსტით. დასდებლის ძლისპირი, ღმრთისმშობლისა და ტროპარები ერთნაირად რიტმული პუნქტუაციის გარეშეა დაწერილი. ტექსტებს არა აქვს არც სასეენი ნიშნები. დასდებელთა დასაწყისის გასწვრივ მიწერილია: „შეკრებულნი ძუელნი დასდებლები“. მათი ყველა ძლისპირი იძებნება OdO წყობის ძლისპირის I რედაქციაში. ამ დასდებლების ძლისპირთა საძიებელს წარმოადგენს ზემოთ განხილული Sin. 26-ის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. საძიებლის საშუალებით მღვდელმსახურს წვედლო საჭირო შემთხვევაში გამოეყენებინა დასდებლების ძლისპირთა აკოლუთიება სხვა დასდებლებისათვის, სადაც ძლისპირთა მხოლოდ დასაწყისებია მითითებული. დასდებელთა ტექსტების ბოლოს ამის თაობაზე იოანე-ზოსიმე წერს: „რომლისა თაფ-თაფები მიჩენია, იგი ყოველი ზემოთ ძუელთა შეკრებულთა შინა 3300“ (222 r).

ამ დასდებლების ზოსიმესული კვალიფიკაცია—„ძუელნი“—არ უნდა იყოს დაკავშირებული დასდებლებში რიტმული პუნქტუაციის უქონლობასთან, ვინაიდან ასევე არა აქვს რიტმული პუნქტუაცია ამ დასდებლების მომდევნო ტექსტებს: „იბაკონი ჭუარისანი ახალნი ახალთა შეკრებულთა სავედრებელთანი“ (225 v) და „ადგომის დასდებლები“ (226 r—261 r). აქ ერთმანეთს უპირისპირდება „ძუელნი“ და „ახალნი“ შეკრებულნი. „ძველს“ იოანე-ზოსიმე, ვფიქრობთ, ლიტურგიკულ პრაქტიკაში დასდებლების აღრიდანვე გავრცელება-ხმარების თვალსაზრისით ხმარობს. ამავე მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს „ძუელნი“ Sin. 26-ში შეტანილი „ადგომის დასდებელთა“ მეორე ჯგუფის¹ მიმართ: „ძუელნი ადგომის დასდებლები“ (127 v). ეს დასდებლები, მართლაც, თავისი აგებულებითაც ძველია და უკვე X საუკუნის II ნახევრისათვის გამოსულია ხმარებიდან. ამ დროიდან ისინი წეცალა აღდგომის „ახალმა“ დასდებლებმა.

ამრიგად, რიტმული პუნქტუაციის ხმარების ერთიანი პრინციპი Sin. 26 ხელნაწერის ძლისპირებსა და ტროპარებში დაცული არ არის. იგივე ძლისპირები და დასდებლები გამართული რიტმული პუნქტუაციით არის წარმოდგენილი X საუკუნის დიდ იადგარებში, სადაც ძლისპირებისა და გალობათა რიტმულისა და მუსიკალური მხარის ზუსტ გადმოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

რიტმული პუნქტუაციის გარეშეა Sin. 20-ის KaO წყობის ძლისპირნიც (იხ. დამატება II). ძლისპირებში აქა-იქ, არასისტემატურად იხმარება სასეენი ნიშნები (ერთი და ორი წერტილი), რიტმული პუნქტუაციის გარეშეა კრებულის დასდებლებიც.

არა აქვს რიტმული პუნქტუაცია არც Sin. 34-ის „ძლისპირნსა და ღმრთისმშობლისასს“. ძლისპირებში იხმარება სასეენი ნიშნები (ორი და ერთი წერტილი, იხ. ტექსტები I). ხოლო დასდებლის ტროპარებში ამ მხრივ არ არის ერთნაირი სურათი, ვინაიდან ხელნაწერი-კრებული სხვადასხვა დროისა და პიროვნების მიერ

¹ პირველი, როგორც ზემოთ ითქვა, მოთავსებულია ამავე ხელნაწერის 226 r—261 v-ზე.

ვადანეროდ ტექსტებს მოიცავს. ამრიგად, უძველეს ლიტურგიკულ კრებულებში („მცირე იადგარებში“) „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“-ს ტექსტები, რომლებიც KaO წყობისაა, რიტმული პუნქტუაციის გარეშეა წარმოდგენილი. ასევე არა აქვთ მათ არც ნევმები.

მაშასადამე, ქართული ძლისპირის რიტმული დაყოფა და მისი ბერძნულ კილოსთან შეწყობა ხდებოდა ზეპირად, გალობის პროცესში, რის გამოც ბერძნულ ძლისპირთან ზუსტი რიტმულ-მელოდიური შესატყვისობის მიღწევა ძნელი იყო და ბევრად იყო დამოკიდებული თვით მგალობლის ოსტატობაზე.

სულ სხვა სურათია დიდი იადგარის OcO წყობის ძლისპირთა კრებულებში. ჩვენ მიერ განხილული დიდი იადგარის ხელნაწერებიდან (L, H, O, h, J, A)¹ რიტმული პუნქტუაცია ახლავს ყველა ხელნაწერის მთელ ჰიმნოგრაფიულ მასალას და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ძლისპირებს. ამათგან HL ხელნაწერებს, რომლებმაც OdO წყობის I რედაქციის ძლისპირის ყველაზე მოკლე და ადრეული ვარიანტი შემოვიინახეს, აქვთ აგრეთვე ნევმები იადგარის მთელ ჰიმნოგრაფიულ მასალაზე; დანარჩენ $OhAJ$ ² ხელნაწერებს ნევმები არა აქვთ.

ამავე OcO წყობის ძლისპირის I რედაქციის ხელნაწერებში თავი იჩინა კიდევ ერთმა ახალმა გარემოებამ, რომელსაც არ იცნობს კერძო KaO წყობის ძლისპირნი—ყოველა ქართული ძლისპირის ზედწარწერაში. მოტანილია ბერძნული ძლისპირის დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით. ამგვარი ტრანსკრიფციები აქვთ დასახელებული ხელნაწერებიდან ოთხს— $LHOH$ -ს. ამავე ხელნაწერებში, გარდა ძლისპირებისა, ბერძნულ დედნებზე მითითებები აქვთ აგრეთვე მთელ რიგ სტაქარონებსაც³.

ქართული ძლისპირების ბერძნული დედნების ძიებაში ამ ტრანსკრიფციებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. ქართულ ძლისპირთა შედარებამ ტრანსკრიფციებით მითითებულ დედნებთან დაგვარწმუნა, რომ ქართული ძლისპირების უმრავლესობა წარმოდგენს ტრანსკრიფციებში მითითებულ ბერძნული დედნების თარგმანს. მხოლოდ მცირე ნაწილია ბერძნულის არა თარგმანი, არამედ შინაარსობრივი ან მხოლოდ რიტმულ-მელოდიური შესატყვისი.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: თუ ქართული ძლისპირი შინაარსობრივი და რიტმულა შესატყვისია ბერძნულისა, მაშ რისთვისაა არის საჭირო ყოველი ქართული ძლისპირის გასწვრივ მის ბერძნულ დედანზე მითითება?

ბერძნულ დედანზე მითითება, პირველ რიგში, მითითებაა ბერძნული ძლისპირის კილოზე, რომელიც ცნობილია მგალობელისათვის და რომელიც მან უნდა მიუსადაგოს ძლისპირის ქართულ თარგმანს. ამის ყველა საჭირო წინასწარი პირობა დატულია ქართულ თარგმანში, მიღწეულია ბერძნულ-ქართულ ძლისპირთა რიტმული და შინაარსობრივი შესატყვისობა; ნევმებით ქართულ ძლისპირებზე აღნიშნულია ძლისპირის კილოს მოძრაობის ძირითადი საყრდენი ფორმულები, განაწილებული რიტმულ მონაკვეთებზე, ხოლო კილოს სრული მელოდიური ხაზი კი მგალობელმა იცის ზეპირად შესაბამისი ბერძნული ძლისპირის მიხედვით. ამ გზით შესაძლებელია ქართუ-

¹ B (მიქაელ მოდრაეილის) „ძლისპირის“ ჩვენ ქვემოთ ცალკე შევეხებით, ვინაიდან იგი რედუცირულად ძლისპირთა ამ კატეგორიის არ განეკუთვნება.

² A ხელნაწერში ნევმები აქვს სულ რამდენიმე ძლისპირს (ნ.ხ. 10 v—13 r).

³ გარდა დასახელებული ხელნაწერებისა, მითითებებს სტაქარონთა ბერძნულ დედანზე ეხდებიან აგრეთვე „წიარმის იადგარში“ (დატულია მესტიის მუზეუმში).

ლი ძლისპირის უფრო ზუსტი ადაპტაცია ბერძნულთან და ქართული ძლისპირის ბერძნულ კილოზე შესრულება.

ბერძნულ კილოზე მითითების აუცილებლობა ნაკარნახევია ნევმური ნოტაციის შეზღუდული შესაძლებლობით. ამის შესახებ ცნობილი გერმანელი მეცნიერი ო. ფლეიშერი წერს: „Невмы хорошо устанавливают направление голоса и его движение вверх и вниз и позволяют заключать, при каких условиях выражения и последовательности времени мелодия должна быть пропета; однако пропеть по невмам доселе неизвестную мелодию невозможно, так как отношения отдельных невматических тонов друг к другу в самих знаках не даны“¹.

ამ ვარაუდს მხარს უჭირს, ერთი მხრით, ქართული ძლისპირის განვითარების საერთო სურათი, მეორე მხრით, ბერძნული საეკლესიო გალობის გავრცელებს ანალოგიური გზა სლავ და სხვა ხალხების ლიტურგიკულ პრაქტიკაში. ბულგარული და სერბიული რედაქციის სლავურ ხელნაწერებში დადასტურებულია გალობათა ბილანგვერი (სლავურ-ბერძნული) ტექსტები, რომლებიც მკვლევართა აზრით, საგალობლის სლავური თარგმანის ტექსტებთან ასევე ბერძნული კილოს ადაპტაციის მიზანს ექსახურება².

ძლისპირის თავდაპირველი კრებულები, როგორც ვნახეთ KaO წყობას კერძო დანიშნულების ძლისპირის მაგალითზე, მცირე მოცულობისა იყო. მოკლებულა რიტმულ პუნქტუაციას და ნევმებს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ კილოები იმ მცირე ძლისპირისა, რომლებიც ძლისპირთა მხოლოდ რამდენიმე აკოლუთიას მოიცავდა, მღვდელმსახურებმა თუ მაგალობლებმა ზეპირად იცოდნენ და მათ, საკვირების შემთხვევაში, კრებულის მთელი პიმნოგრაფიული მასალისათვის იყენებდნენ, ე. ი. ძლისპირთა კილოების თავდაპირველად გავრცელებისა და გადაცემის გზა მხოლოდ ზეპირი უნდა ყოფილიყო³. შედეგად, ძლისპირთა თარგმანების რაოდენობასა და ძლისპირთა კრებულების მოცულობის ზრდასთან ერთად და უკვე პროფესიულ დონეზე მათი სწავლებისა და გადაცემის აუცილებლობასთან ერთად, საკარო გახდა ისეთი ძლისპირის შექმნა, სადაც გრაფიკულად ფიქსირებული იქნებოდა ძლისპირის სილაბიკა და კილო. ქართული ძლისპირის განვითარების ეს მეორე ეტაპი ისახა OuO წყობის უძველეს ნუსხებში (HL ხელნაწერებში). რომელთაც ამ ორ მონაცემთან ერთად ახლავთ, როგორც ვთქვი, მითითებებიც ქართულ ძლისპირთა ბერძნულ დედნებსა თუ შეატყვისებზე.

¹ O. Fleischer. Neumen-Studien. Abhandlungen über Mittelalterliche Gesangs-Tonschriften, Theil I, Leipzig, 1895, გვ. 5, რუსულ თარგმანი მოგვეყვას ნ. უსპენსკია წიგნის მიხედვით: Древнерусское певческое искусство, Москва, 1965, გვ. 35.

² D. Stefanovic', Byzantine Influences on the Slavic Chant: Proceedings of the XIIIth International Congress of Byzantine Studies. Oxford, 1966. London, 1967, გვ. 146; R. Palikarova-Verdeil. La musique Byzantine chez les Bulgares et les Russes, გვ. 213.

³ ვ. მეტალოვის ვარაუდით, სლავებშიც ბერძნული გალობა თავდაპირველად ზეპირად ვრცელდებოდა: „Все эти, сравнительно немногие данные наводят на мысль, что русское нотное письмо и тенне получили свое начало от южных славян, в частности, от болгар,—по с тем ограничением, что пение по наслышке было принято в русское богослужение тотчас же по крещении, нотное же письмо переходило не сразу, а постепенно, в продолжении не менее века—Металлов, В. М., Богослужбное тенне русской церкви, Москва, 1908, გვ. 38. M. Velimirovic'-ის აზრით ბერძნული გალობა სლავ ხალხებში თავდაპირველად ზეპირად ვრცელდებოდა—M. Velimirovic', The Influence of the Byzantine Chant on the Music of the Slavic Countries: Proceedings of the XIIIth International Congress... გვ. 119.

ვინად. ნ თავდაპირველად ბერძნული ძლისპირის კილო ბერძნულ ძლისპირის ტექსტთან ერთად იყო მგალობლის მიერ ათვისებული, ამიტომ ძლისპირთა ქართულ თარგმანებზე ამ კილოთა გადმოტანა გულისხმობდა ქართულ-ბერძნულ ძლისპირთა ტექსტების რიტმულ-ველოდიურ შეწყობას, რაც გამოიხატა ქართულ ძლისპირთა რიტმულ პუნქტუაციაში, ნეემებში და იმ ბერძნულ ძლისპირებზე მოითთებებშიც. რომლის თარგმანსაც წარმოადგენს ქართული, ანდა რომლის კილოს სქემატურ გადმოცემას ენახებურება ძლისპირის რიტმიკა და ნეემები.

ბერძნული ძლისპირის ქართული თარგმანის გაერცელების შემდეგ, ძლისპირის ბერძნული ტექსტი ქართველი მგალობლისათვის კარგავს მნიშვნელობას. ის ამერიდან არის მხოლოდ ძლისპირის კილოს შესრულებისა თუ გადმოცემის საშუალება, როშელოც ქართველ მგალობელს ესაქიროებოდა მანამ, სანამ ეს კილო ქართული ძლისპირის ტექსტს შოერგებოდა და შეუსისხლხორცდებოდა. ეს რომ ასე იქიდანაც ჩანს, რომ ქართული ძლისპირის ხელნაწერებში ძლისპირთა ბერძნული დედნების ტრანსკრიფციები მრავალ შეცდომას შეიცავს და ეტყობა, რომ გადაამწერის (გადაამწერი კი უნდა ყოფილაყო ვალობის მცოდნე) მიერ ყოველთვის არ არის გააზრებული მათი შინაარსი. საესებით შესაძლებელია, რომ აქ ბერძნული ტექსტის მექანიკური დამახსოვრების შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე კილოს დასწავლისა და ტექსტზე განაწილების მიზნით (ტრანსკრიფციათა შესახებ იხ. აქვე, გვ. 032).

ამრიგად, ქართული ძლისპირებს რიტმული პუნქტუაცია და ნეემები, ერთი მხრით, ხოლო მოითთება ბერძნულ ძლისპირზე, მეორე მხრით, საშუალებას აძლევს მგალობლებს ქართულ ძლისპირს შეუთანხმონ, შეუწყონ მისი ბერძნული დედნის კილო, რომელიც მათ ზეპირად იციან ბერძნულ ტექსტთან ერთად. ვინაიდან ძლისპირთა ამგვარ კრებლებს პირველ რიგში სასწავლო დანიშნულება ჰქონდათ, ხოლო კილოს გადმოცემის სიზუსტეს პროფესიული დახელოვნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ამიტომ ძლისპირის ჩამოყალიბების დასაწყის ეტაპზე ძლისპირის კილოზე ეს ორმხრივი მოითთება საესებით გამართლებული ჩანს.

ძლისპირის კილოზე ორმაგი მოითთება დამახასიათებელი იყო ნეემური სისტემის შემოღების პირველ საფეხებზე, როდესაც პირველად ხდებოდა ქართულ ძლისპირთან ბერძნული კილოს შეწყობისათვის გრაფიკული საშუალებების გამოყენება. ეს სისტემა იყო ახალი და ამავე დროს არასრულყოფილი¹, რაც შეუძლებელს ხდიდა ტექსტზე კილოს ზუსტ ფიქსაციას. ნეემები ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი დანიშნულება-სა იყვნენ. ნეემების ფორმულების (კომბინაციების) საშუალებით შესაძლებელი იყო (ისევე, როგორც ადრეულ ბერძნულ ნეემურ სისტემაში) კილოს ძირითადი მელოდიური ფრაზებზე მინიშნება და ამ გზით ძლისპირის კილოს წარმოდგენა და გახსენება. ამიტომ, ნეემების შემოღების პირველ ხანებში ქართულ ძლისპირში ნეემებთან ერთად მოტანილია იმ ბერძნული ძლისპირის დასაწყისი, რომლის კილოზე უნდა შესრულდეს ქართული ძლისპირი და რომელიც სქემატურად ნეემებით არის მინიშნებული.

ბერძნული კილოს ზეპირად ცოდნას რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ძლისპირის კილოს შესწავლისათვის, და შესაძლოა ნეემებზე მეტიც, ეს იქიდან ჩანს, რომ X საუკუნის მეორე ნახევრის Oti სინური იადგარების ძლის-

¹ როგორც ჩანს, ქართული ნეემები, ბერძნული ეფონეტიკური ნიშნების მსგავსად, არ გადმოსცემდნენ ზერის არც ვარკვეულ სიმაღლეს და არც გრძილობას. ნეემები სხვადასხვა კომბინაციებში განსხვავებული მნიშვნელობის მქონენი არიან.

პირში, რომლებიც ძლასპირნის უძველესი, I რედაქციის ვრცელ ვარიანტს წარმოადგენენ, ძლისპირებს აქვთ რიტმული პუნქტუაცია, აქვე მითითებები ბერძნულ დედნებზე და არა აქვთ ნევმები. ე. ი. ამ შემთხვევაში ნევმების მაგივრობას წევს მითითებები ბერძნული ძლისპირის კილოზე. რაც მგალობელმა ზეპირად იცის, მაგრამ ეს მითითება არ იქნებოდა საკმარისი სასწავლო მიზნებისათვის. ნევმები, რომლებიც კილოს სქემატური ფიქსაციის საშუალებაა, აუცილებელი პირობაა გალობის სწავლებისათვის.

ცხადია, ბერძნულ ძლისპირზე მითითება, როგორც უკვე ზემოთაც ითქვა, მანამ იყო საჭირო, სანამ ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ ძლისპართა სრული კრებულს ძლასპირები მიიღებდნენ და შეითავისებდნენ იმ კილოებს, რომლებიც ზეპირად იცოდნენ, ბერძნულ ტექსტთან ერთად, მგალობლებმა. იმის შემდეგ, რაც კილო ქართულ ძლასპირს შეეთვისა და მოერგო, ბუნებრივია, ის თვითონ გახდა კილოს ნიმუში. ამ დროიდან მითითება ბერძნულ დედნზე, როგორც ქართულ ძლასპირის კილოს მოდელზე, უკვე საჭირო აღარ იქნებოდა. აქ უკვე პირველ რიგში წამოიწია ნევმებმა, რომელთა საშუალებით ხდებოდა კილოს ძირითადი, საყრდენი მელოდიური ფრაზების ფიქსაცია კილოს შესხენების მიზნით. და მართლაც, უკვე X საუკუნის მიწურულისათვის ისეთ შესანიშნავ კრებულში, როგორცაა ამ თვალსაზრისით მაღალ პროფესიულ დონეზე შედგენილი მიქელ მოდრეკილას იადგარი, ძლისპირთა სულ მცირე რაოდენობას, შვიდიოდე ერთეულს, ისეც მხოლოდ ა ხმის დასაწყისში, აქვთ მითითება ქართულ ძლისპირთა ბერძნულ შესატყვისებზე. ნუკლეგ ხმებში ეს მითითებები სრულიად ქრება. არ ჩანან ისინი არც იადგარის სტიქარონებში. სპეციალურად, თითქმის მთელი იადგარი ნევმირებულია; და ბოლოს, X—XI საუკუნეთა მიჯნის ცნობილი იორდანეს ძლასპირთა კრებულში (A—603), რომელიც აგრეთვე პროფესიონალის ხელაღწევა გამოსულია და ისევე, როგორც მიქელას იადგარი, სასწავლო დანიშნულებისაა, მითითებები ბერძნულ დედნებზე სრულიად აღარ არის.

ასე დასრულდა ბერძნულ კილოთა ქართულ ძლისპირებზე გადმოტანის გზა ძლასპირთა ქართულ კრებულში. ასე წარმოგიდგენია ჩვენ ძლისპირთა ქართულ თარგმანებში რიტმულ პუნქტუაციისა და კილოს ფიქსაციის ისტორიული სურათი ძლასპირთა უძველესი ნუსხების ფილოლოგიური შესწავლის საფუძველზე.

ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ გამორიცხავს თავდაპირველად ბერძნულად მიღებული კილოს თანდათან ქართულ ხალხურ მუსიკალურ ტრადიციებთან შეუარდებლად და მათ შესაბამისად დამუშავებას, მაგრამ ეს ნაციონალიზაციის პროცესი ხანგრძლივი და დიდი პროცესი იყო, რომელიც საუკუნეების მანძილზე თანდათან აქართულებდა და განვითარების საკუთარი გზით წარმართავდა თავდაპირველად ბერძნულად მიღებული საგალობლების კილოებს.

ეს ვარაუდი, დაყრდნობილია ქართულ ძლისპირნის უძველესი ხელნაწერი ნუსხების ფილოლოგიურ შესწავლაზე, რაღა თქმა უნდა, მრავალმხრივ შემოწმებას თხოულობს, პირველ რიგში კი ამ საკითხის შესწავლას ქართულ-ბერძნულ-სლავურ პარალელურ მასალაზე, განსაკუთრებით კი ბერძნულ-ქართული მელოდიური ფორმულები¹ და კადანსების ურთიერთშეპირისპირებასა და მათი რიტმულ მონაკვე-

¹ იან. ნტიური მუსიკალური სტილის ერთ-ერთი არსებითი ნაშანია მელოდიური ფორმულების გამოყენება. მელოდიური ფორმულა არის ძირითადი სტრუქტურული ელემენტი საგალობლის კილოსი (M. Velimirovic, The Influence of the Byzantine Chant..., გვ. 119). ანალოგიურა ეოთარება ქართულში.

თებზე განაწილების წესის ურთიერთშედარების საფუძველზე¹. ეს კი მომავლის საქმეა.

ამრიგად, ქართული ძლისპირი ბერძნული ირმოსის შინაარსობრივი შესატყვისია, სადაც ამავე დროს მეტ-ნაკლებად დაცულია რიტმული შეფარდება ბერძნულ ძლისპირთან. ეს მომენტი კი ბერძნული ძლისპირის ნევმირების, ე. ი. კილოს გადმოცემის აუცილებელი პირობაა. ბერძნულ-ქართულ ძლისპირთა რიტმული თანაფარდობა ქართული ძლისპირისათვის ბერძნული კილოს მიყენების მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ამას თუ დაეუმატებთ ქართულ ძლისპირთან მის შესატყვის ბერძნულ დედანზე მითითებას ბერძნული ტექსტის დასაწყისის ს.ხით, რაც აგრეთვე ბერძნული ძლისპირის კილოზე პირდაპირი მითითებაა, მაშინ ქართულ თარგმანში ყველა საჭირო პირობა იყრის თავს იმისათვის, რომ ბერძნული კილოს შესრულება შესაძლებელი იყოს ძლისპირის ქართულ ტექსტზე.

გავრცელების ანალოგიური გზა, როგორც აღვნიშნეთ, განვლო ბერძნულმა გალობამ სხვა ქვეყნებშიც. ორენოვანი—ბერძნულ-ლათინური გალობის ტექსტები, პრიმიტიული კილოთი, შემოგვინახა ბენვენტანის XII—XIII საუკუნეებში ხელნაწერებმა. ეს ტექსტები, ე. ველუშის აზრით, უნდა ეყუარებოდნენ იმ აღრეულ ხანს, როდესაც იტალიაში გზას იკაფავდა ბერძნული გალობა².

ასეთივე ვითარება დასტურდება სლავებშიც. რ. პალიკაროვა-ვერდილის ცნობით, საგალობელთა ზოგიერთ სლავურ ხელნაწერში ერთმანეთის გვერდითაა მოტანილი ბერძნული და სლავური ტექსტები ნევმებო. მკვლევრის ვარაუდით, ამ გზით სლავები ცდილობდნენ ბერძნულიდან თარგმნულ საგალობლებში ბერძნული კილოს სიწმინდის დაცვას, სლავური ტექსტის ბერძნულთან ადაპტაციას³.

ამასთან დაკავშირებით გვინდა მოვყვანოთ შესიკათმცოდნე ი. კელდის თვალსაზრისი ძველა რუსული გალობის წარმოშობის შესახებ: „Бездоказательным и исторически маловероятным представляется утверждение, что древнее русское церковное пение возникло на народной почве самостоятельно, путем „самозарождения“, без какого бы ни было влияния извне. Оно не могло быть народным на самых ранних ступенях своего развития, так как само христианство оставалось еще далеким и чуждым народу“⁴.

შესიკათმცოდნე ნ. უსპენსკომ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ შრომაში—Древнерусское певческое искусство⁵—მდიდარი ფაქტური მასალის მოშველიებით თვალსაჩინოდ წარმოადგინა სლავური გალობის განვითარების ისტორიული სურათი, მისი მომდინარეობა და დამოკიდებულება ბიზანტიურ გალობასთან და მისი შემდგომი განვითარება ნაციონალურ ნიადაგზე, რაც ნაციონალურ-სტილისტური ფორმების ხანგრძლივ ძიებაში გამოიხატა⁶.

ვფიქრობთ, VIII—IX საუკუნეებში სხვანაირად ვერც წარმოიდგინებოდა საეკლესიო გალობის შემოღება და გავრცელება სხვა არაბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიებში, ვინაიდან ბერძნულ საეკლესიო გალობაზე დიდი კონტროლი იყო

¹ ეს საშუალო გარკვეული მოცულობით ჩატარებული აქვს შესიკათმცოდნე გ. ლორთქიფანიძეს, რომელმაც ნება მომაცა გავცნობოდა მის მიერ მიღებულ წინასწარ შედეგებს, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

² E. Wellesz, A History of Byzantine Music and Hymnography, 1962, გვ. 133; Eastern Elements in Western Chant by E. Wellesz. M. M. B. Subsidia. ტ. II, გვ. 19—21.

³ La musique byzantine chez les Bulgares et les Russes (du IX au XIV siècle) par R. Palikarova-Verdeil. გვ. 46.

⁴ Н. Успенский, Древнерусское певческое искусство, Москва, 1965, Вступительная статья Ю. Келдыша, стр. 9.

⁵ Н. Успенский, დასახელებული გამოცემა.

დაწესებული. საეკლესიო გალობის შინაარსი, ხასიათი და რეპერტუარი არაერთხელ ყოფილა მსოფლიო საეკლესიო კრებების მსჯელობის საგანი მისი კანონიზაციის მიზნით. ეს კანონები არ შეიძლება ძალაში არ ყოფილიყო სხვა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართაც. სხვა საქმეა, თუ რა ხასიათი მიიღო ბერძნულმა კილოებმა ნაციონალურ ნადავზე, ვანეთარების რა გზა განელო მან საუკუნეების მანძილზე.

* * *

ზემოთ გამოთქმულ ვარაუდთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დაიბადოს კითხვა: თუ ქართულმა გალობამ ბერძნული კანონებისა და ძლისპირთა თარგმანთან ერთად მიიღო ბერძნული კილო, რატომ არ ისესხა ბერძნულიაგან ნევების გრაფიკა და სისტემა? ამ საკითხზე პასუხის გაცემა დღეს ძნელია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, რა სახეს ატარებდნენ ეს ნევები VIII—IX საუკუნის ბერძნულ საბაწმიდურ ხელნაწერებში, საიდანაც უნდა გავრცელებულიყო უძველეს ლიტურგიულ წიგნებთან ერთად ქართული გალობანიც და ნევებიც. მეორე. ეს საკითხი ქართულ-ბერძნულ პარალელურ მასალაზე შესწავლილი არ არის. ამ შემთხვევაშიც საძებრია არა გრაფიკული მსგავსება ბერძნულ-ქართულ ნევებს შორის, ვინაიდან გრაფიკა არ არის სტაბილური¹, არამედ ბერძნულ მელოდიურ ფორმულათა შესატყვისები ქართულში.

ბიზანტიური ნევების წინაპრად მუსიკათმცოდნე ტილაარდს ეფონეტიკური ნიშნების სისტემა მიაჩნია². პირველი ბიზანტიური სტიქარონების მუსიკალური ნოტაცია არ შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო ეფონეტიკური ნიშნებისაგან—წერის სტ. ლაზარევიჩი³. ე. ველეშის აზრით, ორივე სისტემის სათავე ბერძნული პროლოდია⁴.

ქართული ნევები უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებენ ბიზანტიურ ეფონეტიკურ ნიშნებთან⁵, ვიდრე პალეობიზანტიური ნოტაციის მქონე იმ ნიმუშებთან, რომლებიც დღეისთვის ცნობილია X—XI საუკუნეების ბერძნული ნევმირებული ხელნაწერებით. ეფონეტიკური ნიშნების მსგავსად, ქართული ნევები იწერება არა ყოველ მარცვალზე, არამედ ინტერვალებით და სტრიქონს ზემოთ და ქვემოთ; ორივე შემთხვევაში მუსიკალური მნიშვნელობის მქონეა არა ცალკეული ნიშანი, არამედ

¹ ცალკეული ნევების გრაფიკული ვარიანტები გვხვდება როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ნევმირებულ ხელნაწერებში.

² Handbook of the Middle Byzantine Musical Notation by H. J. W. Tillyard: M. M. B. Subsidia I, fasc. 1, გვ. 13.

³ St. V. Lazarevic, *Συζητηρίον (An Early Byzantine Hymn Collection with Music)*, Byzantinoslavica. 1968, XXIX, № 2, გვ. 292.

⁴ A History of Byzantine Music and Hymnography, გვ. 246.

⁵ ეფონეტიკური ნიშნები თავისი პირდაპირი დანერგულებით (ახალი ალტემის წიგნების რეიტატაციული კითხვა) უძველეს ქართულ ლექციონარებსა და სხვა ლიტურგიულ კრებულებში გამოყენებულ არ ჩანს. ეფონეტიკური (მნემო-ტექნიკური) ტაბულები ოთხთავის ტექსტზე დაუტლია XII—XIII სს. ორ ქართულ ხელნაწერში (იხ. ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, გვ. 55—56), მაგრამ ამ სისტემის პრაქტიკული გამოყენების ნიმუშები არც ამ საუკუნეების ხელნაწერებში დასტურდება. ლიტურგიულ ქართულ გალობაში კი ეფონეტიკურმა ნიშნებმა განვითარების დამოუკიდებელი გზა განვლეს და ამავე დროს შემოინახეს ეფონეტიკური სისტემის ძირითადი თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, პალეობიზანტიურ ნოტაციას თავისი ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე ახლდა. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ქართველებმა ადრეული ბერძნული ნევმირა სისტემის შესატყვისი დამოუკიდებელი გრაფიკული სისტემა შექმნეს. ამის შემოწმება რამდენიმე არ იწერება შესაძლებელი, სანამ არ გამოვლინდება X საუკუნეზე ადრეული საბაწმიდური ბერძნული ნევმირებულ ხელნაწერში.

ნიშნათა ჯგუფი¹. ქართული ნევმების სიახლოვე ეეფონეტიკურ ნიშნათა სისტემასთან ქართული სისტემის დიდ არჩაულობაზე მიუთითებს. საფიქრებელია, იგი პალეობიზანტიური ნოტაციის განვითარების დაწყებით ეტაპს ასახავს (ან ამ სისტემის შესატყვის ქართულ გრაფიკულ ვარიანტს წარმოადგენს), რომლის ბერძნულ ნიმუშებს, ძველ ბერძნული ნევმიკრებული ხელნაწერების უქონლობის გამო, ჩვენამდე არ მოუღწევია (უძველესა ნევმიკრებული ხელნაწერი თარიღდება X ს. მიწურულთ)².

ამას კიდევ ერთი მომენტი შეიძლება დაეუმატოთ: სავარაუდებელია, რომ ქართული ნევმები თავისი წარმომავლობით დაკავშირებული არიან პალეობიზანტიური ნოტაციის იმ თავდაპირველ სახესთან, რომელიც გავრცელებული იყო IX საუკუნეში საბაწმიდის ბერძნულ ჰიმნოგრაფიულ სკოლაში. ამ ასპექტში საყურადღებოდ გვეჩვენება ცნობილი მუსიკათმცოდნის ოსკარ ფლეიშერის მოსაზრება ქართული ნევმების შესახებ: „Старейшие грузинские знаки находятся в родстве со старейшими греческими (византийскими) невмами, но потом развились самостоятельно. Если бы эти знаки были бы в употреблении в Грузии, то с уверенностью можно было бы сказать, как пеллись древнегреческие (византийские) песнопения“³.

* * *

ქართულ საგლობელს რომ თავდაპირველად ბერძნული კილო უნდა მიეღო, ეს ვარაუდი ადრეც იყო გამოთქმული ქართველი მკვლევრების მიერ. იოანე ბაგრატიონს ქართული გალობის განვითარება შემდეგ საფეხურებად წარმოუდგენია: „ძველად ქართველნი გალობდნენ ბერძნულის ხმითა და მერე ქართულა უკვე გალობა გააკეთა წმიდამან გიორგი მთაწმიდელმან ქართველმან, რომელიც იყო ბერძულსა და ქართულსა ენასა ზედა შეცნიერ და გალობათა და საკრავთა შინაცა გამოცდილ. და მერე უფრორე განაშენეს იმერთა და მეტადრე გურიაში. ვითა აწ არსცა“⁴.

ივ. ჯავახიშვილი თავის კაპიტალურ ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის იირითადი საკითხები“ ქართული საეკლესიო გალობის წარმომავლობასა და რაობასაც ეხება: „კარვად ცნობილია, რომ ქრისტიანობამ ებრაელთაგან წირვალოცვაში ერთხმიანი გალობა შეიტვისა, რომელიც დასავლეთ ევროპის კათოლიკური და ქართული ეკლესიების გარდა, დღევანდლამდე ერთხმიანადვე შერჩა ბერძულს, სომხურს და ასურულ ეკლესიებს. X საუკუნემდე თვით რომის ეკლესიასაც თავდაპირველად და უძველეს ხანაში ერთხმიანი საეკლესიო გალობა უნდა ჰქონოდა. ცხადია, რომ ქართულ ეკლესიასაც თავდაპირველად და უძველეს ხანაში ერთხმიანი საეკლესიო გალობა უნდა ჰქონოდა“⁵. ამ ძირითად დებულებაზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად წარმოგვიდგენს ქართული საეკლესიო მუსიკის შესწავლის გეგმას: „ქართულ საეკლესიო მუსიკის

¹ С. Нōсг. La notation ekphonétique, Copenhague, 1935, M.M.B., Subsidia, vol. I, fasc. 2. გვ. 22.

² Handbook, გვ. 14.

³ Д. И. Аракишвили, Краткий исторический обзор грузинской музыки, Тбилиси, 1940, გვ. 26.

⁴ იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1948, თბილისი, ტ. II, გვ. 65.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასაზ. წიგნი. გვ. 224. იხ. ამავე საკითხზე დ. შაჩაღლის თვალსაზრისი, იქვე, გვ. 9.

თავსებურებების ჩამონაკვეთილობის ხანის განსაზღვრისათვის უნდა ვიცოდეთ, თუ როდის უნდა დაჰმოკრებოდა ქართული გალობის წესი და საგალობელთა ჰანგები ბერძნულ წესსა და ჰანგებს“ (გვ. 224). ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ კილოთა გაქართულების პროცესი უკვე X საუკუნეშივე უნდა დაწყებულიყო და ამის დადასტურებას ხედავს მიქაელ მორდეცილის ცნობილ ანდერძში: „შევირბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა შესურნი ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებოთა და დაწყურენ...“ (24 v).

ეს ანდერძი დიდად საყურადღებოა, ვინაიდან ვგებულობთ, რომ მიქაელს თავის კრებულში თავი მოუყრია ქართულ ენაზე არსებული ბერძნული და ქართული მესხური ძლისპირებისათვის. ე. ი. უკვე მის დროს ქართველი პოინოგრაფები თვითონვე თხზავდნენ ორიგინალურ ძლისპირებს და, ბუნებრივია, მათ კილოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძლისპირის შეთხზვას აზრი არ ჰქონდა.

მიქაელ მორდეცილას „საწელიწდო იადგარში“ საკმაო რაოდენობითაა წესული ორიგინალური გალობანი, სტიქარონები, ოხითაჲ, მაგრამ რამდენად ორიგინალურია მათი ძლისპირები და, მაშასადამე, კილოები, ამის გარკვევა ყოველთვის ვერ ხერხდება.

ძლისპირთა კრებულების ძირითადად სამმა რედაქციამ მოაღწია ჩვენამდე. ძლისპირთა კრებულს ყველა რედაქცია, სამწუხაროდ, ერთნაირი სისრულით შესწავალი არ არის, ამიტომ დღეისათვის გვიჭირს ზუსტად გავმიჯნოთ თარგმნილი და ორიგინალური ძლისპირები.

წინამდებარე გამოცემაში ვაქვეყნებთ „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისაჲს“ მხოლოდ უძველეს (პირველ) რედაქციას, რომელაც შეიცავს 403 ძლისპირსა და აზღენსავე ღმრთისმშობლისას. ამ ძლისპირთა უდადესი უპირაღესობა ბერძნული ძლისპირების თარგმანია. ის უწინშენელი რაოდენობა ქართული ძლისპირებისა, რომელთაც ვერ დაექანათ დედნები წინამდებარე გამოცემაში, აგრეთვე ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი (იხ. აქვე, გვ. 028). მაგრამ ამ თარგმნილ ძლისპირთა პირველ და ძირითად ფენას X საუკუნის II ნახევრის ფარგლებში ემატებოდა ახალი თარგმნილი ძლისპირები და ორიგინალური ქართული გალობის ძლისპირებაც. ყველა მათ თავი მოეყარა მიქაელის იადგარის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისაჲსში“. აქ არის შესულა ქართულ ორიგინალურ გალობათა ერთი ნაწილის ძლისპირები, რომელთაც არ იცნობს ძლისპირნის ძველი (პირველი) რედაქცია, ნაწილი ქართული ორიგინალური გალობებისა კი ძველი, პირველი რედაქციის ძლისპირებზეა დაწერილი. ძლისპირნის უფრო გავრცობილი რედაქცია შემოგვინახა ე. წ. ბორძენეს ძლისპირთა კრებულმა; ზოგი, უფრო გვიან, XI საუკუნეში თარგმნილი ძლისპირი კი XIII სუკ. ძლისპირთა კრებულში (A—85) ჩაერთო¹. თუ რომელია ძლისპირნის II და III რედაქციებში ორიგინალური ქართული და რომელია თარგმნილი, საგანგებო შესწავლას თხოულობს ისევე, როგორც ეს ვაკეთებულა I რედაქციის მიმართ; მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იმის თქმა, რამდენად სწორი იყო ქართულ ორიგინალურ გალობებში ორიგინალური ძლისპირები და, მაშასადამე, ორიგინალურ კილოებზე გალობათა თხზვა.

II საუკუნეში ორიგინალური ძლისპირების წერა რომ ფაქტი იყო, ამას ადასტურებს, გარდა მიქაელ მორდეცილის ზემოთ მოყვანილი ანდერძისა, თვით ქართულ ორიგინალურ ძლისპირებზე პირდაპირი მითითება მიქაელ მორდეცილის იადგარშივე.

¹ არსებობს მეტი მესამე თარგმნილი ანდერძი კრიტიკის „სინანულს გალობათა“ ძლისპირებზე ადრე გამოცემისათვის უკნობი, შეტანილია ძლისპირნის XIII საუკუნის ნუსხაში (A—85).

ეს არის გ ხმის აღდგომის ერთ-ერთი დასდებელი (202 v), რომელსაც მიწერილი აქვს: „ქართული ძლისპირითურთ“. ამ გალობანის ძლისპირთა შემოწმებამ გამოარკვია, რომ გალობანის ძლისპირები ძლისპირის პირველ რედაქციაში არ არის შეტანილი. მიქაელას ძლისპირნი კი ნაკლებია, მას აკლია გ ხმის ძლისპირები მთლიანად, ამიტომ ვერაფერს ვიტყვით ვერც იმას თაობაზე, იყო თუ არა შეტანილი ეს ქართული ძლისპირები მიქაელისეულ შეესებულ ძლისპირში. ამ დასდებლის ქართული ძლისპირები დასტურდება იორდანეს ძლისპირთა კრებულში, რომელიც მიქაელის ძლისპირზე უფრო ვრცელია და გვიანდელი და ტრადიციულად X საუკუნის მიწურულთა და XI საუკუნის დაშლამდე თარიღდება.

ეს ძლისპირები რომ ორიგინალურია და საკუთრივ ამ გალობანისთვის შეთხზული, ამას მოწმობს ისიც, რომ მიქელ მორდგილის იადგარის სხვა დასდებლებში ამ ძლისპირთა გამოყენებას შემთხვევად ვერ აღმოვაჩინეთ.

ერთეული ორიგინალური ძლისპირების არსებობა X საუკუნეში ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ბერძნული კილოების გვერდით არსებობდა ქართული კილოები. ორიგინალური ძლისპირების კილოებიც თავდაპირველად გაკეთებული უნდა ყოფილიყო ბერძნული ერთბაშინი გალობის ყაიდაზე. საფიქრებელია, რომ არც XI საუკუნეში იყო ქართული გალობა შემდგარი ნაციონალური განვითარების გზაზე. ამის საბუთს გვაწვდის გიორგი მთაწმიდელის ადრე განხილული „თთუნის“ ანდერძები.

გიორგი მთაწმიდელი საგალობელთა ბერძნულიდან თარგმნისს ცდილობს მაქსიმალური სიახლოვედ იცეს ბერძნულ დეკანტთან და გამართოს ისინი „დასდებლის შეცნიერების“ საუბრებზე. აქ, პირველ რიგში, იტყობს დასდებლის შინაარსობრივი სიზუსტე და, მეორე, რაც ყურადღებას იქონიერებს, დასდებლის სილაზური წყობა, რაც ცროპართა „მართლიად განუთქაში“ (რიტმულ პუნქტუაციაში) უნდა გამოხატულიყო. ამ მხრივც გიორგის თარგმანები, როგორც ამას უფრო გვაძენობს, საგანგებო და მისამაძი სიზუსტით ხასიათდებოდა¹. ამ ორივე მომენტის დაცვა კი აუცილებელი იყო, ვინაიდან ენასტურებოდა ბერძნული კილოს უფსტ გადმოღებვას წართულ დასდებელზე; პრაქტიკულად ეს ნიშნავდა საგალობლის ბერძნულ კილოზე გაწყობას და ბერძნულ გვარზე გალობას, რაც შეასწავლა კიდევ გიორგი მთაწმიდელმა მის მიერ შემოკრებილ თბოლთა გუნდს, რომელთა გალობით დიდად მოიხიბლა ბერძენთა კეისარი: „ხოლო ვითარცა ვთქუა გალობაჲ იგი—გვამცნობს გიორგი მთაწმიდელს ბიოგრაფი—დიდი მადლი უბრძანა მეფემან ღმრთისმსახურმან ბერსა, ვითარმედ: კეთილად განგისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილად ბერო, შერლნი შენნი“².

გალობა რომ XI საუკუნეში ბერძნულ კილოზე სრულდებოდა, ამასვე ამტკიცებს ანდრია კრიტელის „სინანულის გალობანის“ არსენისეული თარგმანის ცნობილი ანდერძიც.

არსენმა დაიწუნა ანდრია კრიტელის „გალობანის“ ექვეთმისეული და გიორგი მთაწმიდელის თარგმანები იმის გამო, რომ ექვეთმეს თვითნებურად გალობის ხმაღ

¹ ამაზე უფრო ვრცელად იხ. აქვე, გვ. 053.

² იველები, II, გვ. 134. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ციტატის ივ. ჯავახიშვილისეულ ინტერპრეტაციას. თითქო „კეისარის სიტყვიდან ჩანს, რომ მას ბერძნული და წართული საეკლესიო მუსიკის განსხვავებულობა კარგად სცოდნია, რომ ქართული გალობის გვარი და ბერძნული გალობის გვარი სხვადასხვა იყო“ (ივ. ჯავახიშვილი, დასა. ნაშრ., გვ. 226). თუმცა ივ. ჯავახიშვილი იქვე ნიშნავს, რომ „გალობის გვარობის განსხვავებულობის აუცილებელი გარემოება თაქისთავად, რააკვირდება, იმის დამამტკიცებელ საბუთებად ვერ გამოდგება, რომ ქართული გალობა უკვე მაშინვე მრავალხმიანი იყო“ (იქვე).

შეუცვლია და ძლისპირებიც, ხოლო გიორგის ხმა არ შეუცვლია, მაგრამ „თ ეს თა (ბერძნულ) ძლისპირთა ზედა თარგმნაჲ არცა მას გულს-ედგინა“.

ამ ნაკლის გამოსწორება თავს უღვია არსენის და მესამედ უთარგმნია ანდრიას „გალობანი“ მისსავე ხმასა და ძლასპარებზე, „რომელთა ზედა წმიდასა ანდრიას ბერძნულად აღეწერნეს“. მაგრამ ვინაიდან ეს ძლასპირები პირველად ითარგმნა და „უცხონი იყვნეს ჩუენისა ენისაჲან ძლისპირნი ამათნი“, ე. ი. პრაქტიკოს მგალობელთა რეპერტუარში ამ ძლასპირთა კილოები არ შედიოდა, ამიტომ საჭირო გახდა „გმის-დადების ბელ-ყოფა“, ე. ი. ამ ახალი ბერძნული ძლისპირების კილოთა გაშიფრვა და შემდეგ ამ კილოებზე ვალობათა დასდებ-ლებს (ტროპარების) გაწყობა¹. არსენის ანდერძიდან აშკარად ჩანს, რომ აღრე თარგმნილა კილოები მგალობლებმა ზეპარად იცოდნენ, ხოლო ყოველი ახალი ძლასპირის ახალი კილოს შემოტანა პრაქტიკაში უკვე პროფესიონალი მგალობლის კომპეტენციაში შედიოდა.

* * *

ჭარბულად თარგმნილ ძლასპირთა ზედწარწერები რომ ბერძნული ძლისპირის კილოზე მითითებას ემსახურება, ამის ერთი საგულისხმო ფაქტიც გვიმტკიცებს: ბერძნულ ძლისპირთა აკოლუთიაში, ჩვეულებრივ, ყოველ გალობაში (ოდაში) თითო ძლისპირთა წარმოდგენილი, მაგრამ ზოგჯერ (საკმაოდ ხშირად) გალობის ძირითად ძლისპირს მოსდევს კიდევ რამდენიმე ძლისპირი შემდეგი აღნიშვნებით: *Εἰρημῶς ἄλλοῶς*, ან მოკლედ — *ἄλλοῶς*, ან *ἔπειρος*, რაც ნიშნავს „სხვას“.

ძირითად ძლასპირს შეიძლება მოსდევდეს ერთი, ორი, იშვიათ შემთხვევაში სამი დამატებითი *ἄλλοῶς*-ი. უპირაღეს შემთხვევაში, „სხვა“ ძლისპირების მარცვალთა რაოდენობა და კილო იგივეა, რაც ძირითადი ძლასპირისა.

Εἰρημῶς ἄλλοῶς-ის ანუ *ἄλλοῶς*-ის რაობა და ბუნება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში არ არის სათანადოდ შესწავლილი. ამ საკითხს შეეხება ბიზანტინისტიკის XIII საერთა-შორისო კონგრესზე ცნობილი იტალიელი ფალოლოგი ჯუზეპე სქირო². მისი აზრით, *Εἰρημῶς ἄλλοῶς*-ის ამომწყურავე შესწავლა მარტო ირმოლოგიკონების მასალაზე არ შეიძლება. ეს საკითხი უნდა დამუშავდეს თვეთა, სადღესასწაულოთა და მარხვანის, განსაკუთრებით გამოუქვეყნებელა ხელნაწერების, მასალაზე. წინასწარ დასკვნებში კი ის გამოყოფს ორი სახის *εἰρημῶς ἄλλοῶς*-ს. პირველი სახის *ἄλλοῶς*-ი არის მეტრულ-მელოდიაური კალკი ძირითადი ძლისპირისა. ის აქმნებოდა ღვთისმსახურებას პროცესში, როგორც ძლისპირის გააზრებას ახალი ტექსტობრივი ვარიანტი³. ამით უნდა აიხსნას, ალბათ, ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ ამ კატეგორიის *ἄλλοῶς*-ს ძირითად ძლისპირთან საერთო აქვს ფრაზები, ტაქტები ან რეფრენი.

მეორე სახის *εἰρημῶς ἄλλοῶς*-ი განსხვავდება ძირითადისაგან როგორც შინაარსით, ასევე მეტრითა და მელოდით⁴, ამდენად ის ორიგინალური ძლისპირია. მკვლევრის აზრით, ეს ძლასპირები უნდა იყვნენ უძველესი ლატურგიული კანონების გადმონაშთი⁴.

¹ იხ. ე. მეტრეველი, „მებელა“ და „მეზურის“ გაგებისათვის, გვ. 177.

² *Problemi hermologici*, Giuseppe Schiro (Roma): The Proceedings of the XIII th International Congress of Byzantine Studies, Oxford, 5—10 September 1966, გვ. 255—266. ჟ. სქიროს სტატიის ჩვენთვის საინტერესო ადგილზე გვითარგმნა ბუენა გოზგაქემ. რა თვისაც მაჯღ-ბანს მოვასხვინებ.

³ G. Schiro-ის დასახ. წერალი, გვ. 260.

⁴ იქვე, გვ. 263.

ჩვენთვის საინტერესოა პირველი სახის *εἰμας*-ი, რომელსაც ძირითად ძლისპირთან საერთო აქვს რიტმი (მეტრი—*χ. სქიროს განსაზღვრით*) და მელოდია, განსხვავებული კი—ტექსტი. ასეთი ძლისპირები ქართულ ძლისპირთა უძველეს თარგმანებლაც შემოუნახავს.

ჩვენი გამოცემის № 2 ძლისპირს ზედწარწერად B ხელნაწერში მიწერილი აქვს „ხ რ ი ს ტ ო ნ“. ზედწარწერები, ჩვეულებრივ, მიუთითებენ ქართულ ძლისპირს ბერძნულ დედნის დასაწყისზე. სინამდვილეში ამ ქართული ძლისპირის ბერძნული დედნის დასაწყისია Πικραξ δισαξείαξ, ევსტრ. № 8 აკოლუთიის *α'* ოდის *εἰμας*: ξεραξ. ზედწარწერა „ხრისტონ“ კი არის იმავე აკოლუთიისა და ოდის ძირითადი ძლისპირის დასაწყისი—*Χρισταξ γεναξταξ: θεξξαταξ*. მაშასადამე, ქართული ძლისპირის ზედწარწერაში ამ შემთხვევაში მითითებულია არა იმ ბერძნული ძლისპირის დასაწყისი, რომლის თარგმანსაც წარმოადგენს ქართული, არამედ იმავე ოდის ძირითადი ძლისპირის დასაწყისი, რომლის რიტმულსა და მელოდიურ კალკს წარმოადგენს Πικραξ δισαξείαξ... (ქართული ძლისპირის დედანი), ვინაიდან ის ამ ძირითადი ძლისპირის ჰერეჯია მართლაც, ეს ორი ძლისპირი მეტრული და მელოდიური თვალსაზრისით სავსებით ერთნაირია¹. ნათ განსხვავებული აქვთ მხოლოდ ტექსტები.

მაშასადამე, დადგინდა საინტერესო ფაქტი, რომ ქართველი მელოდელი ამ შემთხვევაში ქართულ-დ ბერძნულ ძლისპირს ზედწარწერაში მიუთითებს არა ბერძნულ დედანზე (Πικραξ δισαξείαξ), რომელიც *εἰμας* ჰერეჯიას წარმოადგენს, არამედ იმავე ოდის ძირითად ძლისპირზე (Χρισταξ γεναξταξ), რომლის რიტმულ-მელოდიური კალკია *εἰμας* ჰერეჯია-ი. ბუნებრივია, ქართველი მთარგმნელისათვის ზედწარწერის მიწერის დროს ამოსავალი იყო არა ძლისპირის შინაარსი, არამედ კილო, რომელზედაც უნდა შესრულებულიყო ქართულად თარგმნილი ძლისპირი. საფიქრებელია, მთარგმნელმა კარგად იცოდა, რომ ეს კილო ამავე დროს იყო Χρισταξ γεναξταξ-ის კილოც და ამ კილოზე სრულდებოდა მის მიერ თარგმნილი ძლისპირიც, როგორც *εἰμας* ჰერეჯია-ი, ე. ი. რიტმულ-მელოდიური კალკი ძირითადი ძლისპირისა. მაშასადამე, ზედწარწერის ძირითადი დანიშნულებაა ძლისპირის არა ბერძნული დედნის, არამედ ძლისპირის ბერძნული კილოს მითითება.

ქართველი ჰიმნოგრაფები რომ კარგად არჩევდნენ ძირითადსა და „სხვა“ ძლისპირს (ალოსს), ეს ჩანს № 368 ძლისპირის მაგალითზეც (იხ. ამ ძლისპირის კომენტარი), სადაც OL ხელნაწერებში ერთად, ერთმანეთის მომდევნოდ არის შეტანილი ორი ძლისპირი და ერთი ღმრთისმშობლისა. პირველი ძლისპირი არის ევსტრატ. გამოცემის ირმოლოგიონის № 321 აკოლუთიის *ξ'* ოდის ძირითადი ძლისპირის თარგმანი, ხოლო მეორე—ამავე ძლისპირის *ξ* ოდის თარგმანი. ამათგან ბერძნული ძლისპირის მისათითებელი ზედწარწერა აქვს მხოლოდ პირველს, ძირითადს, ვინაიდან პირველი ძლისპირის ბერძნული კილო (მითითებული ზედწარწერაში) ვრცლდებოდა ძირითადი ძლისპირის ალოსზეც, ამიტომ ძლისპირის ქართველმა შემდგენელმა სავსებით შეგნებულად აღარ გაიმეორა ბერძნულ კილოზე მითითება მეორე ძლისპირში ანუ ალოსში.

¹ იხ. ამ ორი ძლისპირის მელოდიის სავსებ-თ ერთნაირი ტრასკრიბცია C. Höefer-ის გამოსცემულ ბერძნული ირმოლოგიონის ტრანსკრიბციაში: The Hymns of the Hymnology. p. I, M.M.B. Transcrip. vol. VI. Copenhagen, 1952, გვ. 61, და ამავე ძლისპირების ერთნაირად ხეობრებული ტექსტები უძველესი ბერძნული ირმოლოგიონის ნოტობოქსერ გამოცემაში: Hirmologium Athoum. ed. C. Höefer. M.M.B. II. Copenhagen, 1938, 6 v. იხ. აგრეთვე № 2 ძლისპირის კომენტარი წინამდებარე გამოცემაში.

მოყვანილი მაგალითი კიდევ ერთი ზედმეტი საბუთია იმის თვალსაჩინოებისათვის, რომ ქართულ ძლისპირთან მიწერილი ბერძნული ძლისპირის დასაწყისი ეპისტოლა, პირველ რიგში, იმ ბერძნულ კილოზე მითითებას, რომელზედაც სრულდება ბერძნული ძლისპირი და შესაბამისად ამისა უნდა შესრულდეს ქართული ძლისპირიც.

რა თქმა უნდა, თუ ბერძნული ძლისპირი იდიაშველა და მას საკუთარი კილო აქვს. ამ შემთხვევაში მის ქართულ თარგმანთან ბერძნულ ძლისპირზე მითითება ერთდროულად არის მითითება ქართული ძლისპირის ბერძნულ დედანზეც და ამ ბერძნული დედნის კილოზეც. ხოლო თუ ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი პარსურაა, ე. ი მას არა აქვს საკუთარი კილო და სრულდება სხვა ძლისპირის კილოზე. რაგორც ეს არის ხედავთ ალექსანდრის შემთხვევაში, მაშინ ქართული ძლისპირის ზედწარწერაში მითითებები ბერძნულ ძლისპირზე წარმოადგენს მითითებას ქართული ძლისპირის არა დედანზე, არამედ იმ ძირითად ძლისპირზე, რომლის კილოზედაც სრულდება ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი (იხ. კომენტარები №№ 2, 5 ძლისპირებისა). ამ შემთხვევაში ქართული ძლისპირის ბერძნული დედნის დადგენა: ზედწარწერით ვერ მოხერხდება.

ბუნებრივია, ქართულ ძლისპირთან ბერძნულ კილოზე მითითებას მაშინ შეიძლება ჰქონდეს გამართლება, თუ თარგმნილი ძლისპირიც მითითებულ ბერძნულ კილოზე შესრულდება.

ზემოთ განხილული მაგალითი კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რამდენად იყენი დაუფლებულნი ქართველი ჰინოგრაფები, მგალობლები და ლიტურგიკები ბერძნული საეკლესიო გალობის რთულ აგებულებას, რა თავისუფლად ფლობდნენ ისინი ბერძნული გალობის შედგენისა და შესრულების ტექნიკას. გალობის მეცნიერთა ამ მაგალიტმა კულტურამ, რაღა თქმა უნდა, თავი იჩინა X—XI საუკუნეების ორიგინალური ჰინოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშებშიც და შესაძლებლობა მისცა ქართველ ჰინოგრაფთა შესანიშნავ პლეადას ქართული ორიგინალური ჰინოგრაფია აეყვანათ მხატვრული სრულყოფის მეტად მაღალ საფეხურზე და ქართული ორიგინალური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები შეექმნათ. ამის დიდებულ დადასტურებაა მიქაელ მოდრეკილის მეხური „საწელიწდო იადგარი“, სადაც ნათარკმნ გალობებთან ერთად თავმოყრილია ქართული ორიგინალური გალობების ბრწყინვალე ნიმუშები.

ამრიგად, ძლისპირთა უძველესი თარგმანები ბერძნულ კილოებთან იყო შეწყობილი და ასევე იგალობებოდა თავდაპირველად. ეს კილოები კი ქართველმა მგალობლებმა ზეპირად იცოცნენ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ძლისპირები ქართულად ითარგმნებოდა და შედგებოდა ძლისპირთა პირველი ქართული კრებული—„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“.

მითითება ძლისპირის ბერძნულ კილოზე და, ამავე დროს, კილოს სქემატული გამოხატვის გრაფიკული საშუალებები—ნევები—განსაკუთრებით საჭირო იყო ბერძნულ ძლისპირთა ქართული თარგმანების გაერყელების პირველ ხანებში. სანამ ბერძნული კილო შეეთვისებოდა ძლისპირის ქართულ თარგმანს და ამ სახით დამკვიდრებოდა ლიტურგიკულ პრაქტიკაში. შემდეგ საუკუნეებში (XI საუკუნიდან) ძლისპირებთან თუ სტაქარონებთან აღარც ბერძნულ ძლისპირთა დასაწყისებზე მითითებას ვხვდებით და აღარც ნევებს, ვინაიდან კილოები უკვე ტრადიციით ზეპირად გადადიოდა დახლოვებული მგალობლიდან მგალობელზე. საფიქრებელია, რომ ამავე დროს დაიწყო ბერძნული კილოების გაქართულება უკვე ადგილობრივ მგალობელთა სკოლებში.

თავდაპირველი კილოს აუცილებელ თანდათანობით გაქართულებზე დ. არა-
ციფილი წერს: „Чьи бы они мелодии не положили под грузинский текст,
все равно эти мелодии под влиянием веков, мест и вкусов должны были
подвергнуться изменениям в своем стиле и звуковых комбинациях“¹.

ეს პროცესი მიმდინარეობდა ნელა საქართველოს ყოველ კუთხეში თავისი
ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციის შესაბამისად, ამის შედეგად მივიღეთ მრავალ-
კილოიანი (ქართლ-კახური, გურული, იმერული) ქართული საეკლესიო გალობა,
„რომელსაც საფუძვლად უდევს ერთიანი მუსიკალური ქართული ფუძე“².

ჩვენი მსჯელობა დღეისათვის მოსაზრებების ფარგლებს არ სცილდება, ვინაი-
დან კონკრეტულად რა სახის უნდა ყოფილიყო ბერძნული საეკლესიო გალობის
კილოები მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ადრეულ საფეხურზე, ამაზე დღეს ზუსტად
არაფრის თქმა არ შეიძლება იმის გამო, რომ არ არის ამოხსნილი ადრებიზან-
ტიური ნოტაცია. მით უმეტეს, არაფრის თქმა არ შეიძლება ქართული საგლობ-
ლების კილოების შესახებ, რომლებიც ბერძნული საეკლესიო გალობის განვითარების
იმაზე ადრეულ პერიოდს ასახვენ (ნეკუმების თვალსაზრისით, ყოველ შემთხვე-
ვაში), ვიდრე დღემდე მოღწეულა ბერძნული ნეგმირებული ხელნაწერების (X საუკუნე-
მინურული) მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ერთი კი ამჟამად, რომ
ქართულ-ბერძნულ ნეგმირებულ ძლისპირთა კრებულების პარალელური შესწავლა
აუცილებელი საფეხური იქნება ადრებიზანტიური ნეგუმების ამოხსნისა და კილოთა
გამიფრცინათვის.

* * *

ჩვენ გავეცანით შემთხვევას, როდესაც ქართულ თარგმნილ ძლისპირს მიწე-
რილა აქვს იმ ბერძნული ძლისპირის კილო, რომელზედაც უნდა შესრულდეს
და აღვნიშნეთ, რომ ეს მოვლენა დასტურდება *επιπλες ἀλλοις*-ებში. გვაქვს თუ არა
ქართულ ძლისპირთა კრებულებში ანალოგიური შემთხვევები, ე. ი., რომ ერთი
ქართული ძლისპირის კილო გამოყენებული იყოს მეორე ქართული ძლისპირისათვის,
და თუ გვაქვს, როგორ არის ეს ფაქტი კვალიფიცირებული პიმნოგრაფიულ ძეგ-
ლებში?

ერთი ასეთი შემთხვევა გვხვდება B და C ძლისპირთა კრებულებში. C ძლის-
პირის ა ხმის „უგალობდითსაში“ შესულია 14 ძლისპირი. აქედან პირველი შეიღი
ძლისპირი ეკუთვნის ძლისპირთა ძველ რედაქციულ ფენას, რომელაც ჩვენს გამოცე-
მაშია წარმოდგენილი (ჩვენი გამოცემის 1—7 ძლისპირები). მეორე ძლისპირიდან
იწყება ძლისპირთა II რედაქციული ფენა, რომელიც წარმოდგენილია B ხელნაწერში
ნაწილობრივ, ხოლო C ხელნაწერში—მთლიანად.

C ხელნაწერში ძლისპირთა ძველი ფენა ახლისაგან გამოყოფილია გარკვეული
ტექნიკური ნიშნით (C) და, ამასთანავე, ახალი ფენის პირველი ძლისპირის გასწე-
რივ, ჩვეულებრივ, მიწერილია „უცხონი“. I—VI ხმებში „უცხონი“ მიწერილი
აქვთ ზოგიერთ გალობებს მეტ-ნაკლებად, VII ხმაში ძლისპირთა ძველი ფენა ახლი-
საგან გამოყოფილია ასევე ტექნიკური ნიშნით, ხოლო „უცხონის“ ნაცულად მიწე-
რილია „მორთულნი“. „მორთულნი“ მიწერილი აქვს რამდენიმე გალობის ძლის-
პირებს: „განძლიერდასას“, „ლაღატყვისას“, „აკურთხევდითსას“ და „ადიდებდით-
სას“. VIII (დ გ-ის) ხმაში ეს ორი ტერმინი—„უცხონი“ და „მორთულნი“—მონა-

¹ Д. И. Аракишвили. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 26.

² ე. გვახარია, *ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება*, 1962, გვ. 4.

ცვლელს: „უცხონი“ მიწერილი აქვს „უგალობდითსას“ ძლისპირთა ახალი ფენის პირველ ძლისპირს, ხოლო „მორთულნი“ — „უფალო მესმასას“ და „განძლიერდითსას“ ძლისპირებს. ვინაიდან ორივე ტერმინი — „უცხონი“ და „მორთულნი“ — მრავლობით რიცხვშია ნახვარი, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ტერმინები მართლ იმ ძლისპირებს კი არ მიეკუთვნება, რომელთაც მიწერილია, არამედ ძლისპირთა მთელ ჯგუფს (ე. ი. მომდევნო ძლისპირებსაც). ამასთანავე, სავარაუდებელია, რომ ერთსა და იმავე ადგილას (ძლისპირთა ახალი ფენის პირველ ძლისპირთან) მიწერილი ეს ორი ტერმინი მნიშვნელობის მხრივაც მსგავსია. შესაძლებელია, ისინი სინონიმურ ცნებებსაც კი წარმოადგენენ, მაგრამ სანამ ამ სიტყვათა მნიშვნელობის ახსნას შევუდგებოდეთ, გვიჩვენებთ ერთ ფაქტზე, რომელიც შეიძლება გამოგვადგეს ამ ტერმინთა მნიშვნელობის გაგებაში.

I ხმის „უგალობდითსას“ მეორე რედაქციული ფენის პირველი ძლისპირია „აზლუნეს წყალნი სიღრმეთანი“. ამ ძლისპირს B ხელნაწერში მიწერილი აქვს „უცხონი: მონებისა მისგან მწარისა“; C ხელნაწერში: „უცხონი: მზნი“.

ამაგვარაა, რომ „უცხონი“ სახელდებული ეს ძლისპირი გარკვეულ მანართებშია ძლისპირთან, რომლის დასაწყისია: „მონებისა მისგან მწარისა“. ეს უკანასკნელი ძლისპირი კი ძლისპირნის ძირითადი რედაქციული ფენის კუთვნილებას. ის № 1 ძლისპირად არის შეტანილი L ხელნაწერში, ხოლო № 2-დ A ხელნაწერში (იხ. წინამდებარე გამოცემის № 2 ძლისპირი).

დასახელებული ორი ძლისპირის შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ძლისპირი „აზლუნეს წყალნი...“ რიტმულ-მელოდიური კალკია ძლისპირისა „მონებისა მისგან მწარისა“.

ძლისპირი № 2

A — 603 (C) 2 რ.

1. მო-ნე-ბი-სა მის-გან მწა-რი-სა	9	აზ-ლუნ-ეს წყალ-ნი სიღრ-მე-თა-
2. ვსნილ-მან ის-რა-ელ-მან გან-ვლო	11	ნი და და-ინ-თქა ფა-რა-ო მგველ-რე-
ქუე-ყა-ნაჲ		ბი-თურთ
3. და-უთრ-გუნ-ვე-ლად და ი-ხილ-ნა	9	ხო-ლო ის-რა-ე-ლი გან-ვი-ლა
4. მტერ-ნი მის-ნი დან-თქმულ-ნი	7	მო-სეს მი-ერ კუერ-თხი-თა
5. და გა-ლა-ბით	4	მა-ქე-ბე-ლად
6. უ-გა-ლობ-და ღმერთ-სა	6/7	და მგა-ლო-ბე-ლად ღმრთი-სა
7. სა-კვრ-ველთ-მოქ-მედ-სა რა-მე-თუ	13/14	სა-კვრ-ველთ მოქ-მე-დი-საჲ რა-
დი-დე-ბულ არს.		მე-თუ დი-დე-ბულ არს.

ორივე ძლისპირში ტაქტთა რაოდენობა ერთნაირია (7); ერთნაირია მარცვალთა რაოდენობაც ტაქტებში (თითო მარცვლით განსხვავდება მეექვსე და მეშვიდე ტაქტები). ერთნაირია ძირითადი მელოდიური ფორმულებიც. ზოგიერთი ცვლილება ნევმირებაში — ნიშნის დაკლება, ან ერთი ნიშნის მეორე ნიშნით შეცვლა, ჩვეულებრივი მოვლენაა ნევმირებულ ტექსტებში. ასეთივე მიმართება დასტურდება ნევმირებულ ძლისპირსა და ამ ძლისპირზე გამართულ გალობის ტროპართა შორის. შინაარსობრივადაც ძლისპირი „აზლუნეს წყალნი“ წარმოადგენს პარაფრაზს ძლისპირისა „მონებისა მისგან მწარისა“. ამრიგად, ეს ორი ძლისპირი დაკავშირებულია ერთმანეთთან აზრობრივად, რიტმულად და მელოდიურად. „უცხონის“ პირველი ძლისპირი არის ბერძნულიდან თარგმნილი ძლისპირის „მონებისა მისგან მწარისა“-ს რიტმულ-მელოდიური კალკია. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ძლისპირი „მონებისა მისგან მწარისა“

თავის მხრივ არის ექიმებს ჰგლის-ი ძირითადი ძლისპირისა „ჩრდეთს ყენუჯა...“ და მის რიტმულ-მელოდიურ კალკს წარმოადგენს. მაგრამ ძლისპირის შემდგენელს ძლისპირისათვის „აზლუდნეს წყალნი“-ს კილოს მოდელად გამოუყენებია არა ბერძნული ძირითადი ძლისპირი „ჩრდეთს ყენუჯა“, რომლის ქართული თარგმანი ძლისპირთა კრებულებში არ ჩანს, არამედ იმავე კილოს და, მაშასადამე, იმავე რიტმული სახის მქონე მეორე ძლისპირი— „მონებია მისვან მწარისა“. ამრიგად, ძლისპირი „აზლუდნეს წყალნი“ წარმოადგენს ძლისპირის „მონებია მისვან მწარისა“-ს ექიმებს ჰგლის-ს. ძლისპირი „აზლუდნეს წყალნი“ ქართულ ნიადავზე შექმნილი კალკია, თუ ბერძნულზე, დღეისათვის ამაზე გარკვეული პსუხის გაცემა გევიჭირს¹. ამისათვის საჭიროა ასევე შემოწმდეს „უცხონის“ დანარჩენი ძლისპირები. ჭერჭერობით ამ ძლისპირის („აზლუდნეს წყალნი“) ბერძნულ დედანს ვერ მივაკვლიეთ.

ამრიგად, ძლისპირი „აზლუდნეს წყალნი“ თავისა აგებულებითა და ხასიათით წარმოადგენს ექიმებს ჰგლის-ს. მას კი C ხელნაწერში მიწერილი აქვს „უცხონი“. ხომ არ არის „უცხონი“ ტერმინი ექიმებს ჰგლის-ის ქართული შესატყვისი?

პიზნოგრაფიულ ტექსტებში უცხო ჩვეულებრივ ახლის, სხვის მნიშვნელობით იხმარება². ხომ არ ნიუთათებს ეს ტერმინი ძლისპირთა ამ ფენის სიახლეზე ძველ ფენასთან შედარებით?³ მეორე მხრით, როგორც ზემოთაც ითქვა, VIII (დ გ-ის) ხმაში „უცხონის“ მაგივრად ძლისპირთა ახალი ფენის პირველ ძლისპირთან მიწერილია „მორათული“⁴. ტერმინი „მორათული“ კი ძველ ქართულში ნიშნავს შეწყობილს, მიწისგავსებულს, აწყობილს რაიმეს მიხედვით⁵. ამ მნიშვნელობით ხმარობს მას იოანე პეტრიწი⁶. ასევე განმარტავს მას ს.-ს. ორბელიანი თავის ლექსიკონში: „მორათული მოკაზმული; მორათული ითქმის, მსგავსი რისამე შეწაღო“⁷, ე. ი. ქარგის; მოდელის მიხედვით შეაწაღო. პიზნოგრაფიულ ტექსტებზე გადატანილი „მორათული“ უნდა იყოს იგივე, რაც პროსოპია (πρωσοπια; ე. ი. იდიომე-

¹ C. Hōe-მა ათონის ირმოლოგიონსა და Coislin 220-ში ორი ისეთი შემთხვევა დაადასტურა, როდესაც ერთი ძლისპირის სრულ ტექსტთან მიწერილია მეორე ძლისპირის დასაწყისი (Hirmol. Athoum. M. M. B. II. გვ. 13, სქოლიო 3). C. Hōe-ის ვარაუდით, ესენი მონაცვლე ძლისპირებია, როდესაც ერთი დღესასწაულისათვის განუეთენილი ძლისპირი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეორე დღესასწაულისათვის. მონაცვლე ძლისპირთა არსებობა არსებობდა ერთ-ერთ უძველეს ქართულ ძლისპირშიც (იხ. აქვე, დამატება I, და გამოკვეთა გვ. 017). ბერძნულ ირმოლოგიონსა ანოლოგიურ შემთხვევას მიაქვლია Sin. 5 ხელნაწერის ძლისპირში ლ. ჭამაიაძე. არ შეიძლება ამ შემთხვევების გაიგივება მორათული უცხო ძლისპირებთან.

² ელ. მეტრეველი, „მეხუისა“ და „მეხურისა“ გავებისათვის, გვ. 162—163.

³ C ძლისპირთა კრებულში რომ „უცხონი“ ახალს უნდა ნიშნავდეს, ამის სასარგებლოდ კიდევ ერთი ფაქტი მეტყველებს. ამ ძლისპირთა კრებულში შეტანილია გალობის მეორე გალობის „მოთილესას“ ძლისპირები. „მოთილესას“ ძლისპირები ლიტურგიული პრაქტიკიდან აღრევე ივნა ამოღებული, ამიტომ მას შემდგომი გავრცობა და განვითარება არ განუცლია. „მოთილესას“ ძლისპირები არ არის შეტანილი ძლისპირის ისეთ ძველ ნუსხებში, როგორებიცაა LH ხელნაწერები. C ძლისპირში ამ გალობის ძლისპირები კი სხვებთან შედარებით ყველაზე მეტრეა მოცულობით და, რაც მთავარია, მათ არა აწვთ ის დანამატი ახალი ფენა, რაც ამ კრებულის ძლისპირებს განასხვავებს ძლისპირის ძველი რედაქციის შედგენილობისაგან. ამიტომ, ბუნებრივია, რომ „მოთილესას“ ძლისპირებში არ გვხვდება არც ტერმინი „უცხონი“, რომლითაც ეს ახალი ფენა გამოიხსენიდა ძველისაგან.

⁴ A—603, 152 v, 155 v.

⁵ ჩვენ ვერ დავითანხმებით პ. ინგოროყვას ტერმინ „მორათული“ მის მეორე მოწოდებულ ვაზერებაში. იხ. თხზულებათა კრებული, ტ. III, გვ. 137.

⁶ იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, გვ. 217.

⁷ ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV, გვ. 507.

ლის რიტმსა და კილოზე შედგენილი გალობანი თუ სტიქარონი; ხოლო ძლისპირებში პროსოპია, როგორც ზემოთ ითქვა, იგივე ექმანს აგლოც-ია. მაშასადამე, თუ ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ გამოჩნდა კიდევ ანალოგიური მაგალითები (ამ თვალსაზრისით შესამოწმებელია C ძლისპირთა კრებულის „უცხოა“-ს ქვეშ გაერთიანებული ძლისპირთა ჯგუფები), მაშინ „მორთული“ უნდა ნიშნავდეს ბერძნულ პროსოპიას საერთოდ, ხოლო კერძო შემთხვევაში, ძლისპირების მიმართ — ექმანს აგლოც-ს. ჯერჯერობით კი „მორთულის“ ჩვენ მიერ წარმოდგენილი განმარტება ვარაუდის ფარგლებში რჩება¹.

ჟ. სქიროს სამართლიანი შენიშვნით, დღეისათვის ძალიან ძნელია და ყოველთვის ჯერ ხერხდება იმის გარკვევა, რომელია ძლისპირებში იდიომელა და რომელი პროსოპია. ვინაიდან IX—X საუკუნის ცნობილი ბერძენი ჰიმნოდები გალობათა შეთხზვისას იყენებდნენ მათი სახელოვანი წინამორბედების (იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის) ძლისპირებს². ამიტომ ეს ძლისპირები ირმოლოგიონებში გალობათა ამ ახალი ავტორების სახელითაც შედიოდნენ. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ერთი და იგივე ძლისპირი ზოგჯერ ირმოლოგიონში შეტანილია სხვადასხვა ავტორისადმი მიკუთვნებულ ძლისპირთა აკოლუთიაში და ხშირად ძლისპირთა აკოლუთია არ მიკუყვება იმ ჰიმნოდის კანონის ძლისპირთა შედგენილობას, რომლის ავტორობითაც ის შეტანილია ირმოლოგიონში. ამიტომ ძლისპირთა აკოლუთიის ავტორებზე მითითებები ხშირად არ ასახავენ რეალურ ვითარებას. ჟ. სქიროს აზრით: ირმოლოგიონმა ისეთი დიდი ცვლილებები განიცადა, რომ მისი რეკონსტრუქცია დიდ და რთულ პრობლემას წარმოადგენს³. მით უმეტეს დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია ამ საკითხის შესწავლაში ბერძნული ძლისპირების ისეთ ძველ თარგმანებს, როგორცაა ქართული.

* * *

როგორც დავინახეთ, ძველი ქართული წერილობითი ცნობების საფუძველზე ვერ ხერხდება იმის გარკვევა, რა დროიდან შეიქცალა ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში „ბერძნული გვარის“ გალობა „ქართული გვარის“ გალობით. ასევე ნელია იმის დადგენა, რა დროიდან გავრცელდა ქართულ ეკლესიაში მრავალხმიანი გალობა ნაცულად ერთხმიანისა.

ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიის შემდეგ გამოქვეყნებულ შრომებში ქართველი მეცნიერები შეეცადნენ XI საუკუნის ძველ წერილობით წყაროებში ამოეკითხათ ქართული სასულიერო საგლობლის მრავალხმიანობის დამადასტურებელი ცნობები⁴. ასეთ წყაროდ მიჩნეულია პროკლე დიადოხოსის „კავშირის“ ქართული თარგმანისათვის იოანე პეტრიწის მიერ დაწერილი „განმარტებათა“ „ბოლოსიტ-

¹ ტერმინი „მორთული“ არ უნდა იყოს დაკავშირებული ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში დადასტურებულ მაგან ტერმინებთან: „მოსართელი“, „წართული“ და სხვ. (იხ. ე. მეტრეველი, ჰიმნოგრაფიულ ტერმინებს „ფრაფთონისა“ და „მოსართელის“ გაგებისათვის, აკად. არნ. ჩიქობავასადმი მიძღვნილი კრებული).

² ჟ. სქიროს, *Problemi heirmologizii*, გვ. 255.

³ ჟ. სქიროს დასახ. შრომა.

⁴ მ. ახლანიშვილი, ნარკვევები, ტ. I, 1954, გვ. 16; ქართული ხალხური სიმღერა, სამ ტომად, რედაქტორ-შემდგენელი ზრ. ჩხიკვაძე, 1961, გვ. XI; პ. ინგოროყვა, მუსიკა, სასულიერო შემოქმედების ისტორიული, ვახ. კომპნისტი, 1962, № 199; ვ. გვახარია, ქართულ მრავალხმიანობაზე განვითარება, 1962, გვ. 16.

ყუა“, სადაც ავტორს (იოანე პეტრიწს) სამების სამგვემოვნებისა და ერთარსების დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითები მუსიკის დარგიდან, ვინაიდან მუსიკაც ღვთაებრივ სფეროს განეკუთვნება, იგი მორაჟულია ანუ შეწყობილია წმიდისა სულის მიერ: „სამუსიკელოა რაა, რამეთუ ყოვლითურთ სამოსოა არს ჩუენი ესე სამოყუსოა, მორათული¹ წმიდისა მიერ სულისა; და ესეცა სამათამიერ ფართონგთა, ვიტყვსამთა დაბამვათა, რომელთა მიერ შეინაწევრების ყოველი შეყოვლებული: მზახრ, ჟირ და ბამ რქმულნი და რანივე მრთველობანი ძალთა და კმათანი. ამათ სამთა მიერ მეშოქმედობენ კეთილ ფთოგონებათა, რამეთუ უსწორობისაგან მორათულე ბათაჲს მიეცემის სისწორე კეთილ დადასვასა მორათულეებისასა. ვინაჲ ესთავე რიცხუსა შორის ზესთა წმიდისა სამობისასა იხილო, ვითარმედ მეთქუენი უშვიელობასა მამისასა, და შობასა ძისასა, და გამოვლენასა სულისა ზესთა წმიდისასა, და ერთობასა ბუნებისასა გასხუებულეებითა გუამოვნებათაჲთა, ვინაჲ აწ აქა სამუსოდ გასხუებულეთა ზედა იხილო მზახრსა, ჟირსა და ბამსა ერთობაჲ შეყოვლებისაჲ“².

მუსიკის დარგიდან მოყვანილ მაგალითში იოანე პეტრიწი ასახელებს საკრავთა სამ სიმს ანუ ხმას: ესენია ბამ—ბოხი ხმა, ჟირ—საშუალო და მზახრ—მაღალი³. სამივე ეს ხმა, მსგავსად სამებისა, შენაწევრებულაა შეყოვნებაში⁴ ანუ ერთში, ერთ არსებაში, ისე, რომ თავის ნაკვეთობას ანუ თითოსახეობას ინარჩუნებს. ამ უსწორობათა ანუ ხმის ცალკე სახიობათა შერწყმით (შენაწევრებოთ) იქმნება კეთილხმოვნების (კეთილ-დადასვის) სისწორე. იოანე პეტრიწი ასკვნის: „ვინაჲ ესთავე რიცხუსა შორის ზესთა წმიდისა სამობისასა იხილო, ვითარმედ მეთქუენი უშვიელობასა მამისასა, და შობასა ძისასა, და გამოვლენასა სულისა ზესთა წმიდისასა, და ერთობასა ბუნებისასა გასხუებულეებითა გუამოვნებათაჲთა, ვინაჲ აწ აქა სამუსოდ გასხუებულეთა ზედა იხილო მზახრსა, ჟირსა და ბამსა ერთობაჲ შეყოვლებისაჲ“.

ვინაიდან აქ საუბარია სანსახეობის ერთარსებაზე, ერთბუნებოვნებაზე, ამიტომ მოტანილი მაგალითი გულისხმობს გალობის არა სამხზიანობას, როგორც ამას ვარაუდობენ, არამედ სამი რევისტრის ერთი ფორნგის (ბვერის) ერთიანობას, უნისონს. გარდა ამისა, მოტანილი მაგალითი ეხება საკრავთა (ინსტრუმენტთა) ძალთა ურთაერთმომართებას და არა სასულიერო საგალობელს.

მოყვანილ მაგალითში რომ სამხზიანობა არ იგულისხმება, ეს ვარაუდი ადრევე ერთხილად გამოთქვა მუსიკათმცოდნე ვეა ვეახარიამ. იგი წერს: „ეს ადგილი, შესაძლოა, არ იძლეოდეს ქართულში სამხზიანობაზე მითითებას, რადგან ერთხიანი ჰანგსაც გააჩნია სამი რევისტრი და მით უმეტეს, ეს მოსაზრება იოანე პეტრიწონელს ჰირდება მისი შრომის ძირითადი ღებულების—სამი ერთარსების (თუ სამების

¹ მორათული ამ შემთხვევაში ნიშნავს შეწყობილს, აწყობილს.

² იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, გვ. 217.

³ ბამი საბას საკრავის ბოი ძალის (სიმის) ანუ ალყის სახელწოდებად მიანია („ბამი ალყის ბოი ვმა“, ლექსიონის 1965 წ. გამოცემა). ჟირად კი. საბასეუ მოიუღვით. ითქმის „საკრავთ ძალი მსხიარჲანესა და ბამს საშუალი“. მსხიარჲანეს კი ხმარობს მზახრის ნაკეულად, რაც მაღალ ხმას ნიშნავს. ამ ტერმინთა ეანმარტებისათვის საბა მიმართავს იოანე პეტრიწის „ბოლისტიკვას“.

⁴ საბა იცნობს ტერმინ ყოველობას, რომელიც იგივე შეწყობაა. შეყოვლება ანუ ყოველობა კერძოს საპირისპირო ცნებაა: „კერძო ეწოდების ნიუთთა და აგებულებათა და თოთოსასეობათა არსებობასა და მისთანათა ნაკვეთობასა, ხოლო ყოველობა მათ ყოველთაგან ერთად შეკრებულთა სოფელთა“ (დასახ. ლექსიკონი).

ერთარსებობის დასამტკიცებელ—ე. მ.) ერთერთ არგუმენტად¹. მაგრამ აქვე ვ. გვახარია გვთავაზობს მეორე ადგილს იოანე პეტრიწის „განმარტებიდან“, სადაც ის, პირველისაგან განსხვავებით, ხედავს ქართული მუსიკის მრავალხმიანობის დამამტკიცებელ მასალას². სინამდვილეში, ეს მეორე ადგილიც, ისევე როგორც პირველი, ემსახურება სანების ერთარსებობის გამოხატულებას მუსიკაშიც. „ყოლად სამუსიკელოთაცა რავათა ზედა მიესხი და მათ შორისცა იხილო ცხადად ქმნილი ერთი“ (გვ. 22). ასე იწყებს იოანე პეტრიწი თავის ვრცელ მსჯელობას ამ საკითხზე. ცხადია, ამიტომ არც აქ შეიძლება დავინახოთ წორეულა მითითებაც კი მუსიკის მრავალხმიანობაზე საერთოდ, მით უმეტეს სასულიერო გალობისა. რომელზედაც აქ საერთოდ მსჯელობა არ არის.

* * *

XIX—XX საუკუნეების საგლობელთა ჩანაწერებში წარმოდგენილი განსაცდრებელი მრავალფეროვნებისა და ნაირსახეობის სათავე და მიზეზი უნდა ვეძებოთ: ცალკეულ მგალობელთა და მგალობელთა სკოლების დიდ შემოქმედებით მუშაობაში საუკუნეების მანძილზე და საგლობლის შესრულების იმ დასაწებებ თავისუფლებაში, რომლის შესაძლებლობას იძლეოდა გალობათა თაობიდან თაობაზე გადაცემის ზეპირი ტრადიცია და, ამასთანავე, ნევმური სისტემის არასრულყოფილი და პირობითი ხსათა. ამ უკანასკნელის შესახებ საინტერესო ცნობები დაუცავს XII ს. უკუნის თეორეტიკოსს იოანე კატანიუსს: „Отсюда происходит, что каждый такой невмы по своему произволу поет и в больших или меньших интервалах, и там, где один поет большую терцию или кварту, другой там поет малую терцию или квинту, и если еще третий присоединяется к ним, то разногласит с обоими. Один говорит: меня учил учитель Трудю; другой ссылается: а я учился у учителя Альбино; третий: учитель Соломон совсем иначе это поет. Кратко сказать, не утомляя излишние: редко двое даже согласны в пении, не говорим о тысяче, потому что каждый решительно ссылается на своего учителя, поэтому и является столько вариантов в пении, сколько учителей“³.

ძნელია იმის თქმა, რამდენად დიდი ცვლილებები განიცადეს საგლობელთა თავდაპირველმა კილოებმა, და რა მიიღეს და დაიტოვეს ძველი საგლობლებიდან იმ მრავალრიცხოვანმა ქართულმა საეკლესიო გალობებმა, რომლებიც შემოგვინახეს XIX—XX საუკუნეების ჩანაწერებმა.

დღესდღეობით ამ საკითხზე მსჯელობისათვის მასალა არ მოგვეპოვება, ვინაიდან თავდაპირველი კილოები არ არის ამოხსნილი, მაგრამ გარკვეული კავშირი

¹ ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, გვ. 417—418. ეს ვარაუდი არ უშლის ავტორს ხელს ამვე წიგნის მე-16 ჯეირზე იოანე პეტრიწის „თარგმანებთან“ „ბოლოსიტყვის“ ამავე ციტატის საფუძველზე საწინააღმდეგო დებულება წამოაყენოს: „ამის საფუძველზე. წერს იგი, უძლევა გვაქვს საშხიანობაზე მიუეთოთთ ქართულ მუსიკაში (ამის შესახებ იხილეთ: სპეციალური თავი ჩვენს შრომაში)“, ვ. გვახარია, დასახ. წიგნი, გვ. 16. ეს სპეციალური თავი წიგნი იქვეა აღმოვაჩინეთ.

² იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 22.

³ O. Fleischer, Neumen-Studien. Theil I, გვ. 7. ციტატა მოვეყავს ნ. უსპენსკის წიგნთან: Древнерусское певческое искусство, გვ. 35—36. ამასვე წერს ნ. უსპენსკი რუსული საგლობლებთან შესახებ: „Благодаря условности певческих знаков, русские мастера пения, пользуясь византийской записью, могли допускать отступления в напевах и свободно творчески их видоизменять и перерабатывать“ იქვე, გვ. 36.

რომ არსებობს ძველი ქართული საგალობლების წყობასა და ნოტებზე ჩაწერის ქართულ საეკლესიო საგალობლებს შორის, ეს ჭარბად ვ. კარბელაშვილმა შენიშნა. გალობათა „ქარბელაშვილი კილოსთან“ დაკავშირებით ის წერდა: „რადცა შეეხება, რომ ვარბელაშვილი იეს გალობა ჳელმეუხებლად დარჩენილა, ამას მოწმობენ ის ძველი საგალობელი, რომელიც მოვიხსენიეთ (იგულისხმება მიქაელ მოდრეკილის იადგარი და იორდანეს ძლისპირთა კრებული—ე. მ.), სადაც დღესაც ნათლად დაინახეთ თვალთ—სასვენი და ჳმის ტრიალი (მელოდიური ფრაზების დასასრული—ე. მ.) იქ მოდის, სადაც იმ საგალობლებში არიან ნახევენები“¹ (იგულისხმება რიტმული პუნქტუაცია—ე. მ.).

ვ. კარბელაშვილის ეს დაკვირვება ძირითადად მართლდება არა მარტო „ქარბელაშვილი კილოს“ მიმართ, არამედ საეკლესიო გალობათა სხვა კილოებშიც—რიგ შემთხვევაში ძლისპირთა რიტმული დაყოფა ხვდება საეკლესიო გალობის მუსიკალურ ფრაზის დასასრულს².

ძველი საგალობლის შესრულების წესას გადმონაშთი უნდა იყოს აგრეთვე ტაების მარცვალთა რაოდენობაზე (მუხლზე) მუსიკალური ფრაზის განაწილების ის წესი, რომელზედაც წერს ვ. კარბელაშვილი: „თუთველ მუხლში ჳმის ტრიალი ესე უნდა გამოიტანოთ, რომ წერტილადან იწყობთ მარცვლების თვლასა მარჯუნიდგან მარცხნისკენ და სადაც დედანშია, იქაც ისე უნდა მოიყვანოთ. სულ ბოლოს ჳმის ტრიალი ბოლოდან მესამე მარცვალზე უნდა დააყენოთ ხოლმე და ამრიგად ავარჯიშოთ“; თან დასძენს: „ესე არის ამის გასაჳირი, რომ თუ ყურადღებით არ ითჳვა, ვერ მოვა და მომეტებული მარცვლები უნდა ავაჯიოთ გაიტანოთ ხოლმე“³. ეს კი იგივეა, რასაც ურჩევდა ანალოგიურ შემთხვევაში მიქაელ მოდრეკილი მგალობლებს: „თავსა, უქცე და გეყოფინ, ჳ მლდლო, ღმრთის მგალობლო“ (S—425, 42 r).

მრიგად, ქართულმა საეკლესიო გალობამ ძველი გალობისაგან გარკვეულ ფარგლებში შეინარჩუნა საგალობლის რიტმული ჩონჩხი⁴, რომელაც ძველმა ქართულმა საგალობელმა. თავის ხრივ. ბერძნულისაგან შეითვისა. რაც შეეხება მელოდიურ მხარეს, ბერძნული საგალობელი, რომელიც უფრო რეჩიტატიული ხასიათისა იყო⁵, ნაციონალურ კილოსა და ინტონაციების საფუძველზე მისი გადაშეშეების დიდ შესაძლებლობას იძლეოდა.

ძლისპირთა ქართული თარგმანები

VIII—IX საუკუნეების ბიზანტიური ჳიმნოგრაფია ორთოდოქსალური თეოლოგიის პოეტური გადმოცემაა. ამის გამო საგალობლის ყოველი სახეობა, განსაკუთრებით კი კანონი, გადატვირთულია დოგმატიკური სიმბოლოებით და ხელოვნური სახე-

¹ ვ. კარბელაშვილი, ქართლ-კახური გალობა. მწუხრი, 1897. გვ. 111.

² ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა ჩაატარა და საინტერესო დასკვნებაც მიიღო მუსიკათმცოდნე გ. ლორთქიფანიძემ, რომლებსაც, ალბათ, ავტორი გამოაქვეყნებს.

³ ქართლ-კახური გალობა (ქარბელაშვილი კილო), „ცისარი“, მღ. ვ. გრ. კარბელაშვილის მიერ, 1898. გვ. VIII, სქოლიო.

⁴ რა თქმა უნდა. ზოგად კონტრუბში. ვინაიდან X საუკუნის ხელნაწერებშიც კი ერთსა და იმავე სლასპირსა თუ ტროპარში რიტმული დაყოფის საესებო. ერთნაირ სურათს იშვიათად შეხვდებით.

⁵ Handbook of the Middle Byzantine Musical Notation by H. J. W. Tillyard. M.M.B. Sub-idia, vol. I, fasc. 1, გვ. 13.

წიგნი შეიცავს H ირმოლოგიონის¹ სამი ხმის (ა, ა გრი, გ გრი) ძლისპირთა აკოლუთიების მუსიკალურ ტრანსკრიფციებს. გამოჩალიცა ყოველი ხმის ძლისპირთა პირველი აკოლუთია, რომელიც წარმოდგენილია არა მარტო H ირმოლოგიონის, არამედ უძველესი 11 ხელნაწერის მიხედვით ერთდროულად. ტრანსკრიფციებში, ამ უძველესი ხელნაწერების მიხედვით, ერთმანეთის გვერდით, მოტანილია ძლისპირთა რიტმული დაყოფა და ნეემები. ამ მდღარი პარალელური მასალის შესწავლის შედეგები C. Höeg-მა წინასწარი ვარაუდების სახით ჩამოაყალიბა: H-სა და ირმოლოგიონის სხვა ხელნაწერებში რიტმული წერტილები იწერება ძლისპირის წერის პროცესში. ყველა ბერძნული ირმოლოგიონი ძირითადად იმეორებს პუნქტუაციის ერთსა და იმავე სისტემას; მათ შორის სხვაობების მიზეზია: 1. ზოგ ხელნაწერში შეიმჩნევა ტენდენცია გამოიყოს სულ სერივ რიტმული ერთეულები. განსაკუთრებით საინტერესოდ მიაჩნია ავტორს ამ თვალსაზრისით Sa ირმოლოგიონი². 2. ზოგ ხელნაწერში რიტმული წერტილების დაკლება ან უადგილოდ დისპა გადამწერის დაუდევრობით არის გამოწვეული. 3. ზოგიერთი ხელნაწერი, მათ შორის H, აკლებს პუნქტუაციას იქ, სადაც მუსიკალური ნოტაცია აშკარად მიუთითებს პაუზაზე.

ამრიგად, ასევენი ავტორი, წერტილებით გადმოცემულ რიტმულ მონაცემთა ღირებულება არ არის განსაზღვრული (სტაბილური—ე. ძ.). ეს კი, მკვლევრის აზრით, აშკარა დადასტურებაა იმ ვარაუდისა, რომ ხელნაწერების პუნქტუაცია ასახავს წმინდა მუსიკალურ დაყოფას, რომელიც მეორე—ტექსტუალური დაყოფის გვერდით არსებობდა³. ამის საფუძველზე ავტორი უშეგებს მეორე ვარაუდს, რომ დასდებლს (ტროპარის) ავტორის თავდაპირველი ჩანაფიქრი მისდევდა პროზის რიტმს, ხოლო ტექსტის კილოზე დაწყობის პროცესში ის ზოგჯერ არღვევდა პროზის რიტმის ფარგლებს, როდესაც სურდა, ვთქვათ, რიტმული ერთეული ერთი სიტყვის მასალაზე შეეჭმნა. რიტმული პოეზიის ამ თავისებურებით ხსნის C. Höeg-ი იმას, რომ ზოგი ხელნაწერი უპირატესობას აძლევს მკითხველ რიტმულ მონაცემებს, სხვანი კი დიდ ერთეულებს, რომლებიც დამახასიათებელია პროზის რიტმისათვის. ამ მოვლენაში ხედავს ის ახსნას იმ დიდი სიკრულისა, რომელიც დასტურდება რიტმული დაყოფის თვალსაზრისით ბერძნულ ირმოლოგიონთა ხელნაწერებში³.

ბიზანტიური საეკლესიო ბუნების სოლბური სტრუქტურის წარმოდგენილი ახსნა და ამასთან დაკავშირებით საეკლესიოს რიტმული პუნქტუაციის თავისებურებათა ამგვარი განმარტება დამაჯერებელი ჩანს. დაახლოებით ასეთივე სურათია ძლისპირთა ქართულ თარგმანებში, ოღონდ თარგმნით გამოწვეული სიძნელეებით უფრო გაბუნდოვნებული.

რაც შეეხება იმას, რომელი ტერმინის ხმარება უფრო უპირატესია ბიზანტიური საეკლესიოს ბუნების გადმოსაცემად—„მარცვლეულოვანი საზომი“ (როანე დამასკელის „ცხოვრებებიდან“), რიტმული პროზა თუ რიტმული პოეზია. ეს ტერმინები ჯერჯერობით მაინც პირობით ტერმინებად რჩება და მათი სიპრავლეც გამოწვეულია იმით, რომ საკითხი დღეისათვის არ არის სათანადოდ შესწავლილი.

¹ ამ ლიტერითაა ცნობილი სამეცნიერო ლატინურად ათონის ივერის მონასტრის № 476 ირმოლოგიონის ხელნაწერი, რომლის ფოტოტიპიერის გამოცემა C. Höeg-ს ეკუთვნის.

² დასა. წიგნი Sa ლიტერით აღნიშნულია OdeO წყობის საპარალელური № 599 ხელნაწერი, რომელიც დღევანდელი იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში (ახ. დასა. წიგნი, გვ. XV).

³ იქვე გვ. XXXIV.

ბერძნული ხელნაწერი ირმოლოგიონების ძლისპირთა ტექსტებში ზოგ შემ-
თხვევაში განსხვავებული რიტმული განკვეთა. C. Höeg-ის აზრით, იმითაც არის
გამოწვეული, რომ ბერძნული ირმოლოგიონის ხელნაწერებში ო რ ი ს ხ ე ა და ს ხ ე ა
მ ე ლ ო დ ი უ რ ი ტ რ ა დ ი ც ი ა შე ი ნ ი შ ნ ე ბ ა, რ ა ც, რ ა თ ქ მ ა უ ნ და, ყ რ თ ი და
ი ვ ე ე ტ ე ქ ს ტ რ ს განსხვავებულ რიტმულ დაყოფას მოითხოვს¹. ირმოლოგიონში
ორი განსხვავებული მელოდიური ტრადიციის (საბაწმიდურისა და კონსტანტინეპო-
ლურის) არსებობის დადასტურება დიდად შეუწყობს ხელს ქართული ძლისპირანის
მელოდიური სტრუქტურის შესწავლასაც, რომელიც, საფიქრებელია, საბაწმიდურ
ტრადიციას ეყრდნობა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ძლისპირ-ტროპართა რიტმული დაყოფა ემსახურება
კილოს მელოდიური ფრაზების ერთნაირ განაწილებას ტექსტზე. ტროპარები იმე-
რებენ ძლისპირთა კილოს, ამიტომ ტროპარს უნდა ჰქონდეს ძლისპირის შესატყვისი
რიტმული სახე რიტმულ მონაკვეთთა ერთნაირი სილაბიკით. ამაში გამოიხატება
რიტმული პოეზიის „მარცვლედოვნება“. ბერძენი პოეტი-მელოდოსები, ქმნიდნენ რა
იდიომელების „მარცვლედოვან“ ტექსტებს, თვითონვე დებდნენ მას კილოზე და
კდილობდნენ კილოსთან შეწყობის პროცესში არ დაერღეთ დასდებლის ბუნებ-
რივი რიტმი და სიტყვისა და მუსიკალური მახვილების თანფარდობა.

იდიომელებში შედარებით ადვილად მისაღწევი ძლისპირ-ტროპართა რიტმულ-
მელოდიური თანფარდობა ბევრად უფრო ძნელი განსახორციელებელი იყო პრო-
სომაში. ამ შემთხვევაში ჰინწონი უკვე ცნობილ, მაგრამ არა საკუთარ ძლისპირის
კილოს უწყობს ახალ ტროპარებს, ამიტომაც, რომ ძლისპირთა რიტმულ-მელოდიური
თანფარდობა უფრო ხშირად ბერძნულ პროსოდიებშია დარღვეული².

რიტმულ-მელოდიური თანფარდობის დაცვა ძლისპირ-ტროპართა თარგმა-
ნებში ბევრად უფრო რთულია, განსაკუთრებით ისეთ ენებში, რომლებსთვისაც
დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული მახვილი. ამიტომ, ბუნებრივია, ძლის-
პირთა თარგმნას ყოველთვის მაღალ მოთხოვნილებებს უყენებდნენ. ვინაიდან
ძლისპირთა კარგი, ზუსტი თარგმანი საწინდარი იყო გალობის კილოს სწორი გად-
მოცემისა.

რა ვითარებაა ძლისპირთა ქართულ თარგმანებში?

წინანდებარე გამოცემისათვის გამოყენებულ ძლისპირანს უძველეს ხელნაწე-
რებში ძლისპირთა რიტმული დაყოფისათვის იხმარება ხან ერთი წერტილი (ისევე,
როგორც ბერძნულ ირმოლოგიონებში), წითელი ან შავი, ხან კი ორი (წითელი და
შავი ან ორივე წითელი)³:

- A ხელნაწერში—ერთი წერტილი სინგურით (ძლისპირთა მცირე ნაწილი
ნევმირებულთა).
- H „ ერთი წერტილი სინგურით (ტექსტები ნევმირებულთა).
- L „ ორი წერტილი სინგურით (ტექსტები ნევმირებულთა).
- O „ ერთი წერტილი, შავი (არ არის ნევმირებულთა).
- h „ ერთი წერტილი სინგურით (ტექსტები არ არის ნევმირე-
ბულთა).

¹ Dr. Maria Stöhr. Reflections on Transcribing the Hirmoi in Byzantine Music: Studies in Eastern Chant, Edited by M. Velimirovic', 1966, გვ. 94.

² Dr. Maria Stöhr-ის დასახ. წერილი, გვ. 94. ამასთანავე C. Höeg-ი გამოთქვამს ვარაუდს, რომ იმ დროს, როდესაც იწერებოდა ბერძნული ტროპარები, ტექსტის მახვილები უფრო მკვეთრად შეიგრძნობოდა. ვიღუ მუსიკისა (იქქი, გვ. 94).

³ იხ. აქვე, ხელნაწერთა აღწერილობა.

- B ხელნაწერში — შავი და წითელი (ტექსტები ნევმირებულია).
 C „ შავი და წითელი (ტექსტები ნევმირებულია).
 M „ ძლისპირნის ტექსტებს, ნაცვლად რიტმული პუნქტუაციისა, აქვთ განკვეთის წერტილები (ერთი და ორი). ტექსტები არ არის ნევმირებული.
 Sin. 26 ძლისპირნის ტექსტებს, ისევე როგორც M ხელნაწერში, აქვთ განკვეთის ნიშნები. ტექსტები არ არის ნევმირებული.
 Sin. 20 ძლისპირნის ტექსტებს არა აქვთ რიტმული პუნქტუაცია და ნევმები.

არის თუ არა რაიმე ფუნქციური სხვაობა დასახელებულ ხელნაწერებში გამოყენებულ ერთ და ორ წერტილს შორის?

ამ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემა დღეისათვის ძნელაა, ვინაიდან ჩვენს ხელთაა უძველეს იადგართა ხელნაწერების მხოლოდ ცუდი როტოპირები. ამ მასალაზე რიტმული პუნქტუაციის შესწავლა არა სიამედოა. C ხელნაწერის ამ თვალსაზრისით, შესწავლამ კი ზოგი მოსაზრების გამოთქმის საშუალება მოგვცა. გაირკვა, რომ შავი წერტილები C ხელნაწერში იწერებოდა ტექსტთან ერთად, ხოლო წითელი წერტილები — ძლისპირთა ნევმირებისას. ძლისპირის წერის დროს პატარა შავი წერტილი (ტექსტის მელნით) დაისმოდა სტრიქონს ზემოთ იმ ვარაუდით, რომ იმავე ადგილას, ოღონდ სტრიქონს ქვემოთ, მოთავსებულიყო დიდი წითელი წერტილი, რომელიც დაისმის ტექსტის ნევმირების დროს ნევმებისევე წითელი მელნით. C ხელნაწერში გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ძლისპირები და ღმრთისმშობლისანი განკვეთილნი არიან მხოლოდ შავი წერტილებით სტრიქონს ზემოთ, წითელი წერტილები კი მათთვის განკუთვნილ ადგილებზე დასმული არ არის, არა აქვთ ამ ტექსტებს არც ნევმები (იხ. 81 r). ჩანს, ნევმების მწერალს არ მიუჩნევია საჭიროდ ან შესაძლებლად ამ ძლისპირის ნევმიკება (სამინსოდ მრავალი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო) და, ამის გამო, არც ნევმირებისათვის აუცილებელი წითელი რიტმული წერტილები დაუსვამს.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ ტექსტთან ერთად დასმული შავი წერტილები გადმოღებულია იმ დედნიდან, რომლიდანაც გადამწერი იწერდა ტექსტს. ამ შავი წერტილების დანიშნულება იყო მიეთითებინა ნევმების მწერლისათვის რიტმული განკვეთის ადგილი დედნის მიხედვით, სადაც ნევმების მწერალს უნდა დაესვა რიტმული განკვეთის წითელი წერტილი ნევმების წერასთან ერთად¹. მართლაც, უმრავლეს შემთხვევაში, წითელი წერტილი შავი წერტილის ქვემოთ არის მიწერილი, მაგრამ ზოგჯერ ნევმების მწერალი უგულებელყოფს ამ წესს და წითელ წერტილს სხვა ადგილას სვამს, ამით ცვლის შავი წერტილებით გადმოცემულ თავდაპირველ რიტმულ დაყოფას. შავისა და წითელი წერტილების დაცილება, ჩვეულებრივ, იშვიათად შეიძინევა და ისიც სტროფის ერთი ან ორი ტაქტის ფარგლებში. შემდეგ წითელი წერტილი კვლავ უერთდება შავს და აღადგენს სტროფის ერთიან რიტმულ დაყოფას. სტროფის (ძლისპირის) შავი წერტილებით წარმოდგენილ რიტმულ დაყოფაში კორექტივის შეტანის საჭიროება თავს იჩენს ტექსტის ნევმირების პროცესში, კილოს მელოდოური ფრაზების რიტმულ ტაქტებზე განაწილების დროს. ამრი-

¹ ტექსტის გადაწერისა და ნევმირების ორი სხვადასხვა პროცესი შეიძლება სრულდებოდეს ერთი პირის მიერ, მაგრამ გამორიცხული არ არის ამ შრომის ორ პირზე განაწილება. ამ მხრივ საყურადღებოა C. Hög-ის დაკვირვება ბერძნული ირმოლოგიონის H ხელნაწერზე. ვისი აზრით, ტექსტის გადამწერი და რელაქტორ-ნევმატორი ორი სხვადასხვა პირია (Hirmologium Athoum, გვ. 12).

გად, თარგმნილ ძლისპირებში ტექსტის ძირითადი რიტმული დაყოფიდან გადახრები წარმოდგენილია წითელი წერტილებით და გაპირობებულია ტექსტის კილოსთან შეწყობით. ამით უნდა ახსნას ის გარემოება, რომ ორი წერტილი, უმრავლეს შემთხვევაში, გვხვდება ნეემირებულ ხელნაწერებში, ასევე ნეემირებულ ტექსტებში დასტურდება შავი და წითელი წერტილების ურთიერთდაცილების შემთხვევები. ცვლილებები და კორექტივები კი, როგორც ჩანს, ტექსტშიც და მელოდიაშიც შექმნდათ, პირველ რიგში, პროფესიონალ მუსიკოს გადამწერებსა და ნეემების მწერლებს. C. Höeg-ს მიანიცა, რომ მუსიკალური ტექსტების ყოველი კვალფიციური გადამწერი ამავე დროს მელოდოსის თანამოდგეწეც იყო, ვინაიდან მელოდიების განვითარებასა და სრულყოფაში მასაც შეჰქონდა თავისი წვლილი, რომელიც ერთი თაობიდან მეორე თაობაში გადადიოდა. მუსიკალურ მოდელთან (დედანთან) ერთად მელოდის ზეპირი ცოდნაც დიდ როლს თამაშობდა ტექსტების ნეემირების დროს².

შეიძლება დაიბადოს ეჭვი, ხომ არ არის შავი წერტილი განკვეთის ანუ სასეგნი ნიშანი, ხოლო წითელი—რიტმულ-მელოდიური. ამ ეჭვის საწინააღმდეგოა ძლისპირთა და ვალობათა ტექსტებში დადასტურებული ისეთი შემთხვევები, რიდესაც შავი და წითელი წერტილები ერთად კვეთენ სიტყვას ორ ნაწილად, მაგ. C ხელნაწერის 78 v-ზე ღმრთისმშობლისას ტექსტში წითელი და შავი წერტილებით სიტყვა გაყოფილია ორად—„დაგ : მარხა“.

* * *

ძლისპირთა თარგმნა მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან ქართველ მთარგმნელს მხედველობაში უნდა ჰქონოდა არა მარტო შინაარსი, არამედ ძლისპირის რიტმული სტრუქტურაც, რადგან ეს უკანასკნელი საფუძველი იყო კილოს ტექსტთან შეწყობისა.

ძლისპირთა ქართულ თარგმანებში საკმაო რაოდენობითაა ისეთი ძლისპირები, რომლებიც შინაარსითაც და რიტმული სტრუქტურითაც ზუსტად გადმოსცემენ ბერძნულ დედანს. მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმეს: №№ 161, 164, 168, 172, 173 და სხვ. არის ისეთებიც, რომლებიც დედნის ზუსტ თარგმანს წარმოადგენენ, მაგრამ ახასიათებთ უმნიშვნელო გადახრები დედნის რიტმულ დაყოფასთან შედარებით, მაგ.: №№ 73, 82, 88, 89, 96, 98, 99, 151, 154, 162 და სხვ. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ძლისპირის შინაარსი საკმაოდ ზუსტად არის გადმოღებული, მაგრამ საგრძობლად დარღვეულია ბერძნული დედნის რიტმული წყობა, იხ. მაგ.: №№ 155, 174 და სხვ.

რა ხასიათისაა ძლისპირთა ქართულ თარგმანებში დედანთან შედარებით დამეგებული რიტმული გადახრები? ხომ არ შეიძლება ამ გადახრებშიც რაიმე კანონზომიერების აღმოჩენა?

ზემოთ ითქვა, რომ ძლისპირებში რიტმული პუნქტუაცია არც ბერძნულ ხელნაწერებშია ერთნაირად წარმოდგენილი. ზოგი ხელნაწერისათვის დამახასიათებელია მცირე რიტმიკული ერთეულების გამოყოფა, ზოგისთვის კი—უფრო დიდი მონაკვეთებისა (იხ. გვ. 079).

¹ რამდენად შესაძლებელია ეს დაკვირვება გავრცელდეს სხვა ნეემირებულ ხელნაწერებზე, ეს ცალკე შესწავლას თხოვლობს.

² M. Stühr-ის დასახ. წერილი, გვ. 91.

ძლისპირთა ქართულ ტექსტებში ანალოგიური ვითარებაა, ოღონდ ამოსავალი ქართული სათვეის არის ბერძნული დედნის რიტმიკა. ქართველი მთარგმნელი თუ მგალობელი, რომელიც ტექსტს უფარდებს კილოს და ამის შესაბამისად აწესრიგებს ძლისპირის რიტმიკას, ტრიალებს დედნის რიტმიკის ფარგლებში, მაგრამ საჭირო შემთხვევაში ხან ანაწევრებს დედნის მხედვით განსაზღვრულ რიტმულ მონაკვეთს (ტაქსს) უფრო მცირე ნაკვეთებად, ხან კი აერთებს რამდენიმე მონაკვეთს ერთ დიდ მონაკვეთში. ვინაიდან ეს ოპერაციები ხდება ბერძნული დედნის რიტმული დაყოფის ფარგლებში, ამიტომ ამ ოპერაციების (შეერთებისა თუ დაშლის) ჩატარების დროს ქართული ძლისპირი მაინც არ ატარებს ბერძნული ძლისპირის რიტმიკის ძირითად სქემას და მის ფარგლებში რჩება.

მოვიყვანთ რამდენიმე ტიპიურ მაგალითს:

I. ტაქსთა გაერთიანების შემთხვევა

№ 12 ქართული ძლისპირი.

ბერძნული ძლისპირის რიტმული დაყოფა: 6. 9. 9. 7. 10. 7. 11=59

ქართული " " " 6. 9. 16. 10. 7. 11=59

ქართული ღმრთისმშობლისას " 15. 16. 10. 7. 13=61

როგორც ვხედავთ, ქართულ ძლისპირსა და ღმრთისმშობლისაში ისეა დამსხვილებული რიტმული მონაკვეთები, რომ ბერძნული ძლისპირის ძირითადი რიტმული მიჯნები არ იშლება. გაერთიანება ხდება ისევე ძლისპირის რიტმული ტაქსების ფარგლებში.

II. ტაქსთა დანაწევრების შემთხვევა

№ 11 ქართული ძლისპირი.

ბერძნული ძლისპირის რიტმული დაყოფა: 12. 13. 7. 10. 14=56

ქართული " " " 12. 7. 7. 8. 10. 14=58

ქართული ღმრთისმშობლისას " 12. 7. 13. 10. 13=55

ამ შემთხვევაში ბერძნული ძლისპირის მეორე 13-მარცვლიან ტაქსს ქართულში შეეფარდება ორი შედარებით, ტაქსთა რაოდენობის ზრდას (ექვსი ტაქსი ნაცვლად ხუთისა), ძლისპირის რიტმული სახის შეცვლას. ღმრთისმშობლისაში კი მე-2 და მე-3 ტაქსებში რიტმულ მონაკვეთთა მონაცვლეობის შემთხვევასთან გვაქვს საქმე: 13. 7-ის ნაცვლად—7. 13.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, ვინაიდან ორივე შემთხვევა გავრცელებული ნიშნულია ბერძნულ-ქართულ ძლისპირთა რიტმული მიმართებისა. ბერძნულ ძლისპირებთან რიტმული თანაფარდობის მსაღწევად ძლისპირთა ქართულ თარგმანებში უფრო რთულ რიტმულ კომბინაციებსაც ვხვდებით. მაგალითისათვის მოგვყავს № 23 ქართული ძლისპირი:

ბერძნული ძლისპირის რიტმული დაყოფა: 6. 5. 11. 14. 7. 7. 7. 10=67

ქართული " " " 12. 11. 14. 6. 3. 6. 7. 11=70

ქართული ღმრთისმშობლისას " 4. 8. 12. 14. 7. 7. 7. 10=69

ამ ქართულ ძლისპირში არის როგორც ტაეპთა გავრთიანების, ასევე დანაწევე-რების შემთხვევები. ბერძნული ძლისპირის პირველი და მეორე ტაეპები ქართულში წარმოდგენილა ერთ 12-მარცვლიან ტაეპად, ხოლო ბერძნული მეხუთე და მეექვსე ტაეპები ქართულში სამ ტაეპად არის განაწილებული¹.

მოვიყვანთ ქართული ძლისპირის (№ 42) ტაეპებში მარცვალთა გადანაწილე-ბის კიდევ ერთ მაგალითს:

ბერძნული ძლისპირის რიტმული დაყოფა: 7. 8. 8. 7. 8. 9 = 47

ქართული " " " 4. 11. 15. 8. 10 = 48

ქართული ღმრთისმშობლისას " 4. 12. 8. 7. 8. 10 = 49

საინტერესოა რიტმული დაყოფის თვალსაზრისით № 125 ქართული ძლის-პირი და ღმრთისმშობლისას:

ბერძნული ძლისპირის რიტმული დაყოფა: 14. 10. 13. = 37

ქართული " " " 5. 9. 3. 7. 9. 5. = 38

ქართული ღმრთისმშობლისას " 5. 9. 10. 13 = 37

ზოგჯერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი ძლისპირი მარცვალთა საერთო რაოდენობით საკმაოდ (6—10 მარცვლით) სხვაობს დედნისაგან (იხ. მაგ. № 44, 209 ძლისპირები), რაც, ბუნებრივია, ქართულ ტექსტში იწვევს უფრო დიდ გა-დანას დედნისეული რიტმული დაყოფისაგან. ვფიქრობ, ეს მცირერიცხოვანა შემ-თხვევები მთარგმნელთა გამოუცდელობას უნდა მიეწეროს².

ჩვენ მოვიყვანეთ ბერძნულ-ქართულ ძლისპირთა რიტმული ურთიერთმიმარ-თების ამსახველი რამდენიმე მაგალითი, მაგრამ იგივე ძლასპირები ბერძნულ ირმო-ლოგიონთა და ქართული ძლისპირის სხვა ხელნაწერებში შეიძლება განსხვავებული რიტმული დაყოფითაც იყოს წარმოდგენილი, უფრო ზუსტად, ძირითადად რიტმული სქემების განსხვავებულ ვარიანტებს წარმოადგენდნენ. ამიტომ ამ საკითხზე სრული წარმოდგენის შექმნა ძნელია, თუ არ იქნა შესწავლილი ძლისპირისა და ირმო-ლოგიონის ძირითად ხელნაწერ ნუსხათა რიტმული პუნქტუაცია კილოსთან ძლის-პირის შეწყობის გათვალისწინებით, ვინაიდან ძლისპირის რიტმულ ტაეპებში მარ-ცვალთა მეტ-ნაკლებობის გათანაბრება ხდება გალობის პროცესში³.

რიტმიკის თვალსაზრისით საინტერესოა ერთა ბერძნული დედნის ორი სხვა-დასხვა ქართული თარგმანის შესწავლა. ასეთი შემთხვევაა მაგალითად №№ 204 დ. 205 ქართულ ძლისპირებში, რომლებიც № 136 აკოლეთაის ც' ოდის (ეესტრ. გამოც.) თარგმანს წარმოადგენენ. ორივე თარგმანი შინაარსობრივად საკმაოდ ზუ-სტია, მარცვალთა რაოდენობითა და რიტმული დაყოფით განსხვავდება ერთმან-ეთისაგან.

¹ ბერძნული სავალობის მარცვალთა სათვალავში დიფთონგები ერთ მარცვლად ითვლება. ქართულ სავალობებში ნაბეჯარხმოვნები სათვალავში არ ითვლება. ბერძნულ ძლისპირთან შედარებით, ქართულ თარგმანში რამდენიმე მარცვლის მეტ-ნაკლებობა ხშირი მოვლენაა. ასევე ხშირია ქართულ ძლისპირთა ტაეპებში თითო-ორი მარცვლის მეტ-ნაკლებობა.

² დღეანთან შედარებით მარცვალთა რაოდენობაში მნიშვნელოვანი სხვაობა ხშირია ბერძნულ-დან შესრულებულ ძლისპირთა და გალობათა სლავურ თარგმანებშიც. იხ. M. Velimirovic', The Influence of the Byzantine Chant on the Music of the Slavic Countries: The Proceedings of the XIII th International Congress of Byzantine Studies, London, 1967, გვ. 121.

³ ანალოგიური ვითარებაა ძლისპირთა და გალობათა სლავურ თარგმანებში.

ბერძნული ძლისპირის რიტმული დაყოფა: 9. 8. 7. 12. 9=45

№ 205 ქართული ძლისპირის „ 4. 14. 11. 7. 10=46

№ 204 „ „ „ 9. 20. 6. 6=41

ათოცულ ქართულ ძლისპირს ამასთანავე ახლავს რიტმულად შეწყობილი ღმრთისმშობლისა.

როგორც აღვნიშნეთ, ორევე ქართული ძლისპირი საემაოდ ზუსტად ვადმოგეცნეს ზეჩნული დედნის შინაარსს, მხოლოდ № 205 ძლისპირის უქანასკნელი ტაეპი არ ზედება დედნისს. არ არის გამოორცხული, რომ № 205 ძლისპირის მთარგმნელს ხელთ ჰქონდა გაღსწავებული დაბოლოების მქონე ბერძნული ძლისპირი, რიტმული დაყოფით და ნაცვალთა საერთო რაოდენობით № 205 ძლისპირი უფრო ახლოსაა დედანთან. №№ 204 და 205 ძლისპირები ერთად შემოუნახავს OAJ ხელნაწერებს. L-ს, რადგან უძველეს ხელნაწერს, შემოუნახავს მხოლოდ № 205 ძლისპირი, № 204-ს კი L ხელნაწერი არ იცნობს. ამრიგად № 205 ძლისპირი უფრო ადრეული თარგმანი უნდა იყოს.

რით უნდა აიხსნას № 204 ძლისპირის ახალი თარგმანის შექმნა? ვფიქრობთ, არა იმით, რომ შინაარსობრივად და რიტმულად თარგმანი უფრო ზუსტი ყოფილიყო. უფრო სავარაუდებელია, რომ ეს თარგმანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არიან შესრულებული. № 204 ძლისპირის თარგმანი შესრულებული უნდა იყოს № 205-ზე გვიან, ამის გამო ის არ აისახა L ხელნაწერში და შევიდა უფრო გვიანდელ ნუსხებში (AOJ).

განვიხილოთ ქართულ ძლისპირთა მეორე წყვილი. №№ 261 და 262 ძლისპირები წარმოადგენენ ევსტრ. გამოცემით № 182 აკოლუთისის მ' ოდის ძლისპირის სხვადასხვა თარგმანს.

შინაარსობრივ ორევე ქართული თარგმანი კარგია, მაგრამ № 261 უფრო ზუსტია. № 262 ქართული ძლისპირის მე-5 და მე-6 ტაეპები არ შეესატყვისებიან ბერძნულს.

რიტმულად ორევე თარგმანი საგრძობლად სხვაობს დედნისაგან, შინაარსით კი ახლოს დგას ერთმანეთთან.

ბერძნული ძლისპირის რიტმული დაყოფა: 7. 9. 12. 7. 9. 6. 9=59

№ 261 ქართული ძლისპირის „ 8. 7. 8. 4. 5. 9. 4. 5. 5=55

№ 262 „ „ „ 9. 6. 9. 4. 5. 9. 4. 10=56

ორევე ქართული თარგმანი ძველია, ვინაიდან ორივე შესულია L ხელნაწერში. მაგრამ შესაძლებელია ისინი შესრულებულნი არიან ბერძნული ძლისპირის ერთმანეთისაგან ვარიანტულად განსხვავებული ორი სხვადასხვა დედნისაგან, რითაც უნდა აიხსნას № 262 ქართული ძლისპირის მე-5 და მე-6 სტრიქონების განსხვავება როგორც ჩვენთვის ცნობილი ბერძნული დედნისაგან, ასევე ამ ბერძნული ძლისპირის პირველი ქართული თარგმანისაგან (№ 261).

ამ თარგმანთა ბერძნულ დედანთან შედარებამაც დაგვარწმუნა, რომ ერთი ბერძნული ძლისპირის ორი სხვადასხვა თარგმანის შექმნა არ ემსახურებოდა დედანთან შინაარსობრივ და რიტმულ დაახლოებას.

ამრიგად, პირველი ქართული მთარგმნელები და ქართველი მელოდოსიმეხელები, ბერძნულ ძლისპირთა თარგმნისას, სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ დაეცვათ თარგმანში ბერძნული ძლისპირის რიტმული წყობა, ისინი ამას მეტნაკლებად აღწევდნენ კიდევაც. ამ პირველადი მოთხოვნების გათვალისწინების

ვარემ ბერძნული ძლიასპირის ქართულად გადმოღება ვერც წარმოიდგინება, ვინა-
იდან, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თავდაპირველად ქართულად თარგმნილი ძლის-
პირები სრულდებოდა ბერძნულ კილოზე, რასთავისაც აუკლებელი იყო ქართული
თარგმანის ბერძნული დედნის რიტმულ წყობასთან შეფარდება.

ამ ზოგადი წესიდან ყველა გადანარისა და დარღვევის გათვალისწინება და
ახსნა მხოლოდ აქ წარმოდგენილი მასალის მიხედვით, რა თქმა უნდა, შეუძლე-
ბელია.

გვინდა ზემოთ თქმულს დავემატოთ კიდევ ზოგიერთი დაკვირვება:

1. რიტმული თანფარდობა ბერძნულ დედანთან უკეთ არის დატული მოკლე
ძლისპირებში.

2. მთარგმნელი ცდილობს შინაარსობრივი და რიტმული საზუსტეს დაიცვას
განსაკუთრებით ძლიასპირის დასაწყისსა და ბოლო ტაქებში. ეს მისწრაფება იმით
უნდა აიხსნას, რომ ძლიასპირის დასაწყისი არის კილოს განვითარებას დასაწყისი,
ხოლო ბოლო ტაქები—კილოს საკადანსო ნაწილი. ეს ორი ელემენტი კილოს საყრ-
დენი და ყვილაზე სტაბილური ნაწილია, რაც მეტ საზუსტეს მოახთხვებს შე-
სრულებაში და გადმოცემაში (ე. ი. თარგმნასა და ნეემიარებაში).

3. იამბიკური საზომით დაწერილი ძლიასპირები ქართულად იმავე საზომით
ითარგმნება¹ (12 მარცვლიანი 5 ტაქები=60 მარცვალი). ძლიასპირთა წინამდებარე
გამოცემაში იოანე დამასკელის სულ ორი იამბიკური აკოლუთიის ძლიასპირებია შე-
სული. ესენია, ეგსტრატადისის გამოცემის № 9 და № 50 აკოლუთიების ძლისპი-
რები, რომლებიც წინამდებარე გამოცემაში შემდეგ ძლისპირებს მოიცავს: №№ 1,
8, 15, 22, 29, 37, 43, 51 (№ 9 ბერძნული აკოლუთიისა) და №№ 60, 63, 75,
80, 86, 93, 99, 108 (№ 50 ბერძნული აკოლუთიისა).

ძლისპირის I რედაქციის უძველეს ნუსხებში (HL) იამბიკური ძლიასპირები
არ არის შეტანილი. იამბიკური ძლიასპირები დასტურდება ამ რედაქციის ძლიასპირ-
ის ერთ—A ხელნაწერში, რომელიც ძლიასპირის უძველესი რედაქციის გავრცე-
ლებულ ვარიანტს წარმოადგენს.

მტკიცე მეტრული სახის მქონე იამბიკური ძლისპირის თარგმნა ჩვეულებრივ
ძლისპირზე უფრო რთული იყო, ვინაიდან მეტრის საზუსტეს დაცვა იამბიკურ
ძლისპირებში სავალდებულო იყო. ამისდა მიუხედავად, ძლიასპირთა ქართულ თარგ-
მანებში იამბიკურ ძლიასპირთა მეტრული სახე ყოველთვის ერთნაირი საზუსტით არ
გადმოიცემა. ზოგჯერ 12 მარცვლიანი ტაქები ქართულ თარგმანში განკვეთილია ცე-
ზურის ადგილას—მეხუთე და მეშვიდე მარცვლს შემდეგ (იხ. № 108 და 93 ძლიას-
პირები)². ამით ორჯერ იზრდება ტაქათა რაოდენობა, მიტრული სტრუქტურა კი
იგივე რჩება, მაგრამ ქართულ თარგმანებში ძალიან ხშირად ეს წესიც დარღვეულია:
მაგ. № 37 ძლიასპირი შემდეგნაირად არის განკვეთილი 8 ტაქებად: 12. 7. 10. 7. 5.
3. 7. 9=60. უფრო დატოლებულია იამბიკური საზომის წყობას № 86 იამბიკური
ძლისპირი: 6. 7. 11. 11. 12. 9. 4=60.

ის ფაქტი, რომ იამბიკურ ძლიასპირებში, როგორც წესი, 60 მარცვლია, ე. ი.
იმდენი, რამდენიც საქაროა იამბიკურ მეტრის დასაცავად ($12 \times 5 = 60$), მოწმობს,
რომ მთარგმნელი იამბიკურ თარგმნასას მეტრული სტრუქტურის დაცვას გულისხ-
მობდა. ხოლო თუ ხელნაწერებში იამბიკური ძლიასპირის მეტრული სახე დარღვე-

¹ ასევე საზომის დაცვით ითარგმნება გალობანიც. ამიტომაც, რომ იადგარებში იამბიკური გა-
ლობის დასაწყისშივე მითითებულია მათი მეტრი: „იამბიკონი. ყოველსა მელსა (ტროპარნი—ე. მ.)
ა ნეტუებაჲ არს, ე-ჭერ ობ“ (მოქალის იადგარი, 205 v, 185 v).

² ასეთი განკვეთა: შემთავებები ბერძნულ იამბიკურ ძლიასპირებსა და გალობებშიც გვხვდება.

ულაი, ამის მიზეზი უკვე ძლისპირის რიტმულ დაყოფაში უნდა ვეძებოთ, რომელიც ძლისპირის კილოსთან შეწყობამ განაპირობა.

ჩანს, იამბიკურ ძლისპირებსა და ტროპარებში რიტმული და მეტრული განკვეთის ერთმანეთისაგან დაცილება მაინც მგალობლების, ნევმების მწერალთა და ხელნაწერთა გადამწერების გამოუყვადლობას უნდა მიეწეროს.

დიდი და მეტად საინტერესო საკითხია ძლისპირთა მხატვრული ფაქტურა— მხატვრული სახეები და სიმბოლიკა. ამ საკითხს ჩვენ ამჟამად არ ვეხებით, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ იგი შესასწავლია არა მარტო ძლისპირების მასალაზე, არამედ ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ჰიმნოგრაფიული ძეგლების ფართო მასალაზე ბერძნულის პარალელურად.

ჩვენ აქ წარმოვადგინეთ ბერძნულ-ქართულ ძლისპირთა რიტმული თანფარდობის მხოლოდ ძირითადი შემთხვევები და ისიც ცალმხრივად, ნევმების ე. ი. მელოდიის გარეშე. ეს საკითხი კი თხოულობს სპეციალურ შესწავლას არა ერთი, არამედ რამდენიმე პარალელური ნევმარებულ ტექსტის მასალაზე ისე, როგორც ეს წარმოდგენილია სლავური გალობებისადმი მიძღვნილ უკანასკნელი დროის სპეციალურ გამოკვლევებში. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ქართულ-ბერძნულ გალობათა უფრო ზუსტი რიტმულ-მელოდიური თანაფარდობის დადგენა. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, ძველი ქართული ნევმარებული ხელნაწერების ფოტოტიპირი გამოცემა.

ქართული ძლისპირის მნიშვნელობა ბერძნულ და სლავურ ირმოდოგიონთა შესწავლისათვის

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და სემიოგრაფიის შესწავლას ევროპაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. XIX საუკუნის ცნობილმა მეცნიერებმა არაერთგზის სცადეს ნევმური სისტემების ამოხსნა, მაგრამ ამ მიმართულებით დიდ წარმატებას ვერ მიადწიეს. ნამდვილი მეცნიერული საფუძველი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის ისტორიის შესწავლას სულ 40-იან წლებში ჩაეყარა. მაგრამ ეს ორმოცი წელი მეტად ინტენსიური იყო კვლევის თვალსაზრისით და თვალსაზრისით თავისი შედეგებით. ამ დროის მანძილზე საერთაშორისო აკადემიურ სერიაში Monumenta Musicae Byzantinae¹ ცნობილი მეცნიერების — E. Wellesz-ის, H. Tillyard-ის, C. Hüeg-ისა და სხვათა მიერ გამოცემა მრავალი ნაშრომი მონოგრაფიების, ტექსტებისა და ტრანსკრიფციების სახით².

ბუნებრივია, რომ მუსიკის სპეციალისტებისათვის პირველი რიგის ანოცნა იყო იმ ლიტურგიკული ძეგლების გამოცემა, რომლებსაც ნევმარებული ტექსტები მოეპოვებოდათ. ასეთებია: კონდაკარიონები, სტიქარონების კრებულები და ძლისპირთა კრებულები ანუ ირმოდოგიონები. ამ გამოცემათა საფუძველზე უნდა გაშლილიყო ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის ისტორიის საკითხების კვლევა. ამიტომაც, რომ M. M. B. სერიის პირველი პუბლიკაციები ხელნაწერთა ფოტოტიპირ გამოცემებს დაეთმო.

¹ შემოკლებით M. M. B.

² ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა სრულად არის წარმოდგენილი O. Strunk-ის წერილში: Byzantine Music in the Light of Recent Research and Publication: The Proceedings of the XIII th International Congress, გვ. 245—266.

ბერძნული ირმოლოგიონებიდან ამ სერიაში დღეისათვის გამოქვეყნებულია:

- 1) *Hirmologium Athoum*, ფოტოტიპიური გამოცემა 1938 წლისა, რომელიც C. Höeg-ს ეკუთვნის. M.M.B., ტ. 2.
- 2) *Hirmologium Cryptense*, 1951. გამომცემელი L. Tardo. M.M.B. ტ. 3.
- 3) *Hirmologium Sabbaiticum*, გამომცემელი J. Raasted. M.M.B., ტ. 8, 1968.

ბერძნული ირმოლოგიონები აღრეც მრავალჯერ გამოცემულა, მაგრამ ეს გამოცემები უმთავრესად ლიტურგიკული დანიშნულებისა იყო და მათ მეცნიერული პუბლიკაციების პრეტენზიები არ ჰქონიათ. არც M.M.B. სერიის გამოცემებია კრიტიკული, ვინაიდან ისინი ერთი ხელნაწერით იფარგლებიან, მაგრამ ირმოლოგიონის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე ფოტოტიპიური გამოცემა სავსებით გამართლებულია, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ტექსტის ნეკმირების ზუსტი გადმოცემა.

ჰინოგრაფიული ტექსტების ფოტოტიპიურ გამოცემებს წინ უძღოდა ხელნაწერთა აღწერილობები. არსებობს მსოფლიოს თითქმის ყველა ბერძნული ხელნაწერი კოლექციის აღწერილობა, სადაც, სხვა ხელნაწერებთან ერთად, შეტანილია ლიტურგიკულ-ჰინოგრაფიული ხელნაწერებიც. გამოცემულია აგრეთვე მუსიკალური ხელნაწერების სპეციალური კატალოგი-აღწერილობა: Gastoué, A., *Catalogue des manuscrits de musique byzantine de la Bibliothèque national de Paris et des Bibliothèques de France* (Paris, 1907).

მუხედავად იმისა, რომ ბიზანტიური მუსიკალური და ლიტურგიკული ხელნაწერების შესწავლას დიდი ხნის ტრადიცია აქვს, ირმოლოგიონი, უნდა შევხედოვანეს ძველი ბიზანტიური ჰინოგრაფიისა და მუსიკისა, ბოლო დრომდე შეუსწავლელი რჩებოდა. ეს ხარვეზი იმანაც განაპირობა, რომ ირმოლოგიონის, ისევე როგორც სხვა ჰინოგრაფიული ძეგლების, შესწავლა თხოულობდა ერთდროულად აღრეკრისტანული ხანის ლიტურგიკის ღრმა და ისტორიულ დამუშავებას და ამავდროს შუა საუკუნეების ბიზანტიური მუსიკის თეორიის ცოდნას. ორივე ეს დარგი კი ჯერ კიდევ მრავალ ძნელად გადასაჭრელ საკითხს სუამს მკვლევარების წინაშე და მათგან ორმხრივ დასპეციალებას მოითხოვს.

ბიზანტიური ჰინოგრაფიის შესწავლა ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ფილოლოგებთან ერთად ბიზანტიის მუსიკის სპეციალისტებმა წასწიეს წინ, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, აღრეკრისტანული ლიტურგიკის სპეციალური საკითხების კვლევასაც შეუდგნენ. ამ მიმართულებით მუშაობდნენ ცნობილი მეცნიერები: E. Tillyard, E. Wellesz, C. Höeg, M. Velimirovic', G. Schirot, E. Koschmieder, L. Tardo, O. Strunk, J. Raasted და სხვანი.

ირმოლოგიონის ხელნაწერთა სპეციალურმა შესწავლამ მრავალი ძველი და საინტერესო ნუსხა გამოავლინა. ბოლო დროს გამოქვეყნებულ ირმოლოგიონთა პუბლიკაციებს, ჩვეულებრივ, ახლავს ირმოლოგიონის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ხელნაწერთა აღწერილობა. უძველეს ნუსხათა მოკლე აღწერილობა წამოღვარებული აქვს *Hirmologium Cryptense*-ის ფოტოტიპიურ გამოცემას, სადაც გამომცემელი L. Tardo იხილავს სხვადასხვა დროისა და წარმომავლობის 20 ირმოლოგიონს. გარდა თარიღისა და ხელნაწერის შედგენილობისა, აღწერილობაში მითითებულია სემიოგრაფიის სახეც: აღრებიზანტიური, საშუალობიზანტიური, ახა ლბიზანტიური თუ კუკუზელისა.

Hirmolog. Athoum-ის გამოცემის წინასიტყვაობაში C. Höeg-ი ვერცხად აღწერს გამოცემის დედას, ირმოლოგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნუსხას, ივერის მონასტრის № 470 ხელნაწერს (ხელნაწერი XII საუკუნისაა). ირმოლოგიონის

ორ ძველსა და მნიშვნელოვან ნუსხას ეხება ს. ევსტრატიადისი მის მიერ 1933 წელს გამოცემულ ირმოლოგიონის წინასიტყვაობაში¹. ეს ხელნაწერებია: Coislín 220 (ევსტრატიადისის დათარიღებით XII საუკუნისა) და ათონის დიდი ლავრის ხელნაწერი B—32 (მისივე დათარიღებით XII ს.).

ირმოლოგიონს ხელნაწერი ნუსხების უფრო ვრცელი და სპეციალური აღწერილობა გამოაქვეყნა C. Höeg-მა 1952 წელს M.M.B.-ს სერიაში. ხელნაწერთა აღწერილობა ნაწილია პირველი ვრცელი და სპეციალური გამოკვლევისა, რომელიც წაემძღვარა ირმოლოგიონს I, III და V ხმების ძლისპირთა ტრანსკრიფციებს².

L. Tardo-ს მიერ აღწერილ ხელნაწერთა სია C. Höeg-მა შეამცირა, ამოიღო გვიანდელი (XV ს.) ნუსხები და მეორეხარისხოვანი ხელნაწერები და მათ მაგივრად შეიტანა სინის მთის ეკატერინეს მონასტრის და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკის ორი ხელნაწერი, ორივე საბაწმინდური წარმომავლობისა: S. Saba № 599—XIII—XIV სს. და S. Saba № 617—XIV საუკუნისა, ორივე ირმოლოგიონი OdO წყობისაა.

აქვე მან დიდი ლავრის ცნობილი ირმოლოგიონი B—32 გადაათარიღა X საუკუნით³ (მანამდე ამ ხელნაწერს ათარიღებდნენ XI—XIII საუკუნეებით), და გაიზიარა A. Gastoué-ს მოსაზრება OdO წყობის ირმოლოგიონ-ს უძველესი ფრაგმენტის—PSg 1284-ის X საუკუნით დათარიღების შესახებ⁴.

ამრიგად, ზემოთ დასახელებული ბერძნული ირმოლოგიონის ხელნაწერთა აღწერა-მიმოხილვიდან ჩვენთვის საინტერესოდ უნდა მივიჩნოთ შემდეგი:

ა) ბერძნული ირმოლოგიონის ორი უძველესი ხელნაწერი თარიღდება X საუკუნის მიწურულით ან XI საუკუნით⁵. ამაზე აღრეული ნუსხები ჭერჯერობით არ ჩანს. ერთი ამ ხელნაწერთაგანი (B—32) KzO წყობისაა, ხოლო მეორე ფრაგმენტი (PSg 1284)—OdO წყობისა.

ბ) ბერძნულ ირმოლოგიონთა ფძველეს ხელნაწერთა შორის (მათი რიცხვი 20 ერთეულს აღემატება) OdO წყობის ირმოლოგიონის ორი ძველი და მნიშვნელოვანი ხელნაწერი საბაწმინდური წარმომავლობისაა. საერთოდ კი ამ წყობის ირმოლოგიონები ცოტაა და, რაც არის, ყველა გვიანდელია (XIII—XIV სს.).

გ) X საუკუნის ორივე ტიპის ირმოლოგიონს სემიოგრაფია აღრებიზანტიურია.

ვინაიდან საშუალო და ახალბიზანტიური სემიოგრაფიისაგან განსხვავებით აღრებიზანტიური ნეემატიური სისტემა დღემდე ამოუხსნელი რჩება, ამის ერთ-ერთი მიზეზი კი აღრებიზანტიური სემიოგრაფიის შემცველი ხელნაწერების სიმცირეც არის, ამიტომ ბიზანტინისტი მუსიკოლოგები მიმართავენ ბერძნული ირმოლოგიონების აღრეულ თარგმანებს, რომლებშიც, მათი ვარაუდით, შემორჩენილი უნდა იყოს

¹ *Εἰρηολόγιον ἐκδοθέντων ὑπὸ Μητροπολίτου Λεοποπόλεως Σαφροῦλου Εὐσεβιαδίδου*. Chennevières-sur-Marne, 1932.

² *The Hymns of the Hirmologium*. Part I. transcribed by A. Ayoutanti and Maria Stöhr. Revised and annotated by Garsten Höeg with assistance of Jörden Raasted. M.M.B., vol. 8. Copenhagen, 1956.

³ *The Hymns of Hirmologium*, გვ. XIV. B—32-ის 2 ფურცელი, რომელიც პ. უსპენსკიმ წამოიღო ათონიდან, ამჟამად დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში. ეს ფრაგმენტი ფოტოტიპურად გამოაქვეყნა J. B. Thibaut-მა თავის წიგნში: *Monuments de la Notation Ekphonétique et Hirmopolite de l'Église Grecque*: Cod. Petropol. CCCLXI.

⁴ იქვე, გვ. XIV.

⁵ M. Velimirovic'-ი ორივე ამ ხელნაწერის თარიღად დებს XI საუკუნეს. იხ. ქვემოთ, გვ. C92.

ძველი ბერძნული ირმოლოგიონის როგორც სტრუქტურული, ასევე სემიოგრაფიული ტრადიცია. ამით არის გამოწვეული ის დიდი ინტერესი, რომელიც დღეს სპეციალისტებს შორისაა აღძრული სლავური ჰიმნოგრაფიისა და, კერძოდ, ირმოლოგიონების მიმართ.

სლავური ირმოლოგიონის პირველი მეცნიერული გამოცემა, ვრცელი გამოკვლევათა და შესანიშნავი აპარატით, ეკუთვნის გერმანელ სლავისტს პროფ. ერვინ კომპიდერს¹. ამ გამოცემის საფუძვლად ე. კომპიდერმა აიღო სლავური ირმოლოგიონის უძველესი ნოვგოროდული ფრაგმენტები.

ე. კომპიდერის ეს კაპიტალური ნაშრომი გამოვიდა სამ ნაკვეთად. პირველი ნაკვეთი წარმოადგენს XII ს. სლავური ნოვგოროდული ირმოლოგიონის ფრაგმენტებს- პუბლიკაციას, მეორე ნაკვეთი—გამოკვლევას. მესამე ნაკვეთი უკავია აპარატს—ბერძნულ-სლავური და სლავურ-ბერძნული ძლისპირების (ირმოსების) სრულ საძიებელს².

1957 წელს პროფ. რომან იაკობსონმა M.M.B.-ს ძირითად სერიაში ფოტოტიპურად განოსცა ორი ხილანდარული სლავური ხელნაწერი: ერთი—სტიქარონთა კრებული (Sticherarium), მეორე—ირმოლოგიონი (Hirmologium). ჩვენთვის საინტერესო ხილანდარული ირმოლოგიონის ფრაგმენტიც XII ს. უკუნისაა³.

ხილანდარული ირმოლოგიონის ფოტოტიპიურ გამოცემას ერთვის აპარატი—სლავურ-ბერძნული ირმოსების შესატყვისი საძიებელი და გამოძეგმლის რ. იაკობსონის მოკლე წინასიტყვაობა, რომელიც ხელნაწერის მოკლე აღწერილობას შეიცავს.

სლავური ფრაგმენტების შესწავლას სპეციალური ნაშრომი უძღვნა მილოშ ველიმიროვიჩმა⁴. შ. ველიმიროვიჩი, ისევე როგორც ე. კომპიდერი, თავის კვლევას აძვარებს ბერძნულ-სლავური ირმოლოგიონების პარალელური შესწავლის შედეგად მიღებულ მასალაზე.

ორივე მკვლევრისათვის მთავარი საკითხებია: ორი განსხვავებული სტრუქტურის მქონე KzO და OczO ირმოლოგიონების შექმნის დრო, მათი ურთიერთმიმართება და ლიტურგიკულ პრაქტიკაში მათი გავრცელების გზები.

პირველი ტიპის ირმოლოგიონი, სამეცნიერო ლიტერატურაში KaO წყობის ირმოლოგიონად წოდებული, ბიზანტიაში ფართოდ არის გავრცელებული XI—XIII ს. უკუნეებში. ამ ირმოლოგიონში, როგორც უკვე ითქვა, ძლისპირები თითოეული ხმის ფარგლებში კანონად არის წარმოდგენილი. ძლისპირთა კანონში კი ძლისპირები დალაგებულია ოდების თანმიმდევრობით. ძლისპირთა კანონის ანუ აკოლუთიის ავტორია გალობათა იმ კანონის ავტორი, რომლიდანაც ამოკრებილია და კანონის სახით გაწყობილია ძლისპირები.

ირმოლოგიონის მეორე ტიპი, სამეცნიერო ლიტერატურაში OczO ირმოლოგიონად წოდებული, სხვა პრინციპით არის აგებული. ირმოლოგიონში ძლისპირები განლაგებულია არა ძლისპირთა კანონების სახით, არამედ დაშლილად, ოდებზე განაწილებით. ასე, მაგ. ირმოლოგიონის პირველი ოდის ფარგლებში თავმოყრილია

¹ სლავურ-ბერძნული ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის ურთიერთმიმართების საკითხებს ამ ბოლო დროს მიუძღვნა საინტერესო შრომები. ამ შრომათა მიმოიხილა ნ. შ. ველიმიროვიჩის სტატიაში: „The Influence of the Byzantine Chant on the Music of the Slavic Countries: The Proceedings of the XIII th International Congress of Byzantine Studies, გვ. 119—147.

² იხ. აქვე, გვ. 0101.

³ იხ. აქვე, გვ. 0102.

⁴ Studies on the Fragmenta Chilandarica Palaeoslavica, I. Milos Velimirovic', Byzantine Elements in Early Slavic Chant, The Hirmologium, Copenhagen, 1960.

პირველი გალობის ყველა ძლისპირი, ამას მოსდევს იმავე ხმის მეორე ოდის ძლისპირები და ასე შემდეგ.

თუ KaO ირმოლოგიონში ძლისპირება ინარჩუნებენ კანონის სახეს და ავტორსაც, რომელიც, ჩვეულებრივ, მითითებულიც არის ხოლმე აკოლუთიის სათაურში, მეორე, OdO ირმოლოგიონში ძლისპირებს დაკარგული აქვთ იმ კანონის სახე, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და ამავე დროს ავტორიც. „ამ გზით, წერს ირმოლოგიონების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი ე. ტიბო, ძლისპირების პროტოტიპთა კარგი წყობა იმ ზომამდე დაინგრა, რომ ძველი ირმოლოგიონების გარეშე (იგულისხმება KaO ტიპის ირმოლოგიონები— ე. მ.), რომლებიც დღეს დიდ იშვიათობას წარმოადგენენ, შეუძლებელია თავდაპირველი სახით აღდგეს კანონის პირველადი ავტორი“¹. ე. მ. ტიბოს მიაჩნია, ავრთვევ, რომ OdO ტიპის ირმოლოგიონები ბიზანტიაში გავრცელდა მხოლოდ XIII საუკუნის შემდეგ².

ე. ტიბოს დაკვირვებები OdO ტიპის ირმოლოგიონის შექმნისა თუ გავრცელების შესახებ საფუძველი გახდა ე. კოშმიდერის მიერ ამ საკითხზე გამოქვეყნებული პიპოთეზისა, რომელიც ავტორმა ჩამოაყალიბა ზემოთ დასახელებულ შრომაში.

ე. კოშმიდერის კონცეფტია შემდეგში მდგომარეობს: უძველესი სლავური ირმოლოგიონები მხოლოდ OdO წყობისანი არიან. ისინი არ ფარავენ თავის შედგენილობით ბერძნულ ირმოლოგიონს და გამოკრებილის შთაბეჭდილებას სტოვებენ. იბადება კითხვა: სად არის საძიებელი ამ სხვაობის მიზეზი? სლავური ირმოლოგიონის მთარგმნელს ხელთ ჰქონდა ამგვარი ბერძნული დედანი, თუ თვითონ მთარგმნელია მასალის გამოკრებელი? პირველ შესაძლებლობას ე. კოშმიდერი გამორიცხავს და გამოკრების ინიციატივას სლავ მთარგმნელს მიაწერს. ეს ფაქტი, ავტორის აზრით, მკიდროდ არის დაკავშირებული ორი სხვადასხვა წყობის ბერძნული ირმოლოგიონის არსებობასთან. სლავ მთარგმნელს ხელთ უნდა ჰქონოდა KaO ბერძნული ირმოლოგიონი. სლავური OdO ტიპის ირმოლოგიონი სლავურ ნიადაგზევე უნდა შექმნილიყო KaO ბერძნული ირმოლოგიონის სლავურზე გადმოღების პროცესში: „თუ მართალია ტიბოს ცნობა, რომ OdO ტიპის ბერძნული ხელნაწერები მხოლოდ XIII საუკუნის დამლეველან ჩნდება, მაშინ სლავური OdO ირმოლოგიონი არ შეიძლება ბერძნულს თარგმანად მივიჩნიოთ, და ამ ტიპის შექმნა სლავებს უნდა მიეწერათ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოსაზრება მეტად თვალში საცემ სიახლედ გამოჩნდება ლიტურგიკულ ლიტერატურაში“³. ე. კოშმიდერი, ავითარებს რა ამ აზრს, იმ დასკვნამდისაც მიდის, რომ ირმოლოგიონების ნეემირებაც პირველად სლავებთან უნდა მოხდარიყო⁴.

თავის ერთ-ერთ უკანასკნელ შრომაში მ. ველიმიროვიჩი საგანგებოდ შეეხოდა და გააკრიტიკა ე. კოშმიდერის ეს თვალსაზრისი: „ერთნ კოშმიდერი, წერს ავტორი, ეტყობა საკმარისად არ იცნობს OdO ბერძნულ ირმოლოგიონების ხელნაწერებს და ამიტომ მზადაა დაუშვას, რომ ამ ტიპის ირმოლოგიონები თავდაპირველად სლავების შემოქმედების ნაყოფი იყო და შემდეგ მათგან მიიღეს ბერძნებმა. მაგრამ ამ ვარაუდს ადვილად უარყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ არსებობს OdO ირმოლოგიონის ერთი ფრაგმენტი, რომელიც ერთი საუკუნით მაინც უფრო ადრეულია სლავურ ირმოლოგიონებზე“⁵. იგულისხმება ზემოთ განხილული ირმოლოგიონის ორ-

¹ J. B. Thibaut, *Monuments de la Notation Ekphonétique et Hagiopolite de l' Eglise Grecque*. გვ. 71.

² J. B. Thibaut, იქვე.

³ E. Koschmieder, *Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente. Zweite Lieferung*, გვ. 70.

⁴ იქვე, გვ. 70.

⁵ M. Velimirovic', *Byzantine Elements*.. გვ. 39.

ფურცლიანი ფრაგმენტი PSg № 1284, რომელსაც მ. ველიმიროვიჩი XI საუკუნით ათარიღებს¹.

ამავე ნაშრომში მ. ველიმიროვიჩი აყალიბებს თავის თვალსაზრისს ბერძნული ირმოლოგიონების წარმოშობისა და მათი განვითარების საფეხურების შესახებ. თავის დასკვნებს ავტორი ამყარებს ბერძნულ-სლავურ ირმოლოგიონთა შედარებით შესწავლაზე, რაც ავტორმა თვალსაჩინოებდა თავის ცხრილების სახით წარმოაღვინა².

პირველ ცხრილში³ გათვალისწინებულია KaO ბერძნულ ირმოლოგიონთა შედგენალობა. წარმოდგენილია ირმოლოგიონის 12 ხელნაწერში ძღვსპირთა კანონების (აკოლუთიათა) რიგი პირველი ხმის ფარგლებში. შედარების კრიტერიუმად აღებულია ათონის ივერის მონასტრის № 470 ხელნაწერი, რომელიც შუა საუკუნეების ტიპურ ირმოლოგიონად არის მიჩნეული.

ძღვსპირთა კანონების შედგენილობისა და თანმიმდევრობის მიხედვით, მ. ველიმიროვიჩმა ეს 12 ხელნაწერი 3 ჯგუფად დაანაწილა. ხელნაწერთა პირველი ჯგუფი, რომელიც KaO ირმოლოგიონის განვითარების ადრეულ ეტაპს ასახავს, სამ ხელნაწერს მოიცავს: ათონის ლავრის ხელნაწერი B—32 (ლიტერი L)⁴, საბაწმინდის ხელნაწერი № 83 (ლიტერი S)⁵ და Codex Petropolitanus DLVII (ლიტერი Lg), რომელიც შეიცავს III ხმის რამდენიმე კანონს⁶. ქრონოლოგიურად ამ სამ ხელნაწერს ავტორი ალაგებს შემდეგი თანმიმდევრობით: L, Lg და S (XI საუკუნის დამდეგიდან XI საუკუნის ბოლომდე). ამავე ჯგუფის ირმოლოგიონის მოკლე რედაქციად არის მიჩნეული ხელნაწერი ლავრა Γ—9 (ლიტერი La), აგრეთვე XI საუკუნისა.

KaO ირმოლოგიონის განვითარების ეს ყველაზე ადრეული სტადია ხასიათდება კანონთა დიდი რაოდენობით. მთელ რიგ შემთხვევაში ისინი შეიცავენ ისეთ კანონებსა და ირმოსებს, რომლებიც გვიანდელ, XII საუკ. II ჯგუფის ირმოლოგიონებში უკვე აღარ ჩანან. საინტერესოა ისიც, რომ ის კანონები და ირმოსები, რომლებიც არ შევლენ II ჯგუფის ირმოლოგიონებში, ნაწილობრივ კვლავ გამოჩნდნენ III ჯგუფის ხელნაწერებში, მიუხედავად იმისა, რომ კანონების რაოდენობა მეორე ჯგუფთან შედარებით III ჯგუფში კიდევ შემცირებულია.

მეორე ანუ საშუალო ჯგუფის ირმოლოგიონებში მ. ველიმიროვიჩი აერთიანებს XII საუკუნის სამ ხელნაწერს: ათონის ივერის მონასტრის № 470 ხელნაწერი (ლიტერი H)—XII საუკ.; Coislin 220 (O ლიტერი)—XII ს.; გროტაფერატას ხელნაწერი E.γ. III (ლიტერი Gz)—XII ს. ამავე ჯგუფს უერთებს ავტორი გროტაფერატას მეორე ირმოლოგიონს E.γ. II (ლიტერი G), თუმცა ეს უკანასკნელი XIII საუკუნისაა.

ამ ოთხი ხელნაწერიდან, როგორც უკვე ითქვა, ორი (H და G) ფოტოტიპირებად არის გამოქვეყნებული.

უკანასკნელი ანუ მესამე ჯგუფის ირმოლოგიონებში ერთიანდება XIII საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერები. ამ ჯგუფის თავისებურებაა კანონთა რაოდენობის შემდგომი შემცირება.

¹ M. Velimirovic'. დასახ. წიგნი, გვ. 46.

² M. Velimirovic'. დასახ. წიგნი, გვ. 45 და 48.

³ იქვე, გვ. 45.

⁴ B—32-ს მ. ველიმიროვიჩი ათარიღებს XI საუკუნით. ხელნაწერი გამოცემული არ არის.

⁵ ხელნაწერი 1968 წელს ფოტოტიპირებად გამოსცა J. Raastad-მა, M.M.B., vol. VIII₂₋₁.

⁶ ფრაგმენტი გამოსცა ე. ტიბომ: Monuments de la Notation Ekplonétique..., pl. VI—XXIII.

ირმოლოგიონების შედარებითი ცხრილების საფუძველზე მ. ველიმიროვიჩი ასკვნის:

არაუგვიანეს XI საუკუნისა, KaO ირმოლოგიონის ორი ვერსია არსებობდა. მოკლე ვერსია დღესდღეობით ცნობილია ერთადერთი ხელნაწერით— La (ათონის ლავრა F—9), ვრცელი ვერსია კი— L, S და Lg ხელნაწერებით.

XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნეში ხდება ვრცელი ვერსიის შემოკლება. ირმოლოგიონის ამ ახალ შემოკლებულ რედაქციაში, რომელიც ამავე დროს ირმოლოგიონების განვითარების მეორე ეტაპს ასახავს, შემორჩენილია პირველი რედაქციის ვრცელი ვერსიის კანონთა ერთი მესამედი.

თუ რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული KaO ირმოლოგიონის I ვერსიის შემდგომ საუკუნეებში შემოკლება, ამის შესახებ მ. ველიმიროვიჩი გარკვევით ვერაფერს ამბობს: „თითოეული კანონის შედგენილობა რომ უცვლელი ყოფილიყო სამივე სტადიაში, მაშინ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ კანონების გარკვეული რაოდენობა, დღეს ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო (ვთქვათ, რომელიმე ავტორის არასასურველობისა, ანდა დღესასწაულის გაუქმების გამო), ამოღებულ იქნა დროთა ვითარებაში ირმოლოგიონიდან. მაგრამ, სინამდვილეში, აქ უფრო რთულ პროცესთან გვაქვს საქმე, ვიდრე უბრალოდ ამა თუ იმ კანონის ამოგდება ირმოლოგიონიდან“¹ (იგულისხმება ცვლილებები თვით აკოლუთიის ფარგლებში).

ირმოლოგიონებიდან კანონებისა და ირმოსების გამოკრება ამ ხელი შეუწყო შედგენილი კანონების შექმნას² და კანონების თავდაპირველი სახის დარღვევას.

ამრიგად, XI—XIV საუკუნეების ხელნაწერებში მ. ველიმიროვიჩი გამოყოფს სამ ქრონოლოგიურ ჯგუფს. თითოეულ ამ ჯგუფს თავისი ქრონოლოგიური საზღვრები, კანონთა განსხვავებული რაოდენობა და შედგენილობა აქვს.

რაც შეეხება KzO ირმოლოგიონის წარმოქმნის ადგილსა და გავრცელების არეს, ამ საკითხზეც მ. ველიმიროვიჩმა წამოაყენა ვარაუდი. მისი აზრით, ირმოლოგიონის ეს ტიპი უნდა შექმნილიყო კონსტანტინეპოლის დომენსა და ათონზე; აქვე იყო ის ყველაზე ფართოდ გავრცელებული³. KaO წინ უსწრებდა OdO წყობის ირმოლოგიონის ჩამოყალიბებას.

ამავე სახის სამუშაო ჩაატარა მ. ველიმიროვიჩმა OdO ბერძნული ირმოლოგიონის ხელნაწერებზე⁴, ოღონდ, ამ შემთხვევაში, ორ ბერძნულ ირმოლოგიონთან ერთად, მან განიხილა სლავური ნოველორდისა და ხილანდარის OdO ირმოლოგიონები⁵. თავის დაკვირვებები ამ ირმოლოგიონთა ურთიერთმიმართებაზე მან გამოხატა აგრეთვე შედარებითი ცხრილით, რომელიც პირველი ხმის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ოდების მასალაზეა აგებული. ბერძნული ხელნაწერებიდან მკვლევარმა შეარჩია საბაწმიდური კოლექციის ორი ხელნაწერი: №599 (ლიტერი Sa), XIII—XIV სს. და № 617 (ლიტერი Sb), XIV ს.⁶

¹ M. Velimirovic', დასახ. შრომა, გვ. 42.

² შედგენილ კანონს მ. ველიმიროვიჩი უწოდებს ისეთ კანონს, რომლის ირმოსები ირმოლოგიონის ხელნაწერებში ერთზე მეტი კანონის საკუთრება იყო. ე. ი. „შედგენილი კანონი“ რამდენიმე (ორი ან მეტი) ძველი კანონის ძლისპირთა კომპილაციას წარმოადგენს.

³ M. Velimirovic', დასახ. შრომა, გვ. 44—46.

⁴ OdO ბერძნული ირმოლოგიონების ხელნაწერები მეტად მცირე რაოდენობით არის მოღწეული.

⁵ იხ. იქვე, გვ. 46.

⁶ იხ. იქვე, გვ. 46—47.

OdO ბერძნულ-სლავური ხელნაწერების შედარებამ მრავალი საინტერესო საკვლევი საკითხი წამოჭრა მ. ველიმიროვიჩის წინაშე. ჩვენთვის ვანსაკუთრებით საინტერესოა მისი თვალსაზრისი ამ ტიპის ირმოლოგიონის წარმოქმნისა და გავრცელების შესახებ.

ავტორის აზრით, დღეს არ არსებობს არავითარი საშუალება იმის გასაგებად, თუ რამ გამოიწვია OdO ტიპის ირმოლოგიონის შექმნა. შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ და დავეუშვათ, რა შეიძლება მომხდარიყო: დროთა ვითარებაში კანონთა ზოგიერთი ირმოსი ნაკლებად პოპულარული გახდებოდა, ზოგი კი სრულიად იქნებოდა უგულებელყოფილი, ამიტომ, ბუნებრივია, დაიწყებოდა ირმოსების შერჩევა. ამ შერჩევის პროცესში კი, ერთი მხრით, იქმნებოდა „შედგენილი კანონები“, ხოლო, მეორე მხრით, ირღვეოდა კანონები და ჯგუფდებოდა გამორჩეული ირმოსები, მასმასადამე, იშლებოდა კანონები ირმოსებად, ირღვეოდა KaO ირმოლოგიონის ტრადიციული სახე და მის ადგილს იკავებდა OdO ირმოლოგიონი. ამრიგად, KaO ირმოლოგიონის გამორჩეული ირმოსების ოდებად დაჯგუფებამ წარმოქმნა OdO ირმოლოგიონი. ამ თვალსაზრისს, მ. ველიმიროვიჩის აზრით, მხარს უჭერს ირმოლოგიონებით სარგებლობის პრაქტიკაც.

ბერძნული ირმოლოგიონების ხელნაწერები სხვადასხვა წარმომავლობის არიან. KaO წყობის ხელნაწერთა უმრავლესობა ათონურია. პრაქტიკულადაც ეს ირმოლოგიონი კონსტანტინეპოლის დომენსა და ათონზე იყო გავრცელებული, OdO წყობის ირმოლოგიონის ხელნაწერთა უმრავლესობა კი პალესტინური წარმოშობისაა. აქვე უნდა ყოფილიყო იგი ძირითადად გავრცელებული. რაც შეეხება იმას, თუ რა გზით უნდა მიეღოთ სლავებს OcO წყობის ირმოლოგიონი, ამის შესახებაც მ. ველიმიროვიჩი თავის ვარაუდს გამოთქვამს: მისი აზრით, მხოლოდ OdO ირმოლოგიონის არსებობა სლავურ ენაზე მოწმობს იმას, რომ XI საუკუნეში სლავების კონტაქტი წმიდა ადგილებთან უფრო მჭიდროდ უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამას აქამდე ვარაუდობდნენ. მეორე მხრით, სლავებს შეეძლოთ გასცნობოდნენ ამ წყობის ირმოლოგიონს კონსტანტინეპოლის სტუდიის მონასტერში, სადაც კონსტანტინეპოლის ტიპიკონთან ერთად ადრევე მოქმედებდა საბაწმიდის სამონასტრო წესი¹.

ჩვენ მოკლედ გადმოვცით მ. ველიმიროვიჩის თვალსაზრისი KaO და OdO ბერძნულ ირმოლოგიონთა წარმოშობა-გავრცელებისა და მათთან სლავური ირმოლოგიონის მიმართების შესახებ. შევხედოთ ამ თვალსაზრისს ქართული ძლისპირნის შესწავლის შედეგების გათვალისწინებით.

1. ბერძნული KaO ირმოლოგიონის განვითარების ქრონოლოგიური ეტაპები მოიცავს XI—XIV საუკუნეებს. უფრო ადრეული პერიოდი კი (ირმოლოგიონის ჩამოყალიბების დროიდან XI საუკუნემდე), ბერძნული ხელნაწერი ირმოლოგიონების უქონლობის გამო, შესწავლელი არ არის. არ არსებობს ამ საუკუნეების არც სლავური ხელნაწერები. სლავური ირმოლოგიონები ბერძნული ირმოლოგიონების განვითარების XI საუკუნის II ნახევრის ან XII საუკუნის სურათს წარმოადგენენ.

დღეისათვის აღრიცხულია ორივე წყობის ქართული ძლისპირნის ათამდე ხელნაწერი, რომლებიც თარიღდებიან X საუკუნის პირველი ნახევრით, X საუკუნის II ნახევრით და XI საუკუნის დამდეგით. ორივე წყობის ძლისპირნი ბერძნული მომდინარეობისაა. უკვე ამ ფაქტზე დაყრდნობით შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი ე. კომ-

¹ M. Velimirovic', დასახ. წიგნი, გვ. 125—126.

მიდერის მტკიცებისათვის, რომ OdO სლაეური ირმოლოგიონი სლაეურ ნიადაგზე უნდა ჩამოყალიბებულიყო იმის გამო, რომ ამ წყობის ბერძნულ ირმოლოგიონს $X-XI$ საუკუნეების ბერძნული ლიტურგიკული პრაქტიკა არ იცნობდა.

2. ქართული OdO ძლისპირნის ხელნაწერები სამ რედაქციულ ჯგუფად ნაწილდება. ეს ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდება ძლისპირთა შედგენილობითა და რაოდენობით. ძლისპირნის მესამე რედაქცია ძლისპირთა რაოდენობით ორჯერ აღემატება I რედაქციას.

ქართული ძლისპირნის ხელნაწერები განვითარების იმის საპირისპირო სურათს გვაძლევენ, რაც $XI-XIV$ სს. ბერძნული ირმოლოგიონების შედარებითი შესწავლის შედეგად წარმოადგინა მ. ველიმროვიჩმა. თუ $XI-XIV$ საუკუნეთა ირმოლოგიონებში აშკარად დასტურდება შექცობის ტენდენცია, ქართულ ძლისპირთა რედაქციებისათვის დამახასიათებელია ძლისპირთა მოცულობისა და შედგენილობის თანდათან ზრდა. ეს განსხვავება სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან ქართულ-ბერძნული ხელნაწერები ასახავენ ძლისპირთა კრებულების განვითარების სხვადასხვა ეტაპს. ქართული ძლისპირნი წარმოადგენს ძლისპირთა კრებულების შექმნისა და განვითარების ადრეულ საფეხურს, როდესაც ლიტურგიკული მიზნებით ახლად ჩამოყალიბებული ძლისპირთა კრებული სწრაფად იზრდება $VIII-X$ საუკუნეების პოეტ-მელოდოსთა ახალი ძლისპირებით. ამავე საუკუნეებში იგივე გზა უნდა გაეწეო ბერძნულ ირმოლოგიონსაც. ეს პროცესი დათავრდა XI საუკუნისათვის, ბერძნული ირმოლოგიონის ყველაზე ვრცელი რეაქციის (L ხელნაწერის) შექმნით.

ბერძნულ ირმოლოგიონს XI საუკუნიდან ახალი მოხოვნილებები წაუყენეს. ამ დროიდან დაიწყო ირმოლოგიონის გაცხრილვა „არაპოპულარული“ ძლისპირებისაგან და მისი შეესება ახალი „შედგენილი კანონებით“. გაცხრილვისათვის, ალბათ, არსებობდა დღეისათვის ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი სხვა მრავალი მიზეზიც. ირმოლოგიონის თანდათან შემოკლების პროცესი $XI-XIV$ საუკუნეების მანძილზე კარგად არის წარმოდგენილი ამ პერიოდის ბერძნულ ხელნაწერებში.

ამრიგად, ბერძნულ-ქართული ირმოლოგიონების ერთდროული და პარალელური შესწავლით შეიძლება წარმოვიდგინოთ ბერძნული ირმოლოგიონის განვითარების გაბმული პროცესი $VIII-XIV$ საუკუნეების მანძილზე. ქართული უძველესი ძლისპირნის შესწავლით ივსება დიდი ხარვეზი. ბერძნული ჰიმნოგრაფიისა, კერძოდ, ირმოლოგიონის განვითარების შესწავლის ისტორიაში.

3. ქართული ძლისპირნის ბერძნულისაგან მომდინარეობა უეჭვო ფაქტია; ორივე წყობის ძლისპირნი საბაწმიდური წარმოშობისაა. ორივე X საუკუნის ხელნაწერი ნუსხებითაა წარმოდგენილი.

KaO ძლისპირნის ჩამოყალიბება უფრო ადრეა სავარაუდებელი, ვინემ OdO ძლისპირნისა, მაგრამ KaO ძლისპირნს ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში დიდი გავრცელება არ ჰქონია. ის იხმარებოდა როგორც კერძო დანიშნულების ძლისპირნი ამა თუ იმ მცირე ზომის ლიტურგიკული კრებულებისათვის, საფიქრებელია, მანამ, სანამ ჩამოყალიბდებოდა და საყოველთაოდ გავრცელდებოდა უფრო ვრცელი OdO ძლისპირნი, და ერთხანს მის პარალელურადაც.

KaO ძლისპირნი საფუძვლად დაედო OdO ძლისპირნს. პირველი უძველესი ფენა OdO ძლისპირნის ძლისპირებისა, როგორც ჩანს, KaO წყობის კერძო დანიშნულების ძლისპირნის ოდებად დამლის გზით არის მიღებული. ეს ფაქტი მხარს

უქერს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მკვლევართა შორის გავრცელებულ მოსაზრებას, რომ OdO ირმოლოგიონი უნდა ჩამოყალიბებულიყო KaO ირმოლოგიონის დაშლისა და გადაწყობის საფუძველზე.

4. KaO ძლისპირნის პრაქტიკული გავრცელების დრო მოკლე იყო, ხოლო არც—საბაწმიდისა და სინის ქართულ მონასტრებს არ გასცილებია. OdO ძლისპირნი კი უკვე X საუკუნის შუა წლებიდან ფართოდ გავრცელდა ჯერ პალესტინის ქართული ეკლესია-მონასტრების პრაქტიკაში, ხოლო იმავე საუკუნეში, საბაწმიდის გზით, საქართველოსა და ათონზე¹. რაკი OdO ძლისპირნი $X—XI$ საუკუნეებში ათონის ივერის მონასტრის პრაქტიკაშია დამკვიდრებული, უნდა ვიფიქროთ, რომ ათონის ბერძნული და სლავური მონასტრებისთვისაც OdO ირმოლოგიონები ამ დროისათვის არ იქნებოდა უცნობი. ამიტომ არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ XI საუკუნეში სლავებმა ბერძნულიდან თარგმნეს სწორედ OdO ირმოლოგიონი იმ დროს, როდესაც კონსტანტინეპოლსა და ათონზე უმთავრესად KaO იყო გავრცელებული. სლავებს OdO ირმოლოგიონის თარგმნა ერთნაირად შეეძლოთ განეხორციელებინათ როგორც სტუდიის მონასტერში, ასევე ათონზე.

ასახსნელი რჩება მაინც ის, თუ რატომ გავრცელდა პალესტინაში და ქართულ-სლავურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში OdO ირმოლოგიონი, ხოლო აიონსა და კონსტანტინეპოლში უმეტესად— KaO ირმოლოგიონი. ვფიქრობთ, ამის ახსნა უნდა ვეძებოთ ამ კრებულთა სპეციფიკაში და იმ მოთხოვნილებებშიც, რომლებიც სხვადასხვა დროსა და ადგილას წაყენებული ჰქონდა თითოეულ მათგანს ადგილობრივი ეკლესია-მონასტრების მიერ, იქნებოდა ეს ბერძნული, სლავური თუ ქართული.

$VIII—IX$ საუკუნეებში კანონებს ქმნიდა საბაწმიდის პოეტ-მელოდოსთა შესანიშნავი პლეადა. აქვე უნდა შექმნილიყო IX საუკუნეში პირველი KaO წყობის ირმოლოგიონი, სადაც პოეტ-მელოდაოსთა კანონებიდან ამოკრებილი და კანონებად დალაგებული ძლისპირები იყო თავმოყრილი.

IX საუკუნიდან ჰიმნოგრაფიულმა კერამ პალესტინიდან კონსტანტინეპოლში, კერძოდ სტუდიის მონასტერში, გადაინაცვლა. $IX—X$ სს-ში სტუდიის მონასტრისა და კონსტანტინეპოლის ჰიმნოგრაფებმა ახალი კანონებით გაამდიდრეს ბიზანტიური ჰიმნოგრაფია. ბიზანტიის ჰიმნოგრაფების შემოქმედებითი მუშაობა არც მომდევნო საუკუნეებში შეწყვეტილა. XI საუკუნეში სტუდიისა და კონსტანტინეპოლის კერას საზღვრეთ იტალიის ძლიერი ჰიმნოგრაფიული კერა დაემატა გროტაფერატას მონასტრის სახით, რომელმაც $XI—XII$ საუკუნეებში რამდენიმე თეალსაჩინო ჰიმნოდი შეგვშატა.

$XIII$ საუკუნეში ახალი კანონებისა და ძლისპირების შექმნა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, თუმცა ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი ლიტურგიკულ ძეგლებში $X—XI$ საუკუნეებისათვის ძირითადად უკვე განსაზღვრული იყო და, ფაქტურად, ირმოლოგიონების შემდგომი განვითარების გეზიც ძველი ირმოსების შეცვლისა თუ ამოკლებისა და ირმოლოგიონის შემცირებისაკენ იყო მიმართული. მეორე მხრივ, ახალი კანონების გამრავლებაც იწვევდა ცვლილებებს ირმოლოგიონის შემადგენლობაში. კანონის ახალი ავტორები ხშირად ქმნიდნენ ახალ ჰიმნებს და უფარდებ-

¹ ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში არის „ძლისპირნის“ ორი ხელნაწერი, ერთი მათგანი XI საუკუნისაა. იხ. R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de Laure d'Iveron au Mont Athos, № 86.

დნენ მათ ძველ ძლისპირებს. ამან გამოიწვია ზოგი უხერხულობა: თავდაპირველი კანონების ირმოსები მიეკუთვნა მეორად კანონებსა და მათ ავტორებს. ამ გზით, რიგ შემთხვევაში, ირმოლოგიონში თავდაპირველი ძლისპირების (ირმოსების) ავტორები შეცვალა ახალმა ავტორებმა, ზოგჯერ კი ერთსა და იმავე ძლისპირთა აკოლუთიას ორი ან უფრო მეტი ავტორი გამოუჩნდა, იმისდა მიხედვით, თუ რამდენმა ავტორმა გამოაყენა ძველი ძლისპირები ახალი კანონების შესაქმნელად. ამ გზით საუკუნეების მანძილზე საკმაოდ არეული მასალა ასეთივე არეული სახით შედიოდა და ემატებოდა ირმოლოგიონის ახალ ნუსხებს და უფრო და უფრო აძნელებდა კანონთა თავდაპირველ ავტორთა დადგენას. მაგრამ ეს სირთულე არ არსებობდა ეკლესიასათვის. ეკლესიის პრაქტიკულა მიზნებისათვის სულ ერთი იყო — თეოდორე სტუდიელის ახალი კანონი მის ორიგინალურ ძლისპირებზე იყო დაწერილი, თუ იოანე დამასკელის ძველ ძლისპირებზე. მით უმეტეს, რომ იმ უპირავე ძლისპირებიდან, რომლებიც XI საუკუნის ბოლოსათვის უკვე თავმოყრილი იყო ირმოლოგიონში (მათი რიცხვი 1800 აღწევდა), ლიტურგიკულ პრაქტიკაში მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იყო გამოყენებული.

ჟ. სქიროს გამოანგარიშებით, მთელი წლის ბერძნულ სადოქსასწავლოში, სადაც ყველაზე დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ჰიმნოგრაფიული მასალა, ირმოლოგიონის ძლისპირთა მხოლოდ ერთი მეცხრედია გამოყენებული¹. მაშასადამე, ირმოლოგიონის ძლისპირთა ყველა კანონის ცოდნა პრაქტიკოს ღვთისმსახურისათვის თუ მგალობლისათვის არ იყო საჭირო. ირმოლოგიონი არ იყო ჩვეულებრივი ლიტურგიკული წიგნი. ირმოლოგიონით სარგებლობდა მხოლოდ საგანგებოდ ვანსწავლული ღვთისმცოდნე და მგალობელი, და არა პრაქტიკოსი მგალობელი, მაგრამ პროფესიონალი მგალობელიც, ჩანს, ორი სხვადასხვა ტიპის ირმოლოგიონს (K₂O და O₂O) სხვადასხვა მიზნით იყენებდა. O₂O ირმოლოგიონი, K₂O-სთან შედარებით, უფრო ადვილი მოსაზმარი იყო ცალკეული ძლისპირის მოსაძებნად, მაგრამ, ამავე დროს, ამ ტიპის ირმოლოგიონში ძლისპირთა აკოლუთიას დაკარგული აქვს თავისი თავდაპირველი (კანონიდან მომდინარე) სახე და ავტორიც. ამგვარი ირმოლოგიონი შეიძლება გამოდგეს ლიტურგიკულ პრაქტიკაში გალობის სწავლების მიზნით, მაგრამ ვერ გამოადგება იმას, ვისაც სურს ძველი ავტორების ძლისპირთა კანონების აღდგენა და ამ ძლისპირებზე ახალი ტროპარების დაწერა, ე. ი. ახალი კანონების შექმნა. ამ რიგის შემოქმედებითი ნუშათა კი, რიგორც უკვე ვთქვით, საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა უდიდესი ჰიმნოგრაფიულ კერებში. ამიტომ, რომ სანამ არსებობდა ჰიმნოგრაფიული შემოქმედების ძლიერი კერები, სადაც იწერებოდა ახალი კანონები თუ ძლისპირები მელოდოსებისა თუ მელურგების მიერ, მანამდე მუდმივი მოთხოვნის უქონლობა იქნებოდა სწორედ K₂O ირმოლოგიონზე, რომელიც სისტემატურად ივსებოდა ან იცვლებოდა ახალი და განახლებული ძლისპირთა აკოლუთიებით. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბიზანტიურა ჰიმნოგრაფიულა შემოქმედების აღძველობის პერიოდში ჰარბობს K₂O ირმოლოგიონი, და XI—XII საუკუნის ბერძნული ირმოლოგიონის ხელნაწერთა უმრავლესობაც ამ ტიპს განეკუთვნება. ეს ირმოლოგიონები წარმომავლობით დაკავშირებულნი არიან ჰიმნოგრაფიული შემოქმედების დიდ კერებთან — სტუდიის, კონსტანტინეპოლისა და ათონის მონასტერ-ეკლესიებთან, გროტაფერატასა და კვიპროსის ჰიმნოგრაფიულ ცენტრებთან. რა თქმა უნდა, ეს

¹ G. Schiro, *Problemi heirmologici: Proceedings of the XIII th International Congress of Byzantine Studies*, გვ. 255—266.

არ ნიწნავს იმს, რომ K_2O ირმოლოგიონის გვერდით იმავე დროს და იქვე არ იხმარებოდა OdO ირმოლოგიონიც.

პალესტინის ჰიმნოგრაფიულ ცენტრში—საბაწმიდაში X საუკუნიდან ირმოლოგიონი მხოლოდ ლიტურგიკულ პრაქტიკას ემსახურებოდა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ K_2O ირმოლოგიონი, ადრე საბაწმიდის სახელოვან პოეტ-მელიქოდოსების წიაღში შექმნილი, X საუკუნისათვის კარგავს თავის მნიშვნელობას. პრაქტიკიდან კი მას თანდათან აძევებს უფრო ადვილად მოსახმარი OdO წყობის ირმოლოგიონი. ირმოლოგიონთა მონაცვლეობის იგივე პროცესი განმეორდა კონსტანტინოპოლის დომენსა და ათონზე, ოღონდ უფრო გვიან, XIII საუკუნიდან, იმის შემდეგ, რაც იტაც წეწყდა შემოქმედებითი ნუშაობა—ახალი თუ შედგენილი კანონების შედგენა და ამისდა მიხედვით K_2O ირმოლოგიონის შეზადგენლობაში ცვლილებების შეტანა. ამ დროიდან ატაც K_2O ირმოლოგიონი თანდათან შეცვალა OdO წყობის ირმოლოგიონმა. ასე გვესახება ჩვენ ამ ორი ტიპის ბერძნული ირმოლოგიონის მონაცვლეობისა და ტერიტორიულური გავრცელების ისტორიული სურათი.

ამ ვითარების შესაბამისად სხვა ხალხებში ითარგმნებოდა და ვრცელდებოდა ამა იუ იმ წყობის ირმოლოგიონი. ვინაიდან ქართველები და სლავებებისათვის ირმოლოგიონს წმინდა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. ბუნებრივია, ორივე შემოხვევაში ბერძნულიდან თარგმნისა იუ გადმოდების დროს უპირატესობა მიეცემა OdO ირმოლოგიონს. ამიტომია, რომ ქართულში K_2O ძლისპირანი პრაქტიკულად არ გავრცელებულა და იგი X საუკუნის II ნახევარშივე გამოდრენა პრაქტიკიდან OdO ძლისპირნმა; სლავებს კი, როგორც ჩანს, K_2O ირმოლოგიონი სულ არ ჰქონიათ და პრაქტიკისი მხრივ OdO ირმოლოგიონი იყუ გავრცელებული.

5. ქართული OdO ძლისპირნი მოცულობით, ძლისპირთა შემოდიენლობითა და რიგით არ ფარავს არც ბერძნულსა და არც სლავურ ირმოლოგიონებს. ამ სხვაობის მიზეზი ქართული ძლისპირნის შედგენის წესშია საძიებელი.

ჩვენა დაცვებებით, ქართული ძლისპირნის შედგენას ქართულმა ჰიმნოგრაფმა სელი მიპყვს იმს შემდეგ, რაც უკვე საკმარისად იყო ქართულად თარგმნილი გადობანი ძლისპირთა სრული ტექსტებით (IX—X სს. მიწნაზე). ადრე თარგმნილი გადობანთა ძლისპირები სადუქვლად დავლო როგორც K_2O კერძო ძლისპირნს, ასევე ნაწილობრივ OdO ძლისპირთა კრებულს. OdO ძლისპირნმა შეიერთა აგრეთვე K_2O წყობის კერძო ძლისპირნის მასალაც ძლისპირთა აკოლუთიების გადაწყობის გზით. შემდეგ მთელი ეს მასალა შეიგსო უკვე ბერძნული ირმოლოგიონიდან თარგმნილი ახალი ძლისპირებით. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ძლისპირნის ძლისპირები ძირითადად ბერძნულიდან არის თარგმნილი, ერთი რამეღმე კონტრეტული ბერძნული ირმოლოგიონის თარგმნის მიანც არ წარმოადგენა იგი წიღეწილია უძველესი (IX—X სს.) ბერძნული ირმოლოგიონის მიხედვით, ქართულ ლიტურგიკულ ძველსში უკვე გავრცელებულ ძლისპირთა თავმოყრისა და ახალი თარგმნისით მათი შეესების გზით. ამავე პრინციპით ხდებოდა ქართული ძლისპირნის უძველესი რედაქციის შემდგომი თანდათანობითა შეესება. ქართული ძლისპირნის შედგენის ამ ნახეზად ორიგინალურმა წესმა გამოიწვია ძლისპირნის ზოგიერთი სტრუქტურული თავსებულება და აგრეთვე სხვაობა მოცულობისა და ძლისპირთა შედგენილობის ბერძნულ-სლავურ ირმოლოგიონებთან შედარებით. ამ სხვაობის ერთ-ერთი მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ისიც არის, რომ ის ბერძნულ-სლავური ირმოლოგიონები, რომელთაც ვადარებდით ქართულ ძლისპირნს, ქართულთან შედარებით 2 და 3 საუკუნი უფრო გვიანდელი ნუსხებითაა წარმოდ-

გენილი და, ამდენად, ირმოლოგიონთა განვითარების სხვა საფეხურს ასახვენ. ამის-
და მიუხედავად, ქართული ძლისპირნის შედგენის მაგალითი არ
უნდა იყოს ინტერესს მოკლებული ბერძნული ირმოლოგიონის
სხვა ენებზე (კერძოდ სლავურზე) თარგმნის პრაქტიკის შესწავლი-
სა და თვით ბერძნული ირმოლოგიონის თავდაპირველი შედ-
გენილობის გასათვალისწინებლად.

6. ქართული ძლისპირნის ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე შეიძლება
წარმოვიდგინოთ, თავდაპირველად როგორ ითარგმნებოდა სხვა ენებზე ჩიტული
პოეზიის ნიმუშები.

K_2O წყობის უძველესი ძლისპირნი X საუკუნის ლიტურგიკულ ხელნაწერებში
შეტანილია რიტხული დაყოფისა და ნეწების გაქვე, თუმცა ეს ძლისპირნი თა-
ვიდანვე ნათარგმნი იყო იმ ვარაუდით, რომ დაცული ყოფილიყო სილბუქი თანა-
ფარდობა ბერძნულ დედანთან. ეს იმას ნიშნავს, რომ რიტხული პოეზიის გავრცე-
ლების პირველ ხანებში ქართველმა მკვლევარმა ზებრად იცოდა ძლისპირის
ბერძნული კილო და გალობის პრაქტიკაში ზებრად ასდენდა ქართული ტექსტების
ბერძნულ კილოსთან შეწყობას და, ნაწილობრივ, ძლისპირს ტექსტის რიტხულ და-
ნაწევრებასაც კილოს მგლოდირურ ფრაზებთან შეფარდებით.

ამ ფაქტზე დაყრდნობით შეიძლება მეორე ვარაუდით გამოთქვას: არ არის
გამორიცხული, რომ თავდაპირველად, X საუკუნეებზე ადრეულ
ბერძნულ ხელნაწერებში, რიტხული პოეზიის ნიმუშები, და მათ
შორის ძლისპირებიც, რიტხული დაყოფისა და ნეწების გარეშე
იწერებოდა, რამაც თავისი ასახვა უძველეს ქართულ ძლისპირ-
ნის ხელნაწერებში ჰპოვა.

7. რიტხული პუნქტუაცია ქართული ძლისპირის ტექსტებში პირველად
ჩნდება X საუკუნის შუა წლებში $OCIO$ უძველეს ძლისპირში (Sin. 1). ძლისპირე-
ბის ტექსტებში რიტხული პუნქტუაციის შექმნა, როგორც ჩანს, დავაგვირგებელი
იყო ძლისპირის კილოს ნეწებით ფიქსაციასთან. ეს კი საჭირო გახდა იმისათვის,
რომ შემორჩენილიყო ტექსტებთან კილოს ზებრად შეწყობის დროს დასაშვები
თვითნებობა და უზუსტობანი. ნეწებთან ერთად ძლისპირის კილოს ზუსტ გადმო-
ცემას ეწასურებოდა ძლისპირთა ზედწარწერები, რომლებიც მოუთხოვდნენ იმ
ბერძნულ ძლისპირებზე, რომლის კილოსთანაც უნდა შეწყობილიყო ქართული
ძლისპირი. ქართული ძლისპირის კილოზე ორმაგი მინიშნება (ნეწებითა და ზედ-
წარწერებით) ეწასურებოდა კილოს ზუსტ ფიქსაციასა და ზუსტ შესრულებას,
მეორე მხრივ, ამ გზით ხდებოდა ახალი გრაფიკული საშუალებებით მანამდე ლი-
ტურგიკულ პრაქტიკაში ზებრად გავრცელებული ბერძნული კილოების ადაპ-
ტაცია ქართულ ძლისპირებთან.

როგორც ჩანს, ეს იყო სხვა ენაზე თარგმნილ საგალობლებ-
ში ბერძნული კილოს გადატანის გავრცელებული საშუალება,
ვინაიდან სლავებშიც სლავურად თარგმნილი საგალობლის ბერძ-
ნულ კილოსთან ადაპტაციისათვის ამავე გზას მიმართავდნენ.

ქართულ ძლისპირთა კილოსთან შეწყობისა და ნეწების შესწავლისა და გამოფრ-
ვის საკითხებს: უძველესი ქართული ნეწმური სისტემა უნდა შე-
სწავლილ იქნეს ბერძნული ნეწმირებული ტექსტების პარალელ-
ურ მასალასთან ერთად. ეს ერთნაირად აუცილებელია რო-
გორც ქართული არქაული ნეწმური სისტემის, ასევე ადრეობი-
ზანტიური ნეწმური სისტემის ამოსახსნელად.

ტექსტი ს ა თ ვ ი ს

I

წინამდებარე გამოცემაში ვაქვეყნებთ „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისა-
ნის“ ორ ძველ რედაქციას. პირველი არის K_2O „ძლასპირნი და ღმრთისმშობლისა-
ნი“, მოღწეულა ჩვენადე X საუკუნის შუა წლების ერთადერთი ნუსხით—Sin.
34 (იხ. ტექსტები, I), მეორე— O_2O „ძლასპირნი და ღმრთისმშობლისანის“
უძველესი (პირველი) რედაქცია, რომელიც ქვეყნდება X—XI სს. 7 ხელნაწერით
(იხ. ტექსტები, II).

K_2O ძლისპირნი შეიცავს 8 ხმაზე მ აკოლუთაად დალაგებულ 64 ძლისპირს
და აზღენსავე ღმრთისმშობლისას. ძლასპირები ხელნაწერში დაწერალაა გაბმით,
რიტმული პუნქტუაციის გარეშე, სასვენა ნიშნების ხმარებით (ერთი და ორი წერ-
ტილი), თუმცა ამ ხელნაწერში სასვენა ნიშნების ხმარების გარკვეულა სისტემის
დაჭერაც ჭირს.

იმოსათვის, რომ თვალსაჩინოდ გამოჩნდეს, როგორ არის იგივე ძლასპირები
რიტმულად დაყოფილა O_2O ძლასპირთა კრებულებში, ჩვენ Sin. 34-ის ძლისპირ-
თა პარალელურად ვაქვეყნებთ იმავე ძლასპირებს O_2O ძლასპირთა კრებულებიდან.
ამიტომ საჭირო გახდა ტექსტების 4 სვეტად განლაგება გაშლილ ორ გვერდზე.
მარჯვენა (r) გვერდზე პირველ სვეტში მოთავსებულაა ძლისპირი K_2O
კრებულიდან; მეორე სვეტში—ამავე ძლისპირის ღმრთისმშობლისა. ორი-
ვე დაწერალაა გაბმული სტრაქონებით, სასვენა ნიშნებით, რიტმული პუნქტუაციის
გარეშე.

მარცხენა (v) გვერდის პირველ სვეტში მოტანილა იგივე ძლისპირი O_2O
ძლისპირთა კრებულიდან, რომელიც ქვეყნდება რიტმული პუნქტუაციით (ორი წერ-
ტილი). ძლასპირის ყოველ რიტმულ მონაკეთს (ტაქს) ვიწყებთ ახალი სტრაქო-
ნით, ვამთავრებთ—ორი წერტილით. ამ შემთხვევისათვის ვიყენებთ O_2O ძლისპირნის
სხვადასხვა ხელნაწერს, მათ შორის C ხელნაწერსაც (იხ. აქვე, ხელნაწერთა აღწე-
რილობა), რომელშიც ყველაზე უფრო შემოგვიანაა რიტმული პუნქტუაცია.

O_2O ძლისპირნის დედნების უმრავლესობა ჩვენ ხელთა გვაქვს მდარე ხარის-
ხის ფოტო და რეტორირების საბით, რეტორირებში კი რიტმული პუნქტუაცია
ყოველთვის მკაფიოდ არ ჩანს, ამიტომ ჩვენ იძულებულა ვიყავით თათოვეული ძლის-
პირისათვის რიტმული პუნქტუაციის თვალსაზრისით არსებულ ნუსხებს შორის
საუკეთესო დედანი აგვეჩიია.

ამავე გვერდის მეორე სვეტში მოკვეყნეს ქართული ძლასპირის ბერძნული შე-
სატყვისი ბერძნული ირმოლოგიონის ევსტრატიადასის გამოცემის მიხედვით. ბერძ-
ნული ძლისპირები, ქართულს შესაბამისად, ცალკეულა ხმის ფარგლებში, უმთავ-
რესად ძლასპირთა ერთ აკოლუთას ქმნიან. ასეთ შემთხვევაში აკოლუთაის ნომერ-
ზე ჩვენ მხოლოდ აკოლუთაის დასაწყისში ვუთითებთ, მაგრამ ზოგჯერ ბერძნული
აკოლუთაის თანმომდევრობა ქართულს შესაბამისად ირღვევა და ძირითად აკოლუ-
თაში ჩაერთვის ძლასპირები სხვა აკოლუთაიდან. ასეთ შემთხვევაში თათოვეულ
ამ ძლისპირთან ცალკეა მითითებულა აკოლუთაის ნომერი და ოდა. ხმაზე აღარ
ვუთითებთ, ვინაიდან ხმა ძირითადი აკოლუთაისა რჩება.

K_2O ქართულ ძლასპირთა კრებული Sin. 34 ძალზე ძველა და დაზიანებუ-
ლი. ამ ხელნაწერის ფეტორირში, რომელიც ჩვენ ვსარჩებლობთ, ზოგიერთი აღ-
გილა ცუდად იყთახება, ამიტომ ზოგჯერ გვახდება ტექსტების აღდვენა O_2O

ძლისპირნის ნუსხეზის მიხედვით, აღდგენილი ადგილები ჩასმულია კვადრატულ კაეებში.

ქარაგმებს ორივე ტექსტში ეხსნით კაეებს გარეშე, ჩეულებრივი წესით. კაეებს მიემართავთ იშვიათ და განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ძლისპირთა ტექსტებს ერთვის კომენტარები. კომენტარებულ ძლისპირებს უზით ვარსკვლავები (*). $K\epsilon O$ ძლისპირნის კომენტარები გაერთიანებულია $O\delta O$ ძლისპირნის კომენტარებთან და ამიტომ ამ უკანასკნელის ძლისპირთა რიგითი ნომრით არის საქებარი.

II

$O\delta O$ „ძლისპირნი და ღმრთისშობლისანს“ წინამდებარე გამოცემისათვის ვსარგებლობთ 7 ხელნაწერით— $ABHLOJh$ (იხ. აქვე, ხელნაწერთა აღწერილობა). აქედან 5 ხელნაწერი— $HLOh$ —„ძლისპირნი და ღმრთისშობლისანს“ I რედაქციისაა. თავის მხრივ, ეს ხელნაწერები ორ ქვეჯგუფად გაიყო, მოკლე (თავდაპირველი)— HL და გავრცობილი— A და Oh ხელნაწერები.

გარდა დასახელებული 5 ხელნაწერისა, გამოცემისათვის, მათი მალალი ღირებების გამო, აგრეთვე გამოვიყენეთ უფრო ვრცელი შედგენილობის (II რედაქციად მიჩნეული) ორი „ძლისპირნი“ HJ ხელნაწერები: დან: ძლისპირთა ტექსტები B ხელნაწერში ქარაგმაგახსნილია, რაც გეგმზარება სრულ ხელნაწერთა ბუნდოვანი ადგილებს ამოკითხვაში და ზოგჯერ დანაქარაგმზარება გახსნაში, ხოლო J ხელნაწერი, რომელიც აგრეთვე უფრო ვრცელია I რედაქციის ხელნაწერებზე, გამოვიყენეთ, უმთავრესად, AOh ხელნაწერთა იმ ძლისპირთა კითხვა-სხვაობათა შესამოწმებლად, რომლებიც არ არის შესული HL ხელნაწერებში.

$O\delta O$ „ძლისპირნი და ღმრთისშობლისანის“ ტექსტები ქვეყნდება ორ სვეტად: მარცხენა სვეტში—ქარაგული ძლისპირი და ღმრთისშობლისა, მარჯვენაში—მისი ბერძნული შესატყვისი ძლისპირი, მითითებით გამოცემაზე და აგრეთვე ამავე ძლისპირის სლავურ თარგმანზე. ბერძნული ძლისპირებისათვის ვსარგებლობთ ირმოლოგიონის შემდეგი გამოცემებით:

1. Eustratiades, S., *Εὐστράτιου, Chennevières-sur-Marne, 1932* (Ἐγγραφεύα) Β: *βλίσιομηκη* 7—8).

2. *Hirmologium Athcum*. ფოტოტიპური გამოცემა 1938 წლისა, რომელიც ეკუთვნის *C. Höeg-ს*. *Monumenta Musicae Byzantinae*, 2.

3. *Hirmologium Cryptense*, 1951. გამომცემელი *L. Tardo*. *Monumenta Musicae Byzantinae*, 3.

წინამდებარე წიგნის აწყობა თითქმის დამთავრებული იყო, როდესაც პროფ. ვ. ჯობაძის დახმარებით ლოს-ანჯელოსიდან მივიღეთ ირმოლოგიონის უკანასკნელი ფოტოტიპური გამოცემა: *Hirmologium Sabbaiticum*. *Monumenta Musicae Byzantinae*, VIII.2.1. 1968. სამწუხაროდ, ბერძნული ირმოლოგიონის ამ საინტერესო საბაწერდური ნუსხის გათვალისწინება წინამდებარე გამოცემაში ვერ მოხერხდა.

სლავურმა ხელნაწერებმა შემოგვიანხეს $O\delta O$ წიგნის ბერძნული ირმოლოგიონის ძველი (XI საუკუნის) თარგმანი. უკანასკნელ ხანებში ეს თარგმანი გამოქვეყნდა ორი ძველი ხელნაწერის—ნოვგოროდის სლავური ირმოლოგიონის ფრაგმენტებისა და ხელნაწარის ირმოლოგიონის ფრაგმენტის მიხედვით:

1. *Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente*. Herausgegeben von *Eiwin Keschmieder*. Erste Lieferung. *Abhandlungen der Bayerischen Akz-*

დემიე der Wissenschaften, Philosophisch-historische Klasse, Neue Folge. Heft 35, 1952; Neue Folge. Heft 37, 1955; Neue Folge. Heft 45, 1958. 2. Frag-
menta Chilandarica Palaeoslavica. B. Hirmologium: Monumenta Musicae Byzan-
tinae. Main Series, vol. 5. Copenhagen, 1957.

ვინაიდან ქართული „ძლასპარსი და ღმრთისმშობლისანი“, ისევე როგორც
სლავური, O.I.O ტიპისაა, ამიტომ ჩვენ საქაროდ მივიჩნით ქართულ ძლისპირთან
მაგვეთაიებთან არა მარტო ბერძნული შესატყვისა ძლასპირი, არამედ მისი ძველი
სლავური თარგმანიც.

„ძლასპარსი და ღმრთისმშობლისანის“ ქართული ტექსტი იწყება მითითებით
ხმაზე და გალობაზე. ამას მოსდევს ძლასპირის რაგითი ნოჲერი მთელი კრებულის
ფარგლებში. რაგითი ნოჲრის გვერდით მითითებულაა იმ ხელნაწერის ლიტერი,
რომელიც ძლასპირის გათქმის დედნად არის აღებული. ამავე სტრიქონში მოტა-
ნალაა ძლასპირის ზედწარწერები—ბერძნულ დედნის დასაწყისი, გადმოცემული
ქართული ტრანსკრიფციით (ტრანსკრიფციები ახლავს LHO: ხელნაწერებს, B ხელ-
ნაწერში—პირველ 7 ძლასპირს). ზედწარწერები ხელნაწერებში, უქრავლეს შემთ-
ხვევაში, დაწერილია გაბმით, ე. ი. არ არის სიტყვებდ დასაწვევებული ბერძნული
დედნის შესაბამისად. იმ იშვიათ შემთხვევაში კი, როდესაც ზედწარწერები დასა-
წვევებულია, მაშინაც ეს დასაწვევება შემთხვევით ხასიათს ატარებს და იშვიათად
ხვდება ამ მხრივ ბერძნულ დედნს. ამიტომ, ჩვენ ვარჩიეთ გამოცემაში ზედწარწე-
რები გაბმით წარმოგვედგინა.

ზედწარწერის მოსდევს ძლასპირის ტექსტი, რომელსაც ახლავს თავისი რიგი-
თი ნოჲერი უკვე გალობის ფარგლებში. ძლასპირის მოსდევს ღმრთისმშობლისა, რო-
მელიც გამოცემაში, ადგილას ეკონომიის მიზნით, ორ სვეტად არის დაბეჭდილი.
ქართული ღმრთისმშობლისა შესატყვისა ბერძნული ტექსტები გამოცემაში შეტა-
ნალა არ არის, ვინაიდან ბერძნული ირმოლოჯიონი, ქართულითგან განსხვავებით.
მხოლოდ ძლასპირების კრებულს წარმოადგენს. ჩვენი მთავარი მიზანიც, ამ შემთ-
ხვევაში, ქართულ ძლასპირთა ტექსტების გამოჩვევება იყო.

ვარიანტები და სქოლოლები თათოუელ ძლასპირსა და ღმრთისმშობლისას სა-
თათაოდ აქვს გაცეთებულა. სქოლოის პირველ სტრუქტურაში გაჯანილია ძლისპირის
გამოცემასათვის გამოყენებულ ხელნაწერთა ლიტერები. თითოუელ ლიტერს ახლავს
ძლისპირის რაგითი ნოჲერი გალობის ფარგლებში, მაგ.: $L_1: 10 v$, $A_1: 7 r$, $J_1: 5 v$;
რაც ნიშნავს იმას, რომ L ხელნაწერში ძლასპირი გალობის ფარგლებში პირველია
და მოთავსებულა ხელნაწერის 10 v-ზე, A ხელნაწერში—მეორეა, მოთავსებულა
7 r-ზე, ხოლო J ხელნაწერში აგრეთვე პირველია და მოთავსებულა 5 v-ზე. თუ
ლიტერა რაგითი ნოჲრის ვარეუა, ნიშნავს იმას, რომ, ხელნაწერის დეტექტურობის
გამო, ვერ მოხერხდა ძლისპირის რაგის დადგენა.

ძლისპირთა ტექსტების გაპარათვისათვის ესარკებლობთ ხელნაწერთა ჩვენებე-
ბით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელნაწერები აშკარა შეცდომის გასწო-
რების შესაძლებლობას არ გვაძლევენ. ასეთი იშვიათი შემთხვევებიც სქოლოში
სათანადოდ არის აღნიშნული.

ძლასპირთა კრებულს დედნებდ სხვადასხვა ხელნაწერების გამოყენებამ და
ამ ხელნაწერთა მონაცელებამ კრებულს მანძალზე გააძნელა ტექსტებში ორთო-
გრაფიული ერთგვარობის დაცვა. შესაძლებელა ფორმებიდან ვარჩევდით უკეთესს და
დედნისათვის უფრო დამახასიათებელს.

დაქარაგმების ან ქარაგმათა გახსნას საინტერესო შეთხვევებს ვაჩვენებთ ვა-
რიაანტებში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ფორმები შეგვაქვს ძირითად ტექსტში.

OdO ძლისპირნის ტექსტის დადგენისათვის გამოყენებული ყველა ხელნაწერი ძველია (X—XI სს.) და თავისებურად უნიკალური, ამიტომ ჩვენ შევეცადეთ ვარიანტებში გვეჩვენებინა მათი ორთოგრაფიული თავისებურებებიც. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ტექსტი ქვეყნდება მხოლოდ ერთი ხელნაწერით, გამოცემაში ვიცავთ მის ორთოგრაფიას და ქარაგმებსაც ვხსნით ხელნაწერის ორთოგრაფიის დაცვით (იხ. № 365 ძლისპირი, რომელიც მხოლოდ A ხელნაწერის მიხედვით ქვეყნდება).

საკუთარ სახელთა დაწერილობას გამოცემაში არ ვასწორებთ, ვტოვებთ ისე, როგორც ეს არის დედან ნუსხაში. დაქარაგმებულ სიტყვებს: ი^რშში, ის^რშლი ყველა კომბინაციაში ვხსნით მეხუთე ენით—იერუსალემი, ისრაელი¹.

ხშირად ძლისპირი და ღმრთისმშობლისა ერთი და იგივე რეფრენით მთავრდება, მაგრამ ღმრთისმშობლისაში რეფრენის მხოლოდ დასაწყისია მოტანილი. ასეთ შემთხვევაში ღმრთისმშობლისას რეფრენს კვადრატულ კავებში აღვადგენთ ძლისპირის მიხედვით. კვადრატულ კავებში აღვადგენთ აგრეთვე დედნის დაკლებულ ასოებს.

KxO ძლისპირნი ქვეყნდება ერთადერთი უნიკალური ხელნაწერის მიხედვით. ამის გამო ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად დაგვეცვა დედანთან სიახლოვე. ამაზე გამოიწვია ის, რომ KaO და OdO ძლისპირნის პუბლიკაციებში ერთსა და იმავე ძლისპირში ზოგჯერ განსხვავებულ მართლწერას შევხვდებით.

დამატებაში ვაქვეყნებთ კერძო დანიშნულების „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ტექსტებს Sin—20-ისა და Sin—26 ხელნაწერების მიხედვით.

ტექსტებს ერთვის კომენტარები, ძლისპირთა ქართულ-ბერძნული და ბერძნულ-ქართული საძიებლები და ბერძნულ ძლისპირთა აკოლუთიების საძიებელი.

ტექსტებისათვის ვარიანტების გაწყობისას გვეხმარებოდნენ ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები: ლალი ჯღამაია, ცაცა ჭანკიევი და მანანა დოლაქიძე. ხოლო კორექტურების კითხვის მძიმე ტვირთი გაინაწილეს ციალა ქურციკიძემ და ცაცა ჭანკიევმა. დიდი გულმოდგინებით აწყობდა ტექსტს გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბის ასოთამწობი ცაცა დოლაქიძე. ყველა დასახელებულ პირს დანმარებელისათვის მადლობას მოვასხენებ.

KaO და OdO ძლისპირნის საერთო ძლისპირები

I კვა	II კვა	III კვა	IV კვა
1— 2	9— 61	17—118	25—151
2— 9	10— 69	18—122	26—161
3—16	11— 76	19—126	27—170
4—23	12— 81	20—130	28—180
5—30	13— 87	21—134	29—191
6—38	14— 94	22—138	30—198
7—44	15—100	23—142	31—208
8—52	16—109	24—147	32—219

¹ იხ. Ц. А. Чанкиева, Правила сокращения в памятниках древнегрузинской письменности, Автореферат, 1967, стр. 14.

V კმა	VI კმა	VII კმა	VIII კმა
33—231	41—266	49—298	57—332
34—235	42—270	50—302	58—342
35—239	43—274	51—306	59—351
36—243	44—278	52—310	60—358
37—247	45—282	53—314	61—366
38—252	46—286	54—319	62—376
39—256	47—290	55—324	63—385
40—261	48—294	56—328	64—394

გამოცემისათვის გამოყენებული ხელნაწერების
ლიტერები

A	იელის იადგარი, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერი.					
B	S—425, მიქაელ მოღრეკილის იადგარი, ხელნაწ. ინსტ. ხელნაწერი.					
C	A—603, იორდანეს ძლისპირთა კრებული, " " "					
H	Sin. 1, სინის მთის ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერი.					
h	Sin. 59, " " " " " "					
J	Jer. 48 იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლ. ქართული ხელნაწ.					
L	Sin. 14 სინის მთის ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერი.					
M	Sin. 34	"	"	"	"	"
O	Sin. 65	"	"	"	"	"
	Sin. 20	"	"	"	"	"
	Sin. 26	"	"	"	"	"

გამოცემათა შემოკლებანი

ეესტ.—Εἰρηολόγιον ἐκδημόμενον ὑπὸ Μητροπολίτου. Λεοντοπόλεως Σαφρο-
νίου Ἐνστρατιᾶδος. Chennevières sur-Marne, 1932.

Hirm. Ath.—Hirmologium Athoum, ed. Carsten Höeg. Codex monas-
terii Hiberorum 470. Phototypice depictus. Monumenta Musicae Byzantinae II.
Copenhagen, 1938.

Hirm. Crypt.—Hirmologium Cryptense. Ed. L. Tardo. Monumenta
Musicae Byzantinae, III. Roma, 1951.

კოშმ.—Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente. Herausgegeben
von Erwin Koschmieder. Erste Lieferung: Abhandlungen der Bayerischen
Akademie der Wissenschaften. Philosophisch-historische Klasse. Neue Folge,
Heft 35. 1952.

ხილ 6.—Fragmenta Chiliandrica Palaeoslavica. B. Hirmologium. Monu-
menta Musicae Byzantinae, vol. 5, Copenhagen. 1957.

გამოცემაში გამოყენებულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა

A. „იელის საწელიწდო იადგარი“ (დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, № 32). 319 ფ.; ეტრათი; 28,5×21,5; მსხვილი, კუთხოვანი ნუსხური; X—XI სს. მიჯნა; ბოლონაკლული, აკლია შიგნითაც. გადამწერი: ზაქარია (37 r). „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ტექსტს უკავია 1r—37r; რიტმული პუნქტუაციისათვის იხმარება ერთი წერტილი. ძლისპირთა და დასდებლების მკირე ნაწილი ნევმირებულია. ძლისპირნის ბოლოს გადამწერის ანდერძია: „სახელითა ღმრთისათა განსრულდეს ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. წმიდაო ღმრთისშობელო, მეოხ ეყავ სულსა მიქაელსა, სულსა კ(ზრ.)იესა, მოძლუართა და მზრდელთა ჩემთასა. ქრისტე, შეიწყალე სული ზაქარ(ია)სი მწერალისა“.

B. S—425 (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი). „მიქაელ მოდრეკილის საწელიწდო იადგარი“ (მეხური); 272 ფ.; 37,5×29,5; ეტრათი; კალიგრაფიული ნუსხური; კრებულის შემდგენელი და ერთ-ერთი გადამწერია მიქაელ მოდრეკილი; 978—988 წ.; „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ მოთავსებულია იადგარის დასაწყისში (1 r—24 v), შეიცავს ორ ღრუავეისას და გალობანის ძლისპირებს. ძლისპირნი ნაკლულია: აკლია მთლიანად ბ, გ, დ და ა გ-ის ხმის ძლისპირები; ნაწილობრივ—ბ გ-ის და გ გ-ის ძლისპირებს. რიტმული პუნქტუაციისათვის იხმარება შავი და წითელი წერტილები; ძლისპირთა ტექსტები ჭარბმაგაჩსნილია. ძლისპირნი მთლიანად ნევმირებულია. ნევმირებულია დასდებელთა უმრავლესობაც.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. I, 1960; პ. ინგოროყვა, თხულებთა კრებული, III, გვ. 222—223, 434—440.

C. A—603 (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი). „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. 229 ფ.; ეტრათი; 17,2×11,3; X საუკუნის დამლევი და XI საუკუნის დამლევი; აქვს რვეულებრივი აღრიცხვა. ხელნაწერი ნაკლულია, იწყება კ რვეულით. შეიცავს მხოლოდ ცისკრის გალობათა ძლისპირებს. საფიქრებელია, რომ ხელნაწერი A—603 არის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ მეორე ნაწილი; პირველ ნაწილში (1—19 რვეული) უნდა ყოფილიყო სტიქარონთა ძლისპირები.

A—603-ს აკლია კბ და კგ რვეულები; ნაკლულია მგ და მდ რვეულები; ღო რვეულის მომდევნო ერთ რვეულს არა აქვს რვეულებრივი აღრიცხვა. ძლისპირნის ტექსტს ერთვის „ღმრთისმშობლის შესხმანი“ (190 v—229 v). 180 r—189 v უკავია გამორჩენილ ძლისპირებს.

რიტმული განკვეთისათვის იხმარება ორი წერტილი: პატარა შავი წერტილი სტრიქონს ზემოთ, ხოლო მსხვილი წითელი—სტრიქონს ქვემოთ. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ტექსტებს ახლავთ ნევმები, მაგრამ არა ყველას: ზოგჯერ აქვს ძლისპირს და არა აქვს ღმრთისმშობლისას; ზოგჯერ არც ერთსა აქვს და არც მეორეს. არის შემთხვევები, როდესაც არანევმირებულ ტექსტებს არ ახლავთ არც რიტმული დაყოფის წითელი წერტილები. ხელნაწერი ცნობილია როგორც „იორდანეს ძლისპირთა კრებული“.

H. Sin. 1. „საწელიწდო იადგარი“. 384 ფ.; ეტრატე; 31×24; ნუსხური; X საუკუნის შუა წლები. ხმის დასაწყისები და გალობათა სახელწოდებები მთავრული, სინკურით; ასევე მთავრულით და სინკურითაა დაწერილი ძლისპირთა ბერძნული დიდებრის დასაწყისები, ქართული ტრანსკრიფციით გადმოცემული; ძლისპირები ნევემირებულთა სინკურით. ხელნაწერი დაზიანებულია; აკლია დასაწყისში და ნიკნითაც. აკინძულია არასწორად. ძლისპირის ტექსტებშიც უადგილოდ არის ჩაყინული 4,9 და 10 ფურცლები, რომლებიც ღმრთისმშობლის „შესხმის“ კუთვნილებაა. ფფ. 11—22 შეცდომით არის ამ ხელნაწერში მოხვედრილი. 11—12 და 21—22 ფფ. ძლისპირის ფრაგმენტია Sin. 59 ხელნაწერიდან. 13—20 ფფ. კი იმავე Sin. 59-ის კუთვნილებაა და შეიცავს დასდებლებს. ამრიგად, Sin. 1-ის ძლისპირნი წარმოდგენილია:

კმაჲ ა, ადიდებდითსა 1 რ.

„ ბ, უვალობდითსა—აკურთხევდითსა (ბოლო აკლია) 1 რ—3 ვ, 5 ვ.

„ გ, უვალობდითსა—ადიდებდითსა 5 ვ—7 რ.

„ დ, უვალობდითსა—განძლიერდასა 8 რვ.

„ ა გ^რ, აკლია მთლიანად.

„ ბ გ^რ, აკლია მთლიანად.

„ გ გ^რ, ღამითგანსა—ადიდებდითსა 23 რ—25 რ.

„ დ გ^რ, უვალობდითსა—ადიდებდითსა 25 რ—30 ვ.

შედგენილობით ხელნაწერი მსგავსია Sin. 14 ხელნაწერისა. გადაწერილია Sin. 1 საბას ლავრაში X საუკუნის შუა წლებში ვინმე ივანეს მიერ, მაგრამ ეს ივანე არ არის იოანე-ზოსიმე, როგორც ამას ფიქრობს პ. ინგოროყვა (იხ. თხზულებათა კრებული, III, გვ. 54). გადამწერის შესახებ იხ. ც. ქანკიევის წერილი „პალესტინელ გადამწერ იოვანეთა შესახებ“ (იხეკდება ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომებში: მრავალთავი, III).

ი. ქავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ.; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, გვ. 540—41.

h. Sin. 59. „საწელიწდო იადგარი“. 226 ფ.; 24,4×18,6; X ს.; ხელნაწერა ნაკლულია, იწყება Ψ რვეულით. ნაკლული ვ და ჴ რვეულების რამდენიმე ფურცელი შეცდომით ჩაყინძულია Sin. 1 ხელნაწერში, ესენია—4 ფურცელი ვ რვეულიდან, რომლებიც 11—12 და 21—22 ფფ. არიან აღრიცხულნი Sin. 1-ში. ეს ფურცლები „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ფრაგმენტებია; ვ რვეულიდან Sin. 1-ში ჩართულია „საწელიწდო იადგარის“ ფრაგმენტიც (დასდებლები), რომელსაც Sin. 1-ში უკავია 13—20 ფურცლები.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ფრაგმენტი შეიცავს:

დ გ^რ, ღამითგანსა—აკურთხევდითსა (დასაწყისი) 11 ვ—12 ვ.

დ გ^რ, აკურთხევდითსა (გაგრძ.)—ადიდებდითსა 21 რ—22 ვ.

თითოეულ ძლისპირს სინკურით მიწერილი აქვს შესაბამისი ბერძნული ძლისპირის დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით; რიტმული პუნქტუაციისათვის გამოყენებულია ერთი წერტილი. ხელნაწერი არ არის ნევემირებული.

შედგენილობით და რედაქციულად ხელნაწერი Sin. 59 მსგავსია Sin. 65-ისა.

H. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря. М. Л. 1940; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, გვ. 540—543.

J. Jer. 48. პარაკლიტონი. 250 ფ., 28,5×20,3; ეტრათი; თავ-ბოლო-ნაკლული; აქვს რვეულბრივი სათვალავი; ნუსხური; დასაწყისები, საზედაო ასოები და სათაურები სინგურით, მთავრულით; მომგებელი—პროხოზე, ჯვარას მამა (250 v); გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში; XI საუკუნის 60-იანი წლები. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ წინ უძღვის პარაკლიტონის ტექსტს (1 r—42 v); ძლისპირნი შეიცავს ა—დ ხმის ძლისპირებს და ა გ-ის ხმის მხოლოდ დასაწყისს. თავდაპირველად პარაკლიტონი შეიცავდა 8 ხმის მასალას, შემდეგ იგი გაუყვიათ ორ წიგნად, თითოში შევიდა ოთხ-ოთხი ხმა; გაიყო ძლისპირნიც. ამ პირველ წიგნში შეტანილია ძლისპირის ა—დ ხმა და ის, რაც გადმოჰყვა ა გ-ის ხმიდან (ნახევარი გვერდი). ამ პარაკლიტონის მეორე ნაწილს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერებში ვერ მივაკვლიეთ. ძლისპირნი შეიცავს კანონის ყველა გალობას (მოიხილვას ჩათვლით) და ორ ღვთაების ძლისპირებს.

რიტმული პუნქტუაციისათვის გამოყენებულია ორი წერტილი: დიდი წერტილი სინგურით (სტრიქონის ქვემოთ) და შავი პატარა წერტილი (სტრიქონს ზემოთ).

ანდერძი: „სახელითა წმიდისა და ერთარსებით დიდებულისა სამებისა, მამისა და ძასა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა წმიდასა ღმრთისმშობლისათა, ძალითა და შეწვენითა წმიდისა და პატიოსნისა ჭუარისათა, მადლითა და მეოხებითა ყოველთა წმინდათათა მე, გლახკმან პროხოზე, მოვიგენ წმიდანთა ესე წიგნის სულთა განმანათლებელნი პარაკლიტონი და შევექმენ ორ თავად სისუბუქისათს, რამეთუ პირველ აღმწერელსა ამისა რვანივე კმანი ერთად შევემსნენ და მე გავყავ და ორ წიგნად შევექმენ, და დაესხენ წმიდასა ეკლესიასა ჭუარისასა სალოცველად სულისა ჩემისა და სულისა მოძღუართა და მშობელთა და...“ (250 v).

L. Sin. 14. „საწვლიწლო იადგარი“; 276 ფ., 20,2×16; ეტრათი; მსხვილი ნუსხური; თავ-ბოლო ნაკლული; X ს.; იადგარი რედაქციულად მისდევს Sin. 1-ს. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ (6 v—50 v) 8 ხმაზე, კარგად დაცული; შეიცავს კანონის გალობათა ძლისპირებს (გარდა მეორე გალობისა); რიტმულ პუნქტუაციად გამოყენებულია ორი წითელი წერტილი; ძლისპირები და დასდებლები ნეგმირებულია, მაგრამ ნაწილობრივ.

ივ. ჭავჭავაძის მიერ, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, გვ. 540—543.

M. Sin. 34. ლიტურგიკული კრებულები; 210 ფ., ეტრათი; 18×14,8; ნუსხური, მთავრული; X საუკუნის შუა წლები; შედგენისა და გადაწერის ადგილი—საბაწმიდა; შემდგენელი და დიდი ნაწილის გადაწერი—იოანე-ზოსიმე; ზოსიმეს ხელითაა გადაწერილი ამ კრებულის იადგარული ნაწილი—„სავალობელნი იადგარნი“, რომლის შემადგენლობაშიც შედის უნიკალური KaO „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ძლისპირებს არა აქვთ რიტმული პუნქტუაცია და ნეგმები; აქა-იქ ჩანს სასვენი ნიშნები (ორი და ერთი წერტილი). ნეგმები არა აქვთ არც იადგარის დასდებლებს. რიტმული პუნქტუაცია არც დასდებლებშია თანმიმდევრულად ნახმარი. ხელნაწერის ფოტოპირების დაბალი ხარისხის გამო ძნელია ზუსტი წარმოდგენის შექმნა ხელნაწერის პუნქტუაციაზე.

Sin. 34-ში თავმოყრილია სხვადასხვა ხასიათისა და სიძველის მასალა. კრებულს ახლავს იოანე-ზოსიმეს ხელით გაკეთებული მრავალრიცხოვანი ლიტურგიკული

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი ყოველთა ჭმათა ზედა“ მოსდევს დასდებლებს და უკავია ხელნაწერის 222 v—225 r. ძლისპირნის ტექსტი იხ. აქვე, დამატება I.

ივ. ჯავეახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერალობა; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, 1965, გვ. 558—560

Sin. 20. „მცირე იადგარი“, 132 ფ.; 15,6×11,9; ეტრადი; თაენაკლული; ნუსხური; გადაწერილია სინის ეკატერინეს მონასტერში; 987 წ. (130 v); მომგებელი სინის მთის ხუცესი კვრიკე (130 v); „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ მოთავსებულია იადგარის დასაწყისში (1 r—9 r); თაენაკლული; იწყება დ ხმით. შეიცავს დ, ა გი-სა და დ გი-ს ხმების ძლასპირებს. ძლისპირებს არა აქვთ რიტმული პუნქტუაცია. ძლისპირნის ტექსტი იხილეთ აქვე, დამატება II.

ივ. ჯავეახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერალობა; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, გვ. 558—560.

Две древние редакции грузинского Ирмология

(по рукописям X—XI веков)

Изучение греческого Ирмология имеет большое значение для разработки вопросов истории византийской гимнографии, так как Ирмологий содержит ранние образцы византийской поэзии (духовной лирики), а также богатый репертуар византийской духовной музыки. Именно поэтому за последние годы внимание ученых византистов устремлено на издание и изучение Ирмология. Достаточно отметить, что с 1939 года осуществлено 4 разновременных издания Ирмология, из них три опубликованы международным научным обществом в серии *Monumenta Musicae Byzantinae*.

Но по справедливому замечанию проф. Е. Кошмидера, несмотря на проведенную большую работу, история греческого Ирмология еще не написана и, видимо, ее нельзя будет написать до тех пор, пока не будут изучены ранние ее переводы, так как греческие рукописные Ирмологии, дошедшие до нас в поздних списках, не дают достаточного и нужного материала для издания критического текста. Именно поэтому переводные Ирмологии, гимнографические и литургические памятники привлекают большое внимание ученых.

В последнее время особый интерес вызывает славянский перевод греческого Ирмология, как один из древнейших. В 1952—58 годах проф. Е. Кошмидер опубликовал фрагменты древнейшего, т. е. Новгородского славянского Ирмология (XII в.)¹, с обстоятельным исследованием и научным аппаратом (в трех книгах). В 1957 году проф. Р. Якобсон в серии М.М.В. опубликовал фактически второе древнеславянское, т. е. Хиландарского Ирмология (XIII в.)². Славяно-греческим Ирмологиям большую работу посвятил эмеритусский ученый М. Велимиревич³.

Такой интерес к славянскому Ирмологию, вызван тем, что, по мнению ученых, он сохранил черты ранней византийской гимнографической и музы-

¹ Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente. Abhandlungen der Bayerischen Academie der Wissenschaften. Philosoph.-hist. Klasse, Neue Folge. Heft 35 (1952), 37 (1955), 45 (1958).

² Fragmenta Chilandarica Palaeoslavica. M.M.B. Série principale, vol. 5 b. 1957.

³ Byzantine Elements in Early Slavic Chant. M.M.B. Subsidia, vol. IV, 1960.

кальной традиции (времени перевода), которая в самой Византии подверглась сильному изменению.

Грузинские переводы богатой византийской литургической и гимнографической литературы сохранились в древнейших рукописных списках IX—XI вв., которые хранятся как в стечественных, так и в зарубежных хранилищах (на Синае, в Иверском монастыре на Афоне, в Иерусалимской греческой патриаршей библиотеке).

Капитальные труды акад. К. С. Кекелидзе по изучению грузинских литургических памятников вызвали к ним широкий интерес ученых, но отсутствие публикаций большинства из них сильно осложнило их дальнейшее конкретное изучение и введение в широкий научный оборот. Настоящая работа преследует цель: в какой-то степени восполнить этот пробел.

Задавшись целью подготовить к изданию древние редакции Ирмология нам, естественно, пришлось решать ряд вопросов, связанных с ними: время их составления, типы, редакции и этапы развития грузинского Ирмология и, наконец, их отношение к греческому оригиналу и славянскому переводу.

Специально исследуя рукописи грузинского Ирмология (X—XIV вв.), ученый П. Ингорюк разделит их на три последовательные редакции¹. Это деление относится к основным рукописям грузинского Ирмология OdO. Но кроме них существуют также несколько древних списков грузинского Ирмология KaO, которые требуют самостоятельного изучения.

До того, как приступить к передаче и обсуждению вопросов, связанных с грузинским Ирмологием, напомним некоторые общие сведения относительно греческого Ирмология:

Ирмосом называется первый тропарь каждой оды канона, который является идейным и ритмико-мелодическим образцом для остальных тропарей оды. Ирмосы первоначально писались известными византийскими поэтами-мелодсами VII—IX веков вместе с канонами. Впоследствии, в литургических целях они были выделены и объединены в сборник Ирмологий для более удобного их использования как ритмико-мелодических образцов при составлении новых канонов и для исполнения старых.

Существует два основных типа греческого Ирмология:

а) KaO Ирмологий (Καπὸν οὐδέρσ), где ирмосы представлены по порядку отдельных канонов в пределах каждого гласа.

б) OdO (Ὀδὲς οὐδέρσ) Ирмологий, где ирмосы группируются по одам канона в пределах каждого гласа².

Принято считать, что KaO Ирмологий предшествует созданию Ирмология типа OdO. Самые древние списки Ирмология типа KaO датируются XI веком. Большинство рукописей греческого Ирмология принадлежат к типу KaO.

¹ П. Н. Ингорюк в.з. Собрание сочинений, том III, Тбилиси, 1965, стр. 79—92 (на груз. языке).

² Литеры KaO и OdO для обозначения двух типов греческого Ирмология впервые были введены в научный оборот проф. Е. Кошмидером в вышеупомянутом издании, книга II, стр. 69.

Рукописи OdO Ирмология в основном поздние (XIII—XV вв.). Исключением является двулистный фрагмент, который датируется X—XI вв. (PSg. 1284).

Славянский Ирмологий принадлежит к OdO типу, древнейшие рукописи датируются XII—XIII вв.

Считают, что первый греческий Ирмологий был составлен не позднее IX века в Саввинской лавре в Палестине.

Грузинский сборник ирмосов, в отличие от греческого и славянского Ирмологиев, имеет следующее название: „Ирмосы и богородичные“, так как в этих сборниках после каждого ирмоса приводится соответствующий богородичный тропарь, исполняемый в конце каждой оды на размер ирмоса. Богородичные не фигурируют в греческо-славянских Ирмологиях. Эта структурная особенность грузинского Ирмология имеет свое объяснение (см. ниже).

* * *

Изучение грузинского Ирмология в рукописях X века позволило нам примерно наметить основные виды Ирмология и пути его развития.

Основным и распространенным видом грузинского Ирмология в X веке является Ирмологий OdO, который на протяжении X столетия постепенно пополняется, образуя несколько (3) редакций этого сборника ирмосов. Но, видимо, Ирмологий OdO, который в зависимости от редакции содержит от 400 до 900 ирмосов и столько же богородичных тропарей, не был первоначальной формой грузинского Ирмология.

Составлению Ирмология типа OdO предшествовали малые сборники ирмосов KaO, вошедшие в состав малых литургических сборников.

Термин „малые литургические сборники“ мы употребляем в отношении нестандартных литургических книг, которые составлялись грузинскими литургистами на основании существующего в то время литургического материала (в данном случае песнопений) из чисто практических соображений. Эти малые сборники по своему составу не однородны и содержат песнопения той или иной небольшой группы церковных праздников, в отличие от годичной праздничной миней, которая была относительно стабильна и широко распространена в грузинской литургической практике со второй половины X века. В состав одного из таких малых литургических сборников 954 года—Sin. 26—включен Ирмологий, который можно рассматривать как схематический прототип грузинского Ирмология KaO.

Ирмологий составлен редактором данного литургического сборника. Он содержит только начало ирмосов первых од канонов на 8 гласов. На каждый глас приводится начало двух или трех ирмосов первых од разных канонов. В конце каждого ирмоса сделана редакторская приписка с указанием на канон (с полными текстами тех же ирмосов), который вошел в литургический сборник и по которому можно найти или выбрать ирмосы всех од данного канона. Таким образом, Ирмологий из рукописи Sin. 26 не является сборником ирмосов, а только указателем к ирмосам, полные тексты которых можно найти в этом же сборнике в праздничных канонах. Благодаря такому указателю, редак-

тор сборника избегает в канонах повторения полных текстов ирмосов и облегчает церковнослужителю пользование ирмосами сборника; следовательно, Ирмологий-указатель имеет конкретное назначение и предназначен для данного сборника. Этот Ирмологий-указатель составлен редактором сборника и вне данного литургического сборника не может быть использован.

Несмотря на схематичность и узкое назначение, Ирмологий-указатель из Sin. 26 надо рассматривать как первоначальную форму Ирмология КаО. Ирмологий-указатель еще не является полноценным КаО Ирмологием, но функционально он того же назначения, так как указывает на ирмосы отдельных канонов литургического сборника.

Следующей ступенью в развитии грузинского Ирмология надо считать полноценный по своей структуре Ирмологий КаО, содержащий полные тексты ирмосов канонов на 8 гласов. Этот древний малый Ирмологий КаО сохранила нам рукопись середины X века—Sin. 34—уникальный по своему составу и характеру литургический сборник, типа годичной праздничной миней¹. Ирмологий содержит ирмосы только восьми канонов, по одному канону на глас, всего 64 ирмоса. Ирмологий состоит в основном из ирмосов пасхальных канонов, принадлежащих Иоанну Дамаскину и Козьме Иерусалимскому². Как и в первом случае, КаО Ирмологий не представляет все разнообразие ирмосов, использованных в литургическом сборнике Sin. 34. Он также конкретного назначения и содержит полные тексты ирмосов только восьми пасхальных канонов, входящих в данный литургический сборник³.

Такого же конкретного назначения другой малый Ирмологий КаО из рукописи Sin. 20 (987 г.), который также приспособлен редактором к данному малому литургическому сборнику.

ღმერთი, რაჲელა გვშევ ჩუენ, უბიწო მარიაჲ, ვედრებად მისა ნუ დასცხრები ჩუენთვს, ქალწულო, რაჲთა მოკუანიქოს ჩუენ დი[დი] წყალობაჲ.

ვერ შემძლებელ ვართ ქებად შემსავსებულად**** სიწმიდისა შენისა, ღმრთისა დედაო, რამეთუ ჳეშთა იპოა ცნობათა ჩუენთა დიდებულეებაჲ შენი, უსძლოო.

¹ ეესტრად. № 182, I: 40, II: 261. ² ეესტრად. № 183, II: 264. ³ ეესტრად. № 324, II: 336. ⁴ ეესტრად. № 321, II: 337. ⁵ ეესტრად. № 321, II: 349. ⁶ ეესტრად. 323, II: 344. ⁷ ეესტრად. № 322, II: 352. ⁸ ეესტრად. № 321, II: 353.

* ნსსაზია: არს. ** განიყვანა. *** უზეშთავს. **** ოწლდბთ. ***** შემსავსებულად.

დ მ თ ო გ ნ ს ა

1. ანსთობილნი შენ[ნი]* გიგალო-შემდგომად შობისა ქალწულად ჰგე, (8რ)თ შენ: მაცხოვნენ ჩუენ, ვითარცა უბიწოო, შენ, ყოვლად სანატრელო, სახიერ ხარ, რანეთუ სხუაჲ ღმერთი ვითარცა ღმრთის მშობელი ხარ, გადი- არაჲ ვიციოთ¹. დებთ.

ღ ღ ღ ო ე კ ს ა

1. მომეც ზე სამოსელი ბრწყინვალე, სამკვდრებელი ღმრთისაჲ ხარი შენ, რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, უბიწოო, და ჩუენ, მორწმუნენი, ღმრთისმ- ღმერთო, ჩეოხებითა მოწაზეთაჲთა². შობელად აღვიარებთ და მეოხს-გიყოფი:

კ რ თ ს ლ ო რ ს ა

1. ქუეყანით იუდაჲსით ბაბილონს თაყუანის-ვსცემთ მამასა, აღვიარებთ წარიტყუენენს მძლავრისა მიერ ყრმანი. ძესა, და ვადიდებთ სულსა წმიდასა, სულითა შეწოსილთა ცეცხლი სატუნი- სამებასა წმიდასა, ერთღმრთეებასა, სარ- ლისაჲ მის განაჰარვეს და იტყოდეს: წმუნოებით უღალადებთ მამათა ჩუენთა ღმერთო³. ღმერთო.

(v) ა კ რ თ ო ს ღ თ ს ა

1. ჩეუფესა ცათასა, რომელსა მსახუ- მიუწოდომელი ღმრთეებითა, დამბადე- რებენ გუნდნი ანგელოზთანი, უვალობ- ბელი და სიტყუაჲ საღმრთოჲ ჰშევ, ზე- ღით და აზალღებდით ზას [უქუენისამ- ცისა სძალო, ამისთჳსცა ყოველნი გადი- დე]⁴. დებთ.

2. სატუნილსა რაჲ შეითხინეს საზნი გიხაროდენ, ტაკუო ოქროჲსაო, საე- ყრმანი, დაშრიტეს ვედრებითა, და მღ- სეო მანანაჲთა^{**}. გიხაროდენ, ღრუბე- ზესა ლომთასა დანიელ დაცეული იტყო- ლო^{***} და ბჳეო ტაძრისა საღმრთოჲსა, და: ყოველნი საქენი აკურთხევედით რომელმან გჳევე დამბადებელი ყოველ- უფალსა⁵. თაჲ.

ა დ ღ ბ ო ს ა

1. შენ, რომელი უქორწინებელ ხარ, შენ, უქორწინებელო და ყოვლად დედაო უსძლოო; შენ, რომელმან უწეშ- წმიდაო ქალწულო, ითხოე მისგან, რომ- თაეს ბუნებათა ჰშევ დაუსაბაზოჲ, რომ- ელი ჰშევ, რაჲთა მოსცეს მეფესა ძლე- ველ არს შემოქმედი, ღმერთი ჳეშმარიტი, ვაჲ და ჳსნაჲ ერსა შენსა ულლისა მტერ- ღალობრითა დაუღმუნებელითა გადიდებთ⁶. თაჲსა, რომელნი შენ მარადის გალო- ბით გადიდებთ.

2. (9რ) ღმრთისმშობელად აღვიარებთ, განკვრდეს ბუნებანი კაცთა მტყუელ- რომელნი შენ მიერ ვიჳსნენით, ქალწუ- თანი მიუწოდომელისა შობისა შენისათჳს, ლო უბიწოო, და გუნ[დ]თა თანა უქორ- უქორწინებელო სძალო, და შემწედ- ციოჲსა შენ მარადის გადიდებთ⁷. გხადიან.

¹ ევსტრად. № 324, II: 359. ² ევსტრად. № 321, II: 368. ³ ევსტრად. № 321, II: 378

⁴ ევსტრად. № 321, II: 388. ⁵ ევსტრად. № 319, II: 385. ⁶ ევსტრად. № 315, II: 395.

⁷ ევსტრად. № 321, II: 401.

* ნუსხაჲთა: შენ. ** მანანაჲთა. *** ღრუბელო.

კო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

კომენტარებში ვეხებით ისეთ ძლისპირებს, რომელთა შინაარსი თუ რიტმული წყობა ბერძნულ ძლისპირთან მიმართებით განმარტებას თხოულობს. ან როცა ქართულ ძლისპირთა ზედწარწერები ზუსტად არ მიუთითებენ ძლისპირის ბერძნულ დედანზე, ანდა თუ ქართული ძლისპირის ბერძნულ დედანს ვერ ზივავლით საერთოდ.

საკომენტარო ძლისპირებს OdO ძლისპირნის გამოცემაში ვარსკვლავით აღვნიშნავეთ (რიგით ნომერთან). ასევე ვარსკვლავით არის მინიშნებული საკომენტარო ძლისპირი KaO წყობის ძლისპირნში, ოღონდ კომენტარში ისინი გაერთიანებულინი არიან OdO წყობის ძლისპირნის ძლისპირთა კომენტარებთან და ამიტომ ამ უკანასკნელთა რიგით ნომრებზე არიან საძებარნი (იხ. აქვე, „ტექსტისათვის“, რომელსაც ერთვის KaO და OdO ძლისპირნის საერთო ძლისპირთა ცხრილი).

* * *

2. B ხელნაწერში ძლისპირის ზედწარწერაში იკითხება ხ რ ის ტ ო ნ. L ხელნაწერში ამ ძლისპირის ზედწარწერაა ხ რ ი. ზედწარწერა ხ რ ის ტ ო ნ არ მიუთითებს ძლისპირის დედანზე, ვინაიდან მისი დედანია ევსტრ. გამოცემის № 8 აკოლუთიის α' ოდის $\epsilon\rho\mu\acute{\alpha}\varsigma \ \acute{\epsilon}\nu\epsilon\rho\acute{\alpha}\varsigma$, რომლის დასაწყისია: $\Pi\iota\tau\alpha\acute{\iota}\varsigma \ \beta\omicron\sigma\lambda\epsilon\iota\acute{\alpha}\varsigma \ \rho\alpha\mu\epsilon\iota\varsigma \ \iota\prime\ \Lambda\epsilon\alpha\rho\eta\lambda$. B ხელნაწერის ზედწარწერაში მითითებული ბერძნული ძლისპირი (ხ რ ის ტ ო ნ) აგრეთვე № 8 აკოლუთიის α' ოდის ძლისპირია, მაგრამ არა $\acute{\epsilon}\nu\epsilon\rho\acute{\alpha}\varsigma$, არამედ ძირითადი, რომელსაც ზედწარწერის შესაბამისი დასაწყისი აქვს: $\chi\rho\iota\sigma\epsilon\acute{\nu}\varsigma \ \gamma\epsilon\upsilon\mu\acute{\alpha}\tau\alpha$. ქართული ძლისპირი მარცვალთა რაოდენობით უდგება როგორც ძირითადს, ასევე $\epsilon\rho\mu\acute{\alpha}\varsigma \ \acute{\epsilon}\nu\epsilon\rho\acute{\alpha}\varsigma$:

ბერძ. ძირითადი: 9. 11. 9. 11. 6. 8. 6. = 60

$\epsilon\rho\mu\acute{\alpha}\varsigma \ \acute{\epsilon}\nu\epsilon\rho\acute{\alpha}\varsigma$: 10. 12. 9. 7+4 6. 7. 6. = 61.

ქართ. ძლისპირი: 9. 11. 9. 7+4 6. 13. = 59

ბერძნული ძირითადი ძლისპირისა და $\epsilon\rho\mu\acute{\alpha}\varsigma \ \acute{\epsilon}\nu\epsilon\rho\acute{\alpha}\varsigma$ -ის რიტმული დაყოფა და კილო ჩვეულებრივ ერთია, ამიტომ ძლისპირის კილოთვის ერთნაირად შეიძლება მითითება როგორც ძირითადის, ასევე $\epsilon\rho\mu\acute{\alpha}\varsigma \ \acute{\epsilon}\nu\epsilon\rho\acute{\alpha}\varsigma$ -ის კილოზე. ასევე მოქცეულა ძლისპირის ქართულად მთარგმნელიც. მას უთარგმნია $\epsilon\rho\mu\acute{\alpha}\varsigma \ \acute{\epsilon}\nu\epsilon\rho\acute{\alpha}\varsigma$ -ი, ხოლო ზედწარწერაში გაუტანია დასაწყისი ძირითადი ბერძნული ძლისპირისა, რომლის ტექსტიცა და კილოც, საფიქრებელია, მისთვის ნაცნობი იყო (მგალობლები კილოს ტექსტთან ერთად იმახსოვრებდნენ), და ამდენად უფრო ადვილად შესაწყობი ქართულ თარგმანთან.

5. ძლისპირს „ბუნება იგი“ B და L ხელნაწერებში სხვადასხვა ბერძნული დედანი აქვს მითითებული: B-ში—პაჯიოთის, ხოლო L-ში—პეპიკუი ლდინი. B ხელნაწერის ზედწარწერა ზუსტად მიუთითებს ქართული ძლისპირის ბერძნულ დედანზე (Παγιοθισα παση ἁγια, ევსტრ. № 4, ოდა ა), ვინაიდან ქართული ძლისპირი ამ ბერძნული ძლისპირის თარგმანია. L ხელნაწერის ზედწარწერა მიუთითებს ამავე № 4 აკოლუთის ა ოდის εἰμας ἕραος — Πεισιλαμνυ ἡ μισα ἡξ. № 5 ქართულ ძლისპირს შინაარსობლივ, ცხადია, ამ ძლისპირთან არაფერი საერთო არა აქვს. აქაც, ისევე როგორც № 2 ქართული ძლისპირის შემთხვევაში, L ხელნაწერის ზედწარწერაში მითითებულია არა ძლისპირის დედანი, არამედ ის კილო, რომელზედაც სრულდება იგი. № 4 ბერძნული აკოლუთის ძირითადი ძლისპირიც და εἰμας ἕραოს-იც ერთნაირი რიტმისა და ერთი კილოს მქონეა (იხ. The Hymns of the Hirmolc. p. I, M. M. B., Transcripta, VI, გვ. 61, კანონი 8, სადაც ორივე ძლისპირის—ძირითადისა და ἕραოს-ის—სასვებით ერთნაირი ტრანსკრიფციებია მოცემული. იხ. აგრეთვე ამავე ძლისპირთა ერთნაირად ნეგმირებული ტექსტები ათონის ირმოლოგიონში: Hirmolog. Athoum. Ed. C. Höeg., 1938, გვ. 3 v).

ამრიგად, № 5 ძლისპირის შესწავლამაც აშკარა გახადა, რომ რიგ შემთხვევაში ქართულ ძლისპირთან მოტანილი ბერძნული ძლისპირის დასაწყისის ტრანსკრიფცია მიუთითებს არა ამ ძლისპირის დედანზე, არამედ კილოზე, რომელზედაც სრულდება ბერძნული დედანი. ეს შემთხვევები გვხვდება უმთავრესად მაშინ, როდესაც აკოლუთის გალობაში წარმოდგენილია ძირითადი და εἰμας ἕραოს-ი, რომლებსაც ერთი კილო აქვთ, ხოლო მთარგმნელისა ან კილოს დამდებისათვის ცნობილია ერთი ამ ძლისპირთაგანი თავისი ტექსტითა და კილოთი, და ქართული ძლისპირისთვის ბერძნული ძლისპირის კილოს მისადაგებისათვის მიმართავს მისთვის ნაცნობ ტექსტს ამ ორი შესაძლებელიდან, ვინაიდან კილო ორივე ძლისპირში ერთია. ამასთან დაკავშირებით იხ. აქვე, „რიტმული პუნქტუაცია და ნეგმები“.

7. ძლისპირი „ზღვსა დეღვანი განელნა ისრაელმან“ დაუცავს ABLJ ხელნაწერებს. ზედწარწერა ძლისპირს აქვს მხოლოდ B ხელნაწერში—უ ლუსის. ამ დასაწყისისა და შინაარსის მქონე ბერძნულ ძლისპირს ბერძნულ ირმოლოგიონებში ვერ მივაკვლიეთ.

17. L ხელნაწერში ძლისპირის ბერძნული დედნის დასაწყისად ზედწარწერაში მოტანილია ექსენთეს ებო. ამ დასაწყისის მქონე ძლისპირი ბერძნულ ირმოლოგიონებში არ დაიძენა. ხოლო ქართულ ძლისპირის ბერძნული დედანი სულ სხვა დასაწყისის მქონეა (ევსტრად. № 15, ბ'). საფიქრებელია, რომ L ხელნაწერში მითითებული ბერძნული ძლისპირიც (ექსენთეს ებო) არსებობდა (შეიძლება არსებობს და ჩვენ ვერ მივაკვლიეთ) და მისი ქართული თარგმანიც. შესაძლოა ამ დასაწყისის მქონე ბერძნული ძლისპირი იყო εἰμας ἕραოს-ი ქართული ძლისპირის ბერძნული დედნისა, ისევე, როგორც № 2-სა და 5 ძლისპირების შემთხვევაში და იგი მხოლოდ კილოსათვის არის მითითებული.

18. ამ ბერძნული ძლისპირის შემცველი აკოლუთია (ევსტრად. № 14) განკუთვნილია გრიგოლ ლეთისმეტყველის დღესასწაულისათვის, ამიტომ ძლისპირში მოხსენიებულია გრიგოლი. ოდებად დალაგებულ ბერძნულ და ქართულ ძლისპირთა კრებულებში აკოლუთიები დაშლილი სახითაა წარმოდგენილი და ამიტომ იკარგება აკოლუთის ავტორი და ირღვევა მისი მთლიანი სახე, იკარგება მითითება იმაზეც, თუ ვის ან რას მიეძღვნა თავდაპირველად აკოლუთია. ამით უნდა აიხს-

ნას ისიც, რომ ძლისპირის ქართულ თარგმანში არ ჩანს ბერძნულ ძლისპირში მოხსენიებული გრიგოლი.

21. ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი არ აღმოჩნდა ევსტრად. გამოცემულ ბერძნულ ირმოლოგიონში იმის გამო, რომ აკოლუთია № 21 ნაკლულია. მას აკლია მ' ოდის ქართული ძლისპირის დედანი ეს ბერძნული ძლისპირი დაუცავს სხვა ირმოლოგიონებს: Hirmolog. Athoum (17v) და Hirmolog. Cryplense (25). ორივე ირმოლოგიონში № 21 აკოლუთია სრულად არის წარმოდგენილი.

28. ქართული ძლისპირი ზუსტი თარგმანია ბერძნული ძლისპირის (იხ. ევსტრად. გამოც., № 21, 'Δηή ε', 'Hγας α'), მაგრამ იგივე ბერძნული ძლისპირი შესულია ამავე გამოცემის № 58 აკოლუთიაშიც მეორე ხმის შეეჭვსე გალობის ძლისპირად. პირველ შემთხვევაში აკოლუთიის ავტორია გერმანე პატრიარქი, იმავე აკოლუთიის ავტორად ბერძნულ ხელნაწერ B—32-ში, რომელიც მიჩნეულია უძველეს ბერძნულ ირმოლოგიონად, ავტორად დასახელებულია კვიპრიანე მონაზონი (იხ. ევსტრად. გამოც., გვ. 43, სქოლ. 1).

39. ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ირმოლოგიონებში ვერ აღმოვაჩინეთ. L ხელნაწერში ძლისპირს აქვს ზედწარწერა: ოსენ აფლესტისთა. ამგვარი დასაწყისის მქონე ძლისპირი, როგორც ჩანს, არის, ან უნდა არსებულებოდა. შემდგომმა ძიებამ იგი შეიძლება გამოავლინოს. ზედწარწერის ბერძნული ძლისპირის დასაწყისი მნიშვნელობით უდგება ქართული ძლისპირის დასაწყისს. ბერძნული ძლისპირი, ისევე როგორც ქართული, უნდა ენებოდეს ცეცხლში შევლებულ სამ ბაბილონელ ყრმას, თუ მივიჩნევთ, რომ აფლესტის ბერძნული ἀφίστασι და მახინჯებული ფორმაა.

47. ამ ძლისპირის ბერძნული დედანი ვერ დაიძებნა ბერძნულ ირმოლოგიონებში, მიუხედავად იმისა, რომ L ხელნაწერში ქართულ ძლისპირს აქვს მითითება (ზედწარწერა) ბერძნული დედნის დასაწყისზე.

49—50. ეს ორი ძლისპირი წარმოადგენს ერთი ბერძნული ძლისპირის (ევსტრად. № 22, γ') ორ სხვადასხვა თარგმანს. პირველ თარგმანს L ხელნაწერში მიწერილი აქვს ბერძნული დედნის დასაწყისი უმნონ სოი. ეს თარგმანი შესულია LAJ ხელნაწერებში. მეორე თარგმანი L ხელნაწერში არ არის. ის დასტურდება მხოლოდ AJ ხელნაწერებში. ე. ი. AJ ხელნაწერებმა შემოგვინახეს ერთი ბერძნული ძლისპირის ორი სხვადასხვა თარგმანი. L ხელნაწერი კი, რომელიც ძველი რედაქციის უფრო ადრეულ ფენას მოიცავს, იცნობს მხოლოდ ერთ თარგმანს. AJ ხელნაწერებში მითითება (ზედწერილი) ბერძნულ ძლისპირის დასაწყისზე არ არის.

რიტმული დაყოფის მხრით ორივე თარგმანი ბერძნულს სხვადასხვაგვარად ეწყობა.

ბერძნ.: 12, 5, 5, 7, 8, 7 = 44

ქართ. (49): 7,5, 5, 12, 7, 2,7 = 45

ქართ. (50): 7, 10, 11, 10, 7 = 45

51. იოანე დამასკელის ეს იამბიკური ძლისპირი, ისევე როგორც იმავე აკოლუთიის (№ 9) სხვა იამბიკური ძლისპირები, ბერძნულის საკმაოდ თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს.

52. ქართული ძლისპირის ზედწარწერაში მითითებული ბერძნული ძლისპირი არის ევსტრად. გამოცემის № 8 აკოლუთიის მ' ოდის ძლისპირი.

ეს ძლისპირი შესულია KaO ქართული ძლისპირის ანგმის აკოლუთიაშიც, რომელიც აგრეთვე ევსტრად. გამოცემის № 8 აკოლუთიის თარგმანს წარმოადგენს

მცირედენი გადახრებით დედნისაგან. შინაარსობლივ ბერძნულ-ქართულ ძლისპირებს შორის შორეული მსგავსებაა. ერთნაირია დასაწყისი, მაგრამ ქართული ძლისპირი არ არის ამ ბერძნული ძლისპირის თარგმანი. ის უფრო ბერძნული ძლისპირის თავისუფალი გააზრებაა, გაწყობილი ამ ბერძნული ძლისპირის კილოზე; ბერძნულ-ქართულ ძლისპირებში ერთნაირია მარცვალთა საერთო რაოდენობა (62), რიტმული დაყოფაც ტაქტთა გარკვეული კომბინაციების ფარგლებში მსგავსია.

ქართული ძლისპირი ასევე არ წარმოადგენს თარგმანს მერვე აკოლუთიის 8^ე ოდის εἰρηῆς ἀλλοί-ისა. შინაარსობრივი მსგავსება ქართულ ძლისპირს ἀλλοί-თანაც აქვს. რიტმული თვალსაზრისითაც დაახლოვებით ისეთივე მიმართებაა ἀλλοί-ისა ქართულთან, როგორც ძირითად ბერძნულ ძლისპირსა და ქართულ ძლისპირს შორის არის.

54. ამ ძლისპირს L ხელნაწერში ახლავს მითითება ბერძნულ დედანზე:— Ὁ τὸν ἀνο βίτον ტῆς θία, რაც უდრის: „Ὁ τὸν ἀνο βίτον τῆς θείας“. ეს ძლისპირი ირმოლოგიონის ევსტრად. გამოცემაში ვერ დაიძებნა. ამ დასაწყისის მქონე ბერძნული ძლისპირი აღმოჩნდა ათონის ირმოლოგიონში (Hirmol. Ath., 12v), მაგრამ არა IX (8^ე) გალობაში, როგორც ეს ქართულშია, არამედ VIII გალობაში. ამ ძლისპირის შემცველი ათონის ირმოლოგიონის აკოლუთია ევსტრად. გამოცემაშიც არის (№ 14), მაგრამ აქ IX გალობაში სხვა ძლისპირია. ხოლო ჩვენი საძიებელი ძლისპირი ირმოლოგიონის ევსტრად. გამოცემაში სულ არ ჩანს.

№ 14 აკოლუთია ევსტრად. გამოცემის მიხედვით დაწერალია ვრიგოლ ღვთისმეტყველის სახელზე კოზმა იერუსალიმელის მიერ. ევსტრად. და ათონის ირმოლოგიონებში ეს აკოლუთია სხვადასხვა შემადგენლობისაა.

I ოდის ძლისპირები ორივე გამოცემაში სხვადასხვაა.

II ოდის ძლისპირები ორივე გამოცემას აკლია.

III—VI ოდის ძლისპირები ორივე გამოცემაში ერთნაირია.

VII—VIII ოდის ძლისპირები განსხვავებულია.

IX ოდის ძლისპირი ორივე გამოცემაში ერთია.

ქართული ძლისპირები ძირითადად მისდევს ევსტრად. გამოცემის № 14 აკოლუთიას. არ დავმთხვა მხოლოდ IX გალობა (ადიდებდითსა). ამ შემთხვევაში ქართული გაპყვა ათონის ირმოლოგიონის VIII გალობის ძლისპირს, მაგრამ ბერძნული ძლისპირის ქართული თარგმანი ძალზე თავისუფალია.

ბერძნული დედნისაგან დაცილება, ვფიქრობთ, მარტო ქართველ მთარგმნელის თვითნებობას არ უნდა მიეწეროს. საფიქრებელია, რომ არსებობდა ამ ძლისპირის ისეთი ბერძნული ვარიანტი, რომელიც, ისევე როგორც ქართული თარგმანი, IX გალობის კუთვნილება იქნებოდა. კანონის IX გალობა (ადიდებდითსა) ჩვეულებრივ ღვთისმშობლის შესხმას წარმოადგენს, ამიტომ ქართული თარგმანი ღვთისმშობლისადმი მიმართული (ალბათ, ასევე იქნებოდა მის სავარაუდებელ ბერძნულ დედანშიც). ათონის ირმოლოგიონში კი ეს ძლისპირი VIII გალობის (აკურთხევდითსას) კუთვნილებაა და მისი შესხმის ობიექტიც აქ არის „ნეტარი მამა“, — იგულისხმება გრიგოლ ღვთისმეტყველი, ვის სახელზედაც ყოფილა ეს კანონი კოზმას მიერ თავდაპირველად დაწერილი. თუ რა დროისაა ბერძნული ირმოლოგიონის ამ აკოლუთიის ძლისპირებში მომხდარი ზემოთ მოხსენიებული ცვლილებები, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, ქართული ძლისპირი IX-სა და X საუკ. დამდგვის ვითარებას უნდა ასახავდეს.

58. ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ირმოლოგიონების გამოცემებში ვერ დაიძებნა.

59. ძლისპირის ბერძნული დედანი ევსტად. გამოცემის ირმოლოგიონში ვერ დაიძებნა.

75. ეს იამბიკური ძლისპირი, ისევე როგორც № 50 აკოლუთიის დანარჩენი იამბიკური ძლისპირები (დაუცავთ მხოლოდ AJ ხელნაწერებს), ბერძნული დედნის საკმაოდ თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს (იხ. აქვე, „ძლისპირთა ქართული თარგმანები“).

76. ქართულ ძლისპირს HL ხელნაწერებში ახლავს მითითება (ზედწარწერა) ბერძნული დედნის დასაწყისზე: H ხელნაწერში — აკიკოი..., ხოლო L ხელნაწერში — აკიკოენ კუი. დასაწყისის მიხედვით ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი უნდა იყოს ევსტად. გამოც. № 49 აკოლუთიის ბ' ოდის ძლისპირი, როგორც ეს წარმოდგენილია ჩვენს გამოცემაში. მაგრამ შინაარსობლივად და მეტრის თვალსაზრისით ბერძნულ-ქართულ ძლისპირები ერთმანეთს არ ფარავენ (ამ ბერძნული ძლისპირის ზუსტი თარგმანი შემოკვინახა სლავეურმა ირმოლოგიონმა). ქართულ ძლისპირში ტაეპთა რაოდენობა ხელნაწერებში სხვადასხვაგვარია. A ხელნაწერში, ისევე როგორც ბერძნულში, 8 ტაეპთა, ხოლო H ხელნაწერში — 10 ტაეპთა. ბერძნულ-ქართული ძლისპირები განსხვავდებიან მარცვალთა რაოდენობითაც.

შეიძლება თუ არა ქართული ძლისპირი მივიჩნიოთ ბერძნულის თარგმანად? ძნელაა, ვინაიდან შინაარსობლივი სხვაობა ძალიან დიდია. ხომ არ იცვალა სახე ბერძნულმა ძლისპირმა დროთა ვითარებაში? ამის მავალითები ბევრია ბერძნულ ირმოლოგიონში. ერთი ამჟარაა, რომ იმ დროისათვის, როდესაც ითარგმნებოდა სალავეური ირმოლოგიონი (ვარაუდობენ XI საუკუნეს ან XII საუკუნის დამდეგს), ბერძნული ძლისპირი იმ სახისა იყო, როგორადაც ის გამოცემაშია შესული, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ. სლავეური ძლისპირი მისი ზუსტი თარგმანია. მეორე მხრით, ბერძნული ძლისპირის ქართული თარგმანი, ზუსტად იმავე სახისა, როგორადაც ის წარმოდგენილია ჩვენს გამოცემაში (ე. ი. ხელნაწერებში), შესულია აგრეთვე უძველეს ქართული ძლისპირში, როგორც დაუცავს ხელნაწერს Sin. 34 (იხ. აქვე, გვ. 7), და რომლის თარგმანიც IX საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს. ამავე დროს Sin. 34-ის ძლისპირთა კრებული, როგორც ეს გამოკვლევაში გვაქვს აღნიშნული, KΞO ტიპის ძლისპირთა უძველესი კრებულია, ე. ი. იქ ძლისპირები სრული აკოლუთიების ანუ კანონების სახითაა წარმოდგენილი. ძლისპირის Sin. 34-ის მეორე ხმის ძლისპირები კი ევსტად. გამოცემის № 49 აკოლუთიის ძლისპირებს შეეცავენ, ამიტომ ძნელი დასაშვებია, რომ IV ვალობის (ორო მესმასა) ძლისპირიც („სმენაჲ მესმა უფალო“) ამავე აკოლუთიის კუთვნილება არ იყოს, შით უმეტეს, რომ X საუკუნის HL ხელნაწერებში ბერძნული დედნის დასაწყისად ზედწარწერაში სწორედ № 49 აკოლუთიის IV ვალობის ბერძნული ძლისპირის დასაწყისია ნაჩვენები. ამ ხმის ფარგლებში მსგავსი დასაწყისის მქონე სხვა ბერძნულ ძლისპირს ირმოლოგიონის ევსტადიადისის გამოცემაში ვერ მივაკვლიეთ. მაშასადამე, გვრჩება ერთი ახსნა, რომ № 49 ბერძნული აკოლუთიის ქართულად თარგმნის დროისათვის (IX ს.) ამ აკოლუთიის IV ვალობის ძლისპირი ატარებდა იმ სახეს, როგორც მას აქვს X საუკუნის ქართულ ძლისპირთა კრებულში.

აქვე შევნიშნავთ, რომ აკოლუთიების შედგენილობა ბერძნულ ირმოლოგიონებში ადრევე ირღვევოდა და ზოგჯერ აკოლუთიის ერთი ძლისპირი მისი მონაცვლე ძლისპირით იცვლებოდა. მონაცვლე ძლისპირთა არსებობა ქართულ KαO წყობის უძველეს ძლისპირის ნუსხებშიც დასტურდება (Sin. 20, Sin. 26).

შეიძლება დაეუშვათ მეორე ვარაუდიც, რომ კოზმა იერუსალიმელის ძლისპირს კი არ უცვლია სახე დროთა ვითარებაში, არამედ ქართველმა მთარგმნელმა

კოზმა იერუსალიმელის ამ ძლისპირის კვალობაზე, თარგზე დაწერა ორიგინალური ძლისპირი, რომელსაც ბერძნული ძლისპირის დასაწყისი მიაწერა კილოსათვის. მაგრამ ეს ვარაუდი ამ შემთხვევაში ნაკლებად დამაჯერებელია, ვინაიდან, როგორც ითქვა, ამავე აკოლუთიის სხვა ძლისპირები ყველა თარგმანს წარმოადგენენ. შესაძლებელია. უძველეს ქართულ ხელნაწერებში დაცული ქართული ძლისპირის ორიგინალი გამოჩნდეს რომელიმე ბერძნულ ხელნაწერ ირმოლოგოიონში.

76—79. H და L ხელნაწერები ქართული ძლისპირის („მესმა, უფალო, განგებაჲ“) ბერძნულ დედნის დასაწყისს განსხვავებულად გვიჩვენებენ:

H ესაკიოაკვრიეტენა.

L ისაკიკოატიინაკუნ.

L ხელნაწერის ჩვენება უდგება ევსტრად. გამოც. № 60 აკოლუთიის 2' ოდის ძლისპირს, თუმცა მარცვალთა რაოდენობა სხვაობს. ქართულში 30-ა, ბერძნულში კი—22. ამასთანავე ქართული ძლისპირის მეორე სტრიქონს არა აქვს შესატყვისი ბერძნულში, ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ბერძნულს აკლია ერთი სტრიქონი.

მომდევნო № 79 ძლისპირის („მესმა სმენაჲ ძლიერებისა შენისაჲ“) ბერძნული შესატყვისის დასაწყისის ქართული ტრანსკრიფცია აგრეთვე განსხვავებულად არის წარმოდგენილი H და L ხელნაწერებში:

H—ისაკიკოატიინაკონ.

L—ისაკიკოაკურიეტინა.

ზედწარწერა, რომელიც წინა ძლისპირში მითითებული იყო H ხელნაწერში (ესაკიკოაკვრიეტენა), ის მომდევნო ძლისპირთან (№ 79) L ხელნაწერშია, და პირიქით.

ამრიგად, H და L ხელნაწერებში ზემოთდასახელებულ ორ ქართულ ძლისპირთან ორი ბერძნული დედნის დასაწყისია მითითებული.

№ 79 ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი უნდა იყოს ევსტრად. გამოცემის № 55 აკოლუთიის 2' ვალობის ძლისპირი. H ხელნაწერში მითითებული ბერძნული დედნის დასაწყისი მას სავეებით ემთხვევა. მარცვალთა რაოდენობაც ორივე ძლისპირში ერთნაირია. აზრობრივდაც ძლისპირები დიდ სიახლოვეს იჩენენ, თუმცა თარგმანი არ არის სიტყვა-სიტყვითი.

85. ქართული თარგმანი საკმაოდ თავისუფალია, მაგრამ კარგია.

86. ქართული ძლისპირი („წინაწარმეტყუელმან“) საგრძობლად განსხვავდება ბერძნული დედნისაგან (ევსტრ. № 50). ქართული თარგმანი ძლისპირის ძირითადი აზრის თავისებური გადმოცემაა, ანტიკომ ის არც კი შეიძლება თარგმანად იქნას მიჩნეული. ის უფრო თავისუფალი გადამუშავებაა.

ბერძნული ძლისპირი, ისევე როგორც ამ ძლისპირის შემცველი აკოლუთია მთლიანად, იამბიკური საზომითაა დაწერილი. ქართული მთარგმნელიც ცდილა გადმოელო ძლისპირი იამბიკური საზომით, მაგრამ მეტრული სახე ამ იამბიკოსი მნიშვნელოვნად დარღვეულია, თუმცა სტროფში მარცვალთა საერთო რაოდენობა დაცულია (59 მარცვალი).

II ხმის ლაღადყვისას ეს პირველი ძლისპირი, ისევე როგორც ამავე ხმის წინა და მომდევნო ვალობების პირველი იამბიკური ძლისპირები, ძლისპირნის უძველეს ნუსხებში (H და L ხელნაწერებში) შეტანილი არ არის. თარგმან იამბიკური ძლისპირებისა მეტად რთულია. ალბათ ამით აიხსნება ისიც, რომ იამბიკოსთა თარგმანებში დედანთან დიდი სიზუსტე ძნელად მისაღწევი იყო. ასეთი ვითარებაა № 50 აკოლუთიის სხვა ძლისპირთა ქართულ თარგმანებშიც.

სლავური თარგმანები ამავე იამბიკური ძლისპირისა, ისევე როგორც № 50 იამბიკური აკოლუთიის სხვა ძლისპირებისა, მეტად ზუსტია. იხ. აქვე, „ძლისპირთა ქართული თარგმანები“.

87. ძლისპირს HL ხელნაწერებში ახლავს ზედწარწერა: ი ფონ ი ტ უ ლ ო ლ უ ი. ამ დასაწყისის მიხედვით ქართული ძლისპირის ბერძნული დედანია ევსტრად. გამოც. № 49 აკოლუთიის ბ' გალობის ძლისპირი (კანონის ავტორია კოზმა იერუსალიმელი), მაგრამ შინაარსობლივ ქართული ძლისპირი არ მისდევს ბერძნულს. ბერძნული ძლისპირი არ არის ქართულის დედანი. ბერძნულ-ქართულ ძლისპირებს საერთო აქვთ მხოლოდ მარცვალთა რაოდენობა და რიტმული დაყოფა.

ბერძნ.: 6, 11, 8, 5, 14, 6, 8, 10=68.

ქართ.: 6, 19, 5, 12, 6, 10, 10=68.

აქაც, ისევე როგორც № 76 ძლისპირის შემთხვევაში, ამ ფაქტს შეიძლება ახსნა მოექდნოს. № 87 ძლისპირი უძველესი ტიპის ქართულ ძლისპირშიც (Sin. 3⁴) არის შესული მეორე ხმის კანონის მეექვსე გალობის ძლისპირად, ხოლო II ხმა ამ ძლისპირთა კრებულში მხოლოდ ერთადერთი კანონით — ევსტრად. გამოც. № 49 აკოლუთიის თარგმანით — არის წარმოდგენილი, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ VI გალობის ძლისპირიც ამავე აკოლუთიის კეთვნილება უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, რასაც ადასტურებს HL ხელნაწერებში ბერძნულ ძლისპირის დასაწყისზე მითითება — ზედწარწერა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს № 49 აკოლუთიის VI გალობის ძლისპირის დასაწყისს.

მსგავსი შემთხვევა ჩვენ გვქონდა № 2 და № 5 ძლისპირებში. ამ ძლისპირების მაგალითზე გაიჩევა (იხ. კომენტარები), რომ ორივე ძლისპირი თარგმანია გალობის არა ძირითადი, არამედ *ჰიქსან მისიკის* ან *ჰიქსან ძლისპირებისა*, რომელნიც რიტმითა და კილოთი ძირითადი ძლისპირების ფარდნი არიან.

ჩვენ განსახილველ ქართულ ძლისპირში (№ 87) და იმ ბერძნულ ძლისპირში, რომლის დასაწყისიც მითითებულია ქართული ძლისპირის ზედწარწერაში (ტრანსკრიფციაში), მარცვალთა საერთო რაოდენობა და ძლისპირთა რიტმული დაყოფა ერთნაირია, განსხვავებულია მათი შინაარსი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაშიც ქართული ძლისპირის ზედწარწერა („ი ფონ ი ტ უ ლ ო ლ უ“) ქართული ძლისპირის ბერძნულ დედანზე კი არ მიუთითებს, არამედ იმ ბერძნულ ძლისპირზე, რომლის რიტმსა და კილოზეა გაბართული ქართული ძლისპირი, ამ შემთხვევაში № 49 აკოლუთიის ც' ოდის ძლისპირი. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ქართული ძლისპირის ბერძნული დედნის არსებობას, რომელიც ისეთსავე მიმართებაში იქნება № 49 აკოლუთიის ც' ოდის ზემოთდასახელებულ ძლისპირთან, როგორშიაც ქართულია. ე. ი. ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი უნდა წარმოადგენდეს № 49 აკოლუთიის ც' ოდის ძლისპირის *მისიკის*-ს. ირმოლოგიონის ევსტრადიადანის გამოცემაში № 49 აკოლუთიის ც' ოდის ძლისპირს *მისიკის*-ი არ ახლავს. შეიძლება ის აღმოჩნდეს რომელიმე უფრო ძველ ბერძნულ ხელნაწერ-ირმოლოგიონში.

92. ძლისპირი „სიღრმითგან აღმომიყვანე“ არ არის შესული LH ხელნაწერებში. ის, გარდა A ხელნაწერისა, დადასტურებულია ე. წ. იორდანეს ძლისპირთა კრებულში (A—603) და A—85-ში. გამოყენებულია ეს ძლისპირი მიქაელ მოდრეკისის კრებული გალობებშიც, (იხ. 88რ, 190რ), ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ძლისპირი შეტანილი იქნებოდა მიქაელის ძლისპირშიც (მის დაკარგულ ნაწილში). ამ ქართული ძლისპირის ბერძნული შესატყვისი ვერ დაიძებნა.

93. იამბიკური ძლისპირის ქართული თარგმანი საგრძნობლად სხვაობს ბერძნული ძლისპირისაგან ისევე, როგორც ამავე ბერძნული აკოლუთიის (№ 50) სხვა ძლისპირთა ქართული თარგმანები (იხ. № 75 ძლისპირის კომენტარი).

99. ამ ძლისპირის ა ღმრთისმშობლისა სხვა ძლისპირთა კრებულებში ვერ დაიძებნა. ღმრთისმშობლისას ტექსტი, რომელიც მხოლოდ A ხელნაწერმა შემოგვინახა, შინაარსობლივ გაუმართავია. სიტყვა რომელი ჩვენს მიერ არის აღდგენილი, ვინაიდან ფოტოზე ორი ასო (რ) ვერ გამოსულა და თავისუფალი ადგილია დარჩენილი. ტექსტს არ ახლავს არც რიტმული დაყოფა. მხოლოდ ერთხელ არის განკვეთის ნიშანი და ცვაჲ-ს შემდეგ.

108. ქართული ძლისპირი ბერძნული იამბიკური ძლისპირის თავისუფალი თარგმანია ისევე, როგორც ამავე ბერძნული აკოლუთიის ზოგი სხვა ძლისპირის თარგმანები (იხ. № 75 და № 93 ქართულ ძლისპირთა კომენტარები).

109. ამ ძლისპირთან დაკავშირებით იხ. № 116 ძლისპირის კომენტარი.

116. ძლისპირი („ღრდებულებაჲ შენი უსძლო“) შესულია მხოლოდ ორ — AL ხელნაწერში. L ხელნაწერში ძლისპირს აქვს მითითება ბერძნულ ძლისპირზე: აპორი პასა ღლოსა. ამგვარი დასაწყისის მქონე ბერძნული ძლისპირი (Ἄπορι πᾶσα γλῶσσα) მხოლოდ ერთადერთია ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ირმოლოგონებში; ეს არის ევსტრად. გამოც. № 49 აკოლუთიის მ' ოდის ძლისპირი. (იხ. აგრეთვე, Hirmol. Crypt., 34r; Hirmol. Athoum, 25r). ძლისპირი № 116 არ არის ამ ბერძნული ძლისპირის თარგმანი. ამ ბერძნული ძლისპირის კარგ თარგმანს წარმოადგენს № 109 ქართული ძლისპირი, რომელიც დაუცავს LAJ ხელნაწერებს. ამ უკანასკნელთანაც ზედწარწერაში იგივე ბერძნული ძლისპირია მითითებული (აპორი პასა ღლოსა). ტაეპთა რაოდენობა № 109 ძლისპირში არის 9, ბერძნულში — 10. მარცვალთა რაოდენობა — 78 და 77. რიტმული სახე ქართული ძლისპირისა საგრძნობლად დარღვეულია, მაგრამ ის, ჩანს, ამ სახით არის შეწყობილი ბერძნულ კილოსთან.

№ 116 არაფერი აქვს შინაარსობლივ საერთო ბერძნულ ძლისპირთან. მხოლოდ მარცვალთა რაოდენობით უახლოვდება ბერძნულ ძლისპირს (77 მარცვალი). № 116 ძლისპირს L და A ხელნაწერებში არა აქვთ რიტმული პუნქტუაცია, ამდენად მის რიტმულ სახეზე მსჯელობა არ შეეკვიძლია.

ვინაიდან № 116 ძლისპირი არ წარმოადგენს ზედწარწერაში მითითებულ ბერძნულ ძლისპირის თარგმანს, და ამ ძლისპირთან მას საერთო აქვს მხოლოდ მარცვალთა რაოდენობა, ამიტომ აქაც მითითება ბერძნულ ძლისპირზე უნდა გულისხმობდეს მხოლოდ კილოზე მითითებას, ე. ი. № 116 ძლისპირი, ისევე როგორც № 109, დადებულია ერთი და იგივე ბერძნული ძლისპირის კილოზე. პირველი — ბერძნული ძლისპირის თარგმანია, ხოლო № 116 ქართული ძლისპირის ბერძნული დედანა εἰς τὴν ἀλλοθεν-ი ანუ „მორთული“ უნდა ყოფილიყო ძირითადი. ე. ი. № 49 აკოლუთიის მ' ძლისპირისა, ამდენად, მას ძირითად ძლისპირთან მხოლოდ კილო აკავშირებს.

117. ძლისპირი („ადიდე შენ, მაცხოვარ“) დატულია AJ ხელნაწერებში. ძლისპირებს ამ ხელნაწერებში არ ახლავთ მითითება (ზედწარწერა) ბერძნულ დედანზე. ქართული ძლისპირი წარმოადგენს საკმაოდ ზუსტ და კარგ თარგმანს № 53 აკოლუთიის მ' გალობის ძლისპირისა. ბერძნულსა და A ხელნაწერთან შედარებით J-ში ძლისპირს ერთი ტაეპი ზედმეტს აქვს: ბერძნულ ძლისპირშია — 8 ტაეპი; A-ში — 2; J-ში — 9 ტაეპი.

ქ ხელნაწერის დამატებით (მკხეთე) სტრიქონი— „ვითარცა სახინგრმან ღმერთ-მან“ — ბერძნულ ძლისპირში სულ არ არის, მაგრამ რიტმის თვალსაზრისით ეს სტრიქონი აუცილებელია აღმოჩნდა ქართულისათვის, ამას მოწმობს ბერძნულისა და ორი ქართული ძლისპირის ურთიერთშედარება რიტმიკის თვალსაზრისით.

ბერძნ.: 7. 9. 7. 11. 6. 9. 7. 11. = 67

ქართ. A: 7. 9. 7. 11. 6. 7. 5. 6. = 58

ქართ. J: 7. 9. 7. 11. 9. 6. 7. 5. 6. = 67

ამრიგად, ბერძნულ ძლისპირში 8 ტაეპია, მარცვალთა რაოდენობა— 67.

ქართულ A ძლისპირში 8 ტაეპია, მარცვალთა რაოდენობა— 58.

ქართულ J ძლისპირში 9 „ „ „ — 67.

A ხელნაწერის ძლისპირს J-სთან შედარებით აკლავ 9-მარცვლიანი ტაეპი (მკხეთე), რის გამოც მთელი ძლისპირის სილაბიკა 9 მარცვლით სხვაობს ბერძნულსაგან.

ამჟამად, რომ ქ ხელნაწერის ძლისპირის ზედმეტი 9-მარცვლიანი ტაეპი ბერძნულ-ქართული ძლისპირის რიტმული თანაფარდობის მიღწევას მიზნით არის შეტანილი J ხელნაწერში. A ხელნაწერის ძლისპირში, სადაც ბერძნულთან შედარებით ეს ზედმეტი ტაეპი არ არის შესული, დარღვეულია ძლისპირის რიტმული სახე.

120. ძლისპირს („ქრისტე, რაჟამს დაემსკუალა“) H და L ხელნაწერებში მიწერილი აქვს ამ ძლისპირის ბერძნული დედნის დასაწყისი (ხ რ ი ს ტ ო ს ი პ ა ჯ ი), მაგრამ ბერძნულ ირმოლოგიონებში ამ დასაწყისის მქონე ძლისპირი ვერ დაიძენა. ქართული ძლისპირი შესულია HLA ხელნაწერებში. ამ ძლისპირის ღმრთისმშობლისა არის: „მუცლითა იტვრთე, მცხნელო“. ღმრთისმშობლისას აქვს საერთო რეფრენი ძლისპირთან: „მას მხოლოსა უჯალობთ, რომელიცა დიდებულ არს“.

J და C ქართულ ძლისპირთა კრებულებში ეს ძლისპირი შეტანილი არ არის. მის ნაცვლად არის მეორე ძლისპირი, რომელსაც იგივე ღმრთისმშობლისა აქვს, როგორც პირველს („მუცლითა იტვრთე“), და რეფრენაც იგივეა, რაც პირველ ძლისპირში: „მას მხოლოსა უჯალობდეთ, რომელიცა დიდებულ არს“. ეს ძლისპირია:

ღმერთსა, რომელმან იცხნა პირველ

ერი ზღვსაგან

და დაანთქა ფარაო

წინააღმდგომი,

მას მხოლოსა უჯალობდეთ, რომელიცა დიდებულ არს.

ტაეპთა რაოდენობით (5) და ტაეპებსა და სტროფში მარცვალთა რაოდენობით ეს ძლისპირი თანაბარია პირველისა („ქრისტე რაჟამს“). თუ პირველ ძლისპირს (მიუხედავად ბერძნულ დედანზე მიართებისა) ბერძნული დედანი არ დაეძებნა, მეორე ძლისპირს, რომელსაც არა აქვს ბერძნულ დედანზე მითითება, ბერძნული დედანი აღმოაჩნდა. ეს არის იოანე დამასკელის ძლისპირი, ვესტრად. გამოც. მიხედვით აკოლუთია № 98, ოდა ა': Τῷ ἐξαισθητῶν ἡμῶν. მარცვალთა და სტრიქონთა რაოდენობით ორივე ქართული ძლისპირი ეფარდება ბერძნულ ძლისპირს.

რით უნდა აიხსნას, რომ ზემოთ დასახელებულ ორ ქართულ ძლისპირს აქვთ ერთნაირი ღმრთისმშობლისა, ერთნაირი რეფრენი ძლისპირისა და ღმრთისმშობლისათვის, ერთნაირი მეტრი და განსხვავებული შინაარსი? ამ ძლისპირთა გავრცელების დროც სხვადასხვაა; პირველი („ქრისტე რაჟამს“) არის მხოლოდ უძველეს ძლისპირთა კრებულებში (HLA), ხოლო მეორე კი— ძლისპირისას უფრო გვიანდელ რედაქციაში (JC და B), და ბერძნული დედანი არ ჩანს სწორედ ძველი ძლისპირისა.

149. ამ ძლისპირის ბერძნული დედანი ვერ დაიძებნა ჩვენ ხელთ არსებულ ირმოლოგიონების გამოცემებში.

150. ამ ძლისპირის ბერძნული დედანი ვერ დაიძებნა ჩვენ ხელთ არსებულ ირმოლოგიონის გამოცემებში.

153. HLO ხელნაწერების ზედწარწერებში ამ ძლისპირის ბერძნული შესატყვისი ერთნაირად არის მითითებული: ანუქსო ტო სტომა (H), ანუქსო ტოსტო (O), ანუქსუ ტუ სტიმო (L). ამგვარი დასაწყისის მქონეა ევსტრად. გამოცემის № 141 აკოლუთიის ა' ოდის ძლისპირი: Ἄντιξω τὸ ἀνάμα μαα. სინამდვილეში ეს ბერძნული ძლისპირი არ არის ქართულის დედანი. ბერძნულ-ქართულ ძლისპირებს საერთო აქვთ მარცვალთა რაოდენობა და ტაეპთა რიტმული დაყოფა დასაშვები კომბინაციების ფარგლებში:

ბერძნ.: 7. 9. 7. 7. 5. 7. 7. 7. = 56.

ქართ.: 7. 9. 14. 12. 13 = 54.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული ძლისპირის კილო იგივეა, რაც ბერძნულია. უნდა დავუშვათ, რომ ქართული ძლისპირი წარმოადგენს ან დასახელებული ბერძნული ძლისპირის *εἰς τὰς ἀλλὰς*-ის თარგმანს, რომლის ბერძნული დედნისათვის ჭერჭერობით ვერ მიგვიცვლევია, ანდა ქართული ძლისპირი იორიგინალური ტექსტის მქონე „მორთული“ ძლისპირია, რიტმით და კილოთი შეწყობილი ბერძნულ ძლისპირთან (Ἄντιξω τὸ ἀνάμα μαα), რითაც არის გამოწვეული ამ ბერძნული ძლისპირის მითითება ქართული ძლისპირის ზედწარწერაში.

შედგენილობის თვალსაზრისით № 141 ძლისპირთა აკოლუთიას, რომლის ავტორი იოანე დამასკელია, ცვლილებები არ განუტლია, ვინაიდან იგი ზუსტად მისდევს იოანე დამასკელის კანონს (შდრ. Chist—Paranikas, Anthologia, გვ. 229). ამავე დროს იგივე № 141 აკოლუთიის ძლისპირები მიაითებულა მომდევნო გალობათა ქართულ ძლისპირთა ზედწარწერებში: №№ 163, 172, 182, 193, 200, 210, 221, (იხ. ამ ძლისპირთა კომენტარები). ამთავან ბერძნულ ძლისპირთა ზუსტ თარგმანებს წარმოადგენენ: №№ 172, 200, 221; № 210 ბერძნული დედნის საკმაოდ თავისუფალი თარგმანია, დანარჩენებს კი ბერძნულ დედანთან საერთო აქვთ მხოლოდ მარცვალთა რაოდენობა და რიტმული დაყოფა, ისიც ყოველთვის არა. ამ მოვლენას ჩვენ ახსნას ვერ ვუძებნით.

163. ამ ძლისპირის შესატყვისი ბერძნული ძლისპირის დასაწყისი ქართულ ხელნაწერებში სხვადასხვაგვარად იკითხება. ზედწარწერების მიხედვით ქართული ძლისპირის ბერძნული შესატყვისი უნდა იყოს ევსტრ. გამოცემით № 141 აკოლუთიის γ' გალობის ძლისპირი: Ἦνς; ἀνὰ ἡμῶν ἰσχυρὰ, Ὁμοίως, მაგრამ შინაარსობლივ მათ საერთო არაფერი აქვთ, თუმცა მარცვალთა რაოდენობა (54/53) და რიტმიკაც ორივეში ერთნაირია. ეს ქართული ძლისპირი, ისევე როგორც № 153 ქართული ძლისპირი, დაწერილია № 141 აკოლუთიის ძლისპირის მიხედვით, მაგრამ მის თარგმანს არ წარმოადგენს (იხ. № 153 ძლისპირის კომენტარი).

167. ამ ძლისპირის L ხელნაწერში ახლავს ბერძნულ ძლისპირზე მითითება (ზედწარწერა), როგორც ჩანს, საგრძნობლად დამახინჯებული, ამიტომ ამ ზედწარწერით ვერ აღვადგინეთ ბერძნული დედნის დასაწყისის დაწერილობა და ვერ მივაკვლიეთ მას. ქართული ძლისპირის დედანს უნდა წარმოადგენდეს ევსტრად. გამოცემის № 143 აკოლუთიის γ' ოდის ძლისპირი. ტაეპთა რაოდენობით და ტაეპში მარცვალთა რაოდენობით ბერძნულ-ქართული ძლისპირები ფარავენ ერთმანეთს. ქართული ძლისპირი არ არის ამ ბერძნული ძლისპირის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, მაგრამ აზრობრივად ზუსტად და კარგად არის გაკეთებული.

ამ ძლისპირთა შემცველი ორივე აკოლუთია იოანე დამასკელს მიეწერება, ორივე-ძლისპირი—IV ოდისა, ამიტომ მათი ადგილმონაცვლეობა ადვილად წარმოსადგენია. შესაძლებელია, KaO წყობის ქართულ ძლისპირთა უძველესმა კრებულმა შემოგინახა იოანე დამასკელის № 133 აკოლუთიის თავდაპირველი შედგენილობა. საერთოდ, აკოლუთიებში ძლისპირთა შედგენილობის ცვლა, ძლისპირთა მონაცვლეობა გალობის ფარგლებში გავრცელებული მოვლენა იყო ბერძნულ ირმოლოგიონებში.

171. ამ ძლისპირის ბერძნული დედანი ვერ დაიძებნა. აზრობრივად ქართული დედანი უახლოვდება ევსტრად. გამოც. № 159 აკოლუთიის 7' ძლისპირს.

172. ძლისპირი ზუსტი თარგმანია № 141 აკოლუთიის 6' გალობის. იხ. № 153 ძლისპირის კომენტარი.

185. ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი ვერ დაიძებნა.

193. L ხელნაწერში ამ ძლისპირს ახლავს მიათათება ბერძნული დედნის დასაწყისზე. H და O ხელნაწერებს ტექსტის ეს ნაწილი აკლავთ. ხელნაწერის ზედწარწერის მიხედვით (ტინ თიან თავ) ამ ძლისპირს ბერძნული დედანი უნდა ყოფილიყო ევსტრად. გამოც. № 141 აკოლუთიის 2' ძლისპირი: $\Gamma\eta\nu\ \mu\epsilon\iota\alpha\nu\ \tau\alpha\acute{\nu}\tau\eta\upsilon\ \dots$ მაგრამ შინაარსობრივ ქართული არ მისდევს ბერძნულს, თუმცა სტრიქონთა რაოდენობით ბერძნულ-ქართული ძლისპირები ერთმანეთს დღად არ სცილდებიან.

ბერძნ.: 9. 11. 6. 9. 7. 6 = 48

ქართ.: 9. 11. 8. 8. 10. 5 = 51

საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც ქართული ძლისპირს ზედწარწერაში ნაჩვენებია არა ბერძნული დედანი, არამედ ის ბერძნული ძლისპირი, რომლის ქარგაზე დაიწერა და რომლის კალოზეც სრულდებოდა ქართული (იხ. № 153 ძლისპირის კომენტარი).

195. ამ ძლისპირს მხოლოდ L ხელნაწერში აქვს მიათათება ბერძნულ დედანზე, მაგრამ ეს ზედწარწერა ძალზე დაზიანებულია და ცუდად იკითხება.

197. ძლისპირი „ვითარცა იონა იკსენ“ ძველი რუდაქციის ხელნაწერებიდან დატულია მხოლოდ A ხელნაწერში. ძლისპირსა და ღმრთაისმშობლას ამ ხელნაწერში არა აქვთ რიტმული დაყოფა. ძლისპირი წარმოადგენს თარგმანს ევსტრად. გამოცემის № 145 აკოლუთიის 2' გალობის ძლისპირისა.

199. ქართული ძლისპირი მხოლოდ დასაწყისი ტაქტებით მისდევს ბერძნულს. ქართული ბევრად უფრო მოკლეა ბერძნულზე. ქართული ძლისპირის ზედწარწერაში მითითებულ ბერძნულ ძლისპირს („აბრამიაუ პედეს“) ჩვენთვის ცნობილ ირმოლოგიონებში ვერ მივაკვლიეთ. ამავე დროს, ქართული ძლისპირის პირველი ტაქტი ზუსტი თარგმანია ზედწარწერისა, მაშასადამე, ზედწარწერა სწორად მოუთითებს ქართული ძლისპირის ბერძნულ დედანზე. საძიებელი ბერძნული დედანი შეიძლება აღმოჩნდეს ხელნაწერ ირმოლოგიონებში ან ჩვენთვის უცნობ გამოცემებში.

204—205. ამ ორ ქართულ ძლისპირს ერთნაირი ზედწარწერა აქვთ: № 204-ში — უენ არ ში ანარხო სლოლოს; № 205-ში — ო ენ არ ში ანარხო.

ამ დასაწყისის მიხედვით ქართულ ძლისპირთა ბერძნული დედანი უნდა იყოს ევსტრად. გამოც. № 136 აკოლუთიის 7' გალობის ძლისპირი. მსგავსი დასაწყისის მქონე სხვა ბერძნული ძლისპირი ამ გამოცემაში არ აღმოჩნდა.

ქართული ძლისპირები არ წარმოადგენენ დასახლებულ ბერძნული ძლისპირის ზუსტ თარგმანს. ორივე ქართულ ძლისპირს აქვს ერთმანეთთან საესებით თანმხვედრი სტრიქონები და ამავე დროს საგრძნობი ვანსხვაებებიც. არ გვაქვს ზუსტი დამთხვევა არც რიტმში. მეორე მხრივ, შინაარსობრივად და მეტრის მხრივ

ვაც ორივე ქართული ძლისპირი ახლოს დგას ბერძნულ ძლისპირთან. ვფიქრობთ, რომ ორივე ძლისპირი № 136 აკოლუთიის ζ' ოდის ძლისპირის ორ სხვადასხვა თარგმანს წარმოადგენენ. ამიტომ არ უნდა იყოს შემთხვევითი ის, რომ ამ ორიდან L ხელნაწერში (უფრო ძველში) მხოლოდ ერთი ძლისპირია შეტანილი, ხოლო O ხელნაწერში, რომელიც უფრო გვიანდელი ჩანს, ორივე. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ არსებობდა ან არსებობს დასახელებული ბერძნული ძლისპირის განსხვავებული ვარიანტი, რომელიც უფრო ახლოს იქნება ქართულ ძლისპირებთან აზრობრივ და მეტრულადაც.

207. ძლისპირი „რომელმან მგალობელად სულიერად გამოაჩინენ“ არ არის შეტანილი HL ხელნაწერებში. კუროთხელაარსას ძლისპირები ამ ხელნაწერებში თავდება წინა ძლისპირზე. შემოთდასახელებული ძლისპირი კი დამატებით შესულია OJ ხელნაწერებში. O ხელნაწერში ამ ძლისპირს არა აქვს ზედწარწერა. მისი ბერძნული დედნის დაძებნა ვერ მოხერხდა.

210. ქართული ძლისპირი თავისუფალი თარგმანია ევსტრ. გამოცემის № 141 აკოლუთიის η' ოდის ძლისპირისა (იხ. № 153 ძლისპირის კომენტარი). ბერძნულ-ქართული ძლისპირების დასაწყისი და ბოლო ტაეპები შინაარსობრივ საცებით ერთნაირია, საგრძნობი სხვაობაა ძლისპირთა შუა ნაწილში. მარცვალთა რაოდენობით და რიტმული დაყოფითაც ბერძნულ-ქართული ძლისპირები ერთმანეთს შეეფარდებიან.

211. ზედწარწერის მიხედვით ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი უნდა იყოს № 134 აკოლუთიის η' ოდის εἰς τὴν ἀλυσίν. მაგრამ ქართული ძლისპირი არ წარმოადგენს ბერძნული ძლისპირის ზუსტ თარგმანს. ის უფრო თავისუფალი თარგმანის შთაბეჭდილებას სტოვებს. ტაეპთა რაოდენობით და მარცვალთა საერთო რაოდენობით ორივე ძლისპირი ერთნაირია. ტაეპების სილაბური თანაფარდობა კი არ არის ზუსტი.

ბერძნ.: 9. 8. 5. 7. 12=41

ქართ.: 5. 13. 5. 9. 10=42

214. ძლისპირს „ბაბილოენს ყრმანი შურითა“ აქვს მითითება ბერძნულ დედანზე: ოენ ბ ა ბ უ ლ ო ნ ი პ ე დ ა ს. ქართულ-ბერძნული ძლისპირები შინაარსობრივ ერთნაირია, ამიტომ ზედწარწერაში მითითებული ბერძნული ძლისპირი ნამდვილად ქართულის დედანი უნდა იყოს. ამ დასაწყისის მქონე ძლისპირი ევსტრადიანის გაზოცვულ ბერძნულ ირმოლოგიონში ვერ დაიძებნა. ის აღმოჩნდა ათონის ირმოლოგიონში (Hirmolog. Athoum).

ათონის ირმოლოგიონში ამ ძლისპირის შემცველი აკოლუთია შედგენილობით საცეხბით მისდევს ევსტრად. გამოცემის ირმოლოგიონის № 144 აკოლუთიას, ერთი განსხვავებით: ათონის ირმოლოგიონის აკოლუთიის η' ოდაში შეტანილია ორი ძლისპირი. ერთა ის, რომელიც მას საერთო აქვს ევსტრ. გამოცემის ირმოლოგიონის № 144 აკოლუთისთან, ხოლო მეორე—ამ აკოლუთიაში არ არის შესული, მისი თარგმანი კი აღმოჩნდა ქართულ ძლისპირში. აკოლუთიის ავტორი ჩვენ გამოცემაში აღდგენილია ევსტრ. გამოცემის № 144 აკოლუთიის მიხედვით.

218. ძლისპირი „ღმრთისმშობელო, ჩუენ“ შესულია მხოლოდ OJ ხელნაწერებში. O ხელნაწერში ძლისპირს აქვს მითითება ბერძნულ დედანზე (თ ე ო ტ ო კ ო ნ კ ე), მაგრამ ამგვარი დასაწყისის მქონე ბერძნული ძლისპირი გამოცემულ ირმოლოგიონებში ვერ დაიძებნა.

226. ქართული ძლისპირის ზედწარწერის მიხედვით (მ ე ღ ა ლ უ ნ ო მ ე ნ პ ა ნ ტ ე ს) ქართულის დედანი უნდა იყოს ევსტრად. გამოცემის № 146 აკოლუთიის მ'

ოდის ძლისპირი, მაგრამ შინაარსობრივ ბერძნულ-ქართულ ძლისპირებს შორის საერთო არაფერია. მეტრულად კი ისინი მსგავსნი არიან.

ბერძ.: 7. 7. 7. 7. 7. 13=48

ქართ.: 8. 7. 7. 7. 7. 5+8=50

აქაც საქმე უნდა გვექონდეს „მორთულ“ ქართულ ძლისპირთან.

228. ქართული ძლისპირის ზედწარწერაში მითითებული ბერძნული დედნის დასაწყისი არ უდრის შინაარსობრივ ქართული ძლისპირის დასაწყისს. ჩვეულებრივ კი სწორედ პირველი სტრიქონი ქართული ძლისპირისა ზუსტად შესატყვისია თავისი ბერძნული დედნის პირველი სტრიქონისა. ქართველი მთარგმნელი ცდილობს ეს წესი დაიცვას, რათა ადვილი მისაგნები იყოს ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი. განსხვავება უფრო დასაშვებია ქართული ძლისპირის შუა და ბოლო ნაწილში. ქართული ძლისპირის ზედწარწერის მიხედვით დედნად შეიძლება გვევჩაუდა ევსტრად. გამოცემის № 153 აკოლუთიის ე' ოდის ძლისპირი, მაგრამ შინაარსობრივ ქართული სრულიად არ მისდევს ბერძნულს. ბერძნულ-ქართულ ძლისპირებში მარცვალთა რაოდენობა დაახლოვებით ერთნაირია, მათი რიტმული წყობა კი განსხვავებულია. ქართული ძლისპირის ბერძნულ დედანს ვერ მივაკვლიეთ.

242. LO ხელნაწერებში ძლისპირს აქვს ზედწარწერა: ა კ ი კ ო ა კ ჯ რ ი ე (O), ც ს ა კ ი კ ო ა კ უ რ ი (L).

ამგვარი დასაწყისის მქონე ბერძნული ძლისპირი მეხუთე ხმის ბ' ოდის ფარგლებში რამდენიმეა, მაგრამ შინაარსობრივ არც ერთი არ ფარავს ქართულს (წმრ. ევსტრად. გამოცემის ირმოლოგიონის №№ 183, 187, 188, 191, 196, 207, 208, 218 აკოლუთათა ძლისპირებს). ქართული ძლისპირის ბერძნული დედანი გამოდგა ათონის ირმოლოგიონის ერთ-ერთი აკოლუთიის ძლისპირი (Hirmolog. Athoum, 86v, მეხუთე ხმის ბ' ოდის აქიკი-ი). ამ ძლისპირის შემცველ აკოლუთიას შეესაბამება ევსტრ. გამოცემის № 188 აკოლუთია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ძლისპირი ამ აკოლუთიაში შეტანილი არ არის.

245. ორივე ხელნაწერში (HL) ძლისპირის ზედწარწერის მეორე ნახევარი (სიმ/სიმონ) ზუსტად არ გადმოსცემს ბერძნული ძლისპირის დასაწყისს. ამავე დროს ქართული ძლისპირი არის ამ ბერძნული ძლისპირის ზუსტი და კარგი თარგმანი.

246. ქართული ძლისპირის ბერძნული დედანია ევსტრ. გამოც. № 188 აკოლუთიის ბ' ოდის ძლისპირი (εἰρημὸς ἀκίαι). ევსტრ. გამოცემაში ეს ძლისპირი შეცდომით მიეკუთვნება ბ' გალობას, სინამდვილეში ის ე' გალობის ძლისპირია, როგორც ეს არის ქართულსა და ათონის ირმოლოგიონში (86v).

262. ამ ძლისპირს O ხელნაწერში არა აქვს ზედწარწერა, L ხელნაწერში კი მიწერილი აქვს: ეს ა ზ ა ხ ო რ ე ვ, ე. ი. აქ ორივე ზედწარწერაა, რაც იყო წინა № 261 ძლისპირთან. №№ 261—262 ძლისპირების შედარებამ ევსტრ. № 182 აკოლუთიის მ' ოდის ძლისპირთან დაგვარწმუნა, რომ ორივე ქართული ძლისპირი ამ ბერძნული ძლისპირის სხვადასხვა თარგმანია. მეტრის თვალსაზრისით ორივე ქართული ძლისპირი მიჰყვება ბერძნულს.

ბერძნ.: 7. 9. 12. 7. 9. 6. 9 = 59

ქართ. № 261: 9. 7. 8+4. 5. 9. 5. 5+5=57

ქართ. № 262: 9. 7. 9+4. 5. 9. 5. 10 = 58

აზრობრივად პირველი ქართული ძლისპირი უფრო ახლოს დგას ბერძნულთან. როგორც ჩანს, ერთი ბერძნული ძლისპირის ორ სხვადასხვა თარგმანად მიიჩნია ეს ორი ქართული ძლისპირი O ხელნაწერის რედაქტორმაც და ამიტომ პირველს მიაწერა მითითება (ზედწარწერა) ბერძნულ ძლისპირზე, ხოლო მეორეს კი არა.

აღსანიშნავია ისიც, რომ O ხელნაწერში ეს ორი ძლისპირი ერთმანეთს მისდევს, ხოლო LA ხელნაწერებში ეს ძლისპირები დაცილებულია ერთმანეთისაგან. ერთ თავისებურებას ამკლავებს ამ ძლისპირებთან დაკავშირებით A ხელნაწერი. ამ ხელნაწერში № 262 ძლისპირის მეორე ტაეპი განსხვავებულია L ხელნაწერთან შედარებით: L—იხარებდ, ესაჲა; A—ესაჲა, მხიარულ იყავ. A ხელნაწერის გადამწერს, თუ მისი დედნის რედაქტორს, ეს განსხვავებული მეორე სტრიქონი ამ ძლისპირის პირველი თარგმანიდან (№ 261) ჩაურთავს მეორეში.

265. ძლისპირის ბერძნული დედანი ვერ დაიძებნა ბერძნულ ირმოლოგიონებში.

272. ქართული ძლისპირის ზედწარწერის მიხედვით მისი დედანი უნდა იყოს ევსტრად. გამოცემის ირმოლოგიონის № 229 აკოლუთიის γ' ოდის ძლისპირი. ტაეპთა რაოდენობით და რიტმული დაყოფით ქართულ-ბერძნული ძლისპირები საეხებით ფარავენ ერთმანეთს. შინაარსობლივ კი ქართული არ წარმოადგენს ბერძნული ძლისპირის თარგმანს. უნდა ვიფიქროთ, რომ ისევ „მორთულ“ ძლისპირთან გვაქვს საქმე, ე. ი. ზედწარწერა მიუთითებს იმ ბერძნულ ძლისპირზე, რომელთანაც რიტმულად და მელოდიურად შეწყობილია ქართული ძლისპირი. სავარაუდებელია, რომ ქართული ძლისპირის ბერძნული შინაარსობრივი ფარდი არსებულა ან არსებობს ოგოგისის სახით, მაგრამ ჩვენ მას ვერ მივაკვლიეთ, ანდა ეს არის ბერძნული ძლისპირის კილოსთან შეწყობილი ორიგინალური ქართული ძლისპირი.

274. ქართული ძლისპირის დედანია (შინაარსისა და რიტმის თვალსაზრისით) ევსტრად. გამოც. № 224 კანონის β' ოდის ძლისპირი. OL ხელნაწერებში ძლისპირს მიწერილი აქვთ ბერძნული ძლისპირის სხვადასხვაგვარი დასაწყისი: ხ რ ი ს ტ ო ს - მ უ ნ ა მ ი ს O; ხ რ ი ტ ე ო თ ე ო ს L.

O ხელნაწერის ჩვენება სწორია, ოღონდ ხელნაწერის გადამწერს დაუშვია შეცდომა: უნდა ყოფილიყო: ხ რ ი ს ტ ო ს მ უ დ უ ნ ა მ ი ს (Χρῆσταις μὴ δὴ αὐμας). გადამწერს ერთი მარცვალი „დღ“ დაუკლია და მივიღეთ მ უ ნ ა მ ი ს. L ხელნაწერის ზედწარწერა, ეტყობა, სხვა ძლისპირის კუთვნილებათა და შემთხვევით მოხვდა აქ. ზედწარწერის ტექსტი დამახინჯებულია. ამგვარი დასაწყისის მქონე ძლისპირი ირმოლოგიონის ევსტრად. გამოცემაში არ არის.

281. ქართული ძლისპირის ბერძნული შესატყვისია ევსტრად. გამოც. № 237 აკოლუთიის ε' ოდის ძლისპირი. იგივე ბერძნული ძლისპირი მეორდება №№ 239 და 242 აკოლუთიებში. ეს სამი აკოლუთია სხვადასხვა ავტორს მიეწერება: I (№ 237)—გერმანე პატრიარქს, II (№ 239)—ანდრია კრიტელს, III (№ 242)—იოანე ბერს (დამასკელს). ცხადია, რომ აქ აკოლუთიების ფარგლებში ძლისპირთა მოძრაობასთან და აკოლუთიათა სახეცვლასთან გვაქვს საქმე.

საინტერესოა, რომ X საუკუნის ქართულ ხელნაწერებში დაცული ეს ქართული ძლისპირი თავისი მოცულობით განსხვავდება ბერძნული ძლისპირისაგან. ქართული ძლისპირი შეიცავს ბერძნული ძლისპირის პირველ ორ სტრიქონს მხოლოდ. ქართული ძლისპირი, დაყოფილი ოთხ სტრიქონად, შეიცავს 29 მარცვალს (6, 6, 9, 8), ხოლო ბერძნული ძლისპირის პირველი ორი სტრიქონი, რომლის ზუსტ თარგმანსაც წარმოადგენს ქართული ძლისპირი, შეიცავს აგრეთვე 29 მარცვალს (13, 16). თუ რა არის ამის მიზეზი, ძნელია ამის თქმა ბერძნული ირმოლოგიონების ნუსხათა მონაცემების გათვალისწინების გარეშე.

283. ძლისპირს „ვითარცა ვეშაპისაგან“ OL ხელნაწერებში აქვთ ზედწარწერა: ე კ ტ უ კ ი ტ უ ს ტ ო ნ პ რ ო ი ტ. ქართული ძლისპირის დასაწყისი არის

ზედწარწერაში მითითებული ბერძნული ძლისპირის დასაწყისის ზუსტი თარგმანი, მაგრამ ამ დასაწყისის მქონე ბერძნული ძლისპირი ბერძნულ ირმოლოგოიონებში ვერ დაიძებნა.

296. ამ ქართულ ძლისპირს OL ხელნაწერებში აქვთ მითითება ბერძნულ დედანზე: ქსენიას დესპოტიკის O; მსენია დესპოტიკ. L ხელნაწერის ზედწარწერა დამახინჯებულად გადმოსცემს ბერძნული დედნის დასაწყისს. ძლისპირის ზედწარწერაში მითითებულია ევსტრად. გამოც. № 229 აკოლუთიის მ' ოდის ძლისპირი: $\Xi\alpha\upsilon\alpha\delta\ \beta\epsilon\rho\alpha\tau\eta\upsilon\lambda\omicron\varsigma$, მაგრამ შინაარსით ქართული ძლისპირი არ მისდევს ბერძნულ ძლისპირს. ბერძნულის ზუსტი თარგმანი შემოგვიჩანხა სლავურმა (იხ. ნოვგოროდის ირმოლოგ., გვ. 212—213.). მეტრის თვალსაზრისით კი ბერძნულ-ქართული ძლისპირები სავსებით ფარავენ ერთმანეთს:

ბერძნ.: 7. 8. 7+6. 9. 9. 7. 6=59

ქართ.: 7. 8. 13. 9. 9. 7. 6=59

ბერძნული ძლისპირი არ არის ქართულის დედანი. ის მხოლოდ რიტმულ-მელოდიური ქარგაა ქართული ძლისპირისა. ამ ძლისპირთან დაკავშირებით ერთი გარემოებაა მაინც ყურადსაღები: აკოლუთია № 229 ჩანს ქართულ ძლისპირებში მთელი VI გმის მანძილზე (იხ. აკოლუთიათა საძიებელი) და ყველგან ამ გალობებში ქართული ძლისპირები ზედწარწერათ, რიტმით და შინაარსით ემთხვევიან ბერძნულებს და წარმოადგენენ მათ თარგმანებს. გამონაკლისია მხოლოდ IX გალობის ძლისპირი, რომელიც შინაარსით არ ხვდება ბერძნულს, არ ხვდება არც დასაწყისით და მხოლოდ მარცვალთა რაოდენობით და რიტმული დაყოფით მისდევს მას.

302. OL ხელნაწერია ზედწარწერებს მიხედვით ამ ძლისპირის დედანი უნდა იყოს ევსტრად. გამოცემის № 286 აკოლუთიის უ' ოდის ძლისპირი: ტინ ექს ოფსის O—T η ϋ ზე ნჰთაჲ. სინამდვილეში ქართული ძლისპირი არ არის ბერძნულის თარგმანი. ის მხოლოდ ბერძნულის რიტმზეა გაწყობილი და, მაშასადამე, იგულისხმება, რომ კილოზეც. ქართული ძლისპირი დიდ სიზუსტეს არც რიტმში იჩენს:

ბერძნ.: 7. 6. 9. 10. 12. 13. 8.=65

ქართ.: 7. 9. 14. 3. 9. 13. 9.=64

340. ეს ძლისპირი დაუცავს მხოლოდ OB ხელნაწერებს. O ხელნაწერში ამ ძლისპირს აქვს ზედწარწერა, რომელიც ზუსტად მიუთითებს ძლისპირის ბერძნულ დედანზე (ევსტრად. გამოცემის № 322 აკოლუთია, VIII ხმა, ა' გალობა). ქართული ძლისპირი ბერძნულის კარგი თარგმანია.

347. ძლისპირი არ არის შესული უძველეს HL ხელნაწერებში. ის ჩანს მხოლოდ AOB ნუსხებში. O ხელნაწერში ძლისპირს აქვს ზედწარწერა: ტ ო ნ ი უ ნ ა ს ს უ. ამ დასაწყისის მქონე ბერძნული დედანი ირმოლოგოიონებში ვერ დაიძებნა. ზედწარწერაში მითითებული ბერძნული ძლისპირის დასაწყისი არ წარმოადგენს ქართული ძლისპირის დასაწყისის შესატყვისს.

348. ძლისპირი დაუცავს OB ხელნაწერებს. O ხელნაწერში ძლისპირს აქვს ზედწარწერა: ო ე ნ უ რ ა ნ ო ს ლ ო დ ო ს თ ე რ ი ო ს. ამ დასაწყისის მქონე ბერძნულ ძლისპირს ვერ მივაკვლიეთ. ქართული ძლისპირის დედანია ევსტრად. გამოცემის № 324 აკოლუთიის უ' ოდის ძლისპირი.

356. ძლისპირი დაუცავს OB ხელნაწერებს. O ხელნაწერის ზედწარწერა ისაკიკოა სწორედ მიუთითებს ქართული ძლისპირის ბერძნულ დედანზე (ევსტრად. გამოცემის № 331 აკოლუთიის მ' ოდის ძლისპირი). ბერძნულთან

შედარებით ქართულში მცირეოდენი სხვაობაა უკანასკნელ ორ სტრიქონში. სხვაობენ ქართულ-ბერძნული ძლისპირები მარცვალთა რაოდენობითაც: ბერძნულშია—39, ქართულში—49. № 331 აკოლუთიის ამ ბერძნულ ძლისპირის განსხვავებული ვარიანტი აღმოჩნდა Hirmolog. Athos-ში (139v). ეს გვაძლევს უფლებას დაფუძვით, რომ არსებობდა ამ ბერძნული ძლისპირის ისეთი ვარიანტიც, რომელიც ქართული ძლისპირის ზუსტი დედანი იქნებოდა.

357. ძლისპირი დაუტავს OB ხელნაწერებს. ქართული ძლისპირი ზუსტი და კარგი თარგმანია № 323 აკოლუთიის 6' ოდის ძლისპირისა. O ხელნაწერში ძლისპირის ახლავს ზედწარწერა, რომელიც, ჩანს, დაზიანებული დედნიდან არის გადმოწერილი, რის გამოც მას აკლია ბერძნული ძლისპირის პირველი სიტყვა „მუსტიკოს ო“.

359. ამ ძლისპირის ზედწარწერები LHO ხელნაწერებში ერთნაირია. ქართული ძლისპირის ბერძნული დედანია № 324 აკოლუთიის 6' ოდის ძლისპირი. ქართული ძლისპირი ბერძნულის ზუსტი და კარგი თარგმანია. რიტმული დაყოფა კი არ არის ერთნაირი. მათ შორის რიტმული თანფარდობა დამყარებულია წყვილ-წყვილ ტაეებებს შორის. დაახლოვებით ასეთივე რიტმული თანფარდობაა ბერძნულ-სლავურ ძლისპირებს შორისაც.

364. ძლისპირი დატულაა OhB ხელნაწერებში. ზედწარწერები ამ ძლისპირებს არა აქვთ. შინაარსობრივ ქართული ძლისპირი ახლოს დგას № 327 აკოლუთიის 6' ოდის ძლისპირთან, მაგრამ მის ზუსტ თარგმანს არ წარმოადგენს. ბერძნული ძლისპირის სიტყვა-სიტყვითი თარგმანია სლავურა ძლისპირი (იხ. ე. კოშმიდერი, გვ. 278). ქართულსა და ბერძნულ ძლისპირებს შორის სხვაობა არის მარცვალთა საერთო რაოდენობაში: ბერძნულში—60 მარცვალა; ქართულში—65. საკმაოდ სცლდებიან ეს ძლისპირები რიტმული დაყოფითაც:

ბერძ.: 7. 14. 8. 7. 7. 8. 9 = 60.

ქართ.: 8. 15. 13. 15. 14 = 65.

ქართულ ძლისპირში ბერძნულთან შედარებით ტაეები დამსხვილებულია. განსხვავებისდა მიუხედავად ქართული ძლისპირი აზრობრივ ბერძნული ძლისპირის თავისუფალ თარგმანად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ გამოჩნდეს ქართულთან უფრო ახლოს მდგომი ამავე ბერძნული ძლისპირის სხვა ვარიანტი.

